

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Shota Rustaveli State University
Faculty of Humanities

ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ
საზოგადოებაში

საერთაშორისო კონფერენციის მასალები

International Conference Proceedings

HUMANITIES IN THE INFORMATION SOCIETY

I



გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2009

რედაქტორი: პროფესორი მარინა გიორგაძე

სარედაქციო კოლეგია: პროფ. მამია ფაღავა, პროფ. ირინე გოშხეთელიანი, პროფ. მარინა აროშიძე, პროფ. რამაზ ხალვაში, პროფ. მაია ჭიჭილეიშვილი, ასოც. პროფ. ლალი ზაქარაძე, ასოც. პროფ. ლელა თავდგირიძე, ასოც. პროფ. კახა სურგულაძე, ასოც. პროფ. ნანა ხახუტაიშვილი, თამარ სირაძე

Editor: Professor Marina Giorgadze

Editorial Board: Prof. Mamia Paghava, Prof. Irine Goshkheteliani, Prof. Marina Aroshidze, Prof. Ramaz Khalvashi, Prof. Maia Chichileishvili, Assoc. Prof. Lali Zakaradze, Assoc. Prof. Lela Tavdgiridze, Assoc. Prof. Kakha Surguladze, Assoc. Prof. Nana Khakhutaishvili, Tamar Siradze

ISSN 1987-7625

ISBN 987-9941-409-91-2

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2009

წინასიტყვაობა

საუნივერსიტეტო ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს საზეცნიერო ფორუმს, სამეცნიერო დისკუსიებს, იდეების გაცვლას, თვალსაზრისთა შეჯერებას. თანამედროვე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი სტრატეგია კვლევითი უნივერსიტეტების ჩამოყალიბებაა, ახალი ცოდნის გენერირება, სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია. კონფერენციის პროგრამა ცხადყოფს, რაოდენ მრავალმხრივი და მრავალფეროვანია მონაწილეთა სამეცნიერო ინტერესები, კვლევის სფერო. ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, ხელოვნება, განათლება, ესაა მთავარი მიმართულებები, რომელთა მიხედვითაც წარიმართა დისკუსიები სხვადასხვა სექციაში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საუნივერსიტეტო ცენტრების პროფესორებმა და მეცნიერებმა აკადემიის ინსტიტუტების მეცნიერებმა, ასევე, ჩვენმა უცხოელმა კოლეგებმა.

კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი ღირსება იყო ის, რომ მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა, დამწყები მეცნიერები, დოქტორანტები. მათთვის განსაკუთრებით სასარგებლო იყო ამ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობა ცნობილი მეცნიერების გვერდით, მათი გამოცდილების გაზიარება, დისკუსიებში მონაწილეობა.

აქტუალური და საინტერესო აღმოჩნდა კონფერენციის დევიზიც – “ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში” – საყოველთაო გლობალიზაციის, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში, როცა იცვლება ჩვენი ცხოვრების წესი და რიტმი, ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც განვითარების ახალი ტენდენციები იჩენს თავს. როგორია ამ ცვლილებათა არსი, რამდენად თანამედროვეა ჩვენი კვლევების თემატიკა, კვლევის მეთოდები? ანუ რას ვიკვლევთ? რატომ და როგორ?

კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებში განხილულია შემდეგი თემები: ომი და პოლიტიკა, პოლიტიკური ზეცხურსი, პოლიტიკური რიტორიკა, კომუნიკაცია პიროვნებათა შორის, დიალოგი კულტურათა შორის, რაც ცხადყოფს, რომ კონფერენციის თემატიკას ნამდვილად არ აკლდა აქტუალობა, დისკუსიებს კი – სიმძაფრე.

მუდმივად დაისმის კითხვები: რამდენად სწორია ორიენტირები, რომელთაც ვირჩევთ ამ ჩვენს ცვალებად სამყაროში? რა ღირებულებები დაეკარგეთ და რა შევიძინეთ? ჩვენი კონფერენციის კრებულის ყდას ორი ფოტო ამშვენებს – ჩვენი უნივერსიტეტი დღეს და საუკუნის წინ. ამ ანსლუელის განამელოებაში ჩვენი შენობა, მართლაც, ძალიან გალამაზდა, ფერი იცვალა, ერთი სართულით აფარდდით კიდევ, მაგრამ ამ შენობას აღარ ადგას გუმბათი, სიმბოლო ჩვენი სულიერებისა, და ეს ალბათ სიმბოლურია. ნამდვილად ღირს ამაზე დაფიქრება.

ძველ რომაელებს პქონდათ ასეთი გამოთქმა, “Tempora mutantur et nos mutamur in illis” (“დრონი იცვლებიან და ჩვენც მათთან ერთად”), მაგრამ იმავე რომაელებს მეორე გამოთქმაც პქონდათ: “Tempora mutantur, sed non mores et comprehensiones rerum” (“დრონი იცვლებიან, მაგრამ არა ზნე-ჩვეულებანი და საგანთა გაცება (აღქმა)”). რომელშია ჭეშმარიტება? ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარების ტენდენციების კვლევა თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში ერთგვარი პასუხია ამ კითხვებზე და დასტური იმისა, რომ, როგორც დიდი ჰუმანისტები აღნიშნავდნენ, თუ ჩვენს სამყაროს გადარჩენა უწერია და მომავალი აქვს, ეს გზა სწორედ ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებაზე გადის.

რედაქტორი, პროფესორი მარინა გიორგაძე

P r e f a c e

Scientific forums, scholarly discussions, exchanging ideas and collation of opinions are of paramount importance in a university life. In modern European educational space the main strategy of the development of higher education is to create research universities, generate new knowledge, integration of teaching and research. The program of the conference clearly shows how diverse and multilateral the scientific interests of the participants are, as well as the spheres of their research: Philosophy, history, literature, linguistics, arts, education – these are the main directions according to which the discussions were held in different sections.

The professors from the university centers of Georgia, the scholars and scientists from the institutes of the Georgian Academy of Sciences as well as the foreign colleagues participated in the conference.

One of the main merits of the conference was the fact that it was attended by young scholars and doctoral students. For them it was particularly useful to participate in the forum side by side with the prominent scholars, to exchange experience and participate in discussions.

The slogan of the conference "Humanities in the Information Society" - appeared to be especially interesting and topical too. In the epoch of total globalization and information technologies when the laws and rhythms of our lives are constantly changing, new tendencies of development emerge in the humanities. What is the essence of these changes, to what extent the themes of our researches and the methods are? What are we investigating? Why and how?

The papers presented at the conference discussed the following issues: war and politics, political discourse, political rhetoric, communication between individuals, dialogue between cultures. It shows that the issues of the conference never lacked urgency and the discussions – sharpness.

We constantly hear the questions: how correct are the guidelines we choose in this changeable world? What values have we lost and what – gained? Two photos are depicted on the cover of our conference proceedings – our university today and a hundred years ago. During the century the building has really become more beautiful, we even became a floor higher... However, there is no dome over the building any more - the symbol of our spirituality. It might be symbolic and we should ponder about it indeed.

The ancient Romans had a proverb - "*Tempora mutantur et nos mutamur in illis*"; but the same Romans had another proverb as well "*Tempora mutantur, sed non mores et comprehensiones rerum*". Which one contains the truth? The research of the tendencies in development of the Humanities in the information age is a kind of an answer to these questions and the confirmation that, as the great humanists remarked, if our world is destined to survive and has a future then this road passes through the development of the Humanities.

Professor Marina Giorgadze
Editor

ჯალბარათა დიპლომატიის ისტორიულ საზღვრებში და ქართულთა
დიპლომატიის ზოგიერთი საკითხი¹

ისტორიული სამხრეთი საქართველო (თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის ჭოროხისა და მტკვრის ხეობების ქართული პროვინციები) სამ საუკუნეზე მეტია კულტურების (ქართული – ქრისტიანული და ოსმალურ-თურქული – მუსლიმური) დიალოგის (უმჯობესი იქნებოდა გვეთქვა, სხვადასხვა კულტურების ბრძოლის) ასპარეზად იქცა. „დიპლომატი“ ქართველთათვის იყო ხანგრძლივი და მოქმადი. მათ მრავალი მიმართულებით უხდებოდათ ბრძოლა საკუთარი იდენტურობის, მეობის შესანარჩუნებლად. ჯერ ოსმალეთს, შემდეგ კი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში ყოფნამ, ბუნებრივია, თავისი კვალი დაამჩნია აქაურთა ყოფას, კულტურას, მეტყველებას, მსოფლმხედველობას... დაპყრობილი ქართველობა წინააღმდეგობა უწევდა დამპყრობელ კულტურას, ცდილობდა, არ აღრეულიყო „უცხო თესლში“... აქაურმა ქართველობამ მოახერხა, რომ დაპყრობიდან მთელი საუკუნის განმავლობაშიც კი შეენარჩუნებინა ქრისტიანობა. ცნობილია, რომ XVII საუკუნის გასულამდე ტბებში მოღვაწეობდნენ, მოგვიანებით კუთხის იძულებით (სოფიურ მრავალი მისესის გამო – ნებით) გამამადიანების შემდეგ ქრისტიანობა ე.წ. „ფარული ქრისტიანობის“ სახით აგრძელებდა არსებობას თითქმის XX საუკუნემდე. საბოლოოდ ბრძოლა იდიპლომატი უმეტეს შემთხვევაში თურქულის გამარჯვებით დასრულდა. აკად. ნ. მარი წერდა, რომ ქართველთა გაოსმალების პროცესმა განეწიო სამი ხანა:

ა. პოლიტიკური შესისხლხორცება ოსმალეთის სახელმწიფოებრივ ორგანიზმთან;

ბ. სარწმუნოებრივი გარდაქმნა, მოქცევა ისლამზე, რაც ძირითადად XVIII-XIX საუკუნეებში მოხდა;

გ. მესამე, გრძელი და ყველაზე დამორგუნველი ხანა იყო ე.წ. „ლინგვისტური ხანა“, რომელიც საკმაოდ ადრე დაიწყო და ჯერაც არ დამთავრებულა“ (მარი 1978:166).

ეფიქრობთ, სწორი დაკვირვებაა. პირველი ორი პერიოდი შედარებით მალე გასრულდა, მესამე – ე.წ. „ლინგვისტური ხანა“ დასრულდა გრძელდებდა. თურქეთის საქართველოს მკვიდრნი – ტაოელები, კლარჯები, შავშელები ცდილობდნენ არ დაეიწიონ ქართული ენა (შესაბამისად ზოგიერთი ქართული ტრადიცია), ენა, რომელიც მათი ენაობაა, მათი გურჯობის უპირველესი ნიშანი. „გურჯი“ და „თურქი“ ორი დაპირისპირებული მცნებაა „ოსმალის ქართველთა“ ცნობიერებაში. გურჯობა უპირველესად ქართულის, გურჯულის ცოდნით (არდაეიწებით) განისაზღვრება. გურჯობა და გურჯული ქმნის სამყაროს მათეულ ხატს.

მიუხედავად პნელბელობისა, თურქეთის საქართველოს მკვიდრებმა შეინარჩუნეს ეროვნული თითმეცნება. აქაურ ქართველთა განწიობას კარგად გამოხატავს უსტამისელი (შეშეთი) ეუბ დემირის (დათუნაშვილი) სიტყვები: „ხელი რომ გამკრათ, ჩემი სისხლი ქართულათ დაწერავს“ (იხ. ხალვაში 2007:308; შტრ. შიოშვილი 2009. ხელნაწერი).

ენასთან, რა მდგომარეობა იყო ქართველი ენის, სამხრეთ საქართველოს მკვიდრთა იდენტობის მთავარი ნიშნის ცოდნის თვალსაზრისით „თურქეთის საქართველოში“ ძველად და რა მდგომარეობა ახლა.

ვახუშტი ბგრატიონის ცნობით, სპარსი და თორთომში XVIII საუკუნეში ქართულად დაპირისპირდნენ, თუმცა უკვე გამამადიანებულნი იყვნენ. მოუხსნიონ მემბატინავს:

სპერელნი იყვნენ „...კაცი ...მგავსნი სამცხისანი და აწ მოამადიანი სრულიად, ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთა“ (ვახუშტი 1973:686,11-13);

თორთომელნი კი არიან „კაცი ვითარცა მესხნი და აწ სრულიად მოამადიანი, ენითა ქართულითავე, არამედ უზნობენ თურქულსა“ (ვახუშტი 1973:686,23-25).

სამწუხაროდ, ჩვენს დროში სპერსა და თორთომში ქართული დაივიწყეს, თუმცა ბერს ახსოვს, რომ მისი წინაპარი ქართველი იყო.

¹ ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (რუსთაველის ფონდი) გრანტის ფარგლებში (№180-08-1-030, შპეშური).

ქართული ენა დაუევიწყიათ კოლასა და არტანუჯი. 1887 წლის გაზეთ „დროებაში“ ს. ბაერელის პუბლიცისტიკით ვითხოვლობთ: „იენე ძველად ქართულები ვყოფილვართ, ეს ბებიაჩემისგან გამიგონია იმ ცხოვრებულმა ქართულიც იცოდა“ – ამბობს არტანუჯელი ქართველი (ბაერელი 1887). ჩანს, თავად მოხრობელმა ქართული არ იცის.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ისტორიულ სამხრეთ საქართველოში იმოგზაურა არაერთმა მეცნიერმა და მოღვაწემ, რომელთა ჩანაწერებმა შემოგვიტანეს ძვირფასი ცნობები ოსმალის საქართველოს მკვიდრთა ყოფის, კულტურის, მეტყველების შესახებ. ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. მკითხველის ყურადღებას მიიქცევთ დ. ბაქრაძის თანამგზავრის, - ნევადაშვილის ერთ ცნობას, რომელიც კოლას (გოლას, ასე უწოდებს ნევადაშვილს) შეხებდა. კოლას მოსახლეობა „უკიდრბოიე ყველა მუსლიმანია. ქართულად ძნელად ვინმე ლაპარაკობდეს“ (ბაქრაძე 1987: 40). ამ ცნობის ავტორი 20 წელი ამ კუთხეში ცხოვრობდა, ეწეოდა ვაჭრობას, ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან და კარგადაც იცნობდა მას. ამდენად, ცნობა სანდოა.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში კოლაში ძნელად, მაგრამ მაინც ლაპარაკობდნენ ქართულად.

გ. ყაზბეგის ცნობით, შავშეთში ადგილობრივი მოსახლეობა (12000-ზე მეტი ქართველი) „საოჯახო ყოფაში – სუფთა ქართული, მთიანი საქართველოს მოსახლეობის, ე.ი. კაცკასიის მითულების აქცენტით ლაპარაკობენ_ საკუთრად შავშეთში ქართულად ყველა არ ლაპარაკობს. მრავალ სოფელში ეს ენა სრულიად გაქრა და მის ადგილას პროპორციულად განვითარდა თურქული, რომელმაც სხვათა ენისაგან მიიღო მრავალი სიტყვა. საჭიროა აღინიშნოს, რომ დიდი გზის გასწვრივ განლაგებული სოფლების მცხოვრებლებმა მიუღიანად დაივიწყეს ქართული ენა, თუმცა ყველა მათგანი ამბობს, რომ მათი მამები გურჯები იყვნენ. რაც უფრო ეუახლოვებით არტანუჯს, მით უფრო ნაკლებად გეხდებოდა ქართული ენის მცოდნე, თუმცა გობიხვეწის მთის შემოგარენში მდებარე 12 სოფელს ხალხი გურჯისებრს უწოდებს“ (ყაზბეგი 1995:90). დღესაც აქაურთაგან „ქართულად მოლაპარაკეთა ხეობას“ (მექართველთა ხეობას) ეძახიან, თუმცა ახლა აღარავინ იცის ქართული (ყადაგა 2005ა:12).

სხვა სურათი დახვდა მოგზაურს გორიხის სანაპიროს (ბორჩხა, მურღული) მოსახლეობაში. აქაურები „სუფთა ქართულს ლაპარაკობენ. ისინი ტიპითა და სუფთა გონებრივი თვისებებით გამოირჩევიან. ეს ქვეყანა ოდითგანვე სუფთა ქართული რასის აკანს წარმოადგენდა და ახლაც, ბედის უკუღმართობის მიუხედავად, შეინარჩუნა თავისი ძველი ღირსებები“ (ყაზბეგი 1995:116).

შეიძლება ითქვას, რომ გ. ყაზბეგისრიონდელი ვითარება დღემდეა შემორჩენილი. გორიხის ხეობის მოსახლეობას უკეთესად შეუნახავს ქართული, ვიდრე შავშელებს. შავშეთის დიდი ქვეყნის ნაწილს (იმერხევი, ჩაქველი, უსტაბისი, მაჭახელი) დღემდე შეუნახავს ქართული ენა.

გვიამბავს ცნობით, ყო აქაური ქართველნი იყვნენ მოსახლეობა და სხვა ქართველი მამპლიანები „თავიანთ თავს თათრებად თყლიან. მათ არ იციან, რომ ქართველები არიან, თუცა შესანიშნავად იციან ქართული...“ (გვიამბავ 1878, №187-188).

ა. ანთაძის კი ასე ახასიათებს კლარჯეთის მოსახლეობას: „გორიხის ხეობის ხალხი ცოცხალი, მხნე, შრომისმოყვარე, კეთილი და ამასთანავე პირდაპირი ხალხია. მას მიუგებართ კიდევ მშვენიერი გარეგნული შესახედაობა, რომელიც სუყველა კაცს აკვირებს. ენაში ხომ ქართველებისაგან გერ გააჩნევთ“ (ანთაძე 1897).

მოყვანილი ამონაწერის ბოლო წინადადება „ენაში ხომ ქართველებისაგან ვერ გააჩნევთ“ უქმარისობის განცდას ბადებს, რატომ უნდა გავარჩიოთ ქართველებისაგან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჭკამიას ნათქვამს, რომ აქაურები „თავიანთ თავს თათრებად თელიან“ ნათელი გახდება ა. ანთაძის სხსენებულნი გამოთქმის არსი.

ბ. ტვიჩინაძეს სამხრეთ საქართველოში მოგზაურობისას მიმეხ სურათი დახვედრია. მოვიყვანოთ რამდენიმე ამონარიდს მისი შრომებიდან:

1. „... აქ ყველაფერი დაქვეითებულია და ჩვენი ძველი ქართველთი, ჩვენი გამოჩენილი მესხნი იმ დროისაგან აღარ არიან, რაც ოდესმე ყოფილან. აქ ყველაფერი ქართველობისა ფერფლად ქცეულა. აქ მხოლოდ ერთადერთი ქართული ენა არსებობს, იგიც სოფიურთ ალბაგს, ყველგან არა, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში ათასის წეითა და დაგვიტ შემოუნახავთ მამპლიანთ ქართველთა“ (ტვიჩინაძე 1913: 5).

II. ლივანის ხეობაში „ხალხი მეტად მიმეხ და უფრო ჯავახურის კილოთი ლაპარაკობს ქართულად. ენაში თათრული სიტყვებიც შეპარვით, თითქმის იგივე სიტყვები, რაც სხვა მხარის მამპლიანებში არის შერეული. ქალვებმა ოსმალური ლაპარაკი სრულიად არ იციან. ისინი ლოცვის დროს „ლღას“ მაგიერ ხშირად „ღმერთს“ ასხენებენ: „ღმერთო გვიშველეო“ (ტვიჩინაძე 1913:142).

III. მაჭახელში ყველამ იცის კარგად, რომ ისინი წინად ქრისტიანები ყოფილან, რომ ყველა ისინი ენთა და შოამომავლობით ქართველები არიან, მაგრამ დღეს თათრები. ქართულად ლაპარაკობენ, ქართულად მღერობან, სტორიან და ხმაურობენ..." (ჭიჭინაძე 1913: 198).

მოყვანილი ამონარიდებიდან ჩანს, რომ ლივანის ხეობასა და მაჭახელში ქართული ენა კარგადაა შენახული, განსაკუთრებით მაჭახელში.

ს. ჭიჭინაძის ცნობით, „შეშუშითი ქართული ენა აღარაინ იცის, სამს სოფელში ლაპარაკობენ მხოლოდ“ (ჭიჭინაძე 1913: 299) და განაგრძობს: „შეშუშის სოფელ ახალდაბაში შემოუნახათო ქართული ენა. ამის მიზეზი მრაველია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ახალდაბელნი ყველაზე გვიან „გადუდგნენ რჯულსო“, „ყველაზე გვიან გათათრდნენ, მაგრამ 50 წელზე მეტი ისინი ქრისტიანებიც იყვნენ და მუსლიმანებიც. ბოლოს საკმე იქამდე მივიდა, რომ ახალდაბელნი თავისთავში ჩაიკეტნენ. ქალს არავის აძლევდნენ, არც სხვა სოფლებიდან თხოვლობდნენო. ცხოვრების ასეთმა წესმა გადაარჩინა ახალდაბაში ქართული ენა“ (იხ. ჭიჭინაძე 1913: 284-286). იმერვეში კი, წერს ს. ჭიჭინაძე, ქართული ენა კარგადაა შენახული. იმ პერიოდში აღნიშნულ კუთხეში 33 ქართულად მოლაპარაკე სოფელი ყოფილა 350-მდე კომლით (ჭიჭინაძე 1913: 193-297).

შეენიშნეთ, რომ ს. ჭიჭინაძის ასრით, შეეშუა და იმერხევი სხვადასხვა პროვინციებია. სინამდვილეში იმერხევი შეეშუთის ნაწილია, მასვე ემის მაჭახელიც.

ართყინის ოლქში ქართველთა მდგომარეობის შესახებ მსჯელობს ნ. სოლნიშინი. იგი აღწერს ართყინის ოლქს და მიუთითებს: „ადგილობრივ მუსლიმანთა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ, რომელთაც მუსლიმანური სარწმუნოება მიადებინეს...“ ბევრ მათგანს დღესაც ქართული გვარი აქვს, მაგ.: ვლანტიძე, ჭანიძე, ტბაბიძე... „ძალზე ბევრი აქაური სოფლის მცხოვრები მუსლიმანი სახელში ქართულ ენაზე ლაპარაკობს. ართყინის ახლოს ასეთი სოფელია ნაჯეია“ (სოლნიშინი 1912: 22;38).

6. მარის „დღიურებში“ საინტერესო ცნობებია დაცული „თურქეთის საქართველოს“ მკვიდრთა შესახებ. მოიყვანთ სოგიერთ მათგანს:

I. „იმერხევეში ყველგან არ იციან ქართული. ცუდად ან საერთოდ არ იციან ქართული დობანში, შოლტისხევეში, აგარანი (წყალნიერთან ახლოს). შოლტისხეველს შეხედი ზაქითიდან ბაჭირეთისაკენ მიმავალ გზაზე. მან ვერ გაიგო კითხვა: „აიღალე მიხვალ?“ აუცილებელი გახდა თურქულად ამესხნა“ (მარი 1911:197);

II. „ქართული ენა დავიწყებიათ ოპიაში“ (მარი 1911:197);

III. „უკვილში ქართული ენა სუსტად განვითარებული აღმოჩნდა. ახალგაზრდებმა და ბავშვებმა თითქმის არ იციან ქართული. მოხუცი ქალები ლაპარაკობენ ქართულად. „სამოცი წლის მოხუცი, რომელიც ქართულის კარგ მცოდნედ ითვლება, მესაუბრა, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე თურქულზე გადადიოდა...“ (მარი 1911:114);

IV. მე ვესაუბრე ერთ მოხუცს პორტადან, რომელსაც ასე თუ ისე ემის ქართული, მაგრამ არც ერთი ფრასის დამთარება არ შეუძლია თურქულის გარეშე. არაფერს ვამბობ თურქულის შერვეის შესახებ ადგილობრივ ქართულ დიალექტთან...“ (მარი 1911:130).

მოყვანილი ამონარიდებიდან ჩანს, რომ გასული საუკუნის დამდეგს შეეშუთსა და კლარჯეთში მნიშვნელოვნად შეუვიწროვებია ქართული თურქულს. ასევე მნიშვნელოვანია ცნობა, რომ პორტაში (ფორტაში) „ასე თუ ისე ემით ქართული“, რამდენადაც ამჟამად პორტა მთლიანად გათურქებულია.

სამხრეთ საქართველოს სოფელითი კუთხის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა ექვთ. თაყაიშვილმა. მოუვსმინით მკვლევარს:

I. ბანათი მდებარეობს მელოს მახლობლად, სოფ. ორჯოხის ზემოდ (sic), ჭოროხის პირზე. ამ სოფელში 219 სული ცხოვრობს, ყველა ქართულად ლაპარაკობს“ (თაყაიშვილი 1991: 221). ცნობა იმდენად საყურადღებოა, რომ ბანაში ამჟამად ქართული აღარ იხმის. საუკუნის წინათ კი მთელი სოფელი ქართულად ლაპარაკობდა.

II. პარხალს ზემოთ „ქართული ენა თანდათან დავიწყებას მიეცა და ადგილი დაუთმო თათრულ ენას. ამას ხელი შეუწყო პირველად სიადგილემ თათრული ენისა, გადმოსახლებამ თათრების ქართველ მკვიდრთა შორის, სკოლებმა, სადაც მხოლოდ ყორანს ასწავლიდნენ თათრულ ენაზე და სხვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრ ადგილას ჯერაც შერჩენილია ქართული ენა, ნამეტნავად მთის მთიარენილ და ძნელად მისვალ სოფლებში...“ (თაყაიშვილი 1991: 221; შდრ. თაყაიშვილი 1952: 90). ჩანს, სიტუაცია საუკუნის შემდეგაც არ შეცვლილა პარხალს ზემოთ... ტაოში 1917 წლის ექსპედიციის მიხედვით, „სოფლები, რომლებშიც ყველა ქართულად ლაპარაკობს, არიან შემდეგნი: კობაკი, არმიხევი, ხეყია, გულასხევი, ხუშხალი, ბალხი, ხოდ-სუფლია, უტაიო, ვანისხევი, კირ-ვანისი, ოთხთა ეკლესია, ბანათი. ამას ემატება იშხანს ზემოთ ჭიჭინაძე, რომელიც რუსაზე აღნიშნულია, როგორც ჩილჩიმი“ (თაყაიშვილი 1991: 223). მოყვანილი დაკვირვების შესახებ შეიძლება ითქვას: ხოდ-სუფლია, უტაიო, ვანისხევი, კირვანისი, ოთხთა ეკლესია, ბანათი დღეს ქართულად

აღარ ღღარაკობს. ასე რომ მათი მექართველობის შესახებ ცნობა ყურადსაღებია. რაც შეეხება ჭიჭიშის, რომელიც რუკაზე აღნიშნულია როგორც ჩიღჩიში, იშხანის სუბოთ ვერ დაეადსტრუქტო...

III. „არღდაგანისა და ოლთისის „ოკრუგებში“ ნაკლებად არის დაცული ქართული ენა, ვინაიდან აქედან ბევრი ქართველობა გადასახლება ოსმალეთში... არღდაგანის „ოკრუგში“ ჩემი ექსპედიციის დროს, 1902 წელს ქართულად ღღარაკობდნენ მხოლოდ სოფ. ველსი, ხოლო ერუშეთში მხოლოდ მოხუცებულებს ესმოდათ ქართული... ოლთისის „ოკრუგში“ ვინასკერტში, ანზაგში, მიაკოშში ქართული ესმოდათ მხოლოდ მოხუცებულებს და უფრო ქალებს...“ (თაყაიშვილი 1991: 223; შდრ.: 314). ცნობა არღდაგანსა და ოლთისში საუკუნის წინათ ქართულის არსებობის შესახებ მნიშვნელოვანია, რამდენადაც აღნიშნული „ოკრუგები“ დღეს გათურქებულია.

პარზალში, ხევეში, გუდასხეგსა და ზვიტში (ჭიჭიში? – აბტ.) ქართული ენის დაცულობაზე მიუთითებს იე. ჯავახიშვილიც (იხ. ჯავახიშვილი 1989: 56).

ტაოში ქართული ენის მდგომარეობის შესახებ საუბრობს ი. ყიფშიძე: „ეიწეში გაიგიგე, რომ სუმლეო გაქვეული ღაზეტის სახეობეში ცხოვრობენ ვაკუფელები, ე.ი. ქართველი მუსლიმანები პარზლის ხეობიდან, რომელთა მეტყველების შესახებ გ. ყაზბეგი წერს, რომ „ოგი არის ძლიერ დამახინჯებული ქართული ენა. განსაკუთრებით დიქცია და სწრაფმეტყველება აძლევს ვაკუფის მცხოვრებთა ენას განსაკუთრებულ ელყურს, რომელიც არ უახლოვდება რუსეთის საქართველოში არსებულ არც ერთ დიალექტს“ (უთითებს გ. ყაზბეგს), რაშიც მე დავრწმუნდი ორი ვაკუფელის – ბაგშეის, მურად გოლსუნის (11 წლის) და ხასან თათაროლის (50 წლის) საუბრიდან. ორივე სოფელს ხეველიდან მთავრად (ამიერტაოს სოფელია აბტ.) ხასანი, როგორც საქართველოს ბევრ კუთხეში ნამყოფი, შედარებით სუფთა ქართულით ღღარაკობს, ხოლო ბაგშეს ყოველთვის ვერ ეუბნებდი, ვერც თეთიონ მიუგებდა და გვიწვედა ჩვეთიხებოდი ერთმანეთს. მარტველს გი, მავ. წვეიდა ისინი წარმოთქამენ როგორც უ – წვედა, რიცხვითი სახელი შვიდი ბაგშემა წარმოთქამ როგორც ფითი, ან ფიდი. თურქეთიდან ოცადი ითვლის არა თერთმეტი და ა.შ., არამედ ათ და ერთი (<ათ ერთ მეტი), ათ და ორი (ათ ორ მეტი) და ა.შ. ისევე ითვლიან როგორც მეგრელები (კანები): ვითაართი (<ვით დო ართი), ვითოფირი (<ვით დო ფირი) (ყიფშიძე 1937:152).

ასეთი მდგომარეობა იყო ქართული ენის მოღწეულობის თვალსაზრისით XX საუკუნის 20-იან წლებამდე. ქართული ენა, ყოველმხრივ შევიწროებული, განაგრძობდა სიცოცხლეს ისტორიული სამხრეთ საქართველოს პროვინციებში. ქართული ენის (კონკრეტულად ოსმალის ქართველებისათვის მათი ქართველობის ყველაზე ხელშესახები ნიშანი იყო. მუსლიმობის სარწმუნოების მიღება გახდა ერთ-ერთი სასუქუელი მათი გათავისუფლება. სარწმუნოება და ერთგულება ერთ სიბრტყეზე მოთავსდა. ერთი ცნობილი გამთქმის პერიფრაზით: „მე ვარ მუსულმანი, მაშასადამე, ვარ თურქი“. სხვაგვარად რომ თქვათ, ისლამის მიღება თანდათან მსოფლმხედველობის ცვლილების საფუძველად იქცა. თქმულის საფუძვრად იყოფდნენ მიუყვანთ ამირანების „დროების“ ერთი პუბლიკაციდან: ლივანელი მოლა ამბობს: „მეც და ჩემი ქვეყნელებიც შთამომავლობითაც, შეხედულებითაც ქართველები ვართ. ეს მე კარგად მესმის, მაგრამ სარწმუნოება მაშამადისა გეიტორავს. რადგან ყოველმა პატიოსანმა კაცმა და განსაკუთრებით ჰუმანიტარმა მაშამადისანმა ხალხოსნობის წინაშე უპირატესობა სარწმუნოებას უნდა აძლიოს, ამისათვის მე სულად და გულთვთ ვეკუთვნი ოსმალეს და არა ქართველებს და ჩემს სამშობლოს შეადგენს ჩემი თანამორწმუნე ოსმალეთი და არა საქართველო“ (გაზ. დროება, 1878, №4. ეიმორწმუნე: ლომსაძე 1997: 81-82).

მიუყვანთ ერთ ამირანებს კარლ კოხის ჩანაწერებიდანაც: სამხრეთ საქართველოში მოგზაურობისას კ. კოხს ერთი ბეგი შესწიოდა: „აპანეში ქრისტიანი იყო და ქრისტიანად გარდაიცვალა. მაშამეში და მე მაშამდის ნათელით გაქნათლიდი, ოღონდ ენა ჩემი წინაპრებისა შეგერჩა. მართალია ცოცხა და დანაშაულია ვიკურის ენაზე ღღარაკი, მაგრამ ეს ენა თვის დღრთის მიერ გვაქვს ნაბოძლად და რა ექნათო“ (იხ. ლომსაძე 1997: 92).

1878 წელს არტანაში მოგზაურობისას ს. ბაერელი სოფ. ევლში შეხედა 30-იან წლებში ახალციხიდან აქ ჩასახლებულ ქართველ მაშამადიანებს, რომელთა შორის ბევრი ჯერ კიდევ ღღარაკობდა ქართულ ენაზე. ს. ბაერელის შეთხზავს, თუ რამ აიძულა ისინი სამცხედან არტანის მხარეში გადასახლებულიყენენ, ერთმა ღრმად მოხუცმა, პასარად მეზინიშვილმა უპასუხა: „რა ევნათ, ბატონო, ყველა კაცს თავისი გვარის მიკრძეა უნდაო“. რა თქმა უნდა აქაც იმ შემთხვევათან გვაქვს საქმე, როცა რწმენა და ეროვნება ერთმანეთშია არეული და რელიგია, ანუ მეორედა, მჭარავს სისხლსა და გვარს, ანუ პირველადს“ (იხ. ლომსაძე 1997:82).

შემთხვევითი არაა, რომ XIX საუკუნის ბოლოსათვის სოციალური მუსლიმი ქართველი ყველაფერს ეჭვით უყურებს. „ქართველ ვიკურს უწოდებდნენ. იტყონდნენ, თქვენი არაფერი გვინდა, არც წიგნი, არც ენა, არც სწავლა და არც სამშობლო ქვეყანა. ჩვენ თათრები ვართ, ჩვენი ენა, წიგნი, ისტორია და სამშობლო თათრობა არის, ყველაფერი თათრულია და ჩვენც თათრები ვართ“ – წერდა გულგატეხილი ს. ჭიჭინაძე (ჭიჭინაძე 1906).

ყველაფერი, რაც სემით მოიყვანეთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ითქვა და დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გაიდა. პროცესები ისტორიულ სამხრეთ საქართველოში კიდევ უფრო შორს წავიდა. ბევრ კუთხეში, სადაც XIX-XX საუკუნის მიჯნაზე ქართული ისმოდა, დაივიწყეს – ქართული თურქულმა ჩაანაცვლა, შესაბამისად, ქართული ყოფა თურქულით შეიცვალა. თუმცა ქართული კულტურა აქაურთა თურქულ ყოფაში დაიღვწა... დღეს ქართული ენა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ისმის:

ტაოში: ჭილათი, ელიასხევი, ბაღსი, ქებაბი, ცუცკეარი, ვანეკარი, ხევეკი, გუდასხევი... უმეტესად ელიასხევის მცირე სოფლებში აღენიშნა, რომ ტაოელთა ნაწილი თურქეთის რესპუბლიკის შიგა პროვინციებში გადასახლებულა, უმეტესად ბურსაში, თუმცა მშობლიურ კუთხესთან არ წყვეტენ კავშირს.

ქლარჯეთში: ლივანასა და მურღულის ხეობის ბევრ სოფელში, კერძოდ: ჭილაერი, ზემო ქურა, ქვემო ქურა, ჩხალეთი, ჯუანი/ჯვანი, არხეა, ბუჯური, ბაშკი, ტრაქანი, ბორჩხა, ქლასკური, მარადიდი, ქართლა, ხება, გურბინი, თხილასორი, ვალაშენი, დეკექელი... ქართული არ დაუვიწყით თურქეთის შიგა პროვინციებში გადასახლებულ აქაურებსაც...

შავშეთში – ქართული ენა შენახულია იმერხევის 19 სოფელში, ჩაქველთაში, უსტამისსა და სემო მაჯახელში (5 სოფელი).



ქართული ენის მოღწეულობა „თურქეთის საქართველოში“ კარგად ჩანს ჩემი დროის მოგზაურთა ჩანაწერებში. მთხრობლები ხშირად სუსტად მიგვანიშნებენ რომელ სოფელსა თუ ხეობაში შემოუნახათ ქართული და რომელში არა.

„იშხანის ქილიყ იუსუფელიშია. იშხანის ხალხი ჩუენ აჯარლობას გაეს. თორთომელი თურქები მოსულან და დამეფარა იქა, პამა ხალხსა რომ გადაათვალაიერებ, მიხედები ვინ არი თურქი ვინ არი გურჯი. პირის რენგიდან გამეცინობ ხალხს... აქაერ გურჯებსა გურჯული აღარ ახსოვან, ცოტ-ცოტა სიტყუები შერინელია იმთ ენაში გურჯულისა, თურქმეზე გადაქცეულა“ (ფუტკარაძე 1993: 339).

მინდეთელი იდრის აიდინი, 78 წლის კაცი, კარგი „მგზურია“ თურქეთის საქართველოში ქართული ენის დღევანდელი ვითარების გასაცნობად. ჩანს, მოუვლია ქართული პროვინციები, კარგად იცის სხეთა ნათქვამიც:

„არღანუჯის დღევანე შეეერება ჭოროხსა. იქ ცოტა არის სოფლები გურჯისა. მაღლისამ (მაღლა სოფლებმა) არ იციან გურჯიჯა. ერთი დღელე ჩამუა შავშეთის მერქენიდან და შეეყრება ფაფართსა. აქაც ქართული სოფლები ძალიან ცოტაა. იმერხემა იცის გურჯიჯა. რომელიცხა სოფელში გურჯიჯა აღარ იციან, იქა შიწების სახელები, ყანების სახელები სულ ქართულია. მიხედები ქი გურჯის მიწა ყოფილა...“ (ფუტკარაძე 1993: 340).

ანალოგიურად ტაოში აგვისხნეს, თუ რომელ სოფელში შეინახეს ქართული:

„გუდასხევი ქართულები არ არია“ (ფაღავე...2005: 158);

„ქართული ნამცოდნი პარხალ არ იქნებიან“ (ფაღავე... 2005: 159)...

სხვა მთხრობელი კიდევ ხაზს გაუსვამს ქართულის შევიწროების ფაქტს:

„... დარჯები სქოლაში ქვ იარქიან, ავიწყდებიან. სქოლაში გურჯიჯა არნა ილაპარიკოთო, მიძახიან... ერთი ორეთმენი იყო თურქი, დააბეზებდა ქი მუღურსა, დარჯები გურჯიჯა ლაპარიკობენო... ჩუენი ენა იკარქვის და ამაზე ფენა შეწუხილი ვართ, გულის კაკალი ქეტიკია...“ (ფუტკარაძე 1993: 316).

ერთმა იმერხეველმა ქაღალტონმა აქაურთა ორენოვნება გაუსვა ხაზი: „იმეტებში თლათ თურქას ლაპარიკობენ. ისენი თურქები არიან. იმათ ორი ლაპარიკი არ აქვან, ჩვენ ორი ლაპარიკი გვაქ... მე მეტებში ვიწავლე თურქია...“ (ფაღავე, ცინცაძე 2007: 277).

მუპაჯირთა შთამომავალი ქნ ფუტკარაძეს ასეთ ამბავს მოუყვება: „ გურჯ ქართულ გუბეჟევიან. ბადეებმა ყველამ არ იციან, ჩუენ ქართველები ვართო. შავშეთლებიც ქართველები არიან, გურჯები... შავშეთლებსა გურჯიჯა ბევრი აღარ ახსოვან... შავშეთლები არ მიყურან, ენა დაკარქეს, თურქია ლაპარიკი აქუნა მარტო შიან-გარეთ... ზოგი მაღავს, შავშეთელი ვართ. ჩემ მუზობელსა იმითენ ეუთხარი წინაგზობა: ჯინგანი არ იყო, შავშეთელი ვარ არ დამაბავდი-მეთუ. ჯინგანი ის არი, ვინცხაი მის ჯინსს დაკარქავს“ (ფუტკარაძე 1993: 81).

ქებაბეგო ვეისხნის, რომ „დაქორწინებისან გურჯინა ითხოუ და ლაპარიკი არ გვედურევა, ოჯაბ გურჯი დარჩება... დღევც გურჯი შეავდენ და მამაც, იმითენ ვიცი გურჯიჯა: მეტებში წვეულ თურქია არ ვიცოდი, მარტო გურჯიჯეს ვლაპარიკობდი, მარა იასი გურჯისა არ ვიცი“ (ფუტკარაძე 1993: 178-179).

ხშირად გაიგონებთ თურქეთის საქართველოს მკვიდრთაგან, რომ მათი ქართული განსხვავებულია, რომ ვაგებთ უკნით სხვათა საუბრებს: „გურჯები არიან, მამა იქვერი ლაპარაკი და წვენიბური ლაპარაკი ერთი არაა. ჩვენ ვერ ვაგავნებებთ, თქვენი მაჭახლურია“ (ფაღაღა, ცინცაძე 2007: 283). შეგნიშნავთ, რომ აქაურთა ვაგებთ მაჭახლური ნიშნავს კარგ ქართულს. იმერხეველებისათვის მაჭახლურები კარგი მკართველები არიან.

„ჩემი სიტყვა და თქვენი სიტყვა ერთმანეთ არ უდგება“ – გეთხრა ერთმა დაბელმა. ანალოგიურ აზრს მოსძენთ თურქეთის საქართველოს სხვა კუთხის მკვიდრთაგან. ტაოში გეთხრეს: „ჩუენი გურჯოჯა თქვენი არ დეიჭირის, ვერ მივმზარეარ“ (ფაღაღა... 2005: 159).

ტაოში ქართული სხვა კუთხებთან შედარებით მეტად შეუევიწროებია თურქულს, ამიტომაც ტაოულს უფრო გაძლიერებია ეროვნული გრისობა:

„ამ სოფელში სუყველა ქართველია, სხუა არ არი. ქართველი ვარ, ქართველი ვიყო, სისხლი არ იცლება“ (ფაღაღა... 2005: 162). სხვაგან: „მე ქართველი ვარ. დიდუანი ვლაპარაკობთ კიდო გურჯოჯას. წერილები აღარ პარიკობენ. წვენი პარიკი არი გურჯი. წვენი ძველი გურჯი ყოფილა“ (იქვე). იმევე მოხრობელს „გამოუკვლეევა“, რომ თულის სისტემა აქ ძველქართულია“ „ერთი, ეორი, სამი, ოთხი, სუთი, შექსი, შვილი, ერა, ათი, ათდაორი, ათდასამი, ათიდაოთხი, ორმოცი, სუთმოცდაათი, ექვსმოცი, ექვსმოცი, რვაოცი, ათოცი... წვენი დათლა არი ძველგურჯული დათლა...“ (ფაღაღა... 2005:162).

ტაოულები ქართულის შეევიწროების მიზეხად გზის გაყენასა და სკოლას ახახლებენ: „... აქ აღარაა სამღერებელი. წვენი ბაბოი, დედეე იცოდეეს. ახლა დეაბლდით და... ახლა თაერობა მოედა, მექთუფი გახსნა, თურქია ასწაედა. გზა შამოედა მის მერე სუყველა თურქია პარიკობენ. წვენში არიან და თურქებ იტყვიან კი. იმთ არ იციან თურქია...“ (ფაღაღა...2005: 150). სხვამ კიდეე უფრო დააზუსტა: „ეს გზა ერთი ათი წელი კი მალე მოსულეყო აქ გურჯი პარიკი ვერ იპოვიდი, მგონია. ძველათ აქ გზა არ ყოფიდა, შედეიგობა არ ყოფიდა. სუ ყველა ქართული ვლაპარაკია...“ (ფაღაღა...2005:150).

ქობაგში კიდეე ერთი რამ გაგეანდო შემსუთ ოსთურქმა: „ქართველებ აქ ბეერნი იყენეს და დაბლდეს, ბურსას წეედეეს, მუშაობენ. ჩუენ თხოულობა თურქებთან იყო“ (ფაღაღა ...2005:164). შერეულ ოჯახს ერილება ტაოელი, სხვა კუთხის წარმომადგენელიც, ამით იცავს თავის მეობას, ოჯახის მომავალს.

სამხრეთ საქართველოში გაიგონებთ, რომ მათი წინაპრები აჭარიდან მოვიდნენ. ამით ხაზს უხვამენ მათ ქართველობას, გურჯობას: „იმითინი წვენი დედეები ყოფილან იმტეე აჭარიდამ მოსული, იმითინი ქართველებ ცოდნია...“ (ფაღაღა...2005: 147). იგივე გაიმეორა სხვაგანც: „ჩვენი დედეები აჭარიდამ მოსულ არიან“ (იქვე 151).

ბათუმიდან მოსულად თელიან მათ წინაპრებს იმერხეველებიც (ფაღაღა, ცინცაძე 2007: 276). უნდა ითქვას, რომ ტაოულმაც, კლარჯმაც, შაგშულმაც კარგად იცის, რომ მისი კუთხეც გურჯისტანი იყო ძველად.

* * *

ახლ დროში ცხორებამ მოითხოვა და ისტორიული სამხრეთ საქართველოს მკვიდრიც ოჯახით ქვეყნის სამრეწველო (ვენტრში ვადასახლდა, იქვე შეეყენა შვილი სკოლაში. ამის შედეგია, რომ იმერხევის სოფლებში სკოლები დიხურა, დაეაყანდა, როგორც აქ იტყვიან, თითო-ოროლა მოზარდი, რომელიც სოფელში დარჩა, შაგშაოთში დაეკეთა სკოლაში. ქალაქში აღზრდილი ქართულს თუ იცოდა იყოწყებს, თუ არადა ვერ სწავლობს. სოფლიდან წასული ცდილობს არ მოწყდეს მშობლიურ კუთხეს. საფხულაობით ბრუნებდა სოფელში შეიღებთან ერთად, ხალხურ დღესწავალზე, ფესტივალზე მიყავს მოზარდები, ხარების ჭიდაობას ანახეებს, ქართულ ცეკვებს აწვენებს, სიმღერებს მოასმინებს... აგრძობინებს, რომ გურჯია და მისი ფესვეებიც აქაა. ქან შ. ფუტკარაძეს ერთი უბელი (იმერხევი) მოუხრობს: „ღარჭებმა ენა არ მეიშალონო, საფხულ-საფხულ სოფლებში გამოგზავნიან ქალაქებიდამა, აქ იწველიან გურჯოჯას, გურჯულ სასამურე ვაიდებსა, სიმღერებსა...“ (ყუტკარაძე 1993: 288). ზოგჯერ სოფელურსაც მიიხმენთ, რომ ახალგაზრდებმა არ იციან ქართული, იმიტრო რომ სოფელში არ მოდიანო: „ახლა ეწნული თურქია არი ბეერი, გურჯოჯა გენჯებმა აღარ იციან. არ მოდიან სოფელში, მისმა დეედამა, მამამ არ მოდიან სოფელში, არ იციან ქართული“ (ფაღაღა, ცინცაძე 2007:253).

დამახასიათებელია, რომ მშობლიური სოფლიდან წასული (ციდილობს ქორწილი მამა-პაპისეულ ოჯახში ვადაიხაოსო, უფრო მეტიც, ციდილობს მიცეკვლებულიც თავისი სოფლის სასაფლაოზე დაკრძალოს. საფლავი კი ავალდებულებს მას არ მოწყდეს მშობლიურ კუთხეს.

კრიტიკულ მომენტში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი სხედასხვა გზით ცდილობს დაიცვას თავისი მეობა, თაყისი იდენტობა.

ქართული ენის განსაკუთრებულობასა და დანიშნულებასა საუბარი „გურჯულ ვაიზში“:

„იცოდებ, გურჯული რომ ქართულია,

ქართული ენა მეტად ტკბილია,

იმ დუნის ენა ჩვენებურია,

დმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე“ (ფურტკარაძე 1993: 271).

მთხრობელი მოუწოდებს ქართველს, რომ შეინახოს ენა ქართული და შეახსენებს მის წარმოშობასა და გენს:

„ნეტაი შენ, რომ გაქ ენა ქართული,

სხუასე რათ გექცევა თუალი და გული,

შეინახე ენა გულში ჩარგული,

დმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე.

გახსოვდეს ვინ ხარ, საიდან მოსული,

ეისი სისხლი გაქ ტანში გართული,

იცოდებ, რომ გაქ სისხლი ქართული,

ქართულ ქოქსე ხარ ამომართული...
ქართული ენა გულში დამალე,

დმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...“ (ფურტკარაძე 1993: 275).

„ვაიზში“ რამდენჯერმე მიუთითებელი, რომ ქართული იმქვეყნის, საიქოს ენაა:

„ტკბილი ქართულით, ტკბილი გურჯულით,

დმერთ ეხუეწება სულ ჩენი გული,

იმ ქვეყნის ენა, ჩუენი ქართული,

დმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე“ (იქვე).

დიახ, ქართველმა უნდა დაიცავს მშობლიური ქართული, გულში უნდა დამალოს და ისე მოუაროს. ამახ ხოჯა მოუწოდებს ქართველ მრევლს.

თურქეთის საქართველოს მკვიდრი თავისი მეობის შესანარჩუნებლად ისტორიულ წარსულსაც მიექცევს ყურადღებას. აქ განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს თამარ დედოფალი.

– აქაურებს მიანიათ, რომ „თამარა დედოფალის სასყენი“ მათ კუთხეშია;

– რომ უსტამისის ყალბე (სხვა ყალბეებიც) „თამარა დედოფალმა ააშენა“. „ასფალტი არ იყო, იქიდან ხელი-ხელ მუუტანიან, ... ისე გუუკეთობიან“;

– რომ ეს თალიანი ხიდები თამარ დედოფალმა გააკეთა;

– რომ ეს წყალი, გაღმა მთიდან „თამარა დედოფალმა მოიყვანა“. მშენებლობისას ფული დააკლდა, ნაწნაეები მოიჭრა, გაყიდა და ისე დაასრულა დაწყებული საქმე...

– რომ ეს ეკლესიაც – „ოშეი თამარა დედოფალმა ააშენა“. ფული შემოაკლდათ, დედოფალმა ნაწნაეები მოიჭრა, გაყიდა და აღებული ფულით დაასრულა ეკლესიის მშენებლობა...

– ამბობენ, ვახტანგის მინდორი ვახტანგ გორგასალს უკავშირდება...

სხვას ბევრსაც ამბობენ. რომ ამბობენ, ეს უკვე ჭეშმარიტებაა. სხვა დოკუმენტს არ დაეძებენ: დედები იტყობა, ბაბოთ ამბობდა... თქმული შემოწმებას არ ექვემდებარება.

ქართველთა მეობა კარგადაა დაცული მუჰაჯირთა შთამომავლებში. ეს არცაა გასაკვირი. მუჰაჯირობა ხომ სულ 150 წელს ითვლის. მუჰაჯირთა შთამომავლებს უმეტეს შემთხვევაში ახსოვთ მათი წარმოშობა, ძველი გვარი, წინაპრები, სოფელი, საიდანაც წამოსულან მუჰაჯირად ძველები... ახსოვთ ძველი ტრადიციებიც, სამშობლოდან რომ წამოიღეს მუჰაჯირობა წინაპრებმა, ახსოვთ სიმღერები... ბევრი რამ ახსოვთ:

„ახალ წელიწადში სახლების ფერხეა იყო, - საქონელს, ქათმებს... არაკაცი არ მივდოდა. ახალ წელიწადს დღეს საქონელს ზურგზე ხელს არ წუესმიდენ, დემბარღვისო, ახალ თვარეზე მოჭოს არ დააფლმებდნენ, სავსე თვარეზე არ ვარგოდა. სავსეზე დარგავს ყანაში ხაპს, დასურ ასეა.“ (მზ. ხახუტაიშვილის ჩანაწერებიდან)

ქობულეთელი ემიგრანტებისათვის მზე ისე ზღვაში ჩადის, მიუხედავად იმისა, რომ ახალ საცხოვრისში საღამოს მზე მთას ეყარება. „ნუნეი გექტყოდა: ზემ ზღვაში ჩვედაო... მე მივირდა, აქ მზეი თაში ჩადის.“ (მზ. ხახუტაიშვილის ჩანაწერებიდან). დიახ, მუჰაჯირი ნუნეი გონებით თავის სოფელში დარჩა, იქედან არც წასულა არსად...

• • •

ბუნებრივია დაიხვას კითხვა: თურქეთის მოქალაქე რამდენი ქართველი ფლობს ქართულ ენას და აღიარებს, რომ ქართველია? სოციოეთის მტკიცებით, თურქეთის რესპუბლიკაში დღეს 2 მილიონი წვენი თანამემამულე ცხოვრობს, სოციალური მილიონის ასახელებს, სოციოეთი მეტსაც. ზუსტად არაფერ იცის. რამდენი ქართველი ცხოვრობს თურქეთის რესპუბლიკაში. აღწერის მასალების მიხედვით ასეთი მდგომარეობაა:

	1935	1945	1955	1960	1965
ქართულს მშობლიურ ენად მიიჩნევს	57325	40076	52000	33000	34330
ქართულს II მშობლიურ ენად მიიჩნევს	16000	9000	47000	29000	48976
სულ	73325	49076	99000	62000	83306

(სტატისტიკური მონაცემები აღებულია პ. მაგარელას შრომიდან იხ. მაგარელა 1979:117).
ოფიციალური მონაცემებით, 1965 წელს თურქეთის რესპუბლიკაში მხოლოდ 83306 მოქალაქე აღიარებდა ქართულს მშობლიურ და მეორე მშობლიურ ენად და შესაბამისად თვლიდა, რომ ქართველია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაძლებელია სოციოეთი ფარავად კიდევ თავის წარმომავლობას სხვადასხვა მიზეზის გამო და საქმე გვაქვს „ფარულ ქართველობასთან“ (ტერმინი შევიმუშავეთ „ფარული ქრისტიანობის“ ანალიზით – ავტ.)? იქნებ ასეცაა, ერი იცის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთაქი 1897: ანთაქი ა. მკაზრის შენიშვნები. ანთქ, გაზ. „დროება“. №149. თქ.
2. ბერელი 1878: ბერელი ს. არტაანიდან აროზიანამდ. გაზ. „დროება“. №25. თქ.
3. ბაქრაქი 1987: ბაქრაქი დ. არქეოლოგიური მოვსაურობა გურიასა და აჭარაში. ბათ.
4. ვახუშტი1973: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ.
5. თაყაიშვილი 1991: თაყაიშვილი ექთ. სამუსლიმანო საქართველო. წიგნი: დაბრუნება. თბ.
6. თაყაიშვილი 1952: Такашвили Э. Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии. Тб.
7. ლომსაქი 1997: ლომსაქი შ. შესახებ თბ.
8. მაგარელა 1979: Paul J. Magnarella. Bir Köyün Serüveni. İstanbul.
9. მარი 1978: მარი ნ. სამამაღლიანო საქართველოს შესახებ. კრ. იყო და მარად იქნება. ბათ.
10. მარი 1911: Марр Н.Я. Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандициского... с дневником поездки в Шавшетию и Кларджию. Кн. Тексти и разысканни по армяно-грузинской филологии. VII. СПб.
11. სოღნიშკინი 1912: Солишклин Н. Арташи и арташицкий округ. Тифлис.
12. ფაღავა- 2005: ფაღავა მ. ცინცაქი ე. მკარაქი ე., დიასამიძე რ. თანდლივა დ. ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული IV. ბათ.
13. ფაღავა, ცინცაქი 2007: ფაღავა მ. ცინცაქი ე. იმერეთული ტექსტები (ლექსიკონითური). რსუ სამხრეთ-დასავლეთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული V. ბათ.
14. ფაღავა 2005/ა: ფაღავა მ. ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. რსუ სამხრეთ-დასავლეთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული V. ბათ.
15. ფურცკარაქი 1993: ფურცკარაქი შ. წყნებურების ქართული. ბათ.
16. ყაზბეგი 1995: ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათ.
17. კოჭიშვილი 1937: Кипшидзе И. Отчет о лингвистической командировке в Чанию (Лазистан) летом 1917 г. еნიშკის შრომები. I. თბ.
18. შიოშვილი 2009: შიოშვილი თ. წყვედა შავშურ ფოლკლორში (ხელნაწერი).
19. ჭიაშიაია 1878: ჭიაშიაია. ბაკერითი შენიშვნები. გაზ. „დროება“ №187-188. თქ.
20. ჭიჭინაძე 1913: ჩუხელმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში აღწერილი მ. ჭიჭინაძისაგან.

ტყ:

21. ჭიჭინაძე 1906: ჭიჭინაქ ს. სამუსლიმანო საქართველოს შესახებ. ქ. ჯვარი ვაისია №15. ტყ.
22. ხალვაში 2007: ხალვაში რ. იმერეთული ფოლკლორი (სოფელი საზღვრით). რსუ სამხრეთ-დასავლეთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული V. ბათ.
23. ჯავახიშვილი 1989: ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ხასდვრები (ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული). წიგნი: ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რატიტეტები. თბ.

Mamia Paghava, Zaza Shashikadze (Batumi)

Cultural Dialogue in Historical South Georgia and Some Issues about the National Identity of the Georgians

A Long term cultural dialogue takes place in Historical South Georgia (Georgian Historical provinces among the valleys of rivers Mtkvari and Tchorokhi in modern republic of Turkey), between different cultures and religions like Georgian and Turkish, Muslim and Christian. In this process the national customs and traditions in many Georgian provinces had been forgotten and only language as a symbol of national identity has been preserved. However, the dominance of Turkish language has become obvious in recent decades. Despite that fact the traces of Georgian culture is still noticeable in the region mentioned above. Therefore the search and analysis of the traces of Georgian customs in historical southern provinces of Georgia is interesting for many reasons.

Field research showed that Georgian language is preserved in some degree among *Taoians* (mostly in the villages situated in *Eliaskhevi* gorge); *Shavshetians* (*Chakvelta*, *Imerkhevi*, *Ustami* and *Matchakheli* gorges); and *Klarjians* (in the villages of *Livane* and *Murghuli* gorges). Georgian is still used among the Georgians emigrated to the inner provinces of Turkish Republic. Those people try to keep contact with their native areas and villages where they had settled before; to memorize Georgian as their mother tongue.

How many people in Turkey recognize their Georgian origin? According to the materials of the general census of the population in the Republic of Turkey conducted in 1965 some 34330 considered Georgian as their mother tongue, and other 48976 as the second language. In total 83306 persons considered themselves to be Georgian. The number of assimilated Georgians is unknown.

-XII სუფიქსიან საწყისთა საპითხი თანამედროვე ქართულში

თანამედროვე ქართულში ფართოდ ვრცელდება –ად სუფიქსიანი საწყისის ფორმები *ცნობადი, მართვადი, განვითარებადი, ანაზღაურებადი* ტიპისა. ასეთი წარმოება ჩვეულებრივი იყო ძველ ქართულში (*დაცემადი, განშორებადი, განახლებადი* ...). „XI საუკუნის სამწერლობო ენაში ამგვარმა წარმოებამ კიდევ უფრო ფართო ასპარეზი მოიპოვა. მას ეყოლ ნაბიჯზე ვხვდებით გიორგი მთაწმიდლისა და განსაკუთრებით ეფრემ მცირის ნაწერებში“ (მელიქიშვილი 1975:130-131). ასეთი წარმოება ნორმა იოანე პეტრიწთან. აღნიშნული ფორმებისადმი სოციალური მკითხველის სხვადასხვაგვარმა დამოკიდებულებამ, რომელსაც ისინი პრესაში გამოხატავენ, გვაგონინა სურვილი, დავკვირვებოდით ამ ფორმათა მნიშვნელობას და მათ გავრცელებას. შევნიშნავთ, რომ შრომაში ვიყენებთ თანამედროვე პრესის მასალას.

– ად სუფიქსიანი საწყისების გავრცელებასა და დამკვიდრებას ენაში უკავშირებენ ქართული მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასა და შესაბამისი ტერმინოლოგიის შექმნის აუცილებლობას.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასეთი ფორმის ძირითადი მნიშვნელობაა, დაახასიათოს საზღვრული როგორც მომავალში მოსალოდნელი ან მხოლოდ როგორც შესაძლებელი მოქმედების სუბიექტი ან ობიექტი. სწორედ ამ მნიშვნელობის მიხედვით უწოდებენ აღნიშნულ ფორმებს შესაძლებლობის მიმღებებს. ტერმინი „მიმღეობა“ იხმარება მათი შინაარსობრივი დახასიათებისათვის (ნათაძე 1962:127; კაკიტაძე 1986:114). ასეთი ფორმის მნიშვნელობა ხშირად ენებითი გვარის მომავალი დროის მიმღებობით შეიძლება გადმოიცეს, ასე მაგალითად:

– *მსესხებლის გადასღის უუნარობისას შეუძლებელია მისი ამოღება ან ამოღებადი თანხა ირღუნად მცირება, რომ იგი ბანკის ბალანსზე არ უნდა დაირჩეს.*

ამოღებადი ამ კონტექსტში თავისი მნიშვნელობით ითვება, რაც ამოსადები.

– *ეს ხელვაჩაურის რაიონის სასაჩარლოოს განსჯადი საქმე რჩება.*

განსჯადი – განსასჯელი, განსახილველი, გასარჩევი. მიუთითებს იმაზე, რომ ტერმინი „შესაძლებლობის მიმღეობა“ საბოლოოდ ვერ გეხსნის ამ ტიპის მიმღეობათა შინაარსს, რადგან იგი თავის თავში დაეკუმბეულობასაც გულისხმობს (შეიძლება მოხდეს). შესაძლებელია არ ნიშნავს, რომ ეს ფაქტი აუცილებლად მოხდება ან ხდება. ასეთ ფორმებს საერთოდ –ად სუფიქსით ნაწარმოებ სახელთა ჯგუფშიც უნდასართავენოც აერთიანებენ, თუმცა საბოლოოდ მაინც მიმღებებს აკუთვნებენ (კაკიტაძე 1986:117; მელიქიშვილი 1975:130). ეფიქტობთ, უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ მათ სწორედ უნდასართავენს მივაკუთვნებთ.

რას დავარქმევთ ამ ფორმებს, საკითხის ერთი მხარეა. ფაქტია, რომ მათი მნიშვნელობა თანამედროვე ქართულ ენაში გაფართოებულია. უმრავლეს შემთხვევაში ეს მნიშვნელობა გამოიკვეთილი არაა: კონტექსტის მიხედვით ყოველთვის არ ჩანს, სუსტად რა შინაარსი არის გადმოცემული ამ ფორმით – მომავალში მოსალოდნელი მოქმედების სუბიექტი ან ობიექტი თუ შესაძლებლობა: კონტექსტის შეიძლება ორივე მნიშვნელობა იგულისხმებოდეს. ასეთი განურჩევლობის მიუხედავად ამ მოუღებნათა სიახლოვე მოინახეთ (ნათაძე1962:128).

სპეციალურ ლიტერატურაში არის ცდა, –ად სუფიქსიან მიმღებებში“ სემანტიკური ჯგუფების გამოყოფისა. კაკიტაძე გუთავაზობს სამ ჯგუფს:

ა) მიმღებობები, რომლებიც გადმოსცემენ დინამიკური სმნის ფორმით გამოხატული მოქმედების პროცესს: *თბება – თბობადი, დნება – დნობადი, ცვდება – ცვეთადი, ღებება – ღობობადი.*

ბ) მიმღეობა გამოხატავს შესაძლებლობას, რომელიც სმნის პრეფიქსიანი ენებითის ფორმით შეიძლება გადმოიცეს: *იხილება – ხილვადი, ირხება – რხევადი, იმსხვრევა – მსხვრევადი, იმტრევა – მტრევეადი.*

გ) მიმღეობა აღნიშნავს საგნის მოქმედების სახეს, თვისებას: *აალებადი – აალებადი, განვითარდება – განვითარებადი, აღიზნება – აღიზნებადი, აქროლდება – აქროლადი.*

ვერ ვიტყვით, რამდენად ნათლად ჩანს დამოწმებულ მაგალითებში სუსტად ის მნიშვნელობა, რომელი სემანტიკური ჯგუფის ნიშნუბედაც არიან ისინი დასახელებული.

ფიქტობთ, სამივე ჯგუფის ფორმები საგნის თვისებას გამოხატავენ. პირველი და მეორე ჯგუფი ფაქტობრივად მხოლოდ შესაბამისი სმნის ფორმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან: პირველი რიგის ფორმებს შეესაბამებათ ე.წ. უნიშნო ენებითის სმნები, მეორე რიგისას – პრეფიქსიანი ენებითისა.

მესამე რივის მაგალითებში შესაბამის ზმნებად რატომღაც მხოლოდ მყოფადის ფორმებია დასახელებული, მაგრამ ამ სიტყვებით გადმოიცემა ის თვისება, რომელიც საერთოდ ახასიათებს ამა თუ იმ საგანს.

ასე მაგალითად, ამ გვჯუჭვი დასახელებულ –ად სუფიქსიან საწყისთაგან თანამედროვე ქართულ ენაში ფართოდ ვრცელდება **განვითარებადი**, რომელიც აღნიშნავს იმას, რაც ვითარდება საერთოდ, განვითარების პროცესშია, მას ერთგვარი უარყოფითი ელფერი ახლავს და უპირისპირდება **განვითარებულს**. დაეიმოწმებთ უამრავთაგან რამდენიმე მაგალითს:

- დღეს **ჩქვეითად** დაეცა საქართველოს პრესტიჟი მთელს მსოფლიოში, მას **განვითარებადი**, უფრო სწორად **განვითარებულ** ქვეყნად მიიხსენებენ.

- ისინი აწესებენ... საიმპორტო საქონლის გატანის შემცირებულ განაკვეთს, რაც აადვილებს **განვითარებადი** ქვეყნებიდან საქონლის გატანას **განვითარებული** ქვეყნის ბაზარზე.

- **განვითარებადი** ქვეყნებში ინფორმაციაზე მოთხოვნა გაიცელებით მეტია, ვიდრე **განვითარებულ** ქვეყნებში.

- რატომ უნდა იყოს საქართველო **განვითარებადი** ქვეყნების სიაში? – იმიტომ, რომ **განვითარებელი** ვყოფილყარო.

- ად სუფიქსიან საწყისთა მნიშვნელობა მრავალფეროვანია. ზოგჯერ, თუმცა შედარებით იშვიათად, ნათელია, ეს მნიშვნელობა. ჩვენი დაკვირვებით, შესაძლებელი მოქმედების საგანი (სუბიექტი ან ობიექტი) გადმოცემულია შემდეგ მაგალითებში:

- **ახსნადი ჩანს ეს ტერმინი.**

ახსნადი – ის, რის ახსნაც შესაძლებელია, რაც ახსნას ექვემდებარება.

- **ადგილობრივი ხელისუფლება ამბობს, რომ წყლის პრობლემა მოგვარებადია.**

მოგვარებადი – ის, რის მოგვარებაც შესაძლებელია.

- **ის მოთხოვნები, რაც ოპოზიციამ დააყენა, შესრულებადია.**

შესრულებადი – ის, რის შესრულებაც შესაძლებელია.

- **„იმიდთან“ დაკავშირებული პრობლემაც გადაწყვეტადია.**

გადაწყვეტადი – ის, რის გადაწყვეტაც შესაძლებელია.

ცხადია იმას, რაც შესაძლებელია, ჩვეულებრივ მომავლის გაგებაც ახლავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითში შესაძლებლობა მომავალში იგულისხმება.

ზოგჯერ წინადადებაში არის სიტყვა, სიტყვები, რომლებითაც კარგად ჩანს, რომ ასეთი საწყისები მომავალში მოსალოდნელი, მომავალში შესაძლებელი მოქმედების საგანს ახასიათებენ.

... საშუალებას აძლევს მათ, განავითარონ გზა კავკასიის საერთო ინტერესთა შესაბამისად, რომელიც **მართვადი იქნება სამხრეთის** გზასთან.

- თავად **კანონაროვნება** აუტორიტაუის ეს დაპირება **შესრულებადია** და არც თუ ისე ძნელად გადასატრული.

- **ენახით, როგორია თავად ხელისუფლების ტაქტიკა და რამდენად განხორციელებადია ის.**

- **ენჭირობ, ეს ლოზუნგი რეალურია და მოკლე ვადებში განხორციელებადია.**

- **ჩან იცის, რომ ეს ყველაფერი იქნება ასრულებადი.**

- **თუ ეს მართლად განხორციელებადი იქნება, მაშინ...**

–ად სუფიქსიანი საწყისი ხშირად აღნიშნავს საგანს, რომელიც ამა თუ იმ პროცესის განიცდის, ამა თუ იმ მოქმედებას ექვემდებარება. ასეთ საწყისთაგან შედარებით გავრცელებული ჩანს შემდეგი (დაეიმოწმებთ თითო მაგალითს):

კონტროლირებადი – ის, რაც კონტროლს ექვემდებარება, რასაც აკონტროლებენ:

- **მტრისგან კონტროლირებადი ქაერში შეყაფრინეთ უპილოტო თვითმფრინავი.**

დასჯადი – ის, რაც ისჯება, დასჯას ექვემდებარება:

- **აბალი კანონით მყდაში ოფიციალური პირების კრიტიკა სისხლის სამართლით დასჯადი ქმედებად ითვლება.**

მართვადი – ის, ვისაც მართავენ:

- **ასე დაამუშავებულ ადამიანს გეარება საკუთარი თავის რწმენა და ხდება სრულიად მართვადი.**

ანაზღაურებადი – ის, რასაც ანაზღაურებენ:

- **შუთანხმდრენ, რომ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროდ ჩათვლება ანაზღაურებადი დრო.**

ასეთივე აზირად ხმარებული –ად სუფიქსიანი საწყისები: **გადაჭრადი, დაჯილდოებადი, განახლებადი, გამოსწორებადი, პროგნოზირებადი, შეთავსებადი, დაშლადი, გადაცემადი, ცნობადი, მიღებადი, მოთხოვნადი, მოთხოვნილებადი, ფუტქებადი, პროგრესირებადი, შეთავსებადი, თხევადი,**

მტვრევადი და მრავალი სხვა. ყუიქრობო, ესენი წინადადებაში უფრო სუფსართავის მნიშვნელობით გამოიყენებოდა. წარმოადგენენ მსაზღვრულ სიტყვებს.

ამ დადებითი შინაარსის ფორმათა პარადელურად ერცვლდება უარყოფითი შინაარსის გარიანტებით. თელიან, რომ ამ მიმდებარა წარმოების გავრცელებული საშუალება თანამედროვე ტერმინოლოგიაში არის წარმოება დადებითი შესაძლებლობის მიმდებარათან უ- პრეფიქსით, რომელიც ზმნისწინის შემდეგ ერთის მას: **შეცნობადი - შეუცნობადი, შერაცხადი - შეურაცხადი** და სხვ. ასეთ წარმოებას ნნათაძე ქართულინათის ხელონურად მიიხივეს. უარყოფითი მნიშვნელობის ფორმათა წარმოებას მიზანშეწინილად თელის დადებითი შესაძლებლობის მიმდებარათაგან არა ნაწილაკით (ნათაძე1962: 131).

თანამედროვე ქართულში ორივე სახის წარმოება გვევდება:
- **ეს შეუტყვევად გახიდა აზგვარი კომპლექსების შექმნა.**
- **ეს შეუნაცვლებადია ქართულ პოლიტიკაში.**
- **შეუტყვევადი (ანაზღაურებადი და აუნაზღაურებადი) სულ 447 კალენდარული დღე განუსაზღვრეს.**

— **მოსახლეობისათვის მიცემული შესრულებადი და შეუსრულებადი დაპირებების მარტივი კოეფიციენტი ... დაბალი იყო.**

- ნაგაყსაყრელი შეულწევადი უნდა იყოს.
- შესანიშნავად დცის, რომ ამჟე კავკასიულ ხალხში იწვევს უკონტროლებად მრისხანებას
- ტერიტორია, რომელიც მათ ეკავათ, გამოუყენებადი იყო.
- უფრო აღმატებულად ხედავს ბევრისთვის უხილავს და შეუცნობადს.
- ლიტერატურა და დემოკრატია შეუთავსებადი რაზა.
- რაც უფრო ღრმად შეუღღვართ საარწმუნო კამპანიაში, იგი მით უფრო განუჭვრეტადი ხდება.

არა ნაწილაკით ნაწარმოები:
- რუსეთი არაპროგნოზირებადი ქვეყანაა.
- არსებობენ დაბალხარისხიანი და არაკითხვადი გაზეთები, რომლებსაც მკითხველი არა ჰკავს.
- მათ შორის ადნაშენის ღირსია კვლევები, მიძღვნილი ახალშობილთა ფილტვების არანთობადი მათოლოგიისადმი.

იშუათად —**ად სუფიქსიანი საწყისი არის ამოსავალი —ობა სუფიქსიანი განყენებული სახელის საწარმოებლად:**

- **გაეზარდით ცნობადობა. ცნობადობა ნიშნავს, რომ პოლიტიკოსმა ბიოგრაფია შექმნა.**
- **ხაზი გაუსვა ქართული შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებთან თავსებადობას.**
- **ჩემი მთავარი მიზანია ამ რეჟიმის შეუტყვევადობა.**

თანამედროვე ქართველი მკითხველის დამოკიდებულება —**ად სუფიქსიანი საწყისებისადმი ერთგვაროვანი არაა — ჯერჯერობით უფრო უარყოფითია. ეს ჩანს მკითხველთა წერილებში. ასე მაგალითად: „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2008წ 12.05) დაბეჭდილი თამაზ ებანოიძის სტატია — „რედაქციაში წერილი მოვიდა“. რედაქციას მიუღია ერთ-ერთი მკითხველის წერილი ქართულ ენაში ნორმათა რღვევის შესახებ. ჩამოთვლილ დარღვევათა შორის დასახელებულია „მითმენადი“, „განხორციელებადი“, „წარმოდგენადი“.**

გაზოტ „ლიტერატურულ საქართველოში“ (2002წ 1-7 02) ერთ-ერთი ავტორი საშინელ სიტყვას უწოდებს **„ეგრებადს“**. „მოგახსენებთ, თუ რამდენად „ეურებადია“ (ეს საშინელი სიტყვა რამდენიმეჯერ ჩემი ყურით მოვისმინე მშობლიური ტელეეკრანიდან) მაღალიტელექტუალური გადაცემა.“

გაზუსტის რესპონდენტები, ეურნალისტები თავინათ უარყოფით დამოკიდებულებას ამ ფორმებისადმი მათი ბრჭყალებში ჩასმით გამოხატაყენ:

—**მისი გვარი და სახელი მხოლოდ მას შემდეგ გახდა „ცნობადი“.**

ამ ფორმათა შესახებ რამდენიმე წლის წინ ჩვენი მეცნიერები წერდნენ, რომ მათ „ფართო გავრცელება წინ არაყოფი ელოდება“ ამ შეუცნობადი ტიპის წარმოება ქართულ ტერმინოლოგიაში პერსპექტივლად უნდა ნათიფილოს“ (ნათაძე 1962: 132; —**ად სუფიქსიანი მიმდებარათა ვიწრო სემანტიკური წრიდან თანდათან შემოღის სალიტერატურო ენაში და მტკიცედ იმეიდრებს ადგილს“** (კაკიბაძე 1986: 119).

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, —**ად სუფიქსიანი საწყისის გამოყენების შემთხვევები გასცდა ტერმინოლოგიის სასფერებს. ეს ფორმები სხვადასხვა შინაარსობრივი ელფერთი ფართოდ ერცვლდება თანამედროვე ქართულში. ხშირი ხმარების გამო სოგს ეჩევა ჩვენი სმენა, ზოგი უჩეულოდ და უცნაურად გვეყენება. ჩვენი ფიქრით, ასეთებია ჯერჯერობით **ეურებადი, კითხვადი, გაუღვადი, მიგრირებადი, მიწელებადი, მითმენადი** და ა.შ. რომლებიც გვესმის ტელეეკრანიდან, კათედრებიდან და რომლებიც თანდათან იფაროებენ გავრცელების არეს.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაკიტაძე 1986: კაკიტაძე კ. „-ად სუფიქსიან სახელთა ერთი ჯგუფის ისტორიისათვის ქართულში“. იკე XXV. თბ.
2. მელიქიშვილი 1975: მელიქიშვილი დ. „იონე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი.“ თბ.
3. ნათაძე 1962: ნათაძე ნ. „შესაძლებლობის მიმდებარა წარმოებისათვის თანამედროვე ქართულში“. იკე XIII. თბ.

Mary Tsintsadze, Maia Baramidze
Batumi

The Problem of Infinitives with -ად (-ad) suffix in Modern Georgian

In modern Georgian the forms of infinitives with -ად suffix are widely spread (*axsnadi, anazyarebadi, martvadi, cnobadi, gaqidvadi* ...). They bear the characteristics of the old Georgian language.

In scientific literature, it is mentioned that such forms express the kind, habit of subject action, or describe the noun as the subject or object of the expected in the future possible action (N. Natadze, K. Kakitadze).

We would like to mention here that in modern Georgian language such meanings are not clear-cut.

On the "fortune" of these forms, the researchers note that "there are no obstacles in their wide dissemination", such derivatives "should be regarded perspective".

The attitude of the modern reader towards these forms are not homogeneous –it is mostly negative.

ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების ზოგიერთი ასპექტი

ქართული ენის შესწავლის ისტორია ათეულობით წლებს ითვლის. უამრავი უცხოელი დანტრესებულა ქართული კულტურით. ქართული ენა არაერთი არაქართველისთვის გამხდარა მეორე მშობლიურ ენად. ამ ენაზე მიუღიათ და დღესაც იღებენ განათლებას უცხოელები საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ეს მართლაც სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ აქვე დგება ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა - როგორ ვასწავლოთ უცხოელებს ქართული ენა, რა შეიძლება შეეთავაზოთ არაქართველებს ისეთი, რომ ნებისმიერი სხვა ენის მომხმარებლისთვის მეორე ენის შესწავლა ერთგვარი სიამოვნება იყოს.

ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს კომუნიკაციაზე. კომუნიკაცია მთავარი ფუნქციაა ენისა, რომელიც ხელს უწყობს განსხვავებული ენების, კულტურის მქონე ეროვნებათა გაცნობას, დაახლოებას, საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დაქებნას.

ენის პუბლიკაციისთვის შეუახება ზუსტად ახასიაეს მის ფუნქციებს და როდეს ადამიანთა საზოგადოებაში.

მეორე ენის (ქართულის) დაუფლებით ჩვენ უცხოელებს გზას ვუხსნით განსხვავებულ, ახალ სამყაროში. უცხო ენის შესწავლით ადამიანი ეცნობა სრულიად ახალ ხატს. ბუნებრივია, ეს რთული პროცესია. ახლის ათვისება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, ამასთან ისე, რომ იყოს საინტერესო და არამოსაწყენი.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე რამდენიმე წელია მუშაობენ თურქეთის რესპუბლიკიდან სასწავლო მიზნით ჩამოსიანი ახალგაზრდები. 8 თვის განმავლობაში ისინი მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლობენ ქართულ ენას, სპეციალობის საგნებს და ემზადებიან საბაკალავრო საფეხურის პირველი კურსისთვის. ჩვენი მიზანია გარკვეულ სასწავლო დროში მივღწიოთ საღაპარაჲო, საურთიერთო ქართულის დაუფლებას, ამასთან, მეტყველებისთვის აუცილებელი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი საკითხების ცოდნას. ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლება თავის მხრივ გულისხმობს ეროვნული ყოფის, ერის ისტორიის, უძველესი ტრადიციების, თანამედროვეობის, ქართული ეროვნული კულტურის გაცნობას და ამ საქმეში ენის როლს.

ჩვენ ვთვლით, რომ ქართულის შესწავლაში უნდა გამოიყოს სამი დონე:
I დონე - მოსამზადებელი საფეხური საბაკალავრო სწავლებისათვის.
II დონე - ბაკალავრიატის პირველი კურსი,
III დონე - ბაკალავრიატის მეორე კურსი.
მინიმუმ სამი წელი უნდა დაეთმოს თურქებისათვის ქართულის შესწავლას.
ენის შესწავლის პროცესი რთულია. გასათვალისწინებელია მოსამზადებელი საფეხურის ხანმოკლე დრო. ამ საფეხურზე ქართულის შესწავლას 240 საათი ეთმობა და 8 თვესა გათვლილი. გამოეყოფთ 2 დონეს:

- A1 - დაწყებითი დონე;
 - A2 - ელემენტარული დონე.
- ამ დონეებში უცხოელებს უნდა ვასწავლოთ: კითხვა, წერა, სეპირი მეტყველება და მოსმენა. სწავლების მთლიან პროცესში A1 - A2 დონეებისთვის შემდეგი ასპექტები გამოეყავით:
- 1. ლექსია; 2. გრამატიკის ელემენტები; 3. წერა; 4. კონვერსაცია - საუბრის ხელოვნება.
- წინა წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სწავლება უკეთეს შედეგს მოიტანს, თუ უცხოელებთან ჯგუფში სხვადასხვა მასწავლებელი იმუშავებს, კერძოდ:
- 1. ლექსია და გრამატიკის ელემენტები - ძირითადი მასწავლებელი.
 - 2. წერა - II მასწავლებელი;
 - 3. კონვერსაცია - საუბრის ხელოვნება - III მასწავლებელი.
- დაწყებითი დონე:
- ასპექტები: 1. ფონეტიკა, 2. წერა, 3. ლექსია, 4. გრამატიკა
- მეცადინეობის ფორმები: დიალოგი, სეპირი და წერითი დავალებები, სურათის აღწერა, ტექსტი, სავარჯიშოები (გრამატიკული და ლოგიკური).
- აუცილებელი გრამატიკული ტერმინები: ასო, ბგერა, ხმოვანი, თანხმოვანი, მარცვალი, ფრაზა, წინადადება, სახელეტი, ზნა, ბრუნება, უღლება, სინონიმი, ანტონიმი, დამხმარე სიტყვები.

აუცილებელი ხასწავლო ტერმინები: გაკვეთილი, ცხრილი, მეცადინეობა, აუდიტორია, ლიტერატურა, გამოცდა, ლექცია, საკონტროლო წერა, შემოწმება, ზეპირი პასუხი, საშინაო დავლება, სააუდიტორიო კითხვა, ცნობა, განცხადება, ნებაართვა, მოსმენა, ახსნა, გაგება...

ფონეტიკაში ყურადღება გამახვილებულია ბგერების შესწავლაზე, ასოთა მოხაზულობაზე, ბგერის წარმოთქმაზე, დამარცვლელი კითხვაც. მნიშვნელოვანი ასპექტია სწავლებაში მოხმენა, გამეორება, წერა.

ლექსიკაში ახალი სიტყვების შესწავლის პარალელურად უნდა განისაზღვროს ინტონაცია. აქვე მოსწავლე უნდა ახერხებდეს ინტონაციურად განსხვავებულ მარტივი წინადადებების შედგენას (მე თუქი ვარ, ნინო ქართველია?, დედა, სახლში წამიყვანე)

უნდა განეახლებინოთ: ეს გოგოა - ეს გოგოა?
ეს სახლია - ეს სახლია?

უცხოელისთვის სირთულეს წარმოადგენს ქართული მკეთრი და ფშინიერი თანხმონების წარმოთქმა, როგორცაა:

- ქ - ყ = პ
- ქ - ქ = კ
- ტ - თ = ტ

სირთულის დასაძლევად სასურველია სიტყვებზე ვარჯიში და დამარცვლელი კითხვა:

- | | |
|----------------------|--------------------|
| კური - პაპა - პეკელი | კატა - კაცი - კიბე |
| ყული - ყაყა - ყეხი | ქარი - ქუდი - ქალი |
| ტაყა - ტიტა - ტომატი | |
| თითი - თავი - თამაში | |

კიდევ უფრო სირთულეს ქმნის ის ქართული თანხმონები, რომელთა შესატყვისი თურქულში არაა: ყ, წ, ჭ, ღ.

A1 - დაწყებით დონეზე შემოგაქვს მეტყველების ნაწილები და შესაბამისად მდიდრდება უცხოელის ლექსიკა. არსებითისა და ზედსართავის სწავლება მიმდინარეობს პარალელურად. ზედსართავ სახელებში გამოიყოფთ ანტონიმურ წყვილებს:

- | | |
|----------------------|-------------------------|
| ბურთი - დიდი, პატარა | მაგიდა - დაბალი, მაღალი |
| წითელი, თეთრი. | ციწრო, ფართო. |

ჩაი - შაქრიანი, უშაქრო მისწავლე - ნიჭიერი, უნიჭო

ქართული, არაქართული

ასევე პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ზმინისა და ნაცვალსახელის სწავლება. ზმინის შემოტანით ხდება მარტივი წინადადებების აგება. თავიდანვე ყურადღებას ვამახვილებთ კომუნიკაციისათვის აუცილებელ, მოხმარებისთვის საჭირო ზმნებზე (ვარ, ვწერ, ვითხოვლობ, მივდივარ, მოვდივარ, ემუშავებ, ემეცადინებ, ვცხოვრობ, ვეასუხობ, ვესაუზმობ, ვეხადილობ, ვეახშობ, ვევირნობ და სხვა).

ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, სირთულეს წარმოადგენს ზმნის შესწავლა. რაც შეიძლება უნდა გავუადვილოთ უცხოელს ზმნის გაგება. ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე მშობლიური ენის ზმნასა და ქართულ ზმნას შორის.

ზმნის უღლებას ეასწავლით დროებთან მიმართებაში. უნდა აღინიშნოს, რომ თურქული ზმნა ერთპირიანია, მონიპერსონალურია. ქართული ზმნისაგან განსხვავებით თურქული ზმნის პირიან ფორმაში მხოლოდ სუბიექტის პირი და რიცხვი აღინიშნება. აქედან გამომდინარე, თურქულენოვანი მოსახლეობისათვის სირთულეს წარმოადგენს ქართული ზმნის მრავალპირიანობის (პოლიპერსონალიზმის) გაგება, იმის ახსნა, რომ ზმნის პირიან ფორმაში სუბიექტის გარდა ასევე აქტიურია ობიექტიც: რთულია იმის გაგება, თუ პირველ სერიაში სუბიექტი ზმნის ფორმასთან სახელობითშია, რატომ იცვლის ის ბრუნვას მეორე და მესამე სერიაში (ის ხატავს, მან დახატა, მას დაუხატავს). ქართულისთვის გარდამავალ ზმნასთან ნომინატორი, ერგატიული და დატიური კონსტრუქცია ნიშანდობლივია, მაგრამ ამის ახსნა უცხოელისთვის საკმაოდ ძნელია. პრობლემა ასევეა მარტივით: ზმნები დავეყავით ახლანდელ, წარსულ და მომავალ დროებად. აქტიურ ზმნასთან აწყოში სუბიექტი სახელობითში დგას, წარსულში - მოთხრობითში, მომავალში - სახელობითში. ამასთან, წყვეტილში უ-ზე გათავებულ ზმნის ფორმებთან შეწყობილი სუბიექტი ერგატიულ კონსტრუქციაში მისდევს (მე გვააკეთე, შენ გააკეთე, მან გააკეთა). ანისურ ზმნებთან სუბიექტი სახელობითში დგას.

თურქული წმინთების მეტად აქტიურია აწმყო-მყოფადი დრო, რასაც ფართო დროს ეძახიან. თხრობითი კილოს ეს დრო გამოხატავს უსრულ, ჩვეულ, რეგულარულ მოქმედებას, რომელიც მოქმედის მუდმივ საქმიანობას უნარს გადმოგვიცემს. ეს დრო გამოხატავს არა მარტო ჩვეულ, რეგულარულ მოქმედებას, არამედ ზოგადად მყოფადში განსახორციელებელ მოქმედებას. უნდა დაეუკუეშროთ ერთმანეთს აწმყო მყოფადი დრო თურქულში და უდროო წმინტი ქართულში, როგორცაა: ტრიალებს, ნადირობს, ბრუნავს, დადის და ა.შ. აწმყო - მყოფადი დროის ფორმა ფართოდ გამოიყენება ანდასებში, ზღაპრებში, აფორიზმებში.

A2 - ელემენტარული დონე

უცხოელი ეუფლება გრამატიკის ძირითად საკითხებს, მართლწერასა და პუნქტუაციის წესებს, იღებს ზოგად ცნობებს ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის შესახებ, საუბრობს ამა თუ იმ მარტივ თემებზე, ერთეუბა დიალოგში.

დიალოგი კომუნიკაციაში ერთ-ერთი წარმატებული სახეა. სასწავლო პროცესის დიალოგი აუაგო:

1/კითხვითი თემებზე როდის? რომელ წელს? სად? რის შესახებ? საითქენ?

- ნიმუში: - ამ ბოლო დროს როდის იყავით თურქეთში?
 - მე თურქეთში ვყავი ერთი თვის წინ.
 - ზაფხულში სად აპირებთ დასვენებას?
 ზაფხულის გატარებას ბათუმში ვაპირებ.
 - რომელ წელს დაამთავრეთ უნივერსიტეტი?
 - უნივერსიტეტი დავამთავრე 2008 წელს.

2/შიგბოთი ნაწილაკებზე კი-არა

- ნიმუში: - თბილისში ყოფილხართ?
 - კი, ორი თვის წინ ვიყავი.
 - ქართულის სწავლა ამ წელს დაიწყო?
 - არა, გასულ წელს დაიწყო.
 - ცოლიანი ხართ?
 - დიახ, ცოლიანი ვარ.
 - უნივერსიტეტში მიბრძანდებით?
 - არა, თეატრში მივდივარ.

საუბრის ხელოვნება-კონვერსაცია მეორე ენის სწავლებაში მნიშვნელოვანი ასპექტია. ლექსიკისა და გრამატიკის ელემენტების გარკვეული დონე მითითოებს საუბარზე გადასვლას, რაც შეიძლება თავისუფლად ასრულებას. სასურველია, ეს პროცესი იყოს წარმატებული, რადგან კომუნიკაცია სწორედ ამ ეტაპზე აღწევს შედეგს. საუბრის ხელოვნება ძირითადად სოციალურ თემებსა და ყოველდღიურ დისკურსს მოიცავს, როგორცაა: ოჯახი, ნათესაობა, მისაღებება-დამშვიდობება, საქმიანობა, ბანკი-საბანკო ოპერაცია, ფული, მატარებელში, ავტობუსში, უნივერსიტეტში, ლექციაზე, კაფეში, კინოში, თეატრში, მუსეუმში, საგამოყენო დარბაზში, თავაზიანობის ფორმები, სუფრასთან და სხვა.

ელემენტარული დონე გულისხმობს საუდიტორიო შეჯიბრებებს, ტესტურ სამუშაოებს.

ჩვენი აზრით, ქართულის როგორც უცხო ენის, სწავლებაში პრაქტიკული სიახლეა ის, რომ უცხოელებს ვთავაზობთ მარტივ ტექსტებს, კომპლექსურ საყარჯიშოებს თემატურ ჯგუფებთან მიმართებაში, რომელიც გულისხმობს ორთოგრაფიული, სინტაქსური და სტილური ხარვეზების გასწორებას. შემოგვაქვს დიაქტიკური ელემენტები, სახალისო და გასართობი ხასიათის გაკეთილებები. ვიმედიანებთ, ასეთი სახის სამუშაოები დაეხმარება ქართული ენის შესწავლით დანიტურესებულ უცხოელებს სირთულეების დაიღვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. შანიძე. თსუ ლექსიკონი. III. 1973.
2. ე. შალაბერიძე. მართლწერის საკითხები. 1980.
3. ე. კერაძე. თბილისი, ნ. ჯანაშია, თურქული ენის სახელმძღვანელო. 1999.
4. ნ. ჯანაშია. ზნა თანამედროვე თურქულ ენაში. 1998.
5. Русский язык для студентов-иностранцев. Москва - Ростов-на Дону, 2004.

Some Aspects of Teaching Georgian as a Foreign Language

The teaching of Georgian as a foreign language should be aimed at communication. Acquiring a foreign language a person is getting acquired with a new world, culture and image. Naturally it is a difficult process. The acquisition of a new must be done step by step in an interesting way. Accordingly we conclude the following:

- The creation of a course-book aimed at communication;
- Putting the elements of the logical thought in order to work out the necessary skills;
- Teaching of grammatical categories must be conducted in comparison with the native ones;
- We offer different short stories in order to study Georgian culture, customs, rules and traditions;
- The division of the following aspects of the teaching process: 1. lexis; 2. conversation; 3. writing; 4. grammar elements.

ზმნისწინი, როგორც ტრანსლაციი

(მეგრული მასალის მიხედვით)

სტრუქტურული სინტაქსის თეორიისთვის მიერ შემოღებულ იქნა ტრანსლაციის ცნება, რომელიც გულისხმობს სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილის სინტაქსური ფუნქციის მიხედვით სხვა მეტყველების ნაწილად გარდაქმნას. მაგალითად, წინადადებაში - „ხელიხელნაკიდებულნი მორღობს დიდები და პატარები“ - სიტყვები „დიდები“ ვერ ჩაითვლება უდსართავ სახელებად, რადგან ისინი სუბსტანტივის ფუნქციას ასრულებენ, ანუ იქცევიან, როგორც არსებითი სახელები. შეიძლება ითქვას, რომ ეს სიტყვები „უკვე თავიანთი სიტყვათა კლასის ეთარებას კარგად გეჩვენებენ, არამედ - არსებითთა კლასისა, რაც სინტაქსური ასიმილაციის საფუძველზე სიტყვათა კლასის შენაცვლებით არის გამოწვეული“ [დავითიანი 1973: 52]. ამგვარ შენაცვლებას ღ. ტენიერი უწოდებდა კატეგორიალურ ცვლილებას, რადგან სიტყვის რომელიმე კატეგორიალური ელემენტის შეცვლა ხშირად იწვევს მისი ფუნქციის შეცვლას, რამდენადაც სიტყვის ფუნქცია უშუალოდ უკავშირდება მის გრამატიკულ კატეგორიას [ტენიერი 1988: 378]. უმთო მიყვანილ მაგალითში ამგვარი კატეგორია რიცხვი, რომლის აღმნიშვნელი ელემენტი - უბ იწვევს უდსართავთა ფუნქციის ცვლას.

უნება თუ არა ამგვარი ცვლილება, ანუ ტრანსლაცია ზმნის? სხვადასხვა ენაში განსხვავებულად ხდება, თუმცა ერთი უნივერსალური მოდელი გახლავთ ზმნის სახელად (მასდარი, მიმღობა) გარდაქმნა, რაც ქართულში ენებისთავისა და ბუნებრივია, ისევე როგორც პირველ პირველში. მეორე მხრივ, საკუთრივ ზმნური კატეგორიების მიხედვითაც შესაძლებელია ტრანსლაცია, რასაც ღ. ტენიერიმა სუბკატეგორიალური ტრანსლაცია უწოდა [ტენიერი 1988: 415]. სწორედ ამგვარ ტრანსლაციას განვიხილავთ ზმნისწინის ანალიზის საფუძველზე მეგრული მასალის მიხედვით.

ცნობილია, რომ ქართულში ენებში ზმნისწინი გამოხატავს რამდენიმე გრამატიკულ კატეგორიას:
 დროს: წერს - დაწერს, ასევე: წერის - დაწერის; გეს: გაღის - შეღის; ორიენტაცია: მიდის - მოდის.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა ზმნისწინის შესახებ: ერთი მხრივ, ის განიხილება ოდენ ფლექსიურ ელემენტად, მეორე მხრივ, დერეკაციულ ელემენტად. შესაბამისად, ზმნისწინს მიიჩნევენ როგორც ყორმავარმოქმნელ, ასევე სიტყვათაწარმოქმნელ ფორმანტად. ცნობილია, რომ ზმნისწინის თავდაპირველ ფუნქციას წარმოადგენდა გესი და ორიენტაცია, ანუ მხოლოდ მოქმედების, პროცესის სივრცითი დანაწევრების საშუალება იყო და მოგვიანებით შეიძინა პროცესის უწყვეტობისა და წყვეტილობის, დროში მიმდინარეობის გამოხატვის უნარი. ასევე ცხადია, რომ ზმნისწინი არცერთ შემთხვევაში ფუნქციას არ გამოხატავს და ძირითად გამოცემული მნიშვნელობის ცვლას იწვევს. მაგ., აბგებს სახლს; წაბგებს თამაშს; მოიბგებს ფულს; დაბგებს საწაღს.

თავისთავად, ზმნისწინის ამგვარი ფუნქციური მრავალსახეობა წარმოშობს სადაო საკითხს: ზმნისწინი რა ადგილს იკავებს უდლების პარადიგმაში? არის თუ არა მისი ადგილი მორფოლოგიურ (ფორმალურ) პარადიგმაში, თუ სინტაქსური ან სულაც სემანტიკური პარადიგმის ნაწილია. ამხვე დროს, თანამედროვე ქართულში დადასტურებული 15 ზმნისწინიდან მნელია რომელიმეის გამოყოფა ოდენ მორფოლოგიურ, ან სინტაქსურ-სემანტიკურ ელემენტად თუნდაც იმით, რომ ქართულში არსებული ზმნური ფუნქციის ზმნისწინებთან ყველა შესაძლო კომბინაციათა ანალიზი და სრულყოფილი კვლევა არ განხორციელებულა. მით უმეტეს, ეს ითქმის სხვა ქართველურ ენებზე.

მეგრულში ზმნისწინთა სისტემა გაცილებით რთული და მრავალრიცხოვანია, ვიდრე ქართულში. წვენი დაკვირვებით, ზმნისწინის სემანტიკურ მრავალფეროვნებას განსაზღვრავს არა მარტო ზმნისწინთა ტოპოლოგიური შინაარსი, არამედ საკუთრივ ზმნური ფორმა: მორფოლოგიური ყალიბი, ძირის ლექსიკური მნიშვნელობა, კონექტურ კატეგორიათა (ქცევა, კაუსატივი, გვარი) სახეობა. რამდენადაც ზმნა თავისთავად წინადადება, კონექტურ კატეგორიათა და ზმნისწინის შესაძლო კომბინაციები განაპირობებს არა მარტო ყორმობრივ ცვლას, რამაც ლექსიკური ძირით გამოცემული მნიშვნელობის ნარეზობრივ ან სრულ ცვლასაც, რაც თავისთავად შეიძლება შეფასდეს, როგორც სუბკატეგორიალური ტრანსლაცია. წვენი აზრით, ზმნისწინის, როგორც

ტრანსლაციის რეალიზაცია დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: კატეგორიის მორფოლოგიურ მოდელ-
და და პარადიგმის მეთაური ფორმის (აწმყოს მწკრივი) სემანტიკაზე. იქვე გასათვალისწინებელია
ზმნური ძირის სტრუქტურა, ანუ გახმოვანებულია, თუ გაუხმოვანებული. აღმოჩნდა, რომ ყველაზე
რთულ და ჭრელ ვითარებას გვიჩვენებენ გაუხმოვანებული ძირის მქონე ზმნები. შესაბამისად,
ყურადღებას შევანერგებთ ერთ-ერთ მათგანზე.

შეგვულში გ- ზმნური ძირი გამოიყოფა ზმნებში: ო-გ-ან-ს და ა-გ-ენ-ს. პირველ შემთხვევაში
გამოიყენება ო- პრეფიქსიანი საკუთრივ სანური მოდელი, ხოლო მეორე შემთხვევაში ა- პრეფიქ-
სიანი ქართული მოდელი, რაც მათი მნიშვნელობითაც ჩანს: ო-გ-ან-ს "ა-გ-ენ-ს სახლს", ა-გ-ენ-ს "ა-
გ-ენ-ს თამაშს". კერძოდ, ო-გ-ან-ს ფორმას არამდროს არ ექნება „წაგება-მოგების“ მნიშვნელობა. ო
- პრეფიქსიან ფორმაში პირველადი მნიშვნელობა "აგება, გაკეთება" არის გამოხატული.

შეიძლება ითქვას, რომ ო-გ-ან-ს, ა-გ-ენ-ს ფორმათა მნიშვნელობები ერთმანეთს უპირისპირდება
სწორედ კაუსტიკური მოდელის მიხედვით. თავის მხრივ, დამოუკიდებლად ო-გ-ან-ს ზმნის უღლების
პარადიგმა და სემანტიკა დამოკიდებულია ზმნის წინზე ან დადასტურებით ნაწილაკზე. ო-გ-ან-ს
ზმნას სხვადასხვა მნიშვნელობა ეძლევა შემდეგი ზმნისწინებით:

მარტეზმნისწინიანი:

- (1) ო-გ-ან-ს - და-ა-გ-ან-ს < *დო-ო-გ-ან-ს "დააგებს"
- (2) ო-გ-ან-ს - გე-ო-გ-ან-ს "აგებს ტარს ნაჯახსზე"
- (3) ო-გ-ან-ს - მი-ო-გ-ან-ს "არტკამს" ან/და "უკრავს ინსტრუმენტზე"

რთულ ზმნისწინიანი:

- (4) ო-გ-ან-ს - წიმა-გ-ან-ს < *წიმო-ო-გ-ან-ს "წამოაცემეს სარზე"
- (5) ო-გ-ან-ს - მიშმა-გ-ან-ს < *მიშამო-ო-გ-ან-ს "ღობს წაასუელს" ან "ამოსუელს"

აღსანიშნავია, რომ ხუთივე მაგალითში ზმნისწინიანი ფორმები აწმყოს მწკრივისაა, ზმნისწინი
ოდენ გუსის მანუალებელია, თუქცა მეტწილად მნიშვნელობის ცვლას იწვევს. მყოფადი მათზე
დადასტურებითი ნაწილაკის დართვით იწარმოება:

- 1. და-ა-გ-ან-ს - ქე-და-ა-გ-ან-ს < *ქო-დო-ო-გ-ან-ს
- 2. გე-ო-გ-ან-ს - ქე-გე-ო-გ-ან-ს < *ქო-გე-ო-ა-ს
- 3. მი-ო-გ-ან-ს - ქე-მი-ო-გ-ან-ს < *ქო-მი-ო-გ-ან-ს
- 4. წიმა-გ-ან-ს - ქე-წე-მა-გ-ან-ს < *ქო-წი-მო-ო-გ-ან-ს
- 5. მიშმა-გ-ან-ს - ქე-მე-შმა-გ-ან-ს < *ქო-მი-შამო-ო-გ-ან-ს

ცხადია, ზმნისწინი მოცემულ მაგალითებში არაა დროის გამოხატელები. ასევე ვერსის მიხედ-
ვითაც ანალოგიურად განაწილებდა ზმნისწინები. რეალურად ზმნისწინი დგას პარადიგმის მიღმა
და მხოლოდ სინტაქსურ-სემანტიკური ტრანსლაციითაა, რასაც ხელს უწყობს მოცემული მორფო-
ლოგიური მოდელი. თუმცა ზმნური ლექსიკური ძირის ერთგვარი "ნეიტრალური" სემანტიკაც არა-
ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია. მოდელის შეცვლით აღმოჩნდება, რომ იმავე ზმნისწინებს უკვე
აღარ დაერთავს.

ა-გ-ენ-ს ფორმის ზმნისწინიანი ვარიანტია:

- (6) ა-გ-ენ-ს - წა-გ-ენ-ს < *წა-ა-გ-ენ-ს "წააგებს"
- ხოლო ამავე მოდელის სასუბიექტო ეერსიაში სხვა მნიშვნელობას იძენს:
- (7) ო-გ-ენ-ს - მი-გ-ენ-ს < *მი-ო-გ-ენ-ს "მოიგებს"

როგორც ვხედავთ, (6), (7) მაგალითებში ზმნისწინი არა მარტო სემანტიკური ტრანსლაციით,
არამედ სუბკატეგორიული ტრანსლაციითაცაა, რადგან ზმნისწინიანი ფორმები მყოფადის გამოშ-
ხატულებია, ანუ პარადიგმა უზმნისწინო - ზმნისწინიანი ფორმების ოპოზიციას ემყარება.

(6), (7) მაგალითები საინტერესოა იმითაც, რომ ისინი სხვადასხვა ეერსიის ფორმებია, კერძოდ,
წა-გ-ენ-ს ფორმას ამავე მნიშვნელობის სასუბიექტო და საობიექტო ეერსია არა აქვს, ხოლო მი-გ-ენ-
ს ფორმას - ამავე მნიშვნელობის ნეიტრალური ეერსია.

ეერსიის მიხედვით (6) და (7) მაგალითები შეიძლება ასე ჩაიწეროს:
ნეიტრ. სასუბ. საობ.

- (6) ა-გ-ენ-ს ; _____
- წა-გ-ენ-ს ; _____ ; "_____"

- (7) ——— ; ო-გ-ენ-ს ; უ-გ-ენ-ს
 ——— ; მო-გ-ენ-ს ; მო-უ-გ-ენ-ს

გამოიღის, რომ წა- მი- ზმნისწინთა ოპოზიცია ქცევის ფორმებაც განასხევენებს. შეიძლება ითქვას, რომ (6)-(7) მაგალითებში ზმნისწინი სუბკატეგორიალური ტრანსლატივია, ანუ ზმნისწინი დროის და ეერისის კატეგორიების მიხედვით ცულის ზმნურ ფორმებს.

(1)-(5) მაგალითებში ზმნისწინი სინტაქსურ-სემანტიკურ ტრანსლატივად შეიძლება შეფასდეს, რადგან თოთოეული მითანნი განსხევენებულ აქტანტებს უკავშირდებია. შესიტყვებას ოგანს ყუდეს „სახლს აგებს“ ვერ ნაენაკლებია დაგანს ყუდეს – ზმნისწინი მოითხოვს სხეა აქტანტს: დაგანს ღუმს „ღუმს აგებს“; ასევე არაბუნებრივია შესიტყვება– მოგანს ღუმს, ურდა იყოს მოგანს ხეს „ხელს არტეაის“ და ა.შ.

მაშასადამე, -გ- მირისგან წარმოებული ზმნური ფორმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზმნისწინს აქვს ტრანსლატივის ფუნქცია: სინტაქსურ-სემანტიკური ტრანსლატივისა (1) – (5) და სუბკატეგორიული ტრანსლატივისა (6) – (7).

სენი ასრით, ზმნისწინის ტრანსლატივად კვალიფიკაცია ხსნის სტატიის დასაწყისში ნახსენებ წინააღმდეგობას. სინტაქსურ დონეზე ზმნისწინი ერთგვარი სუბკატეგორიული მორფემაა, რომელსაც შეუძლია რამდენიმე ტიპის ტრანსლაციის განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დავითიანი 1973: დავითიანი აკაკი. ქართული ენის სინტაქსი. I. სინტაქსის ზოგადი საკითხები, მარტივი წინადადება. ეპოპოლოგია „განათლება“. თბილისი.
2. ტენიერი 1988: Теньер Льюсьен. Основы структурного синтаксиса. Издательства „Прогресс“. Москва.

Lali Ezugbaia (Tbilisi)

**Preverb as a Translative
 (According to Megrelian Material)**

In Specific literature only formal or functional characterization of preverbs is disputable and controversial, especially when building of verb paradigms is necessary. The question is whether the preverb must be considered as a constituent element of the paradigm, or verb paradigms must be divided into formal, syntactical and semantic paradigms and be given an appropriate place.

In our opinion, verb conjugation paradigms cannot be built without preverbs on none of the levels. Preverb as a flexion element belongs to the morphological paradigm, but as a derivation element it belongs to the syntactical-semantic paradigm. At the same time each concrete verb base fits with preverbs differently.

Such versatility of the preverb reveals its bilateral nature and is a translative being able to replace its form of one category with that of the other. Tenier calls this kind of transformation sub-categorical translation.

Megrelian may serve as a good example to show the features of the preverb as a translative, which is conditioned by complex system of preverbs and semantic peculiarity: in Megrelian the preverb represents the topological characteristic of space.

The present paper deals with a verb root which is found in the following forms: on the one hand, o-g-an-s “he/she is building”, mi-o-g-an-s “he/she is striking”, “he/she is playing”... and on the other hand, a-g-en-s “he/she is losing”, mi-g-en-s “he/she will win”... The given examples show that sub-categorical translation depends on the morphological model of the category and the semantics of the basic form of the paradigm.

In the present paper morphological and syntactical-semantic paradigms are presented as well. The research shows that this kind of description must be done for each verb separately; that is a precondition for semantic modeling.

ქართული დიალექტარი სორაჰსი – როგორც ლინგვისტური სახვლავი ინსტრუმენტი

კორპუსული ლინგვისტიკა – მეცნიერება ლინგვისტური კორპუსების „შენების“ შესახებ კომპიუტერული ლინგვისტიკის მინიშნულზე და სწრაფად განვითარებადი დარგია.

ლინგვისტური კორპუსი, რომელსაც ლინგვისტები პროგრამის ტექსტთან ერთად ქმნიან, წარმოადგენს ელექტრონულ ფორმატში მოწოდებულ ტექსტურ მასივებს (კოლექციებს), ორგანიზებულს სამეცნიერო ელექციისათვის, უახლესი საინფორმაციო-საძიებო ტექნოლოგიების მეშვეობით. ლინგვისტური კორპუსი, პირველ რიგში, წარმოადგენს ლინგვისტური ელექციის ინსტრუმენტს, მაგრამ მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგ სცდება ლინგვისტიკის ვიწრო პროფესიონალურ ჩარჩოებს და მისი მასალობრივი ბაზა იქცევა საკვლევ ობიექტად სხვადასხვა კუმანტარული მეცნიერებებისათვის: ასე იქნება კორპუსზე ორიენტირებული გამოკვლევები, ე. წ. კორპუსული გამოკვლევები, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, მშობლიური და უცხო ენების სწავლების, მთარგმნელობით და სხვ. დარგებში.

რაც შეეხება ლინგვისტიკას, მასალობრივად სრული (მიმოცველობით) და „ღრმად ანოტირებული“ კორპუსი ლინგვისტიკისათვის წარმოადგენს „სასწავლო მოქმედ“ ინსტრუმენტს ისეთი შესაძლებლობებით, როგორცაა: კოდოლოგიური მიცულობის ტექსტურ მასივებში მრავალმხრივი ინფორმაციის სწრაფად მოძიება; სისწორული, სტატისტიკური მონაცემების მისაწვდომობა; კონკრეტული ენობრივი მიუღწეისათვის დიაქრონიულად თვალის მიდევნების საშუალება და ა.შ. ეს შესაძლებლობანი, ბუნებრივია, ახალ პერსპექტივებს სახავენ ენათმეცნიერული ელექციისათვის.

კორპუსის ლინგვისტიკა ვასული საუკუნის 60-იან წლებში წარმოიშვა, თუმცა ნამდვილი კორპუსული „მშენებლობები“ 90-იან წლებზე მოდის. ამ დროიდან კორპუსული ლინგვისტიკა აზროვნება უკვე დროის და ეპოქის ნაკარნახევ გარდაუვალ გვეყვინება მსოფლიო ლინგვისტურ სამყაროში. ამიტომაც ტექსტების კორპუსების (განსაკუთრებით ნაციონალური კორპუსების) შექმნა დღეს ქოველული კულტურული ამბიციის შტრიხად (და ამდენად, სახელმწიფო ზრუნვის საგანად) არის ქცეული.

ხანიმუოდ ითვლება ბრიტანული, ამერიკული, ჩეხური, გერმანული და ა.შ. ნაციონალური კორპუსები. მაღალი დონისაა რუსული ნაციონალური კორპუსი–НКРЯ, რომელიც შედარებით გვიან შეიქმნა, და მისი შეესება–დამუშავება დღესაც მიმდინარეობს.

2007 წ. ინტერნეტსივრცის შეშობა „ჩრდილოეთის რეგიონის ნაციონალური კორპუსი (NAEC)“, რომელიც შეიქმნა რუსული ნაციონალური კორპუსის მუშა ჯგუფის მიერ (მოსკოვის ლინგვისტიკის ინსტიტუტის corpus technologies პროგრამულ ბაზაზე) სომეხ კოლეგებთან ერთობლივი თანამშრომლობით.

ლინგვისტური კორპუსის შექმნა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია – თანდათანობით, ეტაპობრივად ხდება, ერთი მხრივ, კორპუსის ტექსტური მასივის შეესება და, მეორე მხრივ, საძიებო ტექნოლოგიების, ანოტირების სისტემის დახვეწა–გაფართოება. კორპუსის ხარისხის სწორედ ამ ორი კომპონენტის ერთიანობა განსაზღვრავს. მაგრამ ლინგვისტური კორპუსის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ დაუსრულებელ მდგომარეობაშიც იგი გამოიყენება როგორც მოხმარებისათვის სახეობით გამოსადევი ინსტრუმენტი, ამიტომაც მიღებული პრაქტიკაა, რომ დამუშავების გარკვეულ კონდიციებში მუდმივად ლინგვისტური კორპუსი ინტერნეტში განთავსდეს და პარალელურად გაგრძელდეს მუშაობა მისი შეესება–სრულყოფისათვის.

ეს ხელს უწყობს მომხმარებლისაგან ახალი „პროდუქტის“ შექმნას და გამართლებულია იმ მხრივაც, რომ კორპუსის შემდგენლების საშუალება ეძლევათ უკვე მუშაობის პროცესშივე, მომხმარებელთან უუკავშირის დამყარების გზით, გაითავალისწინო პროფესიონალ ლინგვისტთა შენიშვნები და მოსასრებები.

ღიალექტური კორპუსის აგების სირთულე არსებულ კორპუსთა უმრავლესობა (ძირითადად, ნაციონალური კორპუსები) ორიენტირებულია სალიტერატურო ენაზე და იყენებს ტექსტური რესურსების მზა ელექტრონულ ვერსიებს (ასეთ შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენს დამატებითი რედაქტირება, რედაქციების შეჯერება, ტექსტების დანაწევრება, გრაფიკული დამუშავება–უნეფიტირება და, რაც მთავარია, ატომბტური ანოტირების შედეგების შემდგომი ხელთი კორექცია). იცივე და, დიალექტებით, სხვა გაცილებით უფრო დიდი სირთულეები წარმოიშობა ლინგვისტური კორპუსის შემდგენელთა წინაშე როგორც ტექსტური მასალის დამუშავებასთან დაკავშირებით

(აუღლი და ვიდეომახადლების ტექსტად ქცევა, ტექსტების გრაფიკული და პუნქტუაციური გამართვა და სხვ.). ისე ანოტირების სისტემის დიალექტურ ქვესისტემებზე მორგების თვალსაზრისით.

ამ სიძინელებიდან გამომდინარე, დიალექტური კორპუსები მეტწილად წარმოდგენილია ნაციონალური კორპუსის ქვეკორპუსის სახით და, როგორც ასეთი, ჩნდება შედარებით მოვლენებით. მაგალითად, რუსულ ნაციონალურ კორპუსში დიალექტური ქვეკორპუსი გამორჩეულად 2007 წელს, რომელიც ტექსტების სიუხითა და მომცველობითობით ჯერჯერობით არ გამოირჩევა. ხოლო რაც შეეხება ჩრდილისიმიურ ნაციონალურ კორპუსს, აქ დიალექტური ქვეკორპუსის მომზადება (3 დიალექტისათვის) და ინტერნეტში განთავსება დატვირთილი ახლო მომავალში (ტექსტების შემოსასხარეული რაოდენობით – 15 სთ. ერთ დიალექტზე).

ქართული დიალექტური კორპუსის მომზადების 1 ეტაპზე (პროექტი: "საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი – I") მიმდინარეობს მუშაობა 8 დიალექტის – ფერდინელის, ინგილოურის, თუშურის, მესხურის, ქართლურის, რაჭულის, კახური და აჭარული – ტექსტების კოლექციის შესაქმნელად.

კორპუსზე მუშაობისას თავი იჩინა პრობლემამ შრიფტთან და სიმბოლოებთან დაკავშირებით. გამოყენებულია უნიკოდი syfaen (სომხური კორპუსიც ამავე შრიფტს იყენებს), რომელიც არ შეიცავს დიალექტური ტექსტებისათვის აუცილებელ ყველა სიმბოლოს (მაგალითად, სიმბოლოებს წყვილბაგისმიერი უბგერისათვის, გრესელი, უმლაუტიანი და მახეულიანი ხმოვნებისათვის). გადაწყვიტეთ დროებით, პრობლემის გადაჭრამდე, პირობითად გამოიყენებინა შესაბამისი ლათინური სიმბოლოები.

დღეისათვის გადაჭრილია კორპუსის მომზადებისათვის აუცილებელი ორი უმთავრესი ამოცანა - შექმნილია პროგრამული საფუძვლის (კორპუსის მენეჯერის) ძირითადი არქიტექტურა და ტექსტების კოლექციის ციფრული ვერსიის მნიშვნელოვანი მასივი.

ტექსტური მასივი კორპუსში ბაზირებულია სამ ძირითად წყაროზე: 1. გამოქვეყნებული ტექსტები; 2. ძველი ექსპედიციების (მათ შორის გასული საუკუნის 20-30-იანი წლების) გამოუქვეყნებელი და უცნობი ტექსტები; 3. ახალი ექსპედიციების მასალები.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია, რომ კორპუსში ინტეგრირდეს ყველა არსებული დიალექტური ლექსიკონი თუ სალექსიკონო მასალა, სხვადასხვა ექსპედიციების მიერ საეტიკური კითხვარებით მოპოვებული დარგობრივი და თემატური ლექსიკა და სხვ. სალექსიკონო სტატიის საილუსტრაციო მასალები ჩაერთვება საერთო ტექსტურ მასივში და ამკვარად ეს სიტყვიერი მასალაც მოხდება საერთო კრებაში სიტყვანი შემდგომი ანალიზისათვის.

დაეგეგმილია კორპუსის სიტყვიანი (რომელიც დღეისათვის 200 000-ზე მეტ სიტყვაფორმას მოიცავს) დაქვეყნება სულხან-საბას "სიტყვის კონანა" და სხვა ლექსიკონებთან პიქტურტექსტური ბეჭით.

მაგრამ ტექსტური მასივის მომზადება კორპუსის "შემნებლობის" მხოლოდ ერთი საფეხურია. არ არსებობს კორპუსი ანოტირების ნიშანდების გარეშე. ანოტირების სახეები სხვადასხვაგვარია და გამოჩინარეობს კორპუსისადმი წყენებული პრაქტიკული მოთხოვნებიდან, მაგრამ თანამედროვე კორპუსი წარმოუდგენელია სერიოზული მეტაანოტირების გარეშე.

ექსტრალინგვისტური ანუ მეტამონაცემები ყველა სახის კორპუსის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია და, როგორც ამბობენ, ეს არის "მონაცემები მონაცემთა შესახებ" (სინკლერი 2004). ენობრივი მონაცემები, მათ შორის დიალექტურიც, სხვადასხვა, სრულიად განსხვავებული ინტერესით შეიძლება იყოს აქტუალიზებული. შესაბამისად, მათი საჭიროება და აუცილებლობაც მულტიდისციპლინარული მნიშვნელობით განისაზღვრება და ფასდება. კორპუსი, რომელიც ძალიან აქტუალურია ერთი რეგიონზე დისციპლინის თვალსაზრისით, აბსოლუტურად გამოუსადეგარი შეიძლება გახდეს სხვა შემთხვევაში, თუ მას არ ექნება მრავალმხრივი, მოცემული ენობრივი გარემოსათვის აქტუალური მეტაანოტირება. გარდა ამისა, ლინგვისტური კორპუსი თავს უყრის ენობრივ რეალისტაციას უამრავ შემთხვევას იმ კონტექსტებითურთ, რომლებშიც ისინი წარმოიშენენ. სრულყოფილი მეტაალწერის გარეშე შეუძლებელია ამ რეალისტაციითა ზუსტი და კვალიფიციური ანალიზი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მეტამონაცემების გარეშე კორპუსის გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ქართული დიალექტების კორპუსისათვის შექმნილია მეტაანოტირების საკმაოდ მძლავრი ბაზა, რომელიც მუშავდებოდა იმ გათვლით, რომ ტექსტური კოლექციის გამოყენება ხელმისაწვდომი ყოფილიყო მულტიდისციპლინარული კვლევებისათვის, რაც, პირველ რიგში, აგულისხმობდა მრავალმხრივ მეტაალწერას. კორპუსში ტექსტის აღსაწერად გამოყენებულია სხვადასხვა ექსტრალინგვისტური მახასიათებლები: სტრუქტურული (ტექსტის მიწოდების უზრუნველყოფა, მოთხოვნის შესაბამისად, სრულად ან მონაკვეთის, აბსტაქციის, წინადადების სახით); რეგონალური (ქვეყნის, რეგიონის, რაიონის, სოფლის მითითება); ენობრივი (ენა, დიალექტი, თქმა); ანკატური (თუ ვინ ჩაიწერა ტექსტი, ვინ მოამზადა იგი მცენიერულად; მონაცემები - ჩაწერის დროსა და ადგილზე, მთქმელის ასაკზე

მთქმელისა და მისი ოჯახის წევრების (დედ-მამა, მუულები) ვინაობის, ეთნიკური და კუთხური წარმომავლობის შესახებ).

კორპუსში გათვალისწინებულია მიგრაციული პროცესების ამსახველი მეტამონაცემებიც: როდის, საიდან და სად მოხდა მიგრაცია, მიგრაციის რომელ თაობას ეკუთვნის მთქმელი, რა ხასიათის მიგრაცია იყო, როგორია ჩასახლების ტიპი.

სხვა ტექსტური მახასიათებლები მიუთითებენ ტექსტის ტიპზე (თხრობა, ფოლკლორი – პოეზია და პროზა, საუბრის ფრაგმენტები და სხვ.); თემატიკაზე (ოჯახი, წეს-ჩვეულებები, სიყვარული, ომი...); ტექსტში ასახულ მიუღწეაობა კრონოლოგიაზე (როცა ეს შესაძლებელია); ტექსტის ფაქტურაზე (ნაბეჭდი, ხელნაწერი, აუდიოჩანაწერის ტრანსკრიფტი, ვიდეოჩანაწერის ტრანსკრიფტი).

გაცილებით რთული და შრომატევადია ტექსტების კორპუსის ენობრივი მახასიათებლების ანოტირება - ლინგვისტური ანოტირება. ლინგვისტური ანოტირების სხვადასხვა დონე და ტიპი არსებობს: მორფოლოგიური, სინტაქსური, ანაფორული, იდიომატური, პროსოდიული, პრაგმატული და სხვ.

ყველაზე გავრცელებული სახე ანოტირებისა არის მორფოლოგიური ანოტირება, თეგირება (POS tagging ანუ Part-of-speech tagging), უპირველესად იმიტომ, რომ კომპიუტერული ლინგვისტიკის მიღწევები ყველაზე სრულყოფილად სწორედ მორფოლოგიური ანალიზის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, მორფოლოგიური ნიშნდგობა აუცილებელი ეტაპია სინტაქსური ანოტირებისათვის. ცნობილი დიდი ნაციონალური კორპუსები სწორედ მორფოლოგიურად ანოტირებული კორპუსებია (ყოველ შემთხვევაში პირველ ეტაპზე).

ივეს კორპუსში მორფოლოგიური ანოტირების სტრატეგია მიმართულია არა მხოლოდ თითოეული სიტყვის ფორმისა და სიტყვაწარმოებითი პარადიგმის აღსაწერად, არამედ სალიტერატურო ენის სათანადო ფორმებთან დიალექტური ვარიანტების დასაკავშირებლად, რათა ძიება კორპუსში შესაძლებელი იყოს 2 მიმართულებით: ა) დიალექტური ფორმა - სალიტერატურო შესატყვისი (ფონეტიკური ან მორფოლოგიური) და ბ) სალიტერატურო ფორმა - მისი შესაძლო ვარიაციები ერთ რომელიმე, რამდენიმე ან ერთდროულად ყველა დიალექტურ ქვესისტემაში.

ტექსტური ფონდის სხვადასხვა პარამეტრებით ანოტირება საშუალებას მისცემს მომხმარებელს, სათანადო საძიებო ინსტრუმენტების დახმარებით, სასურველი პარამეტრების კომბინაციის საფუძველზე, „შექმნას“ კონკრეტული კვლევისათვის საჭირო „ქვეკორპუსები“.

- დოკუმენტისათვის:
 - * კორპუსი საშუალებას იძლევა მოიძებნოს საჭირო პარამეტრებით შერჩეული ტექსტი, გარდა ამისა, წარმოადგენს ყველა რეალიზებულ სიტყვაფორმას თავისი კონტექსტებით (კონკორდანსს).
 - * შექმნილია სუბაპირული (ნაწილობრივი) მორფოლოგიური ანოტირებისა და სიტყვაფორმის ლექსიკური დამუშავების პრინციპით და ინსტრუმენტი.
 - * კორპუსში მუშავდება ქართული დიალექტური მასალა, მაგრამ კორპუსის სტრუქტურა პორტენტურად გათვლილია სხვა ქართველური ენების ტექსტური მონაცემების დამუშავების შესაძლებლობაზე.

აქ ტექსტის მოიძებნა შემდეგ საფეხურებს ითვალისწინებს: 1. ენის არჩევანი, დიალექტის არჩევანი, ქვედიალექტური ერთეულის (კილოვაი, თქმა) არჩევანი. 2. ქვეენის არჩევანი (საქართველო, ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი), რეგიონის არჩევანი (მაგალ., ფერეიდანი), სოფლის (ან ქალაქის) არჩევანი. ასევე ხდება სასურველი „სუბკორპუსის“ შედგენა ყველა სხვა მახასიათებლით: მთქმელი, ნაშწერი, გამოცემა და ა. შ.

კონკრეტული ძიებისათვის აღნიშნული საფეხურების ჩართვა ხდება შერჩევით, საჭიროების მიხედვით.

საბოლოოდ, ქართული დიალექტური კორპუსი ჩამოყალიბდება, როგორც საძიებო სისტემებით აღჭურვილი მომცველობითი კომპიუტერული მონაცემთა ბაზა, რომელიც იქცევა ქართველოლოგი ლინგვისტიკისათვის მუუცველად საკვლევ ინსტრუმენტად. იგი ხელს შეუწყობს დიალექტოლოგიის განვითარებას ერთი დიალექტის ან დიალექტური ჯგუფის აღწერითი ანალიზიდან „გამოვლილ“ ქართველოლოგიური სტრუქტურული კვლევებისაკენ, ხოლო სალიტერატურო ენის კვლევაზე ორიენტირებულ ქართველოლოგებს ახად შესაძლებლობებს შეუქმნის დიალექტური მონაცემების გამარტივებულ პროცესურებით მოპოვებასა და მათ გათვალისწინებაში.

დიალექტური ტექსტების კორპუსისა და დიალექტური ლექსიკის ინტეგრირებით, პროექტი ითვალისწინებს ქართული ენის უპრეცედენტოდ ვრცელი დიალექტური პიპრეტქსტული ბაზის შექმნას, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს კომპიუტერული ელექტრონული კრებისით და ცალკეული დიალექტური ლექსიკონების შექმნას და მით განაპირობებს ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სინკლერი 2004: John Sinclair. Tuscan Word Centre. Developing Linguistic Corpora: a Guide to Good Practice. Corpus and Text — Basic Principles <http://ahds.ac.uk/guides/linguistic-corpora/chapter1.htm>
2. ლინი 2004: Geoffrey Leech. Lancaster University. Developing Linguistic Corpora: a Guide to Good Practice, Adding Linguistic Annotation — <http://ahds.ac.uk/guides/linguistic-corpora/chapter2.htm>
3. რუსული ნაციონალური კორპუსი: <http://www.ruscorpora.ru>
4. ამერიკული ნაციონალური კორპუსი: <http://americannationalcorpus.org>
5. ბრიტანული ნაციონალური კორპუსი: <http://sarn.natcorp.ox.ac.uk/nokup.html>
6. ჩეხური ნაციონალური კორპუსი: <http://ucnk.ff.cuni.cz>
7. ნიდელანდური ენის ნაციონალური კორპუსი: <http://www.nacc.net>
8. დათუკიშვილი 2005: ქ. დათუკიშვილი, ნ. დლოლაკი, მ. საკალიშვილი, მორფოლოგიური ინფორმაციის სტრუქტურა ქართული ენის კორპუსისათვის, “ბუნებრივ ენათა დამუშავება”.
9. ბერიძე 2007: მ. ბერიძე, დ. ნადარაია, ტექსტის აღწერის ძირითადი პარამეტრები და ქართული დიალექტების კორპუსის მონაცემთა ბაზის სტრუქტურირების საკითხი, “ბუნებრივ ენათა დამუშავება”.
10. სურმაგა – 2008: ნ. სურმაგა, მ. ბერიძე, კორპუსის ლინგვისტური ცნებანი და მათთვის ქართული შესატყვისების შერჩევის ცდა, “ბუნებრივ ენათა დამუშავება”.

Marine Beridze, Nargiza Surmava (Tbilisi)

Georgian Dialectological Corpus – as Linguistic Research Tool

1. Linguistic corpus – electronic collection of texts adopted for the scientific studies – represents primarily the unique “tool” for linguistic studies (due to its capabilities of rapid searching, accessibility of frequency statistic data, facilitating diachronic studies of a language event), but after its implementation and distribution, the corpus itself will become an object for studies from the fields of other humanitarian branches

2. It is a time- and – work consuming process – to create a linguistic corpus. The whole work is divided in several stages. Expanding the corpus with the massives of texts on one hand, and improving and extending research technologies and annotation system on the other - all this can be done only step by step, through the entire process. But the linguistic corpus, after some processing having arrived to certain condition, is a ready tool. Its positioning in the Internet enables its creators, through the backward communications, share the suggestions and notes of expert linguists.

3. On the first stage (the project is funded by GNSF) 8 dialects are undergoing special study and processing: Fereidanian, Ingilo, Tushian, Meskhan, Kartlian, Rachian, Kakhetian and Acharian, in order to create the collection of the texts.

At present the corpus in its real time condition provides the tool to find out the text selected according to the required parameters; besides it demonstrates all the wordforms with the contexts (concordance); the principles and instruments for surface morphological annotation and lexical study of the word-forms have also been developed.

The annotation system of the corpus was developed aiming to facilitate using of the texts data-base for multidisciplinary researches. This implies, first of all, versatile meta-descriptions.

Annotations of the text fund by means of several parameters will enable a consumer to create “sub-corpora”, using appropriate researching tools, on the basis of the combination of needed parameters.

The data material of the Georgian dialects is being processed but besides that, the structure of the corpus is intended to obtain potential for processing the data material of all the Kartvelian languages.

4. Finally, the Georgian dialectological corpus will be formed as all-involving competent data base, equipped with advanced searching systems, which will result in unique researching tool for Kartvelologists. It will support development of the dialectological studies from the descriptive analysis of one dialect or group of dialects to the “penetrating” Kartvelological structural studies; the linguists, specialized in Kartvelology, who are particularly interested in studies of the literary language, will be provided with new possibilities to acquire, using simple searching procedures, the dialectological data which is necessary to consider in the development of the literary language.

**ზმენსნიინსა და ქვეპის ურთიერთმიმართების საპითისი
და- ზმენსნიინან დინამიური ამგვარი**

„ქვეპა და ზმენსნიინი ერთმანეთთან ახლო არიან: სადაც ზმენსნიინიანი ფორმებია, იქ უფრო მკვეთრად გამოიხატება ქვეპა თავისი მრავალი სახეობით, მეორე მხრივ, სადაც ზმენსნიინი ქვეპის ფორმები უჩვენებს მოვალეობა, იქ უფრო ხშირად გვხვდება ზმენსნიინი“ [ინანიშვილი 1996, 434].

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქვეპის კატეგორიისა და მისი მაწარმოებელი ფორმანტების შესახებ არსებობს ახლო სხვადასხვაობა, თუმცა ნუნ ვიზიარებთ ვარაუდს, რომლის მიხედვითაც ქართულ ენაში დასტურდება ერთი მხრივ საარეისო (ნეიტრალური) (ე.ი. ზმენსნიინი ფორმები, რომლებიც არ ახახვენ სასუბიექტო და საობიექტო მიმართებებს) და, მეორე მხრივ, სათავისო და სასხვისო ქვეპები.

შეიძლება ვთქვათ, რომ მკვლევართა შორის არ არსებობს ახლო სხვადასხვაობა იმაზე, რომ ქვეპა არის ზმენსნიინის კატეგორია, რომელიც გამოიხატავს კუთვნილებით ურთიერთობებს ზმენსნიინებებს შორის.

ზმენსნიინი ფორმები შეიძლება დაყოფილი იქნას ორ ჯგუფად: I ჯგუფში გავერთიანოთ ის ფორმები, რომლებშიც პირებს შორის კუთვნილებით ურთიერთობაა გამოხატული, II ჯგუფში კი ფორმები, სადაც პირებს შორის კუთვნილებით ურთიერთობა არ არის გამოხატული. სწორედ მეორე ჯგუფში გავერთიანდებთ საარეისო ქვეპის ფორმები, რომელთა შესახებ რამდენაღმე განსხვავებული აზრი ჩამოკალიდა, კერძოდ, ანტონოვი ნეიტრალურ ქვეპასთან დაკავშირებით ამბობს: „აშენებს, აკეთებს, ზრდის, ხატავს... ამგვარ ზმენსნიინს არ ჩანს ეისოცისა განკუთვნილი მოქმედება: ზმენსნიინის თავსართი ამასე არაფერს გვეუბნება“ [ნიქოზაია 1950, 058]. მკვლევარი საგულისხმო შენიშვნას აკეთებს: „კუთვნილებას არ გადავუგეგმვს, მაგრამ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობას (სივრცეში განლაგების მხრივ) ახასიათებს ა- თავსართიანი წარმოება: ადევს ის მას (მხარს), აწევს ის მას (გულს) და სხვა. ეს „სასუდაო“ შინაარსი ქვეპისას არ ხვდება, მაგრამ იმავე რიგისა (ტერმინები: სასუდაო, საარეისო, სათავისო, სასუბიექტო, საობიექტო ა. შინაინის შემოღებულია) [ნიქოზაია 1950, 059].

ა. შინაინი ა- პრეფიქსი გამოყოფს საარეისო ქვეპის ნიშნად, რომელიც უარყოფს როგავაში, რადგან ე.წ. საარეისო ქვეპა არ გამოიხატავს კუთვნილებით ურთიერთობას და, ამდენად, იგი ვერ უპირის- უპირდება ქვეპის ფორმებს [როგავა, 1982]. მ. დანიშვილი მიიჩნევს, რომ ა- პრეფიქსული გმოვანი ქართულ ზმენსნიინში პირიანობის გამოხატული ფორმული ელემენტია და ამიტომ გხვდება იგი სასუდაოს, გარდამავლობის, მოქმედებითობის, კავსატივის წარმოების შემთხვევაში, ე.ი. ა- პრეფიქსული გმოვანი მხოლოდ პირისადმი მიმართებას ანიშნებს [დანიშვილი 1982, 127-128].

როდესაც ა. შინაინი განიხილავს სიტუაციისა და ქვეპის კატეგორიებს მიუთითებს, რომ არის ერთგვარი მსგავსება მიითებულ სიტუაციასა და საარეისო ქვეპას შორის: სასუდაო ნიშანია პრეფიქსი ა- (ა-წევს), ასეთივე პრეფიქსი მოუძის საარეისო ქვეპასაც მეორეულ ზმენსნიინში, იქნება ეს ნასხველარი (თეთრი - ა-თეთრებს), თუ ნაშინარი (წებს - ა-წვენს). ა- პრეფიქსი ერთი და იმავე ხასიათის მოვალეობას არ ახახავს: ი-წერს, უ-წერს ფორმები პირეულ, ამოსავალ ფორმას (წერს) პირდაპირ ობიექტს კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით უპირისპირდება, ხოლო ა-წერს ფორმა - მოქმედების დიკალიზაციის მიხედვით ირბი ობიექტთან მიმართებით. ამიტომ ა. შინაინი ფორმათა ამგვარ დამიხსიერებას გვთავაზობს.

	<i>საარეისო</i>	<i>სათავისო</i>	<i>სასხვისო</i>
ქ ვ ე ვ ა -	წერს	ი-წერს	უ-წერს
	<i>მიუთითებელი</i>		<i>მიითითებული</i>
ს ი ტ უ ა ც ი ა	წერს		ა-წერს

[შინაინი 1980, 375].

„სასუდაო ფორმა რომ ქვეპის ფორმად ვიცანით, მაშინ, უეჭველია, ქვეპის განსახვებაში ახალი მომენტი უნდა შემოვიტანოთ და არსებითად ორი სხვადასხვა კატეგორია შევართოთ“ [შინაინი, 1980, 375].

წერს ფორმა ქვეპის მიხედვით საარეისოა, სიტუაციის მიხედვით - მიუთითებელი. ა-წერს ფორმით კი აღინიშნება მიითითებული სიტუაცია (ანუ „სასუდაო“ სიტუაცია). „მიითითებული სიტუაცია აღნიშნავს, რომ მოქმედება ხდება რაიმეს, ამიტომ ასეთ ფორმებს სასუდაოსაც ვეძახით და

გეგმულა მხოლოდ პირველად ზმნებში [შანიძე 1980, 373] აქედან გამომდინარე სასუქად სიტუაციის აღმნიშვნელი ზმნები თავისუფლად შეიძლება ნაითვალის საარვისო ქცევის ფორმებად.

ჩვენ კვლევის საგანს წარმოადგენს ზმნისწინისა და ქცევის ურთიერთმიმართების საკითხი დინამიკურ ზმნებში. კონკრეტულად და ზმნისწინიანი ზმნების მაგალითზე. უპირველეს ყოვლისა იმსება კითხვა: არსებობს თუ არა რაიმე კანონზომიერება ზმნისწინისა და ქცევის არჩევანისა ამა თუ იმ ზმნურ ფორმაში, თუ ეს არჩევანი ნებისმიერია?

ცვლილებები აღნიშნავს: „ქცევის ფორმათა წარმოების შესაძლებლობებს განსაზღვრავს ზმნისწინისა და ზმნის ძირის კომბინაცია“ [კვანტალიანი 1999, 153].

ავტორი ამ თვალსაზრისით განიხილავს შენ და კეთ ზმნურ ძირებს და მიუთითებს, რომ ზმნისთვის ზმნისწინით მინიჭებული მნიშვნელობის თვალსაზრისით ქცევის ფორმებს შორის დაპირისპირება არ არის, რადგან „ზმნისწინისა და ზმნის ძირის მნიშვნელობები განსაზღვრავს ქცევის ფორმების წარმოების შესაძლებლობებს. ამიტომ ერთი და იმავე ძირის სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმები სხვადასხვაგვარად აწარმოებს ქცევის ფორმებს. ზოგი ზმნისწინით ზმნას შეუძლია აწარმოოს სამივე ქცევის ფორმა მოქმედებითში, ორივე- ენებითში, ზოგით კი -არა [კვანტალიანი 1999, 159].

ქცევის კატეგორია ერთნაირად არ გამოიხატება მოქმედებითი და ენებითი გეარის ზმნებში. ზმნას მოქმედებით გეარში უზმნისწინოდაც ეწარმოება სამივე (საარვისო, სასხვისო და სათავისო) ქცევის ფორმები: *აბრუნებ-ს, იბრუნებ-ს, უბრუნებ-ს; ადგებ-ს, იდგებ-ს, უდგებ-ს; აკეთებ-ს, იკეთებ-ს, უკეთებ-ს; აწყობ-ს, იწყობ-ს, უწყობ-ს; ახვევ-ს, იხვევ-ს, უხვევ-ს* და სხვ. უფრო მეტიც, ზოგჯერ ზმნის ფუძე ზმნისწინის გარეშე სამივე ქცევით არის წარმოდგენილი, მაგრამ ზმნისწინის დართვამ შეიძლება გამოიწვიოს რომელიმე მათგანი, მაგ., გვაქვს: *აუღებ-ს, იღებ-ს, უღებ-ს; არქმევ-ს, ირქმევ-ს, ურქმევ-ს; ათხოვებ-ს, ითხოვებ-ს, უთხოვებ-ს.*, მაგრამ არ გვაქვს: *დიიღებ-ს, დაურქმევ-ს, დაითხოვებ-ს.*

რადგან ჩვენ განვიხილავთ ზმნისწინისა და ქცევის ურთიერთმიმართების საკითხს დინამიკურ ზმნებში, კონკრეტულად კი და ზმნისწინიანი ზმნების მაგალითზე, ამის ნათელსაყოფად შეიძლება მივიშველიოთ მ. მანჯგალაძის მიერ გამოყოფილი შეიდი ჯგუფი შემდეგი ფორმულირების გათვალისწინებით: ზმნისწინი + ქცევა + ზმნის ფუძე. ესენია:

I. ზმნისწინი + ნეიტრალურ/ სასხვისო/ სათავისო ქცევა + ზმნის ფუძე (ე.ი. ამ ჯგუფში შევა ის ზმნები, რომლებიც ზმნისწინიან ერთად დაერთავენ ქცევის კატეგორიის ყველა შესაძლო ვარიანტს);

- II. ზმნისწინი + ნეიტრალური და სათავისო ქცევა;
- III. ზმნისწინი + ნეიტრალური და სასხვისო ქცევა;
- IV. ზმნისწინი + სასხვისო და სათავისო ქცევა;
- V. ზმნისწინი + ნეიტრალური ქცევა;
- VI. ზმნისწინი + სათავისო ქცევა;
- VII. ზმნისწინი + სასხვისო ქცევა [მანჯგალაძე 1999, 21-22].

და ზმნისწინი ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ზმნისწინია ქართულში და ამიტომ სწორედ აღნიშნული ზმნისწინის მაგალითზე წარმოვადგენთ თუ რა სურათია და ზმნისწინიანი ფორმების მიხედვით დინამიკურ ზმნებში ქცევის განაწილების თვალსაზრისით ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:

- I. ზმნისწინი + ნეიტრალური / სასხვისო/ სათავისო ქცევა + ზმნის ფუძე:
 - 1) მოქ. და-აბებს, და-ბაბებს, და-უაბებს;
 - ენ. და-უაბდება;
 - 2) მოქ. და-ბახლოებს, და-ბახლოებს, და-უბახლოებს;
 - ენ. და-ბახლოვდება;
 - 3) მოქმ. და-ბაბს, და-ბაბს, და-უბაბს;
 - ენ. და-ბებება, და-ბებება;
 - 4) მოქმ. და-ბრუნებს, და-ბრუნებს, და-უბრუნებს;
 - ენ. და-ბრუნდება, და-უბრუნდება;
 - 5) მოქმ. და-ბოროებს, და-ბოროებს, და-უბოროებს;
 - ენ. და-ბოროდება;
 - 6) მოქმ. და-ბდამს, და-ბდამს, და-უბდამს;
 - ენ. და-ბდამება, და-ბდამება;
 - 7) მოქმ. და-ბდნობს, და-ბდნობს, და-უბდნობს;
 - ენ. და-ბდნება, და-უბდნება;

- 8) მოქმ. დაბლაგებს, და-ილაგებს, და-ულაგებს;
ენ. და-ილაგდება;
- 9) მოქმ. და-ახამს, და-იხამს, და-უახამს;
ენ. და-იეხამება, და-იიხამება;
- 10) მოქმ. და-აყარებს, და-იფარებს, და-უფარებს;
ენ. და-იიფარება, და-იეფარება;
- 11) მოქმ. და-აყენს, და-იყენს, და-უყენს;
ენ. და-იეყენება, და-იიყენება;
- 12) მოქმ. და-აწაწილებს, და-იწაწილებს, და-უწაწილებს;
ენ. და-იიწაწილებს, და-იეწაწილებს...

თუ ზმნისწინი + ქცევა + ზმნის ფუძე სრული სახითაა წარმოდგენილი (სამივე ქცევით), შეიძლება ამ კომბინაციამ არაერთადი ცვლილება არ შეიტანოს ზმნის ფუძის ძირითად მნიშვნელობაში (როგორც ეს უემოთაა წარმოდგენილი), მაგრამ სოგჯერ ზმნისწინისა და ერთ-ერთი ქცევის კომბინაციამ შეიძლება ახალი სემანტიკური ნიუანსი შესძინოს ზმნის ფუძეს, მაგალითად: და-ათღი, და-ითღი; და-ათხოვებ, და-ითხოვებ; და-აჯრავ, და-უჯრავ; და-ამადლებ, და-ი მადლებ; და-არბიებს, და-ურბიებს; და-ატყდება, და-უტყდება...

II. ზმნისწინი + ნეიტრალური და სათაყისო ქცევა (ა,ი)

- 1) მოქმ. და-აბრალებს, და-იბრალებს;
ენ. და-იბრალდება;
- 2) მოქმ. და-აეიწეებს, და-იეიწეებს;
ენ. და-იეიწეება;
- 3) მოქმ. და-აცილებს, და-იცილებს;
ენ. და-იცილებს;
- 4) მოქმ. და-არქმევს, და-იარქმევს;
ენ. და-იერქმევა;
- 5) მოქმ. და-აშორებს, და-იშორებს;
ენ. და-იშორდება...

III. ზმნისწინი + ნეიტრალური და სასხეისო ქცევა (ა,უ)

- 1) მოქმ. და-არწევს, და-ურწევს;
ენ. და-იორწევა;
- 2) მოქმ. და-ასახლებს, და-უსახლებს;
ენ. და-იასახლებს;
- 3) მოქმ. და-აქცევს, და-უქცევს;
ენ. და-ეიქცევა, და-იქცევა;
- 4) მოქმ. და-აბინდებს, და-უბინდებს;
ენ. და-იბინდება, და-უბინდება;
- 5) მოქმ. და-აბლაგებს, და-უბლაგებს;
ენ. და-იბლაგდება, და-უბლაგდება;
- 6) მოქმ. და-აბოლოებს, და-უბოლოებს;
ენ. და-იბოლოდება, და-უბოლოდება...

IV. ზმნისწინი + სათავისო და სასხეისო ქცევა (ი,უ)

- 1) მოქმ. და-იანგარიშებს, და-უანგარიშებს;
ენ. და-იანგარიშდება, და-უანგარიშდება;
- 2) მოქმ. და-ითვლის, და-უთვლის;
ენ. და-ითვლება;
- 3) მოქმ. და-იხსნის, და-უხსნის;
ენ. და-იხსნება, და-იხსნება...

მართალია, ასეთ ფორმებში არ დასტურდება ნეიტრალური ქცევა (და-იანგარიშებს, და-ითვლის, და-იხსნის...), მაგრამ ის შეიძლება აღდგეს კაუზაციურ ფორმებში (და-იანგარიშებინებს, და-ითვლებინებს, და-იხსნეინებს...), რომელიც არც სხვა შემთხვევაშია გამორიცხული.

V. ზმნისწინი + ნეიტრალური ქცევა (ა)

- 1) მოქმ. და-აბანცავლებს;
ენ. და-იბანცავდება;

- 2) მოქმ. დაბრუნება;
- ენ. დაბრუნება;
- 3) მოქმ. დაბრუნება;
- ენ. დაბრუნება...
- VI. ზმნისწინი + სათავისო ქცევა (რ)
- 1) მოქმ. დაბრუნება
- ენ. -
- 2) მოქმ. დაბრუნება;
- ენ. დაბრუნება;
- 3) მოქმ. დაბრუნება;
- ენ. დაბრუნება;
- 4) მოქმ. დაბრუნება;
- ენ. -

VII. ზმნისწინი + სასხვისო ქცევა (უ)

და ზმნისწინთა მიმართებით VII ჯგუფი, რომელიც ზმნისწინთან ერთად მხოლოდ სასხვისო ქცევას გამოხატავს თითქმის არ დასტურდება.

ქველს მიხედვით ზუსტად ვერ ავსახავთ ზმნისწინისა და ქცევის ყველა დასახელებს ვარიანტს. ლექსიკონში დასტურდება: დაამხანაგებს, დაამხანაგებს; დაიბრიალებს, დაიბრიალებს; დაიმცრობს, დაიმცრობს; დაიპირებს, დაიპირებს; და არ დასტურდება: დაუამხანაგებს, დაუბრიალებს, დაუმცრობს, დაუპირებს.

დადასტურებული მასალის მიხედვით ამ ზმნების განთავსება II ჯგუფში გაუმართლებელი იქნება, რადგან მასში გამოირიცხულია უ პრეფიქსიანი ქცევის არსებობა. ანდა დასტურდება დაამხანაგებს, დაუბრიალებს; დაამხანაგებს, დაუბრიალებს; დაამცრობს, დაიმცრობს; დაიპირებს, დაიპირებს; დაამხანაგებს, დაუამხანაგებს; დაიბრიალებს, დაუბრიალებს; დაიმცრობს, დაუმცრობს; დაიპირებს, დაუპირებს; დაამხანაგებს, დაუამხანაგებს; დაიბრიალებს, დაუბრიალებს; დაიმცრობს, დაუმცრობს; დაიპირებს, დაუპირებს; დაამხანაგებს, დაუამხანაგებს; დაიბრიალებს, დაუბრიალებს; დაიმცრობს, დაუმცრობს; დაიპირებს, დაუპირებს.

არც ამ ზმნების გავრთიანება შეიძლება III ჯგუფში, რომელშიც შედის ზმნისწინი + ნეიტრალური და სასხვისო ქცევა (ა,უ), მაგრამ გვაქვს: დააპყვეს, დაიპყვეს; დააბლაგვებს, დაუბლაგვებს; დაათხოვებს, დაუთხოვებს და სხვა. გამოირიცხულია: დაუპყვეს, დააბლაგვებს, დაათხოვებს; ამიტომ, უფიქრობთ, ჯგუფების გამოყოფას გარკვეული საფუძველი აქვს. აუცილებლად არის გასათვალისწინებელი შემდეგი ნიუანსი: მხოლოდ ზმნისწინის მიხედვით არ ხდება ქცევის გარჩევა, ზმნის ფუძეში (და არა მხოლოდ ძირში) ჩადებულია სემანტიკური კოდი, რომელიც განაპირობებს არჩევანს.

ენებითი გვარის ფორმებში სათავისო ქცევის ფორმები არ დასტურდება, რადგან ენებითი მოქმედებითის კონვერსიული სახეა, აქტიუის ირიბ-ობიექტური პირი პასივში უცვლელი რჩება, ხოლო პირდაპირ-ობიექტური პირი ხდება სუბიექტი. ა. შანიძე ცალ-ცალკე განიხილავს ქცევას სუფიქსიან, უნიშნო და პრეფიქსიან ენებითებში [შანიძე 1980, § 405, 406, 407]. ავტორი მიუთითებს: „რადგანაც აქტივ კონსტრუქციაში სასხვისო ქცევით გამოხატულია, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბს ან დანიშნულია ირიბისთვის; პასივ კონსტრუქციაში იგივე მიმართება ირიბისადმი სუბიექტურმა პირმა უნდა გვიჩვენოს. ასეც არის: პასივში სასხვისო ქცევით გამოხატულია, რომ სუბიექტი ეკუთვნის ირიბს ან დანიშნულია ირიბისათვის“ [შანიძე 1980, 341].

როგორც დაინახეთ, ქველ-ში თუ აქტიურ ზმნას აქვს შესაბამისი პასიური ფორმა, და აქტიურ ზმნაში ასახულია ქცევის კატეგორია, შესაბამისი ზმნისწინით იქნა ასახული ენებითშიც.

ამიტომ, ჩვენ მიერ განხილული ზმნისწინისა და ქცევის ურთიერთშეხამებაზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ შესაძლოა ზმნის ფუძე ზმნისწინის გარეშე სამივე ქცევით იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ზმნისწინის დართება შეიძლება გამოირიცხოს რომელიმე მათგანი. ავტორს ზმნისწინისა და ერთ-ერთი ქცევის კომბინაციამ შეიძლება ახალი სემანტიკური ნიუანსი შესძინოს ზმნის ფუძეს, ან ზმნისწინისა და სამივე ქცევის კომბინაციამ ზმნის ფუძის ძირითად მნიშვნელობაში არ შეიტანოს არაერთარი ცვლილება, და რაც მნიშვნელოვანია, ქცევის კატეგორია ცალკე უნდა განიხილებოდეს მოქმედებითი გვარის მიხედვით და ცალკე ენებითის მიხედვით, რადგან მოქმედებითი შეიძლება დაფიქსირდეს სამივე ქცევა, ხოლო ენებითი – მხოლოდ ორი- ნეიტრალური და სასხვისო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეღელ 1950: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. I. თბ.
2. ქეღელ 1951: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. II. თბ.
3. ქეღელ 1953: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. III. თბ.
კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სენაურ გარდამავალ ზმნებში (გარდაუვალთაგან განსხვავებით) -ენ- სუფიქსის ჩართვისას იცვლება ანლაუტი; სასხესო ქცევითი ნიშნის (I და II პ. -ი, III პ. -ო) ადგილს სასუდაო -საარეისო ქცევის -ა- იკაეებს: ხ-ო-გა-ა - ხ-ა-გ-უნა-ა "უშენებია"; -ენ- სუფიქსს გარდამავალ და აეტოპატიურ (resp.მედიაოპტიურ) ზმნადა მხოლოდ უზმნისწინო ფორმები დიორთავენ და სემანტიკაზე ხელშესახებდნენ იცვლება: თუ ლოდა -ა მაწარმოებელიანი ფორმები წარსული მოქმედების შედეგს ასახავენ აწმყოში (მხოლოდ უზმნისწინონი), -ენ-იანი მონაცემები გამოხატავენ წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს წარსულშივე; ეს ლექსემები, პირველთაგან განსხვავებით, უპირობოდ ორგანულად შეიცავენ "თურმე"-ს გაგებას, უნახობას, პირველნი კი უნახაობის გამოხატავენდნენ ენსარ (ბზ/ყენსარი (ბქ) ("თურმე") ნაწილაკს დაიორთავენ:

"ენსარი ოსარი ხოშხაა" (ბქ) "თურმე ჩოხაც უკერავს"

შდრ. ობაშ ოსარ ხოშხაა! "ბევრი ჩოხა უკერავს!"

მეორე ოსარი ხაწაშხა-ენ-ა "ჩოხაც უკერავს თურმე, პქონია ნაკერი"

ეჭვში ლირდუ ხად, ერე ობაშ ჩიბ ხომა - "ისეთი ცხოვრება პქონდა, რომ ბევრი მარილი უჭამია"

შდრ. ობაშ ჩიბ ხაწაშხა-ენ-ა (ხს.) - "ბევრი მარილი უჭამია თურმე (ქქონია ნაჭამია)"

იგივე მდგომარეობაა ე. წ. მედიაოპტიურ ზმნებთან:

აჩგლდარი "ჩაღანდრობა", - ხოჩგლდარა "უჩაღანდრია, ნაჩაღანდრევი აქვს" - ხაჩგლდარ-ენ-ა

"უჩაღანდრია თურმე, ნაჩაღანდრევი პქონია";

იშგლდარ "თამაშობს" - ხოშგლდარა "უთამაშობს, ნათამაშები აქვს" - ხაშგლდარ-ენ-ა "უთამაშობს თურმე, ნათამაშები პქონია";

ამრიგად, სენაურში თურმეობითი I-ის (ნამყოფსრულის) მიერ განვლილი გზა ასე წარმოგვიდგება:

სტატეიკურმა ზმნამ გადინამიკურების შემდეგ პრევერბის დართვამდე შეიძინა სწორედ -ენ- სუფიქსის დახმარებით "თურმეს" საერაულო, უნახავი მოქმედების (მდგომარეობის) სემანტიკა და "და-აღწა" თავი ევიდენციალობას, შემდეგ კი პრევერბის დართვით ეს პრობლემა (აწმყოთან საზიარო სემანტიკა: ხოწუა "ნახახი აქვს") გადაიჭრა - ზმნამ შეიძინა სრული ასპექტის გაგება, რაც უთუოდ წარსულ დროს განაპირობებდა, ხოლო ახალი ფორმა ასევე (-ენ-იანთა მსგავსად) გათავისუფლდა აწმყოველი "მემკვიდრეობისაგან" - საცეცელი ფორმანტი აღარ წარმოადგენდა აუცილებლობას, პრევერბინამ ფორმამ თავისთავად გაითავისა უნახაობის აქტი:

აწმყო (სტატეიკა): ხოხტა-ა "უხატია" (ის მას) > ხოხტა-ენ-ა "უხატია, დანახატი აქვს მას ის" (მაგ-რამ, რადგან შედეგი აწმყოშია, ევიდენციალური) > ხახტა-ენ-ა "უხატია, დანახატი პქონია" (შედეგი წარსულშია და ამიტომ საერაულო, მოცემულ მომენტამდე უცვლელი რეპროდუცირებული, სხვისგან გაგონილი) > ოხხატა "დაუხატავს თურმე" (ფორმა, რომლისთვისაც უცხოა ქართულისებურად ნახახი ან უეჭველი მოქმედება-მდგომარეობის გამოხატვის შესაძლებლობა).

ნამყოფსრულისაგან ნამყოფინარეკრუსულს აორისტში გამოყენებული ენებითის მაწარმოებელი განსხვავება. ესაა -ან თავისი დიალექტური ვარიაციებით. მოქმედებითი გავის წინას უნახის მხოლოდ რეზულტატიურ II-ში აქვს (მოხტა-ენ-ან "დაიხატა", მიშ-ან "დაიხატა"), დინამიკურ ენებითს კი მხოლოდ აორისტში (აწმხატა-ენ-ან "დაიხატე", აწმში-ან "დაიწვი") (თოფურია 1967:178).

იგივე -ან სუფიქსი გამოყენებულია სტატეიკურ ზმნათა გარკვეული ჯგუფის ნამყოფ დროის საწარმოებლად. ეს სწორედ ის სტატეიკური ზმნებია, რომელთაც აწმყოში თურმეობით I-თან საერთო -ა ბოლოსართი აქვთ:

ხულა-ა "აქვს", ხულ-ენ-ან/ხულ-ენ-და (ბზ.) ხულ-ენ-და/ხულ-ენ-და (ბქ) "პქონდა".

სემათ აღნიშნული -ენ სუფიქსი ნამყოფ წინარეწარსულში ხშირად არის უგულებელყოფილი, განსაკუთრებით - ბაღსხემოურ დიალექტში: "როგორც (შეფარებით ცოტა) მასალა გეჩვენებს, -ენ-, ჩვეულებრივ, დატულია ბეჩოურში (ჩუბაჟან-ენ-ან "სუნი სკემოდა", ჟაჭკლოხ-ენ-ან "აგმალელობა") (ასევე, ზოგადად, ჩუბხეურში ქ. მ.), ბაღსხემოურში კი არა ჩანს: ათკარ-ან "გადებოდა", ათკარ-ან "სუნი სკემოდა; დახვნოდა" (თოფურია 1967:174). შესაძლოა, ეს მოვლენა იმით იყოს განპირობებული, რომ აქტი II თურმეობითში საერთოდ ნაკლებ ხელშესახებია!

სენაურ ენაში რელატიურ-გარდამავალ და ბრუნეაცვალბადსუბიექტიან აბსოლუტურ ზმნებს (აეტოპატიუებს, resp. მედიაოპტიუებს) მოეპოვება ინვერსიული ფორმები, რომელთა სუბტი შესატყუო

1 თვად ტერმინი "თურმეობითი" კი სენაურში ნაკლებად შეესაბამება III სერიის მწკრივებს ("თურმეს" გაგება აღნიშნულ ფორმებში, როგორც დაერწმუნდით, ქართულთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლებად მყარია).

სობა მწკრივის სახით ქართულში არ არის. ამიტომაც, საჭიროების შემთხვევაში, ქართულად I თურმეობისთვის ფორმით ან აღწერითად თარგმნიან: ხედგარო “{მო}უკლავს მას ის” ან “ნაკლავი ექნება ალბათ”; მზეუ ფორმებს – რლ (ბზ), -ჟ (ბქ) აფიციის კი II თურმეობითს შეუსატყვისებენ ხოლმე: ხედგაროლ (ბქ), ხედგაროჟ (ბქ) “მოკლავი მას ის” ან “ნაკლავი ექნებოდა ალბათ” (შდრ. თურმ. I – ხოდგარა, თურმ. II – ბზ. ხოდგარან, ბქ. ხოდგარან/ან), რაც მათს რეალურ სემანტიკას ვერ ფარავს.

ვ. თოფურიას “სენაურ სმნაში” ეს ფორმები მსგავსი სემანტიკით არ ჩანს, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ 30-იან წლებში, როდესაც ეს წიგნი იქმნებოდა, გამოყენებულ მასალაში ვერ მოხვედებოდა ყველა ნიუანსის მქონე დექსემა... ამდენად, ეს სმნები არც უძღვების სისტემაშია ფიქსირებული.

აღნიშნული მონაცემები აქტიური ‘სმნებია, სინთეზური წარმოებისაა და პერფექტულია: ხემი (ბზ), ხემი (ბქ) “ალბათ უჯაბია მას ის”, ხემოლ (ბზ), ხემოჟ (ბქ) – “ალბათ ეჯაბა მას ის”. ისინი გადმოგვცემენ წარსული დროის საგარაოდო, დაუზუსტებელ მოქმედებას დინამიკაში, სტატიკური შედეგით – პირველ შემთხვევაში (ხემი) აწმყო-მყოფადში, მეორე შემთხვევაში (ხემოლ, ხემოჟ) – წარსულშივე.

როგორც ცნობილია, ქართველოლოგთა ერთი ნაწილი (ნ. ნათაძე, დ. მელიქიშვილი, ა. არაბული, მ. ბერიძე...) III სერიის მწკრივებს ისტორიულად სტატიკურ სმნებს უკავშირებს. დ. მელიქიშვილის აზრით, “I რესულტატული, II რესულტატული და III კავშირებითი წარმოშობით სტატიკური სმნების აწმყო, წყვეტილისა და II კავშირებითის ინვერსიამქმნილი ფორმებია, რომლებიც დღეს დინამიკური გარდამავალი სმნების პარადიგმის გაგარაოდოა. ამ ფორმებს ერთ ჯგუფში აერთიანებს წარმოების წესი და ინვერსიული კონსტრუქცია” (მელიქიშვილი 2001 : 48). სენაურ მასალაზე ეს ასე აისახება:

სტატიკური	გარდამავალი
აწმყოხოხტაჟა “უხატია ის მას”	I თურმ. ხოხტაჟა “უხატავს მას ის”
წყვეტილი ხოხტაჟან “ეხატა ის მას”	II თურმ. ხოხტაჟან “ეხატა მას ის”
III კავშ. ხოხტაჟუნს “ეხატოს ის მას”	III კავშ. ხოხტაჟუნს “ეხატოს მას ის”
სტატიკურთა რომელი მწკრივების ინვერსიით შეიძლება მიგველო საანალიზო ფორმები?	

სტატიკური	გარდამავალი
მყოფადუსრული ხეხტაჟი	საანალიზო ფორმა ხეხტაჟი
“ეხატება ის მას”	“ალბათ უხატია მას ის”
პირობითურს. ხეხტაჟოლ/-ოჟ (ბზ, ბქ) საანალიზო ფორმა ხეხტაჟოლ/-ოჟ (ბზ, ბქ)	“ალბათ ეხატა მას ის”

როგორც გამოირკვეა, ჩვენ მიერ წარმოდგენილი პირველი ფორმა (ხეხტაჟი) შესაბამისი სტატიკური სმნის მყოფადუსრულის მიედელს იმეორებს, მეორე (ხეხტაჟოლ/-ოჟ (ბზ, ბქ) კი პირობითურსრულისაა. გარდა ამისა, ეს რესულტატული ფორმები სემანტიკურადაც სრულ პარამონიაშია აღნიშნულ მწკრივებთან: ერთი გულისხმობს წარსულის საგარაოდო მოქმედების პირობით შედეგს აწმყო-მყოფადში, მეორე კი ასევე პირობით რესულტატს, ოღონდ წარსულშივე.

ბზ. ხემოლი (“ალბათ უღერია”): აღას მახტანჟ ქიმ ზედლი მჩა გეზლან ზედუი – “ამას რამდენი ცრემლი უღერია ალბათ თავისი შვილის გამო” (შდრ. ქიმ სობიდა – “ცრემლი უღერია”, კონტექსტის მიხედვით ნახული ან უნახაუი, მაგრამ არა საგარაოდო).

ბზ. ხემი (“ალბათ უჯამია”): ლაშგდელჟალ ექლა ხაბჟახ ნიშუემამეჟ ხაჟირო, ერე ეჩაბუნს ესერ ქა ლეჟჟანჟო ხარ, ეშუჟან ღმარ ხემი (სე. პრ. I 1939:831) – “ქელეხი იმტომ მიჩინათა ჩენში საჭიროდ, რომ “საიყოში ნამოსაროგებელი აქესო, ვისი პურიც კი ალბათ უჯამია ამქვეყნად”;

ბზ. ხემჟერი (“ალბათ | იქნებ გაუგია”): ამჟლომ დნნას რაჟჟე ხეთოხელი მმ ი ეჩი მუთოჟი მაწგხ, ჰნს მა ხემჟერი ექ დენჟი (იქვე 146:18:19) – “ამნაირ გოგოს ვესებ მე და იმისი მასწავლებელი მგირდება, თუ ეინმეს რამე იქნებ გაუგია იმ გოგოს”;

ბზ. ხედგარო (“ალბათ იოსუდაეს”): ტარიელს აშორთეჟი დუჟა ხედგაროჟი – ტარიელს ასამდე ჯიხეი ალბათ მოეკლა;

ბქ. ხეცხტაჟი (“ალბათ {მო}უტაცებინა”): არზოჟან გურჩიანს ერთუშედ სიმაჟ ექლან ხეცხტაჟი, ქა მეჟაჟე ღანჟ – “არზოჟან გურჩიანს ოცი ასული მინც მოეტაცებინა ალბათ, განთქმული იყო”.

აღნიშნული ფორმებს ასევე თავისუფლად აწარმოებენ ავტორაქტივები (resp. მედიოაქტივები):

ბზ. ხემგარგინლი (“უკიდავია ალბათ”): მახობეჟი აღ მჩა რუნჟ ხემგარგინლი – “ახალგაზრდობაში ამ კაცს ბევრი უკიდავია ალბათ”;

ბქ. ხეზელანოჟი (“ველო ალბათ”): ბანჩას მიჩა დრეჟეჟი თანდინარჟა მასარდ ხეზელანოჟი! – “ბანჩას თავის დროსე უღელტეხილებზე ბევრი ველო ალბათ.

საანალიზო ზმნებს პრევერბიანი ფორმები არა აქვთ; სწორედ ამიტომ ისინი დიურატიულობის გამოხატავენ (იგივე ითქმის სემოს განხილულ უპრევერბო ენ- სუფიქსიანთა შესახებაც I თურმეობითში). ამ მოსასრულებს მხარს უჭერს ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ ზმნათა ფორმები: შდლ^რე "თოვს" _ ხეშდლ^რე "უთოვია ალბათ"; ხეშდლ^რლ (ბზ), ხეშდლ^რე (ბქ) "ეთოვა ალბათ". მსგავსი სემანტიკის ზმნებში უფრო გამოკვეთილია მოქმედების დიურატიულობა და გამოორცხულია მომენტურობისა. ცნობილია, რომ "დიურატიული ასპექტის სოჯ ნაკეთს მრავალჯისი მოქმედების გამოხატვაც შეუძლია" (მაკავარიანი 1974:129), თუმცა ითვლება, რომ ხოლმეობითი, როგორც გრამატიკული კატეგორია, დღევანდელ სვანურში აღარ გვაქვს (სწორედ I ხოლმეობითის ბადალ მწკრივს უწოდა ვ. თოფურაძე პირობითი). საანალიზო ფორმებში ნოვანსურად სწორედ პირობითობა-ხოლმეობითობის სინთეზაა. საანალიზო ფორ-მათა შინაარსიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მათს შემცველ წინადადებებში ნათქვამის მიმართება სინაფილისადმი ვარაუდის, შესაძლებლობის, დაუზუსტებლობის გამოისატეველია. ქართულში მსგავს ვითარებაში მოდალური სიტყვები მოიშველიება, სვანურში, კი როგორც დაერწმუნდით, აღნიშნული სემანტიკა სინთესურ ფორმებშია ჩადებული. მათი აღწერიითი ფორმები თავად სვანურში უდრის I და II თურმეობითის ფორმები + ნაწილაკი "შერს" (ბზ). მაშუშული (ბქ): "ალბათ":

ხელგარბი = ხოდგარბ მერს? - "{მო}უკლავს ალბათ [ხოლმე]"; ხეტმური = ხოდმურა მერს "უტყუავებია ალბათ [ხოლმე]". თუმცა გამომკართულებისას, რავგარობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სოჯაკრ სხვა მოდალურ ლექსემებსაც ("იქნებ", "ეგებ", "ნეტავ", "ეინ იცის"...) შორიგებს:

ალას ლწი მამგეტუე ხემი(ბზ) - "ამას დღეს არაფერი უჯამია ალბათ", შდრ. ალას ლწი მამგეტუე ხემია? - "ამას დღეს არაფერი უჯამია ნეტავ?"

ალ ლეზიას მამუ ხეფუი, ნწაბიბომუ? (ბქ) - ამ ლეზიას რამდენი უდღვია ნეტავ, მოიხარ-შეზოდა? - შეკითხვა რიტორიკულია; სისუსტის (და არა პირობითობის) შემთხვევაში კი ნამყოს-რული შეცვლის მას:

ალ ლეზიას მამუ ხოფუა? - "ამ ლეზიას რამდენი უდღვია [წამდენი იდუღა?"

სერთხი ნონას დეშომა ხებერგი ი დეშ ადებერგისკ?! (ბქ) - "ვაითუ ნონას არასდროს [იქნებ] უთონხია და ვერ გათონხოს?!" შდრ. ხობერგა "უთონხია";

ალექსანდრეს დემეჯ ხეტმურე, ექნიშ ლამარ დემეჯ წუანდა (ბქ) - "ალექსანდრეს რომ არ წაეითხა (არ აქიროდა წაკითხული), ისეთი წიგნი არ არსებობდა"; შდრ. ხოჭტდან "წაეითხა".

მაშასადამე, ზმნათა აღნიშნულ ფორმებს გამოკვეთილი სემანტიკა და საკუთარი წარმოება აქვთ, რაც განაპირობებს მათ სათანადო მწკრივებად გამოყოფის დიურატიულობას. რაც შეეხება მწკრივთა დასახელებას, მხედველობაში მისაღებად მიგვანია შემდეგი ფაქტორები: ა) საანალიზო ფორმათა პირველი რიგი - ხემარბი "უმსადებია ალბათ" - პერფექტულობაში გათვალისწინებულ დროთა მიხედვით (ნამყო - აწყო) I შედეგობითს ეკედლება, მეორე რიგი კი - ხემარბოლ, ხემარბი (A.E., A.O.) "ეგებ ემსადებინა" (ნამყო - ნამყო) - II შედეგობითს; ბ) სემანტიკურ განსხვავებას I და II შედეგობითსა და აღნიშნულ ფორმათა შორის პირობითობა ქნის; გ) საანალიზო მონაცემებში აქტის ნიუანსი გათვალისწინებული არ არის. აქედან გამომდინარე, ვუჭირობთ, რომ სახელდებისას პირობითობასთან ერთად უმჯობესია, შედეგობითობა ფიგურირებდეს და მათ პირობით-შედეგობით I და პირობით-შედეგობით II ეწოდოს.

თუ შეეჯამებთ სემოსთქმულს, სვანურში III სერიაში ხუთი პერფექტული დრო გამოიყოფა: თურმეობითი (შედეგობითი) I, პირობით-შედეგობითი I, თურმეობითი (შედეგობითი) II, პირობით-შედეგობითი II და კავშირებითი III. პარადიგმა კი ასეთი სახეს მიიღებს:

- თურმეობითი (შედეგობითი) I
- ხოშხა "უწვევს მას ის" ხომარა "უმსადებია მას ის" ხოშდრალა "უთამაშია მას [ის]"
- პირობით-შედეგობითი I
- ხეშხი "უწვევს მას ის" ხემარბი "უმსადებია ალბათ" ხეშდრალი "უთამაშია ალბათ მას [ის]"
- თურმეობითი (შედეგობითი) II
- ხა/ოშხან "[და]ეწეა მას ის" ხომარან "ემსადებინა" ხა/ოშდრან "უთამაშა მას [ის]"
- პირობით-შედეგობითი II
- ხემშოლ დაეწეა ალბათ მას ის" ხემარბოლ "ემსადებინა ალბათ" ხემშდრალოლ "უთამაშა ალბათ მას [ის]"
- კავშირებითი III
- ხოშხენს "დაეწეას მას [ის]" ხომარენს "ემსადებინოს" ხოშდრალენს "უთამაშოს მას [ის]"

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული 1984: არაბული ა. მესამე სერისის ნაკვეთელთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში. თბ.
2. ბერიძე 1998: ბერიძე მ. სტატიკურ ზმნათა ერთი ჯგუფისა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოების საკითხისათვის. საუნუმეროცნობო ძეგლები. VII. თბ.
3. თოფურია 1967: თოფურია ვ. შრომები. I. თბ.
4. მაჭავარიანი 1974: მაჭავარიანი გ. ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. IV. თბ.
5. მელიქიშვილი 2001: მელიქიშვილი დ. ქართული ზმნის უღლებს სისტემა. თბ.
6. ნათაძე 1955: ნათაძე ნ. მესამე სერისის დრო-კიდობა წარმოებისათვის ქართულში. იკე. VII. თბ.
7. სვანური პროზაული ტექსტები. I. თბილისი 1939.
8. შანიძე 1973: შანიძე ა. ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბ.

Ketevan Margiani-Subari (Tbilisi)

Towards the Interrelation of Perfects of III Series and Conditional-Resultative Forms in Svan
(According to Upper-Svan Data)

Generally, Perfect is a complex organic tense in the system of Svan conjugation. Comparing with Georgian, it manifests more semantic loading, that conditions the varieties of affixation according to screeves.

Two kinds of non-preverbal forms of transitive verbs are distinguished in I Perfect: without suffix and with **-ea-** suffix.

The forms without suffix are evidential: they express the result of past in present (*koxtawa* "He/she has drawn it") and it has the understanding of act according to context, more exactly, as a result of adding *esnar* ("supposedly") particle.

The forms with **-ea-** suffix express the result of past in past and fix, that a witness of this action was not a narrator; an act is doubtful without a context.

The transitive verbs with main-preverb are meant in the II order of the mentioned screeves. Their semantics also expresses an unseen action and in other context these verbs do not occur (differently from Georgian; cf.: "mtebi bevṛer damixatavs" "I have drawn mountains many times").

The verbal forms, which are not fixed among the screeves well-known up today, are evidenced in Svan (*xexjawi* "Perhaps he/she would have drawn it"; *xexjawiw* "Perhaps he/she has drawn it"). These verbs are perfective, resultative – they express conditional action of the past with static conditional result in present (I form) or in past (II form). The forms are inversive. They would have passed the same way, as the other screeves of III series. These verbs repr at the models of future-perfect (*xexjawi* "He/she will have down it") and conditional-perfect (*xexjawiw* "Perhaps he/she would have had drawn it") of relevant static verbs (they are semantically close with them) and we believe, that they are their inversed forms. Semantically they are: II Perfect + particle "albat" "perhaps".

Thus, the above mentioned verbs have:

- a) specific semantics – conditionality, which differs them from I and II Perfects;
- b) own form;
- c) resultativeness;
- d) inversiveness.

We think, that all these make essential to separate them into screeves and to give a place in III series. As in the context of these forms (owing to conditionality) an act is not meant. According to our view, it is better to mention conditional-resultative in their names (instead of perfect) and name them conditional-resultative I and conditional-resultative II.

ლახარო დოლაქის ხოფარი ჰილოაჲის თანამდროჲაჲ პრობლემაჲი

ლახეთის დიდი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკაში მდებარეობს. შავი ზღვის სანაპირო ზოლი ოლითგანვე ამ ტომით იყო დასახლებული. ჩვენი მეცნიერები თითქმის ასი წლის წინათ ყოფილან აქ და ჩაუწერიათ მნიშვნელოვანი ტექსტები. მათ შორის იყვნენ ბ-ნ არნ. ჩიქობავა, იოსებ ყოფშიძე, სერგი ულენტი. შემდეგში ტექსტების შერგობება ძირითადად გრძელდებოდა საქართველოს ერთადერთ ლახურ სოფელ ხარფში. ამას სათავეში ედგნენ ქ-ნ ირინა ასათიანი, ნათელა ქუთელია, ბ-ნ გურამ კარტოზია, ომარ ჩემიშიძე...

ლახურს თავისი კილოკაგები აქვს: ხოფური, არქაბული, ვიწური და ათინური. აჩქერად ჩვენი კვლევის ობიექტი ხოფური კილოკაგია. ბათუმის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა გასვლითი ექსპედიცია სწორედ აქ მოაწყო. მიზანი კილოკაგში თურქული ელემენტების დასებნა და შესწავლა იყო. დიდი მეცნიერების მიერ ჩაწერილ ტექსტებში გაცილებით ნაკლები თურქიზმებია და ჩანს უკეთესი ლახური, ვიდრე დღეს გვხვდება. ლახურის დიალექტებიდან ხოფურში უფრო მეტია თურქული ელემენტი, ვიდრე დანარჩენ კილოკაგებში. ეს განაპირობა პოლიტიკურ-ისტორიულმა მდგომარეობამ, რომელზედაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ექსპედიციის დროს დაერწმუნდით, რომ სიტუაცია საკმაოდ შეცვლილია, რამაც ძალიან დაგვაღონა. ახალგაზრდები ლახურად თითქმის აღარ საუბრობენ, უჭირთ დიალექტში შემოსვლა, ლახურ სიტყვებს ვერ იხსენებენ და მათ ნაცვლად თურქულს ხმარობენ. თუმცა გააჩნია რესპოდენტსაც. თუ იგი ასაკოვანია, მშვენიურად მეტყველებს და თურქული ელემენტები მის საუბარში უფრო ნაკლებია. თუ კი ნაყოფსებო თურქულად ნახშირი სიტყვის ლახურ ფორმას, ხშირ შემთხვევაში რუსპოდენტი იხსენებს და გახსუსობს კიდევ.

ყოველივე ეს განაპირობა ამ ტერიტორიაზე არსებულმა ორენოვნებამ. მოგეხსენებათ, რომ ისტორიულად ეს ნაწილი ძალიან გვიან შევიდა თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. XVII საუკუნეში ტრაპიზონი და ერსურუმის ტერიტორიები ეკავა ლახ მეთაურს ჯჯანიკლი ალი-ფაშას. შეიძლება ითქვას, მას ჰქონდა სახელმწიფო სახელმწიფოში, იგი არ ექვემდებარებოდა სულთანს და დიდ ბრძიდებსაც აწარმოებდა მის წინააღმდეგ.

ორდასაც ენის შესახებ ვსაუბრობთ, განათვალისწინებულა, რომ ენათმეცნიერული პრობლემები ხშირად დაკავშირებულია პოლიტიკურ და ისტორიულ მდგომარეობასთან. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. რეგიონის დაცემის შემდეგ ხოფის მიდამოებში შემოსულ ოსმალთა ჯარს მოსახლეობა ლახურად მეტყვევდა ლახური დახვდა. ისტორიული ფაქტორის ცვლილებასთან ერთად შეიცვალა ენობრივი სიტუაცია. ამიტომაც ჩვენი სასიხადულო მეცნიერების მიერ ჩაწერილ ტექსტებში უფრო სუფთა ლახურია, ვიდრე სხვნი ჩვენი ჩაწერილში.

სახელმწიფო თურქული, ენა თურქული, სკოლა და განათლება თურქული, შედეგად მივიღო, რომ ლახური მხოლოდ საოჯახო ენად იქცა და ისიც ძირითადად ასაკოვანი ხალხისთვის. არსებობს რამდენიმე მაღალი სოფელი, სადაც უფრო შენარჩუნებულია ლახური. ესენია: მხიგი, აზლადა, მაკრიალი.

ახალგაზრდებმა ენა იციან, მაგრამ ისე კარგად არა და ამ „ისე კარგად არაა“ იგულისხმება, რომ ძირითადი თურქულია და მცირედ ლახური.

ორენოვნებამ და ძლიერი ენის დომინირებამ პატარა ენა დაევიწყებამდე მიიყვანა. ისტორიულად ასე ჰორდა მცირე ერებს და პატარა ენებს. სამწუხაროდ არც ლახურის კილოკაგებია გამონაკლისი. საილუსტრაციოდ მოვიყვანო სხვადასხვა ასაკის ორი რესპოდენტისაგან ჩაწერილ ტექსტებს: რესპოდენტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ასაკით, ასევე ენის ცოდნითაც.

ხოფის რაიონის სოფელ მსიგის მცხოვრები 57 წლის ქალბატონი თულაი აიდინი თავის ქორწილს ასე აგვიწერს:

„დულენი აშო მიხიენეს. კონი ჩქიმქ ვიტო არ თანე პილესული მომიღუ. ოხორის ოთხო დაღუმე ვორტო. ენ ჰიტა მაჟორტი. ბიჭი ნანას ვა უყურენტუ. ბაბას ოიოლუ უნტუ. ნანაქათი მთელი ბოროფე მუში გამაახუ. მა ხნი ფორკა მოჩიტბტუ, თის გეთევი მუთუ ვარ მიღულტუ. დუგუნი არ ქლის ტუ და უქსხუმე მამიყუნს. მითი-დამთეუ ოხოის ოთხო ჯუბა ქორტუ. თიოქლამი ვიტო ვურ ვორტო: ქიმოლი ჩქიმე მთელიშენ ჰილა ტუ, ამა დილო ეჩილიმთ დო ამა ოხოი დობოდილო. ეკულე სუმ დონუმი ჩაი ქილოროგო. ოიალიმუთენ დოიაბუნი. ქიმოლი ჩქიმე გურბეთის გოხტუ. ბერეზაი მა ოხოშქედუ, დოორდს, ვოკითახვი, ეკულე დოიჩილი. არ გელინი გურჯი მიყოუნ ბორჩაშენ. მაჟურანი მხიგიშენ ეენ. ჟურითი ხოფას სქიდუნან. PTT-ს იიალიშეფს. ბერე ჩქიმე დილო დინჯი რენ

გვლინი თი ემკათა მიყოუნ. დიდო კაი გვლინი მენ. ე ნა მოხთას დიდო დუღია მიხვენუფს. ონტულეში დუღია ვა უჩქინ. ოხორიმუშისთი ენ ჭიტა ნა ტუ ნანა-ბაბაქ ეა ოჩალიშაფუ. მან დიდო რაზი ვორუ. იშთუ აშო მენ ჩქიმი დუღიაფუ. აწი კილო მეფჩაჩინონ ხოლო დო კუნხეფეს ამელიათი ვიხვენამირონ. ბერე ჩქიმეფეს დიდი დუგუნი ეუხენი. ხავესობა ეპაიდი დო მანთი დიდო ფხორონი. აშოთენ აქშა ქომოფითო. ჩქეა მუ გიწკა ვა მიჩქინ."

2007 წელი, 12 აგვისტო

Bilezik – სამაჯური

Düğün – ქორწილი

Köy – სოფელი

Toplam – მთლიანად

Ama – მაგრამ

Çalışmak – მუშაობა

Dönüm – მიწის ნაკვეთი 1000²მ.

Gürçü – ქართველი

Dinci – მორწმუნე

En – ყველაზე

Razi olmak – თანხმობა

İşte – აი

Ameliyat – ოპერაცია

Haveslik – სიამოვნება

მიუყენილი მაგალითიდან ჩანს, თუ რამდენად მოახდინა გავლენა დიდმა ენამ ლაზურ მეტყველებაზე.

სოფ. პარანთეში მცხოვრები 20 წლის ბიჭი ოსმან ქომური, რომელიც ხოფაში ერთ-ერთ სასადილოში მიმტანად მუშაობს, გვიამბობს:

„ლაზური ჰიჩ კაი ვა მიჩქინ. ნანაქ დო ბაბაქ მიღაღაღანან ამა მთელი ვარ დუმუმორუმ. ოქული აქ ვოჩოღინი. აწი ბურადა ჩალიშოირუმ. საათ დოქუსდა – ნჩხოვროს მოეულუ. აქჩამიშა აქ ვოე. სონრა ბინაშა მევეულუ. საბაძლეინ ბურადა გვლიმორუმ – მოეულუ. გურჯისტანიშა გვეჯეკიმ ექ მსქეა კულანეყე რენან. მოფთაში მუსაფირი მემსდიფ ი? ჭიტა ფარა კაზანაჯაიმ დო მოფთარე. ჩაი მოგოდა ვა გინონი? ანღლა მჩხოფა რე, სიჯაქ. აწი კაითენ."

Hiç – სრულიად, სულ

Duymak – გაგება

Okul – სკოლა

Burada – აქ

Çalışmak – მუშაობა

Dokuz – ცხრა

Akşam – საღამო

Sonra – შემდეგ

Bina – საცხ. ადგილი

Sabahciyin – დილით

Gelmek – მოსვლა

Gürçistan – საქართველო

Kazanmak – მოგება

Sıcak – ცხელი

მოცემული ტექსტებიდან ნათლად ჩანს ის მიძიმე მდგომარეობა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ვიმედოვნებთ, დანარჩენ კილოკაეებში ეს პროცესი უფრო ნაკლებად აქტიური იქნება. მასზე საუბრის საშუალებასაც იმედია მომავალში ჩატარებული ექსპედიციები მოგვცემს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ali Puskulluoğlu. Türkçe sözlük. Ankara. 2004.
2. Hasan Ere. Türkçe sözlük. Ankara. 1988.
3. Lia Çlaidze. Türkçe gürcüce sözlük. İstanbul 2001.
4. Reser Toparlı. Türkçe sözlüğü. Ankara. 2005.
5. В. Г. Шербинин. Русско -турецкий словарь. Москва. 1989.
6. А. Н. Баскаков. Турецко- русский словарь. Москва. 1977.

Lile Tandilava (Batumi)

The Modern problems of Laz- Khopian Dialects

There are many Turkish elements in Laz- Khopian dialect, the number of which is remarkably increased during the last 60 years. This fact in Khopian dialect is caused by bilingualism -as the official language is Turkish, its natural that the process of getting education reduces the Laz lexis.

Thus, the reason of increasing Turkish elements is obvious and at the same time deplorable.

ინტარლიალაქბარი ფორმაი გურიამი ჩაწერილ პელოცეპი

გურული კილო ენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი, ერთი მხრივ, ქვემოიზერულთანაა მჭიდრო კონტაქტში, მეორე მხრივ კი - აჯარულთან. ეს ფაქტი თავისებურ დღეს ასეავე ქვემო იზერულია და აჯარის მოსაზღვრე სოფლების მრავალფეროვნებას. მთავარი მიზეზი ისაა, რომ თვით გურულში შეიმჩნევა საკმაო კილოკაფური დიფერენციაცია. ამგვარად გავრცელებული კლასიფიკაციის მიხედვით, გურულ დიალექტს ორ კილოკაფად ყოფენ: ზემოგურულად და ქვემოგურულად, მაგრამ ასეთი დაყოფა პირობითია (გიგინეიშვილი... 1961:413).

გურულები არიან „ენა ტებელ-მოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით, მესხთაებრ, არამედ ქართულისავე უნისანი და არა სხვისა“ (ვახუშტი 1942, 420). მაშასადამე, მესხებით სალიტერატურო ენით ლაპარაკობენ უმეტესად-ობრანებდა ვახუშტი ბატონიშვილი XVIII საუკუნეში.

რა ხდება დღეს?

გურული ტექსტების ადრინდელი პუბლიკაციებისა და ჩვენ მიერ ოზურგეთის რაიონში ჩაწერილი მასალების მიხედვით, გურულები სულაც არ ლაპარაკობენ სალიტერატურო ენით, მით უმეტეს მესხებით. შედარებით მეტადრად ამგვარი ქართული შემორჩენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხებიდან გავრცელებული ხალხური სიმღერებისა და ლოცვა-შელოცვების ენაში, რომელიც ინტერდიალექტური ხასიათისაა.

ხალხური პოეზიის ენისა და დიალექტური მეტყველების მექანიზმების განსხვავების „მოხელთება“ თუ სათანადო დეფინიცია გარკვეულ სინდრომებთანაა დაკავშირებული. საქართველოს ყოველ კუთხეში ჩაწერილ დიალექტში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კონინესთვის, ანუ „სათემთაშორისო ენისთვის“ (6. მარი) დამახასიათებელი დიალექტისა და გრამატიკული ფორმები, რომლებიც შედარებით ნაკლებად გვხვდება გურულ ფოლკლორში.

გარდა ხალხური სპირიტუალიზაციისა და დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებისა - იმოჯაუროს არა მხოლოდ ერთი ქვეყნის შიგნით, არამედ ერთგვარი სიუჟეტები გავრცელებულ რაზმდენიმე ქვეყანაშიც კი, მსგავს შემთხვევაში არქაიზაცია დავლდია არა მარტო დიალექტის რიტმისა თუ რითმის კონსერვატიულობის გამო, არამედ იმიტირაცია, რომ შესაბამისი ტექსტები შელოცვით ხასიათისაა. მაშასადამე, ფოლკლორის ენობრივი თვისებების გაცნობის ახდენს ენობრივ მომენტზე, თუმცა, ეფექტური, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება საქმე გვექონდეს ლაბილურ მონაცემებთანაც: სალიტერატურო ქართულსა და ყველა დიალექტში წარმოდგენილი ნომინატიური კონსტრუქციის პარალელურად დასტურდება ერგატიული კონსტრუქცია იქ, სადაც ეს სრულიად ბუნებრივია დასავლური ქართულისათვის, თანაც სოფლადურ ენისა და იმავე ტექსტებშიც კი:

“მევიდა ერთი ტურა ქვეყალი ურია” (ქედენტი 1936, 199. სოფ. სემიონეთი), შტრ. “მევიდა ერთმა ტურა ურიაშ”(იქვე, 198, 19)...

ასევე ვერსად დადასტურებთ დღეს გურიაში “სთქვა” ფორმას, მაგრამ ხალხურ დიალექტში გვხვდება და თანაც სხვა დიალექტური თუ ინტერდიალექტური მასალის გვერდით:

“სთქვა ეს თუ არა, უთავაზა

ხმალი ზურაბს ზედ თავზედა,

ოხდათექსმეტ ჭრილობასა

დიეთვილიდენ მის ტანზედა”

(იქვე, 157, 25-29. სოფ. სურები)

ვისაც შეშლოცველის ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები მოუსმენია, დაგვემოწმება, რომ ეს, უწინარეს ყოვლისა, პოეზიაა; მაგიური ძალით „აღჭურვილ“ მოუბარს ნაკლებად აფიქრებს ტექსტის გარეგანი, ფორმალური მხარე. მისთვის არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა, დიალექტად აღიქვამს თუ პროზად მიიღებს მის მხარე სათანადო მაგიური ქმედების თანხლებით შესრულებულ შელოცვას.

შელოცვა ბევრი რამით იმსახურებს საგანგებო ყურადღებას, იგი აღძრავს და აღვიძებს ცხოველ ინტერესს. იდუმალებისა თუ მოულოდნელობის ეფექტი, რაც ჭეშმარიტი სიტყვიერი ხელოვნების არსებითი ნიშანია, თვალნათლივ ჩანს და იგრძნობა შელოცვაში. რაც უფრო მეტი „გაუშიფრავი“ დიალექტია მასში, მით მთავრია ჩვენი წაიღილი, ბოლომდე ჩაწვდეთ სახელიანი თუ უსახელო ავტორის ჩანაფიქრს.

შელოცვაში ნიშნდობლივია გაბუნდოვანებული სიტყვებისა და ფრაზების (რასაც „აბრაკადაბრა“ უწოდებენ) სიჭარბე. მისი ტექსტი მკიდრო კავშირში იყო ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სინამდვილესთან. ყოფით გარემოსთან (იგულისხმება სამკურნალო და სამეურნეო ხასიათის შელოცვები). თვალნათლივია შელოცვების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებათა თავისთავადობა, მაგალითად: „თოლნი ჰქონდეს ცეცხლისანი, თმანი ჰქონდეს აღისანი, ფეხნი უუდ-მართის ჭიქისანი“, „ქრისტეს ნკით დაწერლი ვარ“, „შემამაშაღნეს წარბნი სიკედლისანი“, „პირშავმა შავმა ჭიამა დამზამა ხარით ნახნაჲ“.

შელოცვებში შავი და წითელი ფერი მოუხველეთთან, სიკედლთან არის ასოცირებული, ხოლო თეთრი ფერი – საზეიმოსთან, ხილულ სამეაროსთან;

„კაიხია შავი კლდე, გამოვიდა შავი ცხენი“,
 „წითელ ხუცესსა წითელი ხარი შეება,“
 „თეთრი ქორი მოვიდა, თეთრი ფერი მოგიტანა“,
 „მწონეს მინდორსა მწონე ხე იდგაო“.

(ტექსტი ჩვენ მიერ ნაწერილია ოზურგეთში, სოფელ ბახეში)

დღეს არც უფრო და არც ქვემოთურულ ცოცხალ მეტყველებაში ნარიანი მრაველობითის ფორმები აღარსად იხმარება, მაგრამ ლექსთწყობის არქიტექტონიკამ ისინი აქამდე შემოგვინახა. იგივე სიტუაციაა ემფატიკურ ხმონებთან დაკავშირებითაც:

“ჩვენ ვიყავით სამ-ნი ძმან-ი
 სამებისა ძალის-ან-ი”;

“ნურც მომჭრი თმასა აღისასა,
 ნურც მომტეხ წვიხა ჭიქისასა”

(ქედრტი 1936-218. ტექსტი ნაწერილია ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში).

„უემურის ლოცვაში“ ისეთი სალიტერატურო ქართულია წარმოდგენილი, რომ საქართველოს ყველა კუთხის წარმოდგენელს შემურდება:

„იმ დაწყედილმა ეშმაკმა რა საქვე ქნა საბაგელი!
 ჯოჯოხეთი ააშენა, ძნელათ მოსაბრუნებელი,
 მოდიოდა შავი წყალი, მას მოქონდა შავი გველი,
 ჩაყო მთორახი შავი, ამოიღო დანა შეტარაინი,
 პირსახოცი გაჭრა, გველი შავი ამოიღო,
 წამალი შავი დასდუა“ (იქვე, გვ. 186).

მაგრამ შემდეგ ამ სტრიქონებს მოსდევს გურული დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების შემცველი ლექსიკა თუ გრამატიკული ფორმები: „ეჟსო^ჲცისო (ანლაუტური ფონემის დაკარგვა), ქრისტემ შუუთვალა (ხმოვანთა სრული ასიმილაცია), მეც მაქეთ ვარ მოსასლელი (გ თანხმოვნის დაკარგვა ინლაუტში), ისე გაგისთი (<გა-გ-ი-ხლ-ი, დ თანხმოვნის დაყრუება ხ-ს მომდევნო პოზიციაში) ჯოჯოხეთს, აღარ ქონდეს (<ქონ-დ-უ-ს, ირიბი ობიექტური პირის ჰ-პრეფიქსის უუალებელყოფა) საფუქელი“ (იქვე).

სოცირთი შელოცვის ტექსტი იმდენად ძველია, რომ იგი უცვლელად გადადის საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში, ან ერთი თაობიდან-მომდევნოში. აქა-იქ თუ გამოჩნდება ადგილობრივი დიალექტისთვის დამახასიათებელი მორფონოლოგიური მონაცემები:

„გულო, გულის ალაგს! გულო, რამ შეგაშინა!
 გულო, დედამ შეგაშინა! გულო, მამამ შეგაშინა!
 გულო, შინაურმა შეგაშინა! შუადამიშე შეგაშინა“.

(იქვე, „მაენებლის ლოცვა“)

კიდევ უფრო არქაულია ისეთი ტექსტები, სადაც სრულიად უცხოა ამა თუ იმ ლექსების სემანტიკა თანამედროვე ქართველსათვის, რომლისთვისაც შეიძლება მხოლოდ ერთი-ორი სიტყვის მნიშვნელობა იყოს გასაგები:

„აწი ვარი, თავით, სხადუ, შტკრდი, ვერთა ვაცლი,
 აუბი, კატოლი, ცრიცი, რაოლი, ცრიც, ზაპერი, სვა,
 დაცვა, ჩამა, თისა, ქესკალუ, პურუ, აქლოუნი, მაწი,
 შოშკა ცეხლი, ყპესენი, პაკლანიკო“.

(იქვე, „მოჯადოებულის ლოცვა“)

შემლოცველს სჯეროდა, რომ სიტყვას ავადმყოფის განკურნება შეეძლო. დღესაც შელოცვას არაერთი ზიანი არ მოაქვს ჩვენთვის, პირიქით—მისი „ახლით განჩნება“ მეტ ყურადღებას იმსახურებს ჩვენი მხრიდან.

გურიაში წავაწყდით ასეთ შელოცვას: „უძრავი იძირება, ძრული დადგება“, რომელსაც „შეწვენილისა“ ჰქვია და თურმე ფეხმძიმობის დროს იყენებენ. მასში არაერთი ისეთი სიტყვა და გრამატიკული ფორმა გვხვდება, რომლებიც სხვა დიალექტებშიც დასტურდება.

ლინგვისტური თვალსაზრისით, შელოცვა ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი მონაცემია, რომლის მეცნიერული შესწავლა საინტერესო შედეგებს მოგვცემს.

ბუნებრივია, შემლოცველთა მცდელობა, რაც შეიძლება ბუნდოვანი ყოფილიყო ტექსტი მისი მაგიურობის ხარისხის ასამაღლებლად, რათა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის იგი მიუწვდომელი (გაუგებარი) გამხდარიყო.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ხშირად თანამედროვე ცოცხალი მეტყველება უფრო მეტ სიძველეს წარმოგვიდგენს, ვიდრე რამდენიმე ათასი წლის მწერლობის მქონე ენები (ნ. მარი). სწორედ ამ დებულების ილუსტრაციად გურულ დიალექტზე ჩაწერილი შელოცვების ენა, თუმცა ისიც არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ მასში „ორგანულადაა შეხამებული ფორმაციისა და საკუთრივ დიალექტური ინოვაციის შედეგად წარმოქმნილი მოვლენები“ (ჯორბენაძე 1989:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვახუშტი 1942: ბატონიშვილი ვახუშტი. „გეოგრაფიული აღწერა საქართველოსა“. თბ.
2. გიგინეიშვილი. 1961: გიგინეიშვილი ივ. თოფურია ე. ქათარაძე ივ. ქართული დიალექტოლოგია. I. თბ.
3. ელენტი 1936: ელენტი ს. „გურული კოლო“. ტფ.
4. ჯორბენაძე 1998: ჯორბენაძე ბ. „ქართული დიალექტოლოგია“. ტ. I. თბ.

Nino Dolidze (Batumi)

Interdialectal Forms in the Incantations Recorded in Guria

In publications of Gurian texts, and the materials recorded in the Ozurgeti region, Gurians do not speak the literary language at all. The local speech is relatively well preserved in folk songs and incantations that have penetrated into Gurian speech from different regions of Georgia; the latter is of inter-dialectal character. For example:

ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი სამებისა ძალისანი

Cven viKavit samni Zmani samebisa Zalisani

“We were three brothers having the power of Trinity”.

(Zhgenti 1936:218. The text is recorded in Chokhatauri, the village of Khidistavi)

The kind of literary Georgian presented in the “Spell of the Evil Eye (Ujmiri)” could be envied by Georgians from every corner of the country:

“იმ დაწვევილიმა ეშმაკმა რა საქმე ქნა საძაგელი! –

ჯოჯოხეთი ააშენა, ძნელათ მოსაბრუნებელი”.

im dawKevilima eSmakma ra sakme kna saZageli! –

JoJoxeti aaSena, Znelat mosabrunebeli.

“What a cruel thing the cursed Evil has done! –

It has built the hell, difficult to reverse” (ibid :186).

Texts where the semantics of only one or two lexemes are understood by Georgians are more archaic.

„აწი ვარი, თავით, სპადუ, შტერდი, ვერთა ვაცლი,

აუბი, კატოლი, ცრიცი, რპოლი, ცრიც, ზაპერი, სვა–

“Awi vari, tavit, spadu, Sterdi, verta vacli,

aubi, katoli, wriwi, rpoli, wriw, zaperi, sva...

(Recorded material “Prayer of the Bewitched”)

One can easily understand the spellers’ attempt to make the text more obscure to increase its magic power and make it inaccessible to ordinary mortals.

ნაცვალსახელთან დაახვედრებული თაყვისებურებანი
იმერხელაში

იმერხეული კილო ქართული ენის დედამდინარის ერთი ძლიერი შენაკადია. იგი იმერხეველი ქართველების დედანაა. იმერხევი, ისტორიული სამხრეთ საქართველოს შემადგენელი ნაწილი, ტოკლარჯეთის ერთ-ერთი კუთხეა; ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში. კერძოდ, იმერხევი წარმოადგენს ართვინის ეილაეთის შეეშეთის რაიონის ერთ ლაბაზ მხარეს-მდინარე ფაფარათის ხეობას.

იმერხეველი ქართველები ორენოვანი არიან. მათი ოფიციალური, სახელმწიფო ენა თურქულია, საოჯახო (შინაური) ენა კი ქართული. იმერხეველთა ქართული, 450 წლის მანძილზე დედანის დარჩენილმდებარებულ კონტროლს მოკლებული, თურქულ ენობრივ გავლენაში მოქცეული, ენის განვითარების შინაგანი კანონების მოქმედების შესაბამისად, განვითარდა და დამოუკიდებელ კილოდ ჩამოყალიბდა. თურქული ენის ყოველდღიური გავლენის მიუხედავად, მან შეინარჩუნა თავისი ფონეტიკური სისტემა, გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. იმერხეულის მაგალითით ერთხელ კიდევ წარმოინდა ქართული ენის ძლიერი ბუნება, მისი სიმტკიცე, გამძლეობა და უცვლადება.

იმერხელმა კილომ დღემდე შემოინახა ნაცვალსახელების ძველი ქართული ფორმები, ასეთ ენობრივ ერთეულებზე აღმოცენებული დიალექტისმები და თურქულის გავლენით შექმნილი უცხო ლექსიკური ერთეულები.

კერძოდ: ა) პირველი პირის ნაცვალსახელი მე აქ-იქ გვხვდება შენა-ფორმით, როგორც ეს დღესაც თურქულთა ძველ ქართულში: დაიცვენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მენ (იმნაიშვილი 1957:488); დარჯებით (ბიჭებითურთ) მენაც სამუსაფიროთ (სასტუმროდ) ეიყავ წესული; (საანალიზო მასალა აღებულია წიგნიდან-ფუტკარაძე 1993); მენაც დემეითხეს; მენა ეაკეთფე ამ სახლსა; მენა დიმიჭრა მექთუბი (წერალი); მენა ვეყურები თქუნსკე სერიებოდამ... როგორც საენათმეცნიერი ლიტერატურაშია აღნიშნული, მენა-ნაცვალსახელში თ-თანხმოვანი ისტორიულად ივარდებდა (შდრ. ჩვენ, თქვენ, შენ). ამ ფორმის შესახებ ბევრმა ენათმეცნიერმა გამოთქვა თავისი შეხედულება (ჯავახიშვილი 1937: 428-454, ჩიქობავა 1936:72; 1937:36; ჯღენტრი 1956:243; მარტიროსოვი 1964:84-89; იმნაიშვილი 1957:488; გამყრელიძე 1959:36-50).

მენა-სიტყვა სხვა შემთხვევებში მიღებულია მე-პირველი პირის ნაცვალსახელისა და უნდა-ნაწილაკის შერწყმით (ელისიის შედეგად). უნდა-ნა. მე უნდა-მენა: ეს ქითაბი (წიგნი) მენა (მე უნდა) გამოქუი; ფარა მენა გუდევადაო; ბაურსას მენა წამოქუეე... ასევეა ზემოაჭარულშიც.

ნაცვალსახელი-მე ცნაწილაკის დართვისას მოითხოვს ა-საერცობს: არყის კეე გამოვიღან, მომცენ მეაც; ის ნათქვამი მოგონდა მეაც; ისტანბულ წასლა შამატყობით მეაც... (შდრ. ძველი ქართულის-„არღრა მიცი მეა“. იმნაიშვილი 1957:491). როგორც ჩანს, იმერხეველთა მეტყველებაში საერცობა-ს გამოყენების არე საკმაოდ ერცელია, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს კილოებში. იგი დაერთვის სმოენის დაბალირებულ პირველი პირის ნაცვალსახელსაც კი (ფოცხიშვილი 1959:337; უთურგაძე 1986:41).

ნაცვალსახელები-ესე, გეგ, იგი, ისი შეიძლება იშვიათად შეგხვდეს იმერხეველთა მეტყველებაში მესამე პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ფუნქციით: ესეც ისმეილას ზალია (რძალია); იქეთ გააწურე (გასწიე) გეგ; გეგ დეყოური მე მეშეცი; ესე დენაა ეწუელას მაიწროფს; ისიც წაყოლია ბურსაც; იგი კავანოსი (ქალა) შუშისა იყო... როგორც ცნობილია, ისი-ნაცვალსახელი ძველ ქართულშიც იშვიათად იმზარებოდა. „სადაც გვხვდება, იმასვე აღნიშნავს, რასაც ძველ ქართულში გაბატონებული იგი. იგი და ისი ერთიმეორის ბაღალი სიტყვებია (ა.შანიძე 1953:43). გეხვდება იგორე/გეგრე სახითაც: იგორე ყარფუსი იმწაწინ; სად არი იგორე ქითაბი? (იგორე-იგერე)...

აჭარულის მსგავსად, გეხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელი მეგ, რომელიც მიღებული ჩანს ეგ, მაგ-ნაცვალსახელების კონტამინაციით (ნიგარაძე 1975:124); მეგაც ლაბაზი სოფელია; მეგ კაცი არ ღამწონდა; მეგ არი, იშტა (აი)!...

მისაზღვრელად წარმოდგენილი ჩვენებისი ნაცვალსახელები-ეს, ის ზოგჯერ მართოდენ ხმოვნითი ნაწილით გვევლინება: **ო ხე რატომ მოჭარი?**; ფინათ (ცუდად) **მეექვცე ე ნუსუბითი (მსაქეარი, ბორატი); ე ბაბი სა წველა?**; **ი ნაწრეტი წყლები დავაქციე (დადევარე)**...

იმერხეულთა მეტყველებაში იშვიათად შეგხვდება **ფერ** და **თანა-კომპონენტიანი რთულფუძიანი ჩენებითი ნაცვალსახელები**: ჩემი **ზღიები (რსლები) ამფერი იგითი (მამაცი) არიან**; **ყნელამფერზე დეიფუცუნება**, **ღმერთის გარდაჩუნეთან მავითანაი ადეთები (წესები) არ არი**; იმითანაი სახლები აქა არ გტაქ (გვაქე).... რთულფუძიანი ჩენებითი ნაცვალსახელებში ხშირად **ფერ**, **თანა შეცვლილია თურქული სიტყვით სოჲ (აყ-სახე, ჯეში, გვარი)**: **ამსოჲ ლაპარიკი არ მიუწარს**; **იმსოჲ დუგუბი (ქორწილი) აღარ ეციოთ**; **მაგსოჲ ჭრელი მეცე ეციოთ**...

ჩენებითი ნაცვალსახელები-ამდენი, იმდენი გეხვდება დიალექტური ფორმით- **ამდენეთი, იმდენეთი**: **ამდენეთი გახედი, აგზე გამუელ**; **ამდენეთი მარილი არ უნდა ამ შორეასა**; **იმდენეთი ილაპარიკა, თავი ამატკინა**; **იმდენეთი ფარა სა წვილი?**...

ერთნაირი, ერთიდაიგივე აღარ გამოიყენება, შეცვლილია თურქულის გზით შემოსული არაბული წარმოშობის სიტყვით აინი (ayna-ერთნაირი): **სახელები ართინი და ლივანა -ანინა**; **შენი და ჩემი ნათქუამი -ანინა... სხვანაირი, სხვაგვარი კი გადმოიცემა თურქული სიტყვით -აირი (ayrı): ჩუნა აირი ურუბა (ტანსაცმელი) გუტეკუა**; **აირი-აირი გემო ქონდა საჭმელუბასა**...

იმერხეულში, მომჩვენავ აჭარულისაგან განსხვავებით, შინაარსობრივად ერთმანეთისაგან გარჩეულია **თავისი და მისი კუთვნილებითი ნაცვალსახელები**. აჭარულში **თავისი არ გამოიყენება**. იგი შეცვლილია მისი-კუთვნილებითი ნაცვალსახელით (მაგ. ბიჭმა მის თავზე ვილო დანაშაული. ნიჟარაქე 1975:125). იმერხეულში მისი-ნაცვალსახელი თავისის ნაცვალად არ შეგხვედრია: **თავისი ბაქალა იმ კაცსა მისცა**; **თავისი ყათანი (სამშობლო) მოპსურდა**; **შეშასა ყნელაი თავისთინ მიიტანს**; **სიმამრსა ერთი ღარტი თავისთანა დევედუმლებია (თავისთან უნდა დეახსახლებინა)**; **ისმეთი მებუსეთ (დეპუტატად) თავის პარტიამ გამაჲყენა...** ამ მხრივ იმერხეული აღმოსავლურ ქართულ მეტყველებას მისდევს.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელები-თითონ, თავად გეხვდება **თავითი, თავეთ-ფორმით**: **თავითი გეირა იქით და დაქვდა**; **თავით ველარ მიოდა ჩუნსას**; **თავით მოქდა, ქალი ცოცხალ არი**; **თავითაც (თითონნაც) იქნებიან დეღამთილები**; **თავეთ ჩამატეიქუნანეს ცხუარი**; **თავეთ ეინცხათინ უნდანან ბაქალა...**

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ყველა არქაული ფორმითაა წარმოდგენილი: აქა **ყნელა მეგვა (ხილი) იცის**; **თუთი ზმარსა ყნელა წელწად შეენახათ**; **სელამი ყნელასა**... შეგხვდება **ყველა-ც**: **ვერ გეიოენია ყველაი ახრება (ნათესაი); ყველაი აქეთ დაერით...**

ნაცვალსახელი ყოველი გეხვდება **ყველ/ყნელ** სახით: **თიდაი სულ ყველ დღე (ყოველ დღეს) გადახედეეთი აჭარას**; **ყველ გაჩინილ დღე ვაქეყნებით ღმერთსა**; **ყველ (ყოველ)საქემს აფერეფს (ახერხებს)...** ყველ გეხვდება ქართლურშიც (ყოველ-ყოველ-ყველ-ყველ. იმნაიშვილი 1974:151). ზოგიერთი სოფლის მეტყველებაში (მაგ., ავარაში) დასტურდება **ყოლი (ყოველი)**: **ყოლი დღე ზამ იჯება (აძვირებს ცხოვრებას) გამოსილი იზალი (ხალხ. ლექსიდან). ყნელ (ყოველ) მიღებული ჩანს (ყოველმულ სიტყვაში გ-თანხმოების დაკარგვისა და თ-კომპლექსში ხმოვანთა დისიმილაციური ეფექტების შედეგად. ე და თ-ხმოვნები ორივესაღო აწეულობის მქონეა. ე განიშვავებს ოს-აწეულობის მიხედვით და აქცევს მას მაღალი აწეულობის უ-ხმოვნად, მომდევნო საფეხურზე განმსგავსების შედეგად უ ვიწროვდება უ-სთან მესობლობაში, სუსტდება და იქცევა ნახევარხმოვნად - ტ-დ (უშარტყვლიდ). ზოგიერთი სოფლის მეტყველებაში ტ გვაქლევს თანხმოვან (ტ-ე) გ-ს (ყოველ-ყოველ-ყოველ-ყნელ-ყველ): ყნელაი აქეერი ვართა; ყნელაი სახლი ჩემი გაკეთებულია; ყნელა ოჯალში დეგედუმლება (დაგედგომება) შენა!..**

ჯავახურისა და აჭარულის მსგავსად (მარტიროსოვი, 1984:60; ნიჟარაქე, 1975:125), **მაგანი, ესა და ეს-ნაცვალსახელების მაგიერად გამოიყენება ამაგალი, ამამაგალი, ამაგალი-იმაგალი**: **უთქეამან (უთქეამთ) ივეთლებსა-ამამაგალმა (ამან და ამან) მოქეიდოს ვირიო**; **ყნელა იხახდა, ამაგალი (ესა და ეს) იყოო**; **მანატბის ყადები (მელოდიები) ამამაგალია (ესა და ესაა)**; **ყარაბალი, ბარი, ათაბარი; ილაპარიკუს ამაგალი-იმაგალი (მაგანი)...**

კითხვითი ნაცვალსახელი ვინ ზოგჯერ გვხვდება მრავლობითობის ებ-ზოლოსართით: ვინები არიან მოსული?; ვინებ დუწრახიან დლოფოვნი?; ვინებმა მოგიტანეს საიუქუარი?...
 კითხვითი ნაცვალსახელი-რა სახელით ბრუნვაში დარბუნენ ნიშანს სრულად (შდრ. ძელი ქართულის რა: რა არს ესე)?; რაი გაქ გუდაზოი, მკითხა; რაი თქუა იმან?; რაი მოგიტანეს, ცე (ციცაე-გოგოე)?; რაი ვიყიდო მარქეთში?; რაი უყიდეს ბაკალასა ნიშანზე?... რაით, რაით, რაი თქესო? რას ამბოფს ბაბაი?... ნაწილაკი უნდა ხშირად ერწმის რა-კითხვითი ნაცვალსახელის სახელობითის ფორმა: რაინა (რა უნდა) მოქსუო, იმბოგრე (იმის მიხედვით) შეხედავ ზაფსა (ძაფსა); გომის კარი რაილა (რა უნდა) ქნას, დაკლიტოს უნდა?...

კითხვითი ნაცვალსახელი რა ო-ხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ, ხმოვანთა კორტიკულაციის შედეგად, ფუძისკულ ხმოვანს იცვლის (აო-ეი). რეგრესული ასიმილაციის შედეგად ა-ხმოვანი იქცევა უ-ხმოვნად, შემდეგ საფეხურზე კი დისიმილაციის შედეგად ო- ხმოვანი სუსტდება, იოტად იქცევა და ბოლოს სულ იკარგება: (რაო-როი-რეა-რე): რე იქნა მემურ?; რე იქნენ იმდენეთი დოხტურები, სა წუღენ?; რამდენეთი მეკითხვის, რე იქნენ შენი მოსაფირები, სა წუღენო?...
 იმერხულში კითხვითი ნაცვალსახელი- როგორი გეხედება არქაული და დიდალექტური ფორმებით: რაგუარა ალაგი იქნება?; იე რა ეიცო, ბაკალა რაგუარა სახლშინა წუღენს?; რაგუარა სიმდერას მებნევი მეო, გახელდა ბებერი; რაგორი მეტუბი (წყილი) მეგებანია, ენახით, აბა; რაგორი ჭრელები (რუქურთმები) იცი?- (რაგუარი-რაგორი: უა-ო). გეხედება რაგურ ფორმაც, ე.ი. დაკარგულია ხმოვანი-ა (რა გუარ-რაგურ): რაგურ სახლებს აშენებდით? რაგურ ქსოვთ ამასა?...

კითხვითი ნაცვალსახელი-სადღური ფონეტიკური ცვლილების შედეგად გეხედება სიდაური/სიდაფ-რი ფორმით: სიდაური ხართა?; სიდაური ადუთა (ჩეყულდება) ესა?; სიდაფრი ხარ შენ, გო? (სადღური-სიდაფური-ა-ა-ო-ა-რეგრესული დისიმილაცია; სიდაფური- სიდაფური → სიდაფრი: აუ-აუ-აფ-პროგრესული დისიმილაცია).

კითხვითი ნაცვალსახელი-რამდენი ზოგჯერ გეხედება რამდენეთი ფორმით: რამდენეთი მოხუელით?; ფარა რამდენეთი მოქცეს?; რამდენეთ დღე დარჩებთი?...

განასწავლეთელობითი ნაცვალსახელი - ვილაცა, რადაცა, რომელიდაცა, დასაგლური კილოების მსგავსად, იცვლიან ფორმას: საწარმოებელი და-ცა-ნაწილაკი შებრუნებული ცა-ლა რიგით გეხედება, თან პროგრესული ასიმილაციით სახეს იცვლის; იკარგება ცა-ნაწილაკისეული ა-ხმოვანი (ცა-ლა-ცლა-აცა): ნუნი ნათესი (ნათესაეი) ვინცხაი იქნება დარჩომილი; რაცხა გითხარი, არ დეიჯერო; მარქეთში ეღე (ეიყოდ) რაცხიები (რადაცაებო-რადცალებო-რაცდალებო-რაცხებო-რაცხიები. თან-ხოვანთა (ცა-ცხ) პროგრესული და ხმოვანთა (აფ-ეფოე) რეგრესული ასიმილაციისა და დისიმილაციის შედეგადაა მიღებული). გეხედება რომელცხა ფორმაც: ჩემი სიმღერა რომელცხაზე იქნება მოფერებული; აარჩიე რომელცხაი; კაი ცხუარი რომელცხა არიო, დაკალითო, გუითხრა ბაბამა... ასეთი ფორმები იშვიათად შეინიშნება ჯავახურსა და ქართლურში (ბერძენი 1988:84, იმნაიშვილი 1974:59), აჭარულში კი ხშირად გეხედება (ნიერაძე 1975:25).

და-ნაწილაკის დართვა ვინ-კითხვით ნაცვალსახელზე იწვევს ბრუნვისნიშნისეული ნ-თანხმოვნის დაკარგვას: შეგუბისთინ (მაგუბის- მაგუბის -მეგუბის) ვილა იცლის?; ვილა აკეთეფს ახლა ზუტელანდურა (ძეულებურად)... უარყოფითი ნაცვალსახელი - არარა ფუძეში ჩაირთავს და-ნაწილაკს: სხუა არდარა ვიცით; არდარა დაქერჩომია ზუტელანდური...

ნაცვალსახელი ემე (შდრ. ქართლური ისემე, ესემე (იმნაიშვილი 1974:201) იმერხულშიც გეხედება იშვიათად მაშინ, როცა მოსაუბრეს რაღაცა (რაიმე) ავიწყდება და სურს მოიგონოს, ყოუნდება და მიმართავს ემეს. ე.ი. იმას, რაც იმ მომენტში დაეიწყდა, უნაცვლებს ემეს: რაგურ მე ემესა, სიმდერას, მებნევი!; ლარტბი ემეშე წუღენს, თუქანში; თასე ემე დოუქამაც, ცხუარი; გ'საში ემე ექენ, მევალე... ემე მრავლობითი რიცხვის ფორმითაც გეხედება-ემეებ (ემიებ): ქერის ემეებ, ნარჩინეფს, მოეკრფავთ ყანაში... შეიძლება ემიებ ფორმითაც იყოს: კაბის ემიებ (ემებ-ემიებ. რეგრესული დისიმილაცია), ნაჭურტლებ (წყილ-წყრილ ჩამონაჭრებს), შეენახათ...

ნაცვალსახელეთთან დაკავშირებული თავისებურებანი იმერხულში ერთხელ კიდევ წარმოაჩენს ისტორიული მესხური დიდალექტური წრის (ეკრთიდ, იმერხულის) მთავარ ნიშანს, რომ ქართული ენის ამ საუფლოში ერთმანეთთან შესავეებულია აღმოსავლური და დასავლური ქართულის ხასიათი, რომ

ამსახველი ძველი შავშეთის დიალექტოლოგიური პროფილისა. ჭოროხის აუზის ლინგვისტური სახე რამდენადმე გამოკრთის სწორედ იმერხეულში, მესხურის ამ პატუაში. იგი ჩვენთვის ძვირფასი ნაშთია იმ თვალსაზრისით, რომ ცნობილი ისტორიული ვითარებების წყალობით თავისებურ ადგილს იკავებს ქართულ დიალექტოლოგიაში... სამწუხაროდ, ჩვენს განკარგულებაშია მცირე მასალა: ტექსტები საქმარისი არ არის, მაგრამ რაც არის, მაინც მნიშვნელოვანია ზოგიერთი დასკვნის გამოსატანად. ამ ხარვეზს რამდენადმე ავსებს ზემოაჭარული დიალექტი, რომელიც, იმერხეულთან ერთად, ისტორიულად მესხური მეტყველების შემადგენელი ნაწილია. ამრიგად, იმერხეული (და ზემოაჭარული) სრულიად თვალნათლივ მიგვანიშნებს ძველი შავშეთ-კლარჯეთის (resp. ჭოროხის აუზის) დიალექტურ სამყაროზე“ (ბიძიგური 1974:23). ამას წერდა სახელოვანი ენათმეცნიერი 1941 წელს და გაიმეორა 1974 წელს. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა საბედნიეროდ. დღეს გვაქვს დიალექტური ტექსტები არა მარტო იმერხეულიდან, არამედ ტაოსა და ნიგალის მხარეებიდანაც, რაც საშუალებას გვაძლევს კარგად წარმოვიდგინოთ ჭოროხის აუზის – ისტორიული მესხური მეტყველების – თანამედროვე ლინგვისტური სურათი. წინამდებარე ნაშრომიც ამ მიზანს ემსახურება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე 1988: ბერიძე გრ. ქართული ენის ჯგავხური კილო. თბ.
2. გამყრელიძე 1959: გამყრელიძე თ. სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი. თბ.
3. იმნაიშვილი 1957: იმნაიშვილი ი. სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბ.
4. იმნაიშვილი 1974: იმნაიშვილი გრ. ქართული დიალექტი. თბ.
5. მარტიროსოვი 1964: მარტიროსოვი არ. ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. თბ.
6. მარტიროსოვი 1984: მარტიროსოვი არ. ქართული ენის ჯგავხური დიალექტი. თბ.
7. ნიჟარაძე 1975: ნიჟარაძე შ. ქართული ენის აჭარული დიალექტი. ბათ.
8. ჟღენტი 1956: ჟღენტი ს. ქართული ენის ფონეტიკა. თბ.
9. უთურგაძე 1986: უთურგაძე თ. ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი. თბ.
10. ფოცხიშვილი 1959: ფოცხიშვილი აღ. მარცვალთლიაობის “ა” ახალ ქართულში. იხ. კაკეჟლიძის საიუბილეო კრებული. თბ.
11. ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ. ჩვენებურების ქართული. I. ბათ.
12. შანიძე 1953: შანიძე ა. ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბ.
13. ჩიქობავა 1936: ჩიქობავა არნ. ჭანურის გრამატიკული ანალიზი. ტფ.
14. ჩიქობავა 1937: ჩიქობავა არნ. მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა. წარმოებისა და ისტორიისათვის. ენიმკის მოამბე. ტ. I, თბ.
15. ბიძიგური 1974: ბიძიგური შ. ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები. თბ.
16. ჯავახიშვილი 1937: ჯავახიშვილი ივ. ქართული და კავკასიური ენების თვადპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფ.

Particularities of Pronouns in "Imerkhevi Dialect"

Imerkhevi Dialect is the mother language of Imerkhevi Georgian. Imerkhevi historically part of Georgia, nowadays is included in the Republic of Turkey. For 450 years the Imerkhevi Georgian were under the great influence of Turkish language. Nowadays they are regarded as the bilingual people, as their official language – Georgian.

You can meet some Georgian archaic and dialectic versions of pronouns, that are rarely used in Arabic-Turkish languages. Demonstrative pronouns such as "ayni and ayri". The given work includes the grammatical and lexical analyses of the mentioned pronouns.

დალის ხეობის ტოპონიმების ლინგვისტურ-ლოგოგრაფიული ანალიზი

ქობის (resp. დალის) ხეობას, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ხალხთა ეთნოსთა, ტომთა გადაადგილების თუ დროებითი განსხვავების არაერთმა გრგობამ გადაუქროლა. ყოველივე ეს, ბუნებრივია, აიხსნა ტოპონიმთაშორის.

ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მიხსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა¹, შუა საუკუნეებში – დალის ხეობა, XIX ს-ში წებელდა-დალის საბოქალო², საბჭოთა ეპოქაში – აფხაზეთის სეანეთი, XXI ს-ში – ზემო აფხაზეთი. სახელწოდებათა ასეთი მრავალფეროვნება თავისთავად მიანიშნებს საქართველოს ისტორიაში ამ ხეობის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე სეანეთის, სეანებისა და უშუალო გარემოცვის მესობელთათვის ეს ხეობა ოდითგანვე იყო და არის დალი (სეან. დწლ; მე-დწლ „დალელი სეანი“ დალ-ზრ „დალელეტი“). სეანურ ხალხურ ღვთაებათა პანე-თეონში დალ-ქაღლესთაებას, როგორც მონადირეთა მფარველს, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ადგილი უკავია.

„Далар (Дал) – Далн сванское божество охоты, –ар афихс принадлежит. Далар означает нечто, принадлежаше этому божеству“³.

ტერმინ დალელეტიან დაკავშირებით საინტერესოდ გვეყენება 1913 წლის ბრძანება მეთაურ მურავიოვისა: „Двинутся к Дальшам и на месте наказать их за то, что они напали на абхазское село Мерхеле, ограбили его и взяли в плен 9 человек“⁴.

ინოვაციური მასალა ერის ენობრივი საგანძურის ფასდაუდებელი განძია, წარსულის მეცნიერული რეკონსტრუქციის მდიდარი და ნაყოფიერი წყაროა, რასაც ენათმეცნიერთან ერთად ისტორიკოსიც იკლავს და იყენებს. უწოდებენ კიდევ ტოპონიმებს „მიწის ენას“ და „მიწის არქეს“.

ენობრივი სიჭრელე, სხვადასხვა ენობრივი წარმომავლობა სახელდების სრულიად განსხვავებული ასაკი და ქრონოლოგია და ისტორიულ წყაროებში, წერილობით მტკიცებასა თუ ადრეულ პერიოდის რუკებზე დაფიქსირება შეიძლება ჩაითვალოს დალის ხეობის ტოპონიმების უპირველეს მახასიათებლად.

სოვადი სურათი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: სეანურია ძირითადად სოფლებისა და უღელ-ტეხილების სახელწოდებანი, მთელი მიკროტოპონიმია, პიდრონიმთა უმეტესობა, აგრეთვე ბერძნული წყაროებით ფიქსირებული გეოგრაფიული სახელები; აფხაზეთა რამდენიმე მთის, სოფლისა და მდინარის სახელწოდება – (მათი რიცხვი სამ ათეულს არ აღემატება). ერთობლების სახელდებ-ბა მეგრული, რუსულენოვანი და გაურკვეველი ეტიმოლოგიის ტოპონიმებიც: ჭიჭე ხუტია, ჯოდორ ზაგზრ, ბელიგარა, ჩემბერკა, დოჟუნ...

სეანურენოვანი ტოპონიმების – დალის ხეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი გეოგრაფიულ სახელთა ჯგუფის კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ასპექტით, კერძოდ – მარკირების, სემანტიკისა და არქაულობის მიხედვით.

სემანტიკური ევლის მიხედვით, „დალის სეანეთის ტოპონიმთაში გამოიყოფა ქვეჯგუფები ნადრობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელებისა, ბოტანიკის, პიდრონიმებისა, ლანდშაფტით განპირობებული და რელიგიური ხასიათის ტოპონიმებისა: დწლდა კოჯზრ „დალის კლდეები“, კლდეშრე ლწკეცრ „ხალდეველთა საჯიხე“, ლამანწ ღარ „მანის ხევი“, ლაყსორ, ლა წინრ „სახარე“. მურეშილწ „კოშკები“, შვალარე ღარდა „სამერცხლე...“

საქვ. ლიტერატურაში შესწავლილია, რომ ქართველური ტოპონიმები ძირითად სამგვარ სტრუქტურულ მოედლს ქმნიან; ესენია ა) გეოგრაფიული სახელები ნულიანი ტოპოაფიქსაციით, ბ) სხვადასხვა ტიპის მატოპონიმისებები (დერეფაციული) აფიქსებით შედგენილი გეოგრაფიული სახელები, ე.ი. მარკირებული ტოპონიმები, გ) რთული შედგენილობის გეოგრაფიული სახელები.

დალის ხეობის ტოპონიმთა, ბუნებრივია, მისდევს სოვად ქართველურ ყალიბს. მარკირების თვალსაზრისით აქ შესაბამისად გამოიყოფა ჯგუფები პირველადი, წარმოქმნილი, კომპოზიტური და სინტაგმური გეოგრაფიული სახელებისა: ტწმბ „ხეობა, ხევი“, სგმბ „მეფე წყალი“, ტწმბ/ტწმბ „ტბა“, მიდწმ < მიდამო „ზეგანი“, რიყ „რიყე“, ღორღობ „ქვიანა ადგილი მთაში“, ზაგზრ „ზეგანი“,

¹ ს. ყაუხიშვილი, მისიმიანთა ტომი, თსუ შრომები, I, თბ., 1936წ.
² ბ. ხორავა, წებელდა-დალის 1840 წლის აჯანყება (ხელნაწერი).
³ Н. Бондарев, В горах Абхазии, М., 1981 г., ст. 1.
⁴ К. Мачваринани, Описательный путеводитель по городу Сухуми и Сухумскому округу, с историко-этнографическом очерком Абхазии, Сухуми, 1913 г., с. 270.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. ასლანიშვილი. აფხაზეთის სვანთ. ტფ. 1933.
2. Х. Бгжра, Некоторые вопросы этнонимии и топонимии Абхазии, абн-ს შრომ. ტ. 2. სოხუმი. 1956.
3. Н. Бондарев. В горах Абхазии. Москва. 1981.
4. გ. გასკიანი. აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია. თბ. 2008.
5. თ. შიბნუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის. განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ. 1989.
6. К. Мачавариани. Описательный путеводитель по городу Сухуми и Сухумскому округу с историко-этнографическом очерком Абхазии. Сухуми. 1913 .
7. ე. კვარცია. 1985: В. Кварчия. Ойконимы Абхазии в письменных источниках. Сух. 1985.
8. გ. ზარდალიშვილი. ქლუხორის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების დადგენისათვის. თსუ შრომები. ტ. 36. თბ. 1949.
9. შ. ქაღდანი. მიესიანეთისა და მიესიანთა ტომის ენაობის საკითხისათვის. 1999.
10. შ. ქაღდანი. დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში. იკე. ტ. 17. თბ. 1970.
11. ბ. ხორაეა. წებელდა-დალის 1840 წლის აჯანყება (ხელნაწერი).

Ketevan Margiani (Sukhumi)

Lingvo-Culturological Aspects of Toponymy of Dali's Gorge

Toponymy of Dali's Gorge is characterized by lingual diversity and absolutely different chronology of designation. The general picture can be imagined the following way: the names of villages and passes, the whole micro-toponymy, most hydronyms are basically of Svanian origin; names of several mountains, villages and rivers are of Abkhazian origin, Megrelian, Russian and other names of uncertain etymology are met very rarely. Classification of Svanian geographic names can be done as per various aspects, namely, according to marking, semantics and archaic nature.

From the point of Lingvo-Culturological view especially interesting are those old Svanian toponyms about which information is given by Greek or Roman authors of antique period, part of them are mentioned in various historic sources and the rest of them have been saved alive throughout legends and folk's memory.

ნასახლარი ხმნაბი ნიგალის ხაოზის ქართულში

ისტორიული ნიგალი, როგორც სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარე, ტაო-კლარჯეთის შემადგენელი ნაწილი, გაშლილია მდინარე ჭოროხის ქვემო წყლის ხეობებში (სიხარულიძე 1985, 76; თაყაიშვილი 1991, 198; ქართლის ცხოვრება 1955, 377; ფუტკარაძე 1993, 183-184). მისი საზღვრები იწყება მდინარეების-აჭარისწყლისა და ჭოროხის შესართავიდან და გრძელდება შვეშეთის წყლისა და ჭოროხის შესართავამდე (ვახუშტი 1941, 135; ჯავახიშვილი 1983, 141; ყაზბეგი 1995, 92). ამჟამად შედის თურქეთის რესპუბლიკის ორ რაიონში – ართვინისა და ბორჩხის რაიონებში. მხოლოდ მცირე მონაკვეთი – სოფლები: კირნათი, მარადიდის ნაწილი-მოქცეულია საქართველოს ფარგლებში (მალაყმაძე 2008: 35).

ენათმეცნიერული თვალსაზრისით მეტად ფასეულია ნიგალის ქართულის მონაცემები. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ნასახლარი სმნების შესახებ.

ნასახლარი სმნები უმეტესად წარმოქმნილია თურქული (ან თურქულიც გსოთ შემოსული არაბულ-სპარსული წარმოშობის) სიტყვა-ძირების გამოყენებით. იმერხეულის მსგავსად, ნიგალის ქართულს ეს უცხო მასალა ქართულ ენობრივ ჩარჩოში ჩაუსვამს და ახალი სმნური ფუძეები უწარმოებია. ეს მოვლენა უადრესად საინტერესოა ენათა კონტაქტების შესწავლის თვალსაზრისით. საჭიროა იმის გარკვევა, თუ რატომ დასჭირდა ქართულს ახალი სმნების საწარმოებლად უცხო სიტყვა-ძირების გამოყენება, რამ აიძულა მათი სესხება. ეს უნდა განვიხილოთ სუვერის განცხადებებში; მასზე სხვაგვარი კუთხითაა საჭირო დაკვირვება, ცალკე კვლევის საგანია და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

რამდენიმე ნასახლარი სმნა ქართული ლექსიკური მასალის გამოყენებითაა ნაწარმოები. უპირველესად მათ წარმოადგენთ: გეთიხილამურა (←გათიხილამურა), გეთიხუმეტა (←გათიხუმეტა), მეთიხურა (←მეთიხურია).

"გეთიხილამურა" ნიშნავს "საწადელს მიადწია", "სურვილი შეისრულა", "ცხოვრებაში გზა გაიკვლია": სიძეს სახლში რომე ჩეხიხიძე, გეთიხილამურებს და აღარ მოქხედავს; ძალმა ჩემი ღარი (ბოტი) ჩეივო ხელში, გეთიხილამურა და დედაბერი ეიდას უნდა; პუქუმბთსა ("მთავრობას") რომ დეაყენებთ თავში, მალე გეთიხილამურებს და ხალხსა დეივიწყევს... (საანალიზოდ მასალა მოტანილია წიგნიდან-ფუტკარაძე 1993: 296-333);

"გეთიხუმეტა" - "გაივოს, გაიბადრა, გალამაზდა"; უმთავრესად ითქმის მთვარის შესახებ. გადართანით მნიშვნელობით გამოიყენება გარეგნულად ღამაში პიროვნების მიმართაც: გეთიხუმეტა თვარეშო, იტყვიან ჩვენსა ძეილები; თვარე რომე გეთიხუმეტებს, სამსე თვარეშო, ვიტყვით; ძეილია გეთიხუმეტა გოცამია, სამსე თვარეს დეექსგავსა...

"მეთიხურა" - "სურვილი დაიკმაყოფილდა; ვინმეს, ან რაიმეს ნახეთ გული იჯერა"; ვერ მეგსურულეთ თქვენი თავი, მალე მიხვალთ...

დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა "მეიყვირა": ერთმანეთი ძეილია მეფეაფირეთ, დიდი ხნის უნახვემბა; მოფეირება ვერ მეაწართ, მაღევე გაბრუნდენ უკან ("ყვირი" ლექსემა საბას ლექსიონში არ აღმოჩნდა; იგი არ დილაქტის კუთვნილებაა, ანდა ლაზურშია საძებარი, იქნებ ლაზურიდანაა შესული ნიგალის ქართულში;

უცხოური სიტყვა-ძირების გამოყენებით მიღებულია მოქმედებითი, ენებითი და საშუალი გვარის სმნები. (ფუტკარაძე 1994: 154-165).

განიხილავთ ცალ-ცალკე.
ა) მოქმედებითი გვარი

და-სახათ-ებს (არ. sakat- "სეიბარი, დასიანებული, გატეხილი") - დაახებრებს, დასიანებს: ის კაცი რავორ დასახათა დათემშ?..

ჩა-უთესლიმ-ებს (არ. teslim - "გადაცემა, ჩაბარება, სულის მიცემა") სველი ახალი ხებერი ყველაფერი ჩუუთესლიმი... "თესლიმი გახდა" ნიშნავს "ჩაბარდა ვინმეს", ანდა "სული ჩაბარა უფალს, გარდაიცვალა".

გა-აულა-აგებს (თურქ. kolay "მსუბუქად, იოლად, ადვილად") - გააადილებს, გააიოლებს შემასუბუქებს: წასლა-მოსლა იმყო გააყოლაფეთ, ამას გეხვეწებითა...

და-მოსაფირ-ებს (არ. misafir - "სტუმარი") - ისტუმრებს, სტუმრად მიიღებს: ჩვენთანაც დარჩი, დაგამოსაფირებთ...

გა-უ-პაზირ-ებს (არ. hazir - "მზა, მომზადებული") - დამუზადებს: მოსაფირსა სადილი **გუუპაზირ-ებს**...

გა-არ-ეზილ-ებს (არ. rezil - "სამარცხენის, სათაქილო") - შერაცხვენს, შეურაცხყოფს: ის კაცი მაშინ ძალუან გაარეზილდეს...

გამო-ა-ფაქ-ებს (სპ. pak "სუფთა, უდანაშაულო, უმანკო") გამოასუფთავებს, გამოაცარიე-ლებს: გამოაფაქებს სახლიდან ისინი; ე. ი. გადატანითი მნიშვნელობით უფროა გამოყენებული.

გა-ა-გენიშ-ებს (თურქ. geniş - "ფართო, დიდი, ხალკათი") - გააფართოებს, სიერცეს გაზრდის: გზიები გააგენიშებს ძვილია...

გა-ა-შელლი-ებს (თურქ. şenlik - "სიხარული, მხიარულება, გამოცოცხლება") - გამოაცოცხ-ლებს, აახმინებს იქაურობას: ჩვენაც გაააშელლიგეთ სოფელი... თურქული სიტყვა "şenlik" ქარ-თულს ფონეტიკურ ნიშნავს შეუცვლია, "შელლიგ"-ად უქცევია. ასიმილაციით "ნლ"-ა"ლლ"-ს, ხო-ლო ფუძის ბოლოს მოქცეული ყრუ ფშვინიერი -ქ გამჟღერებულა და -გ-დ ქცეულა.

და-ა-ბათლ-ებს (არ. batil - "ცარიელი, გამოუსადეგარი, უქმი") გააუქმებს აშოაესებს; გადატ. მნიშვნე: "დააბრიალებს, დაგმანავს": იუჯალი ("ბუხარი") იყო აგზე, დავაბათლებით... თვალეები აქ და-ბათლებული...

მი-მუჟდა-ებს (სპ. mįjde "სიხარული, სასიხარულო ცნობა") მახარებს, სასიხარულო ამავეს მაცნობს: წუხელი მიმუჟდავეს თქენი მოსლა...

გა-ა-პერსიან-ებს (არ. hirs - "ბრასი, რისხვა"; პერსიანი - "ბრაზიანი") გააბრაზებს: წუხელი გააპერსიანეთ მოსულეები...

და-უ-მუზევირ-ებს (არ. müzevir - "ჭოროკანა, ენის მიტანი, მატყურა") - დაასმენს: დუუმუზევი-რა პუქუმათში ("დაასმინა მთავრობაში")...

ჩა-ფით-ა-ებს (თურქ. fit- "წამქსებლობა, მზაკერობა, ვერაგობა") დააბუნდებს, დაბოლმავს, აამხედრებს ბრასით: ჩაუფითავენ პუქუმათისთენ ("დაუბუნდებთათ მთავრობისთენის"); ჩაფითეს მეზობლებსა...

და-რიშეთ-ა-ებს (არ. rüşvet "ქრთამი, ძღვენი") მიქრთამავს: დარიშეთებს ბაქანები ("მინისტ-რები")...

მო-სიპრ-ა-ებს (არ. sihir - "ჯადო, ჯადოქრობა") ჯადოს გაუკეთებს, ჯადოთი დააზიანებს: არ მოქესიროს მაგ შეითანაო, გვეშინია...

ბ) ენებითი გვარი

აღნიშნული ჯგუფის ნასახელარი ზმნები უმთავრესად სუფიქსური წარმოებისაა, იშვიათად გამოვლინდება ხოლმე ენიანი ენებითის ერთეული შემთხვევები, ინიანი ნასახელარი ზმნები კი საერთოდ არ შეგვხვედრია.

დონიანი ენებითი

გა-სირა-გ-ებს (თურქ. sira - "რიგი, წიგნი") რიგით გაკეთდება, რიგ-რიგობით განხორ-ცილდება რამე: პარლამენტოში შესლაც გაასირათ აბა, თუ ბიჭები არიან მავარი...

გა-ზაიფ-ებს (არ. zayıf - "სუსტი, გამხდარი, დეარდნილი") დასუსტდება, დაუძლურდება; ნიკოლადამ სორა ("ნიკოლოზის შემდეგ") რუსი გაზაიფდა; ავადველობამ გააზაიფა ციციანი...

გა-მეშილ-ებს (თურქ. yeşil - "მწვანე") - ამწვანდება: ყანაში ახალ გააზაფხულზე, გამოსულზე, პური გამეშილდება...

და-ბარიშ-ებს (თურქ. barış- "შეშინება, შერიგება, თანხმობა") შერიგდებიან, შეთანხმ-დებიან (დასტურდება მხოლოდ მრავლობითის ფორმები): რუსია და ამერიკა როდი დაბარიშდებიან; თურქიე გურჯისტანთან დაბარიშდა...

გა-ქიბრ-ებს (არ. kibar - "დაფასებული, თავმომწონე, არისტოკრატი") - თავმომწონე გახდება, თავს დაიფასებს ძალიან: რაცხა ძალუან გაქიბრებულხართ თქვენური გურჯები; ისეთ გაქიბრ-დებიან, ევლარ დეელაპირიკები...

შე-შუფელ-ებს (თურქ. şifeli - "საეჭვო") გაეჭვიანდება: დათვი შეშუფელდა, ეგონა, კაცი მოკვალაო...

გა-ზენგილ-ებს (თურქ. zengin- "მდიდარი, უხვი, ბარაქიანი") - გამდიდრდება: ოქრო ნახა ბვერი მიწაში და გაზენგილდა (თურქული სიტყვის ქართულ ვარიანტში დისიმილაცია განიცადა წ-თანხმოვანმა, რადგან ქართული ენის ბუნების თანახმად, ფუძეში ორი ნარნარა ბვერიდან ერთი სახეს იცვლის, დისიმილირდება: ზენგინ→ზენგილ).

გა-სიხ-დ-ე-ბ-ა (თურქ. siki - "შიმე მდგომარეობა, სიძველე, სიმკაცრე") - განძნელება, გამკაცრება: 1930 წლის მეორე გადასლა-გადმოსლა გასიხდა (გადატ. მნიშვნელობით "სიმკიდროვე"-საც ნიშნავს: სიხი ნაქსოვნია ძალიან...).

გა-რამა-თ-დ-ე-ბ-ა (არ. rahat- "შოხევენება, დაწვარება, კომფორტი") მოიხევენებს, დაწვარდება: მიხიხე თაუე და გარამათე, ცხელა...

გა-ხუი-ი-ან-დ-ე-ბ-ა (სპ. huy - "ხასიათი, ზნე") - ხასიათს შეიცვლის, განაწყენდება, გაბრაზდება: ავადეულია და გახუიანდა ბებერი...

ღა-ყაფან-დ-ე-ბ-ა (თურქ. kapan - "მახე, ხაყანგი") - დაიხშობა, ჩაიკეტება, გამოიშწყვედა: ჩენთინ მაშინ აკარა ღაყაფანდა...

პრეფიქსიანი (ენიანი) ენებით

გუყურბან-ე-ბ-ა (არ. kurban- "სამსხერპლო, შესაწირავე პირუტყვი") - ენაცვლება, ეწირება, თავს დებს მისთვის: ვუყურბანოს მას სულმა და გულმა; გუყურბანევით ყველა მოსულ მოსაფირებას ("სტუმრებს")...

წამო-ე-გურო-შ-ე-ბ-ა (თურქ. ginceş - "ბროლია, ურთიერთშერკინება, დადევნება") შეებრძოლება, დაუდევნება: ამასა წამეგუროშა, მარა ვეღარ დეყვია ("ბოლა - გურეშ" ართიენის სახალხო დელუსაწაულია, მაისის ბოლოს იმარებს ხარების ორთაბროლია და ძალიან ჰგავს ესპანურ კორიდას).

ღა-ე-ღუშენ-ე-ბ-ა (თურქ. duşman - "მტერი") დაემტერება, გადაემტერება: ერთი აკარელი დეღუშენა მეეგმ ("თურმე") ჩეენს ბებერასა...

ჴა-ე-ე-ს-ე-ბ-ა (თურქ. heves - "ხალისი, სურვილი, მისწრაფება") - ეხალისება, სურს, ესწრაფვის: ბათუის დანახეა მეეეესება... შეიძლება შეგეხედვს სახეცელილი ფორმითაც: ჩემ ღარჯსა ("ბიჭსა") გურჯი ეაისი (ქართული ანბანის) დაწაულა ეეეეესება...

შე-ე-ი-ტ-რ-ა-ე-ბ-ა (არ. ikrah- "სიძლი, ანტიპათია") შეეწიხდება, შესძაგდება: ახალმოსდევების საქმიეზიდან ბეერი რამე შეიქრავება...

ღე-ე-მოსაფირ-ე-ბ-ა (არ. misafir - "სტუმარი") - ესტუმრება: დეემოსაფირეთ ჩენებურებსა; ამე-ღამ მე დემემოსაფირეთ...

ე-მუღლა-ე-ბ-ა (სპ. mñide - "სიხარული, სასიხარულო ცნობა") - ახარებს, სასიხარულო ცნობას აწოდებს: ყოეღლეთინ ნენეი მემუღლაეება...

ინიანი ენებითები, ნაწარმოები უცხოენოუანი სიტყვაპირების მეშეობით, საანალიზო ტექსტებში არ დასტურდება.

გ) საშუალი გვარი

აღნიშნული ჯგუფის ნასახელარი ზმნები უმოთაერესად წარმოდგენილია -ებ და -ობ თემატური ნიშნებით:

უ-საბ-ე-ბ-ს (არ. sahip- "პატრონი, მფლობელი") - უპატრონებს: მუალ და გისაბებს; იქ ყოფნაში კარკა მისაბენ ჩუნა (ახლანდელი დროის ფორმები არა აქვს).

მერაყ-ე-ბ-ს (თურქ. merak - "ღარდი, მოუსვენრობა, დაინტერესება") - დარდობს; აინტერესებს: მერაყობს ქართულის დაწაულასა; ნენეი მუუკლა და ძალუან მერაყობს...

წა-ე-ყაფაღ-ე-ბ-ს (თურქ. kahvaltı - "საუზმე") - წაისაუზმებს: დილიანა წეიყაფაღლთებს და წაე საქმესე (ახლანდელი დროის ფორმები არა აქვს).

ჴერს-ი-ან-ე-ბ-ს (არ. hirs - "ბრაზი, რისხვა") - ბრაზობს, მრისხანებს: აქედან ჴერსიანობო თქვენსე რუსეების ნაქნარ საქმესე. გაპერსიანდა ბერი და ტყეში გეიქცა...

ჯ-ე-ბ-უ-შ-ე-ბ-ს (სპ. cumber - "გართობა მხიარულება") - მხიარულობს, ერთობა: თელი დღე ჯეზუშობენ მარიობას...

უ-დინ-ღ-ე-ბ-ს (თურქ. dinlemek - "მოსმენა, ყურადღება") - უსმენს: შენ ღაპარიკსა პატიტვანებო რაფრა ჴედინღლბენ, ხეღაე?...

ი-ონ-უ-შ-ე-ბ-ენ (თურქ. konuşma - "ლაპარაკი, საუბარი, ლექცია") - იბაალებენ, ისაუბრებენ: გიონუშობო, მოუქციენით ჩუნესა; ღამაზათ იფონუშეს... (აწმეოს ფორმები არ შეგეხევერია).

ჰევეს-ობს (არ. heves – "მისწრაფება, ხალისი, სურვილი") ისწრაფვის, ნატრობს, აპირებს, ეხალისება (ხალისობს): ჩემი ციცი თქვენსა წამოსლას ჰევესობს; ნენერქემი ძალუან ჰევესობდა ნათესების ნახვას ბათუმში, მარა აღარ შეეწრა...
 ნასახელარ ზმნებზე დაკვირება ნათელყოფს ქართული ენის ძლიერ ბუნებას, მის მდიდარ შინაგან შესაძლებლობებს. ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე უცხო ენობრივ გარემოში მოქცეულმა ქართულმა შეინარჩუნა თავისთავადობა. თითქმის მთლიანად აიცილია უცხო ენის გავლენა მისმა გრამატიკულმა წყობამ.

ენის საყრდენ ხერხემალში, ზნათა სამყაროში, თითქმის არ ჩანს უცხო ენის კვალი. არც ერთი უცხო ზმნური ფორმა არ დაშვიდრებულა. მცირერიცხოვანი ნასახელარი ზმნების შესახებ კი ის შეიძლება ვთქვათ, რომ აქაც ქართულმა გამოიჩინა საოცარი მოქნილობა, სიმტკიცე და თავის ენობრივ ყალიბში მოაქცია უცხო სიტყვა-ძირებიანი ზმნური ფორმები. ამით გარკვეულად კიდევ გააქართულა ისინი. მათი გაჩენით აქაურთა მეტყველებიდან, ცხადია, განიდევნა დედაენის გარკვეული ენობრივი მარაგი – ქართული ძირისეული მასალით წარმოქმნილი ნასახელარი ზმნები (ესტუმრება, ეხალისება, ბრაზობს, მოქრთამავს, დასუსტდება, თავმომწონობს, გადამეტრება, გამიდრდება და ა.შ.). რაც გამოწვეული ჩანს შესაბამისი ფუძის ლექსიკური თურქიზმების გაბატონებით ნიგაღის ქართულში. მაშასადამე, ჯერ გადაშენდა ზოგიერთი ქართული სიტყვა, შემდეგ კი მას მიჰყვა ამ სიტყვის გამოყენებით ნაწარმოები ნასახელარი ზმნა (როგორც ჩანს, სიტყვა "ქრთამი" რომ შეცვალა თურქულმა "რიშვეთმა", "მოქრთამავც" შეიცვალა "დარიშვეთით"; "ბრაზი" შეიცვალა "შერსით" და "გაბრაზების" ნაცვლად გვაქვს "გაჟერსება").

თუ რა კანონზომიერებებს ემყარება უცხო ენობრივ გარემოში მოქცეულ ქართულ მეტყველებებაში წარმოჩენილი ასეთი სახის ცვლილებები, ჯერ-ჯერობით ქართველოლოგიაში ახსნილი არ არის. თურქული ქართული-ენების ურთიერთობის, ურთიერთზეგავლენის, ენობრივი კონტაქტების დღევანდელი შედეგები საინტერესო ლინგვისტურ სურათს ქმნის და საკვლევაც ბევრია (გამყრელიძე 2003: 602-611). ეს პრობლემა საფუძვლიანი მსჯელობის საგნად უნდა იქცეს მომავალში. ჩვენც სამომავლო მიზნად გვაქვს დასახული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე 2003: გამყრელიძე თამაზ. ენობრივი კავშირი, ენათა კონტაქტები და ინტერფერენცია, იხ. თ. გამყრელიძე-თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბ.
2. ვახუშტი 1941: ბაგრატიონი ვახუშტი. აღწერად სამეფოსა საქართველოსა. თბ.
3. თაყაიშვილი 1991: თაყაიშვილი ე. სამუსლიმანო საქართველო. იხ. ემიგრანტული ლიტერატურა, დაბრუნება. I. გ. შარაძის საერთო რედაქციით. თბ.
4. მალაყმაძე 2008: მალაყმაძე როინ. ლიგანის ხეობა. თბ.
5. სიხარულიძე 1985: სიხარულიძე ი. ნიგაღი. ბათ.
6. ფუტყარაძე 1993: ფუტყარაძე შუშანა. ჩვენებურების ქართული. I. ბათ.
7. ფუტყარაძე 1994: ფუტყარაძე შუშანა. ლიგანური ქართულის თავისებურებანი. იხ. ჟურნალი "განთიადი". ქუთ. 1994.
8. ქართლის ცხოვრება 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი შეადგინა, გამოკვლევები და შენიშვნები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. I ტ. თბ.
9. ყაზბეგი 1995: ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათ.
10. ჯავახიშვილი 1983: ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ.

Shorena Putkaradze (Batumi)

The Peculiarities of Verbal Nouns in Georgian of Nigali Gorge

The verbs used in "Nigali Georgian Language" are mostly derived from Turkish-Arabic origins. There exist also lots of root verbs that are formed by apices of active, passive and medium voices of the verbs. Some of the verbs are of Georgian origin. The given work includes the analysis of the above mentioned forms.

რეკლამის სოციალურ-მენტალური და ლინგვოკულტურული ასპექტები

რეკლამა, თანამედროვე კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალება, ფართოდ შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. რეკლამის ტექსტი, რომელიც უხედა იყენებს სტილისტურ ხერხებსა და საშუალებებს, განაპირობებს სხვადასხვა სახის სტერეოტიპის დაამკვიდრებას თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში. რეკლამის მთავარი ფუნქციაა ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში უახლესი მიღწევების პროპაგანდირება, "იდეალური" ტიპის საქონლის შექმნა და ამის მისაღწევად სპეციფიკური საშუალებებით ადრესატზე "ემოქმედება, მისი მოქმედების სტრატეგიის ფორმულირება. ამით აიხსნება რეკლამის ტექსტისა და მისი ენის შესწავლისადმი დიდი ინტერესი, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ლინგვისტებისა (გ. კეარაცხელია 1990, ე. ფურცელაძე 1998, დ. გოცირიძე 1978, ე. ანისიშვილი 2003, ა. დუდარევა 2003, ო. ანდერსონი 2006, მ. გორლახი 2004, დ. ლიი 2001, ფ. უნგერი 2000).

აღნიშნულ სტატიაში განხილულია ინგლისურენოვანი ჟურნალის რეკლამის ტექსტის შექმნის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური საშუალებები, ურთიერთმომართება ტექსტის ვიზუალურ და ვერბალურ მხარეებს შორის და ლინგვოკულტურული და სოციალურ-გუნდურული ასპექტების გაცხადება რეკლამის ტექსტში. რეკლამა სოცუმის მოღვაწეობის შედეგია და ზემოქმედებას ახდენს ადამიანის შექმენაზე, მონაწილეობას იღებს სამყაროს ენობრივი ხატის რომელიმე ფრაგმენტის შექმნაში. ამრიგად, რეკლამის ტექსტის შესწავლა შეუძლებელია სამყაროს ენობრივი ხატისა და იმ აუდიტორიის გარეშე, რომელიც მას წარმოქმნის და აღიქვამს.

სარეკლამო ტექსტის სპეციფიკური სტილი, გამომხატველობითი საშუალებების კომბინირებული გამოყენება, განსაკუთრებული ლექსიკა და სინტაქსი ქმნის ინგლისური ენის მრავალგანზომილებიან, ინტერტექსტურ ლინგვისტურ ფორმას. რეკლამის ენა, როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებისა, ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასახავს რეალობას და იმდირებს მარაგს ახალი ენობრივი საშუალებებით. ენის ცვალებადობასთან ერთად ისიც განიცდის მოდიფიკაციას და ქმნის სრულად ახალ ღირებულებებს.

რეკლამის ტექსტის განხილვისას აუცილებელია პარალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინება. ისინი შეიძლება ორ ნაწილად დავეყოთ. პირველი, ინფორმაციის დამოუკიდებელი წყარო, რომელიც ტექსტის შინაარსს გადმოგვცემს (მაგალითად, ნახატი ან სურათი), და მეორე, დამხმარე საშუალებები, რომლებიც შინაარსს დამატებით სემანტიკურ და ექსპრესიულ შეფერილობას ბატებს (მაგალითად, შრიფტი, დიდი ასოები, ფერი და ა.შ.).

რეკლამის ტექსტის ვერბალურ ნაწილში გამოსახულების ჩასმა, ილუსტრაციების გამოყენება, განსხვავებული შრიფტი და ფერი ჟურნალის რეკლამის ტექსტის ზემოქმედებითი ფუნქციის რეალიზებისათვის აუცილებელი პირობებია. ისეთი ლინგვისტური საშუალებები, როგორებიცაა სურათი და ნახატი, თავად არიან ინფორმაციის მატარებელი და ტექსტის შინაარსის ვიზუალურად აღქმას აადვილებენ. განსხვავებული შრიფტი, სხვადასხვანაირი წყობა, ექსპრესიული ფერები, კონტრასტული ფონი, კომპანისი სახელწოდებათა და ინფორმაციულად მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტების გამოყოფა ვერბალურისაგან განსხვავებით მხოლოდ დამხმარე საშუალებებია. ისინი ინფორმაციას გარკვეულ სემანტიკურ და ექსპრესიულ ელფერს აძლევენ.

რეკლამის ტექსტი შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან შედგება: სლოგანი, სათაური, ძირითადი ტექსტი და მონაცემები. როგორც კვლევები გვიჩვენებს სათაურის წაკითხვის შემდეგ 80% რეკლამის მონაცემები სირადად ტექსტს აღარ კითხულობენ. ილუსტრაციების არ ქონის შემთხვევაში სათაურის ფუნქცია კიდევ უფრო იზრდება. ამრიგად, სათაურის მთავარი ფუნქციაა დაინტერესოს მკითხველი, შემდეგ კი, აიძულოს იგი წაკითხოს გამოქვეყნებული რეკლამის ტექსტი.

მამაკაცთა ჟურნალებში გამოქვეყნებული რეკლამების სათაურებში გათვალისწინებულია ადრესატის ინტერესების სფერო, ხასკანსულია ბუნებრივი ინსტიქტები (ბრძოლის, მეტოქეობის ჟინი, კონცეფცია "ქალიერი იმარჯებს"), ყურადღება მახვილდება ჭეშმარიტად მამაკაცურ საქმიანობებზე (ნადირობა, სპორტი, ბრძოლა), მაგალითად:

Control your power and you'll own the road.

Grab life by the horns.

ქალთა ჟურნალებში დაბეჭდილ რეკლამათა სათაურები უნივერსალური ხასიათისაა, ანუ ყურადღება არაა გამახვილებული ადრესატის ეროვნებაზე. მათში ჭარბობს მყიდველის სურვილის აღმძვრელი შეფასებითი უედსართავი სახელები. მაგალითად:

Face the future with beautiful, perfect skin.

რეკლამის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სლოგანი, რომელიც მოკლედ და ხატონად გამოხატავს ფირმის არსს, მის კორპორატიულ პოლიტიკას. სლოგანი უნდა იყოს მოკლე, იოლად დაშასხორებელი და აუცილებლად უნდა შეიცავდეს ფირმის სახელწოდებას. ის ტექსტის ბოლოს მდებარეობს, ხაზს უსვამს ფირმის უპირატესობას და რეკლამის ტექსტს დასრულებულ სახეს აძლევს. მაგალითად:

Subaru. Think. Feel. Drive.

რეკლამის ტექსტის ძირითად ნაწილში მოცემულია ინფორმაცია კონკრეტული საქონლის შესახებ ძალიან მოკლედ ან გრძელად, მარტივად ან რთულად, დაწვრილებით ან ემოციურად. ის ორ ძირითად ფუნქციას ასრულებს: საინფორმაციოს და ზემოქმედებოს.

მამაკაცთათვის განკუთვნილი ჟურნალებისათვის დამახასიათებელია კითხვითი წინადადებების გამოყენება, რაც დიალოგის იმიტაციას ქმნის:

Why is it that men will make up any excuse to avoid getting tested for prostate cancer? What are they thinking? That what they don't know can't hurt them? A 10-minute test could save your life.

კითხვით წინადადებებს ყოველთვის უფრო მეტი პრაგმატული პოტენცია გააჩნია ვიდრე მტკიცებითს, რადგან ისინი რეციპიენტის ყურადღებას ააქტიურებს:

Fifty-foot hairy tarantulas? Alien armies? No, our competitors fear only one thing—the most powerful Dodge truck.

ქალთა ჟურნალებისათვის დამახასიათებელია ძახილის წინადადებებისა და ექსპრესიული მიმართებების ჭარბი გამოყენება, რაც ხელს უწყობს ექსპრესიული აურის შექმნას და აუდიტორიის ყურადღების მიქცევას.

Irresistible! Made from the creamy summer milk Dubliner is a real treat that you can enjoy anytime. Spoil your self!

Crystal lipcolour. It's music for your lips!

მამაკაცთა აუდიტორიისათვის განკუთვნილ რეკლამის ტექსტებისათვის დამახასიათებელია ლაკონურობა, მკაფიო ფორმულირება და რაციონალურისაკენ მოწოდება. განსაკუთრებული ლექსიკური ერთეულების შერჩევა (ტერმინები, აბსტრაქტული არსებითი სახელები, მოქმედებითი გეარის ზმები ხაზს უსვამს ცხოვრების აქტიურ სტილს) ემსახურება ერთ შთავარ მიზანს – მიიტანოს ინფორმაცია რეციპიენტამდე და იმოქმედოს მასზე, მაგალითად: ელეგანტური დიზაინი, უახლესი ტექნოლოგიები, შესანიშნავი მექანიზმი; ინტელექტი, სამყარო, ხელმოწერა; თანამედროვე ძრავები, გაუმჯობესებული კოეფიციენტი და ა. შ.

ქალთა ჟურნალებში დაბეჭდილ რეკლამებს, კი ტექსტის მოცულობისა და შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით არანაირი შესუღუღა არ გააჩნია. ტექსტის ემოციური მიმართულება და მხატვრულობისაკენ მისწრაფება მეტაფორის, შედარების, რთული ზედსართავი სახელების მეშვეობით მიიღწევა.

A fascinating blend of tropical wellness, zesty freshness and florality. Rare, radiant, intriguing... an intoxication of the senses.

It's chic. It's shocking. It's beyond gloss. Cubes of hot pulsating lip colours with fantastic, high-energy shine. Add over Pure Colour Lipstick for hyper gleam. It's time to shine.

რეკლამის ტექსტებში ხშირად ვხვდებით ამა თუ იმ ქვეყნისათვის დამახასიათებელ სტერეოტიპებს. მაგალითად, ამერიკელი ქალები ხშირად გაიგივებულია ქალთა ემანსიპაციასთან, დამოუკიდებლობასთან, თავისუფლებასთან. სუნამოს "5th avenue" რეკლამის სლოგანი "*მე ვარ ლიდერი თავისუფლება ჩემი სამყაროა*" გასდევს სურათს, რომელზეც გამოსახულია ცათამბრჯენების ფონზე ამაყად მიმავალი ახალგაზრდა ქალი. ინგლისური ნაის "Lyons"-ის რეკლამაზე ვხვდავს ვესტმინსტერის აბატს, რომელიც მკითხველში ბრიტანული კონსერვატიზმისა და რესპექტაბელურობის ასოციაციას იწვევს.

ამრიგად, ჟურნალის რეკლამის ტექსტი ევრბალური, ვიზუალური, ფუნქციური-აზრობრივი, სოციო-კულტურული და გენდერული ასპექტების ერთობლიობაა. ის სამყაროს ენობრივი სურათის ფრაგმენტის ობიექტივაციის განსაკუთრებულ ლინგვისტურ ფორმას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოცირიძე 1978: გოცირიძე დავით. „ქართული სათაურის სტრუქტურულ-ფუნქციური განვითარების საკითხისათვის“. „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“. თბილისი.
2. კვარაცხელია 1990: კვარაცხელია გუზა. „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. კირილინა 2002: Кирилина А.В. Проблемы гендерного подхода в изучении межкультурной коммуникации // Гендер как интрига познания. М.: Рудомино.
4. ხალევა 2001: Халева И. И. Гендер в теории и практике обучения межъязыковой коммуникации // Доклады Первой Международной конференции “Гендер: язык, культура, коммуникация” М. МГЛУ.
5. გორლახი 2004: Gorlach M. Text Types and the History of English. Mouton de Gruyter Berlin. New York .
6. ლიი 2001: Lee D.Y.W. Genres, registers, text types, domains, and styles: Clarifying the concepts and navigating a path through the BNC jungle. Language Learning and Technology.
7. უნგერი 2000: Ungerer F. English Media Texts. Past and Present. Amsterdam: Benjamins.

Sophio Moralishvili (Tbilisi)

Linguistic-Cultural Aspects of the Magazine Advertisement

The article deals with the text type – magazine advertisement and its linguistic and cultural characteristics. The advertisement belongs to the mass media genre and it uses different stylistic means for achieving its two main goals: influencing the readers and persuading them to buy this or that “ideal” product.

The given paper analyses linguistic and extra linguistic means of creating advertisement texts, the relationship between visual and verbal sides, and the ways of representing cultural and gender aspects in them. The advertisement is the result of social behavior, it influences human's perception of reality and takes part in creation of the verbal picture of the world.

The specific style of the advertisement texts, specific lexical and syntactical means create its intertextual linguistic shape. The language of the advertisement texts, as the means of mass media communication is widely used in every day interaction, it reflect life and enriches its vocabulary with new expressions.

„ლირეზალს ღაფსანება სვირღება“ - მნაბის ბამოხბაძისათვის
არაბულ ზაჰირისიბჰვირაბაში¹

არაბები ხდებიან უსაღოდ ამაყნი იმით, რომ შეუკ-
ლიათ მოიხმონ ანდასები საჭიროებისთანავე და იმაღ-
როულად დიდი პატივი მიაგონ ნებისმიერ ადამიანს, რი-
მელსაც ძალუბს ამგვარი გამოთქმების მართებული გამო-
ყენება.

რ. ბარაქათი (ბარაქათი 1980:7)

ცნობილია, რომ ანდასები მნიშვნელოვანი „სოციალური დოკუმენტებია“, რომლებიც ერების
მსოფლმხედველობის გამომხატველ სტერეოტიპულ კომუნიკაციურ ერთეულებს წარმოადგენენ.
მათში კონცენტრირებულია საუკუნეების მანძილზე ადამიანთა აზროვნების, სამყაროს სიღრმისეულ
კანონზომიერებათა არსში წვდომის პროცესი და დასკვნები. მათი საშუალებით ფასდება და
განსჯადებულად რეპრეზენტირდება არსებითი მოვლენათა კლასში – აპრობირებული სიბრძნე
სწორედ განსჯადებულ მნიშვნელობის წყალობით შეუძლიათ ანდასები იქცნენ მოცემული
ენობრივი კოლექტივის მენტალიტეტის პარამეტრებად, მისი გადასახედიდან დანახული და
„დადგენილი“ ნორმების მატარებელ ფორმულებად. ამის საფუძველზე გამოიყენებიან როგორც
არგუმენტირებული მტკიცებულებანი მრავალფეროვანი ცხოვრებისეული სიტუაციების ასახსნელად
და პრაგმატული „სტრატეგიული“ მითითებების გამოსაყენებად.

არაბი ავტორი აბუ უბაიდ ალ-პარაფი (ფილოლოგი, იურისტი, თეოლოგი, დაიბადა 770 წელს).
ამბობს: „არაბული ანდასები არაბული ფილოსოფიისა და სიბრძნის ერთი დარგია“ (თარჯუმანი
1987:117), და თვით ხალხი მას შეაფასებს ასე:

[al-másal ma jekzob 'abadan] انما يكذب ما كانا - ანდაზა არასოდეს ტყუის.

არაბი სწავლულები ანდასებით, როგორც კვლევის ისტორიიდან ირკვევა, ჯერ კიდევ ისლამის
წარმოშობის ხანიდან (ზოგი მკვლევრის [ვებსტერი 1986] თარაუდით, შესაძლოა ადრეც)
ინტერპედებიან. ს. ბროკელმანი გვაძენობს, რომ ფაქტობრივად თითქმის ყველა ცნობილია არაბმა
სწავლულმა მიუძღვნა სპეციალური შრომა ანდასებს. მისივე თქმით, ისტორიკოსები და
ფილოლოგები ერთმანეთს უჯიბრებოდნენ მათ შეკრებასა და განმარტებაში (მუფადდალ ად-დაბბი,
აბუ უბაიდ ალ- პარაფი, ალ-ასჰარი, ალ-მაიდან) (ბროკელმანი 1913:408). შედეგად მიღებულ იქნა
კლასიკური არაბული ანდასების საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა, რომელიც შეიცავდა უამრავ
ცხოვრებისეულ ინფორმაციას ისლამამდელი არაბული კულტურის შესახებ.²

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე არაბ (მათ შორის სირიელ) ფოლკლორისტთა მოღვაწეობა
ძირითადად პარკიმოგრაფიით შემოიხსნაღღერება. რაც შეეხება ანდასის თეორიას, ის პრაქტიკულად
შწირია, ნაკლებად მოიცავს მოცემული ვანრის სპეციფიკის გამოვლენისა და სტრუქტურული
კვლევის მცდელობას. მკვლევართა მიერ ის უმეტესწილად საყოველთაოდ მოწონებული „ენის
სამკაულის“ დონეზე განიხილება, თუმცა ამავე დროს აღიარებენ ანდასების ბრუნულ,
ფორმალური პოეტუკივალს (სიამა თარჯუმანი, იღვთა ივილიბი). უკეთეს შემთხვევაში, ავტორთა
ანალიზი ანდასების მარტივ, ლექსიკურ თუ შინაარსობრივ განმარტებებს მოიცავს (საიმუნ იბრაჰიმ
ქიხსი, იბრაჰიმ ამჰედ შა'ლანი). ვერადა ამისა, შემკრებნი ცდილობენ, რომ კრებულებში ისინი
შეიტანონ კლასიკურ არაბულ ანდასები, ტრანსკრიპციის გარეშე (დიალექტებში ორთოგრაფია
ნიორმოვლები არც არის), რაც არაბი (ჩვენ შემთხვევაში სირიელი) მკითხველისათვის საერთო-
სახალხო ენაზე, ე. ი. საკუთარ დიალექტზე აღიქმება. მას ამავედროულად ემხარება ეროვნული
საანდასო ფუნდის „გენტიკურ“ ცოდნა, ხოლო ამ საკითხით (დიალექტური ანდასებით)
დაინტერესებულ უცხოელთათვის, რა თქმა უნდა, აღნიშნული გარემოების გამო, როულდება მათ

¹ არაბულენოვან მასაღას საფუძველად უღვეს სირიული დიალექტის ქალაქური – ძირითადად დამასკოს, ალეპოს და
მათი გარეუბნების კოლოკაქები. თითოეული ჩაწერილია და აარგმნილი არაბული პირველწყაროდან უშუალოდ
სირიული ანფორმირებისაგან. არაბულ რეგისტს თან ახლავს ლათინური ტრანსკრიპცია (რომელიც ადღენს სირიული
დიალექტის ფონეტიკურ სხვაობებს კლასიკურ არაბულთან მიმართებაში), სიტყვაისტეუთი თარგმანი და შესაბამისი
ქართული აზრობრივი მარაგლები.

² კლასიკური არაბული ანდასებისადმი მიძღვნილი ყველაზე ძველი ფილოლოგიური ტრაქტატი VIII ს-ით თარიღდება
- „Kitāb al-ʿAḥḥād“ (ანდასების წიგნი) ქუველ ფილოლოგს მუფადდალ იბნ საღამამ ად-დაბბის ეკუთვნის (გარდაიცვალა
დაახლ. ძიჯრის მე-2 ასწლეულში).

დიდაქტუზ სწორად აღქმისა და, შესაბამისად, შესწავლის პროცესი. ამას თავად ანდაზის ინდივიდუალური სპეციფიკა, მისი მრავალმხრიანი სემანტიკური სტრუქტურული შექანიზმი განაპირობებს, რადგან ერთია, ამ თითქოსდა მარტივი საანდაზო წინადადების სიტუაციუტეიტი თარგმნა და მეორე, იმ ძირითად აზრს ნაწველობა, რომელიც მოცემული ენოსის ისტორიული გამოცდლებების ფონზე ჩამოყალიბებული მენტალური გავებით მის სიღრმისეულ დონეზე მოიაზრება. კერძოდ, მისი ზოგადსარბიე მნიშვნელობა და, შესაბამისად, გამოყენების სფეროს დაადგენა.

ეს სპეციფიურობა კიდევ უფრო ხაზგასამით შემინვევა არაბულში ბილინგვიზმის პრობლემის გამო. ქართულში ანდაზას თითქმის არ ეწინევა რომელიმე დიალექტის კვალი. ზოგჯერ ისიც კი ძნელი გასარჩეობია, რომელ კუთხეშია იგი შექმნილი და ნაწერილი. ამა თუ იმ ანდაზას ერთმანთად იტყვის ქართლელიც, კახელიც, გურულიც... დიალექტური ვარიაციები აქ უმნიშვნელოა. მათი ენა საერთო-სახალხო ენაა. მაშინ როდესაც სულ სხვა ეთარგმნა არაბულში: თვით იდენტური ვარიანტებიც კი კლასიკურ არაბულსა და სხვა დიალექტებს (ამ შემთხევაში სირიულზე) იმდენად განსხევალებად წარმოითქმის და ეუერს, რომ ხშირად არც კი იგრონბნა, რომ მათ შორის რაიმე საერთო. ამიტომ საანდაზო ენის შესწავლის თვალსაზრისით აქ გაცილებით მეტ სირთულეს ეხედობთ.¹

ანდაზის აზრობრიე მოცემულობა ერთდროულად ლოგიკური, კერძალური და ცნებითი აზრონენების ელემენტებს მოიცავს. ლოგიკურს იმიტომ, რომ ის სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა შორის ლოგიკურ მიმართებებს ასახავს; კერძალურს, იმიტომ, რომ კომუნიკაციური ერთეულია და არსებითად დაეკუშორებულა მტყუელებლისთან; ხოლო ცნებითს იმიტომ, რომ მასში მოცემული მსჯელობა და დასკენა ცნებით თკირიერებას ეყუქნება.

ანდაზა რომ ძირეულად თემატურ-ლოგიკური კომბინაციებისაგან იქმნება, პრაქტიკულად, ერთმნიშვნელოვნად აღიარებს პარკმიოლოგია (თუმცა მიღვომები განსხევაებულია) (პერმიაკოვი 1970; კრიკმანი 1984; ბარლი 1984). არსებული კვლევების საფუძველზე ვლინდება ანდაზის კონსტრუირების ფუნდამენტური საყრდენი: სამყაროს შემეცნების პროცესში რაიმე მოვლენის შესახებ მიღებული გამოცდილების ერთი სეერო საფუძველად ედება მეორეს, რითაც ანდაზის კონსტრუტული შინაარსობრიე ფორმით წარმოდგენილი აზრი განზოგადებული სიბრძნე ხდება.

ანდაზის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ შესაბამის კონტექსტზე მორგებისას დაფაროს ძირეული, პირეული მნიშვნელობის სინტაგმატური შემადგენლები და წარმოსახეით ჩანაცვლების გზით გადაიტანოს მეორეზე განსხევაებული სიტუაციებში. აღნიშნულ საკითხში ბ. ბარლი ამგვარად მსჯელობს: ანდაზა სცდება ჩვეულებრიე გამოწათქეამის ფარგლებს. ანდაზის ინტერპრეტაცია მისი ყოველი აქტუალური გამოყენებისას ხორცის ისხამს ახალი „სემანტიკური მარკერების“ შექმნის ხარჯზე, რომელსაც წარმოშობს კონტექსტი (ბარლი 1984:153). ანუ ანდაზის თკირიერებისას კონსტრუტული „სენსორული მასალის“ საფუძველზე აშუშაებულ წარმოსახეით კატეგორიებს ვარორება შემუშვია სხედასხევა სიტუაციაციურ კონტექსტში, სადაც მისი აზრობრიე ფორმალიზაციის პროცესის არსებითი ბუნება პრაქტიკულად შეუცვლელი რჩება. კონსტრუტული ანდაზის ყოველი რეალიზებისას მუშაობას იწყებს მეტაფორული ძრავა, რომლის დროსაც ანალოგიებზე დაყრდნობით მიმდინარე დემიფირირების პროცესი - განზოგადებული სიბრძნის წვდომა, თავის მხრივ, მოცემული ენოსის ისტორიული გამოცდილების ფონზე მიღებულ ცოდნას ემყარება. ამ დროს კომპლექსურად ერთეუბა აზრონენების ისეთი რთული ქვეცნობიერი თკირიერება, როგორცია: სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა შორის ლოგიკური მიმართებების ასახევა, არსებითის წვდომა, განზოგადება და აბსტრაგირება. როგორც ჩანს, ანდაზის დეკოდირება, რომელიც სამტყუელო აქტის მონაწილეთა ქვეცნობიერში ხორციელდება ფსიქოლოგიურად რთული, კომბინირებული საასრონო პროცესია.

დასშული საკითხის გაასრებაში გამოგადგება ტერმინი „იდეთა (წარმოდგენათა) ასოციაცია“ (ჯ. ლოკი). ეს ცნება გელისხმობს პროცესს, რომლის საფუძველზეც ფსიქოლოგიური აღქმები და წარმოდგენები ერთმანეთს უკავშირდებიან და წარმოქმნიან რთულ, ფარევი მნიშვნელობის იდეებს.

სემოტიქმულის გათვალისწინებით, განეხილოთ არაბული საანდაზო ფონდიდან მოძიებული ერთი აზრობრიე მოდელი, ენახით, განზოგადებული ცნება - „დრებულს დაფასება სქირდება“ - რა სახით გამოიხატება არაბულ სუპირსიტეიერებაში, რა გამოცდილებას ემყარება არაბი მოცემულ შემთხევაში და, მასზე დაყრდნობით, რა სახის წარმოსახეით მიმარტება აფიქსირებს:

[ʔu la-hamār wārd ʔakáha] اءرا وءراء - اءرا

- ვირს ვარდი მისცეს - შევამა. / § ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.

¹ აღნიშნულ გარეულებათა გათვალისწინებით არაბული ანდაზების მოსოების დროს, ინფორმანტების ახსნა-განმარტებით და კონსტრუირებით პრაქტიკულად დასუსტდა ათოთულის ქსტექსტური მნიშვნელობა, შესაბამისი სიტუაციური კონტექსტებით დაფიქსირდა სამტყუელო აქტების დროს მათი გამოყენების შესალო პერსპექტივები.

მოცემული ხატოვანი ანდაზა მკეთორ მტაფორულ კონტრასტზეა აგებული. სამეტყველო აქტში რეალიზაციისას აღნიშნული ასრობრივი ოპერირების ფონზე დენოტატიურ მნიშვნელობაში ჩადებული, ექსპლიციტურ დონეზე კონკრეტული შინაარსით გამოხატული აზრი დისოცირდება და კონტრასტით ლოგიკური მიმართებების საშუალებით ასოცირდება მავანთან შესაბამის კონკრეტულ სიტუაციურ კონტექსტში, რის ხარჯზეც იქნეს ახალ „სემანტიკურ მარკერებს“. პირველადი მნიშვნელობა გამოდიყურენცირდება. სამეტყველო აქტის მონაწილეთა ცნობიერებაში ფიქსირებული გამოცდილების ფონზე ატკუალისდება სამყაროს მოდელის ის ნაწილი, რომელშიც ჩადებულია ცოდნა, რომ ვირი იაფყვანიაი, იოლად შესანახი ცხოველია (რომელსაც, როგორც წესი, ტერმოსის სასილად იყენებენ). ამასთანავე, მოცემული თანოსების მენტალურ ცნობიერებაში ვირი უგურურობის, უმეტრების სიმბოლოდ აღიქმება (ლოგიკური შეფასების სემა – ნეგატიური), ვარდი კი – ყაიილთა მეყვდ, რაიშელოც სილამასის სიმბოლოა და, შესაბამისად, რაიშე ღირებულთან ასოცირდება (სემა – პოსიტიური). სედაიორულად ფიქსირებული ოპოზიციური წყვილის – ვირი-ვარდი – საფუძველზე ხორციელდება აზრმდებლობა: რა უნდა ვირს ვარდთან? სად ვირი და სად ვარდი? (სიღრმისეულად შესაბამისად ცნობიერდება ფასეული/არაფასეული; კანონზომიერ/აკანონზომიერ) აღნიშნული ლოგიკური შეუსაბამოა განაპირობებს ანდაზის იმპლიციტური მნიშვნელობის ექსპლიკაციას და კონკრეტული აზრის განსოვადებას, ფართე მნიშვნელობის იდეის სედაიორულ ამოიანას – „ღირებულს დაფასება სტირდება“ (ირიბი დიდატტივი).

ბუნებრივი, ანდაზის სემანტიკაში ფართე მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევა არ გულისხმობს იმას, რომ ყურადღება არ გამოიხილდეს პირველადი მნიშვნელობის უდაოდ დიდ ფუნქციალზე მისი მთლიანი ასრობრივი ფაბულის ფორმირებაში. მსუდეულობაში გვაქვს გამოინათქვამის ის შემადგენელი ატრიბუტკა – „საშენი მასალა“ (პერმიაოკვი 1970 :61), რომელიც ანდაზის საფრობრივ-თემატურ მოცემულობას ქმნის და რომელსაც ის ირჩევს აღნიშნული სობრანის დაფიქსირებისათვის. მასში შერჩეული კომპონენტები ხზორად დენოტატიურ დონეზევე იძლევიან კონტაციურ სიგნალს, რომელიც ანდაზის სეციფიკაში არ შეიძლება ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად არ მივიჩნიოთ. სწორედ ის განსაზღვრავს, თუ რა აზრით, რა შეფერილობით (დადებითით თუ უარყოფითით) გამოიყენება კონკრეტული ანდაზა. ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ შემთხვევაში მოცემული ხატოვანი ანდაზა, როგორც ენახებ, შეკეთორ მტაფორულ კონტრასტზეა აგებული. „ვირის“ შერჩეული „ეარდის“ ოპოზიციად და მათი დაპირისპირების საფუძველზე მოცემული ლოგიკური შედეგით („ვირმა ვარდი შეჭამა“) გამოინათქვამი სედაიორულ დონეზევე ამქადვებებს უარყოფით მუტეს; ის ირონიით მიემართება და დაციენის ობიექტად ხდის ადამიანს, რომელსაც (ვირის ანდლოგით) არც გონიერება და არც ცოდნა ყოფნის საიბისოდ, რომ სათანადოდ დააფასოს ის ხულში მოხეყვრილი (ეარდის მტავგის) რაიშე ღირებული. შესაბამისად, ლოგიკურია ის შთაბეჭდლავი ეყექტი, რომელიც მოცემული ანდაზის რეალიზაციას სდეგს თან.

საბრტერვის ის ფაქტი, რომ მსგავსი იდეის დაფიქსირებისათვის ქართულიც მტაფორად იმავე ლექსიკურ ერთეულს, „ვირს“ იყენებს, არაბულ „ეარდს“ გემრიელი და სტირფასი ხილის სახეობა, „სურმა“ ენაცვლება. აზრმდებლობა და აზრის გახსნა, შესაბამისად, ვირისა და ხურმის დაპირისპირებისა და მათ შორის არსებული ლოგიკური შეუსაბამოის საფუძველზე ხორციელდება ორივე ვინოსის მენტალობაში თითოეულის ზოგადასრობრივი განფენილობის პარაიქტივები პრაქტიკულად ერთ სიბრტევე ცნობიერდება. (ადგილი აქვს ენათშორის სუტეს ასრობრივი პარალელიზმს – სინონიმას.) ორივე ერთეულში მტაფორული ექსპანსიის მიმართულება ერთნაირია: ცხოველმაცენარეთა სამყარო → ადამიანი.

არაბული საანდასო ყოწნიდნად მივიხმობთ კიდევე ერთ მაგალითს, რომელიც, თუცა ზოგადასრობრივად იმავე ცნების („ღირებულს დაფასება სტირდება“) გამოომხატეულია, მაგრამ, ჩვენი დაკვირებით, განხილული ანდაზის ნაწილობრივი ასრობრივი პარალელს წარმოადგენს:

[ʔallī mā bjīʔref ʔə-ʔar bjīʔwi(h)] **لما يبرع العسق يبره**

– **თინე შევარდენს ვერ ცნობს, შეწეავს მას.**

¹ მ. რუსუშელი, საცესეითა მართებულად, ანდაზის სიღრმისეულ სემანტიკაში (მეორე შრეზე) ხედავს არქტიკულ ბირარულ სტრუქტურას (სტრუქტურებს). ამადროულად, მკლდევიარ ანდაზის რაობის განსაზღვრისას მას დოყურეცირებულ ნაშნად გამოიყოს (რუსიეშელი 1999 :22-23). ეს მოსაზრება ჩვენთვის მისადაგბა გარკვეულ დონეზე, კერისად, იმპლიკაციურად განსოვადებულ ერთეულებთან მიმართებით (რასაც მოცემულ შემთხვევაშიც თითოაღსწრებულ მიცემულ მაგალითებს სემანტიკური სტრუქტურის ანალიზისას). რაც შეეხება მის დოყურეცირებულ ნიშნად გასტრებს, აქ ჩვენი თვალსაზრისი პრაქტიკულად განსხვავებულია, თუნდც იმ მიზეზით, რომ, მაგალითად, ოჯახის სიღრმისეულ დაპირისპირებათა ყოწნიად, ბერი ანდაზის მსგავსად, არქტიკული ოპოზიციური ასრობრივი სტრუქტურა (სტრუქტურები) ფიქსირდება. ჩვენი ვერსიას ამყარებს იმ ანდაზების არსებობა, რომელთა გენქისი იფა-არაკებს უკუშორდება. შესაბამისად მიგანჩნია, რომ ანდაზა არ უნდა იყოს ერთადერთი ვერბალური ერთეული აღნიშნული თვალსაზრისით.

ამ შემთხვევაშიც სახელე გვაქვს ხატოვანი, მეტაფორული ანდაზა. მასში, წინამდებარე ერთეულიდან განსხვავებით, სუბაპირული ოპოზიცია არ ფიქსირდება. ენის მატარებელმა მასში არსებული ისტორიული გამოცდილების საფუძველზე იცის, რომ შევარდნი საქმოდ ძვირფასი ჯიშის ფრინველია, რომელსაც წერთინან და სანადიროდ იყენებენ. აქედან გამომდინარე ხდება ასრმდებლობაც: რატომ წვევს მგანი შევარდენს? მას ხომ სხვა (სანადირო) ფუნქცია აქვს და არა კვებითი ღირებულება. ლოგიკურად კვლავ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე, რის ფონზეც იშვირება მსგავსი აზრის მქონე ფართე მნიშვნელობა: „*ჭირადღირებულს დაფასება სჭირდება*“. შესაბამისად, მისი აქტუალისაციისას სიღრმისეული წარმოსახვითი მიმართებები პრაქტიკულად იმავე სახისაა: კანონზომიერი/არაკანონზომიერი. მაგრამ ტექსტი ამავე დროს ინფორმაციას გვაძლევს იმის თაობაზე, რომ ვინც ამას სჩადის – არ იცის, რომ ის შევარდენია, ამის საფუძველზე კიდევ ერთი სუბაპირულად ნაწილობრივ გამჟღავნებული ასრობრივი ოპოზიციური წყვილი ფიქსირდება: ცნობა/არცნობა (ცოდნა/არცოდნა). შესაბამისად, იმილიციტორ დონეზე ფიქსირებული განზოგადებული მნიშვნელობის დეკოდირებისას, პირველისაგან განსხვავებით, ასრი (შესრულების დროს სინონიმური ველიც) ნაკლებად დაძაბულია. მასში გარკვეულწილად ქართული „არცოდნა არცოდნა“-ს მნიშვნელობა დომინირებს. ანუ პირველ „ვირდის“ და „ეარდის“ „სუბრის“ შემთხვევაში რაიმე ძვირფასის ოდესმე დაფასების პოტენციალი ნულზეა დაყვანილი, რადგან „ვირს ოქროს ეელსაბამიც რომ შუბა, მაინც ვირია“ და ის ვერასოდეს მიხვდება მის ღირებულებას. ხოლო მეორე შემთხვევაში, შემდგომში, რაღაც ხარისხში მაინც არსებობს ძვირფასის დაფასების პოტენციალი, ე. ი. პირველი ერთეულისაგან განსხვავებით აქ მოცემულ საქციელს უფრო მსუბუქი შეფასება ეძლევა და მასში გამოხატული უარყოფითი კონტრაციაც შერბილებულია. შესაბამისად, შესრულებისას უფრო იუმორით, ვიდრე ირონიით მიემართება ადამიანს, რომელიც, მართალია, უმართებულო საქციელს სჩადის, ღირებულს აფუჭებს (შევარდნის შეწეის ანალოგიით), მაგრამ მის საქციელს გარკვეულწილად გამართლებაც აქვს, რადგან აღნიშნული ქმედება არცოდნის ნიადაგზე ხდება. მეტაფორული ექსპლანსის მიმართულებათ: ადამიანი – ადამიანი.

როგორც ხსენდება, ანდაზის გახსნა – არსებითის უდამარბე ამოტანა, რომელიც სამეტყველო აქტის მონაწილეთა ქვეცნობიერში მიმდინარეობს, პრაქტიკულად ფსიქოლოგიურად „*შემოქმედებით აქტს*“ წარმოადგენს. მისი აქტუალისაციისას (საერთო „მენტალური ენის“ მქონე) სამეტყველო აქტის მონაწილეთა ქვეცნობიერში აქტივირდება ის კონკრეტული „სენსორული მასალა“, რომელიც ფიქსირებულია მოცემული თემისის მიერ სამყაროს მოვლის ამ კონკრეტულ ნაწილთან დაკავშირებულ გამოცდილებაში. ანალოგიაზე დაფუძნებული ასრობრივი ოპერირებისას ხორციელდება აქტის მონაწილეთა „გონებრივი“ გადამუშავება, ხდება არსებითის გამოყოფა (დოფორმცირება) არაარსებობისაგან. ეს უპირესი მოცემულ საგანთა და მოვლენათა შორის იმ წარმოსახვით მიმართებათა წედომის საფუძველზე ხორციელდება, რომელიც დადგენილი და მიღებული ნორმად მოცემული ენობრივი კოდექტის ცნობიერებაში, მის საასროენო სივრცეში.

მოცემულ კორპუსში წარმოდგენილი მაგალითების ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ თითოეულ ანდაზას ქვეტექსტში მსგავსი ფარავ მნიშვნელობა უდევს საფუძველად, რითაც ისინი პრაქტიკულად ერთი ცნების („*ღირებულს დაფასება სჭირდება*“) ჩარჩოებში, ერთ სემანტიკურ მოდელში ერთიანდებიან. მიუხედავად ამისა, როგორც ვნახეთ, თითოეულის ასრობრივი შეფეროლობა (შესრულებისას ინტონაციური ველის მონაცემლობა) და სოგადასრობრივი განყენილობის პარამეტრები პრაქტიკულად განსხვავებულია. ე. ი. თითოეული კონტექსტში რეალიზაციისას განსხვავებულ სიტუაციურ „ნიშაში“ განთავსების პოტენციალს აძლავნებს, რის ფონზეც ისინი, არა სინონიმებად, არამედ „ეპისინონიმებად“ (ნაწილობრივი ასრობრივი პარალელებად) განიხილებიან. როგორც ჩანს, ანდაზა, ერთი შესვლით მარტვად და ყველასათვის გასაგები ფორმის მიუხედავად, მრავალპლანიან რთულ ფოლკლორულ მოვლენას წარმოადგენს. მასში სუბაპირულად (თვალსაზრისოდ) და სიღრმისეულად (არათვალსაზრისოდ) ასახული ობიექტური სინამდვილე არ შეიძლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საგნებად და მოვლენებად განვიხილოთ, რადგან ისინი სიღრმისეული წარმოსახვითი მიმართებების საშუალებით გარკვეულ ცნებით დამოკიდებულებაში მყოფი კანონზომიერებების მთელი სისტემაა. ამდენად, კომუნიკაციის დროს მათი მართებული გამოყენება, განსოვადებული მნიშვნელობისათან ერთად, მოითხოვს თითოეულის სემანტიკური შეფეროლობისა და სტილისტური მახასიათებლების ზუსტ ცოდნას. მსგავსი მაგალითები პრაქტიკულად ქმნიან რა განსხვავებულ ასრობრივი განშტოებებს მოცემულ თემატურ ჩარჩოებში, ერთი მხრივ, ამღიდრებენ და საინტერესოს ხდიან და, მეორე მხრივ, კიდევ უფრო ართულებენ უდაოდ რთული (მით უფრო უცხოენოეანი), მრავალფეროეანი პარემიული სივრცის ასრობრივი „პალიტრას“ და, ბუნებრივია, მის შესწავლას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარაკატი 1980: Barakat Robert A. *A Contextual Study of Arabic Proverbs* (Suomalainen Tiedekatemia, Akademia Scientiarum Fennica). FF Communication №226. Helsinki.
2. ბარლი 1984: Н. Барли. *Структурный подход к пословице и максиме*, в: Паремнологические исследования. М. стр. 127-148.
3. ბროკელმანი 1913: Brockelmann C. "Mathal". The Encyclopedia of Islam. Vol. 3. E. J. Brill. Leyden. pp. 407-410.
4. ვებსტერი 1986: Sh. K. Webster. "Arabic Proverbs and Related Forms". "Proverbiium" №3.
5. თარგუმანი 1987: ١٩٨٧. شرح 'سأ' ما قاله لسان. 'سأ ترجمان - ما قاله لسان'. ١٩٨٧.
6. კრიკიანი 1984: Крикиани А. А.. *Опыт объяснения некоторых семантических механизмов пословицы*, в: Паремнологические исследования. М. стр. 149-178.
7. ჯერშიაკოვი 1970: Г. Л. Пермяков. *От поговорок до сказки (замечки об общей теории клише)*. М.
8. რუსეიშვილი 1999: რუსეიშვილი მ. ანდაზის ფუნქციური არსი, სემანტიკური სტრუქტურა, პრაგმატული პარამეტრები (ინგლისურ და ქართულ მასალაზე) დისერტაცია ფილ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ.

Khatuna Tumanishvili (Tbilisi)

On the Expression of the Concept "It is Necessary to Appreciate the Valuable"
in Arabic Orally Transmitted Folklore
(With Comparative Analysis with Georgian Parallels)

Arab author Abu' Ubaid Al-Harawi (philologist, lawyer, theologian, born in 770) said: "Arabic proverbs are one branch of Arabic philosophy and wisdom", whereas according to the evaluation of the Arab people, "A proverb never lies" [al-másal ma jekzob 'abadan]- *الحكمة ما تكذب أبداً*

Proverbs are significant "social documents", which represent the stereotyped communicative units expressing the world outlook of nations. The process of human thought over the centuries, gaining insight in the deep regularities of the universe and conclusions are concentrated in them. By means of them the essential in the class of phenomena – the approved wisdom is evaluated and represented in a generalized way. Exactly due to the generalized meaning, proverbs can turn into the parameters of the mentality of a given language collective, into the formulas expressing the norms seen from their point of view and "established" by them. On this basis, they are used as argued evidence for explaining diverse life situations and bringing to light pragmatic "strategic" instructions.

Proverbs are a multidimensional topic. The aim of the present study is, on the basis of examples obtained from the Arabic stock of proverbs, to interpret on the theoretical level one conceptual model – "*It is necessary to appreciate the valuable*", in particular, to demonstrate how this generalized concept is expressed in Arabic orally transmitted folklore, upon what experience the Arabs rest in this case, what "construction material" (G.Permiakov) they choose as the image and on the basis of it what kind of imaginary-logical relations are recorded. At the same time, as a result of comparative analysis of Georgian conceptual parallels, respective similarities and differences are observable from this viewpoint.

The analysis of the examples represented in the given corpus has shown that the similar generalized meaning underlies each proverb, by means of which they practically are united within a single concept ("*It is necessary to appreciate the valuable*"), within a single semantic model. However, it has become clear as a result of the analysis that the conceptual colouring of each proverb (the alternation of the intonation field at the time of performance) and the parameters of the generalized extent are practically different. That is, at the time of realization in a context each proverb reveals the potential of being placed in a different situational "niche"; against this background, they are considered not as synonyms but as quasi-synonyms (partial conceptual parallels).

The Arabic-language material is based on the urban vernaculars of the Syrian dialect, mainly – those of Damascus, Aleppo and their outskirts. Each example is recorded and translated from the Arabic primary source, directly from Syrian informants. The Arabic text is accompanied the Latin transcription (showing the phonetic differences of the Syrian dialect in relation to Classical Arabic), the word for word translation and relevant Georgian equivalents.

ქართული და ზემოქალი ენობრივი მსგავსება-იმიჯობანი
ჰაბალი - kakkala

ბენარევიანის უნივერსიტეტის ელექტრონული უმეტრული ლექსიონის მიხედვით kakkala, "მცენარესაც" აღნიშნავს და "მცენარეებსაც" (ePSD). kakkala ადრეინანსტორი III ხანის ლექსება (მე.წ. 2600-2350). იგი სულ ოთხჯერ არის დაფიქსირებული. მიუხედავად იმისა, რომ kakkala სულ ცოტა 4600 წლის წინ "ცხოვრობდა" ჩვენგან შორს, უმეტრის ქვეყანაში, მასში ქართველებისთვის ქართული კაკლის ამოკითხვა მარტივია. უფრო მეტიც, ქართულში სხვა, და მათ შორის ა-სუფიქსიანი ფორმებიც მოგვეპოვება: კაკალა, კაკალი, კაკალი, კაკალი (დღონი 1986:138), კაკა, კაკაჲ (ნიუარაჲე 2007:258), გვარი კაკალაშვილი (ასუაშვილი 1991:390), კაკალაჲე და სასოგადო არსებითი სახელი კაკალა მცირე ზომის გამტკიცული პურის მნიშვნელობით და სხვა. ფონეტიკურ ერთგვარობებას, რომელსაც ხუთათასწლოვანმა პერიოდმა ევრაყური დაკალი, სემანტიკური ასპექტი ავებს და ასუტტებს, რადგანაც უმეტრული kakkala-ს გავრკვეველ მცენარეულ მითითება კონკრეტული მცენარის მნიშვნელობით უსტტდება - kakkala ქართული კაკალი უნდა იყოს. ბგერითი და სემანტიკური მხარეების მსგავსება-იდენტრობა განსაანალიშებელი ერთეულების გენეტიკურ ნათესაობაზე უნდა მიუთითებდეს, რაც ლინგვისტურმა ანალიზმა უნდა დაგვიდასტროს. კვლევას ვიწყებთ ქართველური ენებში დაფიქსირებული მასალით, იონიდან უმეტრული ლექსების შესახებ, გარდა სვეთ ნახსენები ინფორმაციისა, სხვა არანაირი ცნობა არ მოგვეპოვება. შესაბამისად, თუ განსაანალიშებული ლექსებში გენეტიკურად არიან დაკავშირებული, ქართველური კაკლ-ის ანალი-სის შედეგად მიღებულმა დასკვნებმა უმეტრული წყვილის შესახებ გარკვეული ენობრივი ინფორ-მაცია უნდა მოგვაწოდოს.¹

სულხან-საბას მიხედვით, "კაკალი ეწოდების ნიგოსთა და ხულთა ხილთა; კაკ(ა)ლად უწოდენ მრგვალთა რას(ა)მე; კაკლად იტყვიან იმერული მარცვალთა; კაკლად ითქმის თვალის(ა) სიმტრე-ლე; გინა ყვერის(ა) კაკალინი" (ორბელიანი 1991:347). ო. ქაჯიას მერულ-ქართულ ლექსიონშიც იდენტური ბგერითი შემადგენლობის ფორმებია დაფიქსირებული: კაკალბი ("დამარცვლული"), კაკალუა ("დამარცვლა"), კაკალ-კაკალი ან კაკაი-კაკაიო ("მარცვალ-მარცვალ"), კაკალანს ("იმარცვ-ლება"; ქაჯია 2002:99) და ა.შ. ანალოგიური სურათი გვაქვს სიანურშიც, სადაც კაკლ (ბუ, ლტ.) და კაკალ (ლშხ.) გვაქვს ორი მნიშვნელობით: "კაკალი" მარცვალ; ცალი, ერთული" (თოყურია, ქალდან 2000: 341).² კაკალ-ს აპარულ დიალექტში ანალოგიური მნიშვნელობები გააჩნია ("ერთი, ნაჭერი, წილი; დამარცვლა, ცენტრი ან შუაგული") და საყოფიერი სემანტიკური ნიუანსებიც განუვითარებია ("პატარა, მცირე") ("ერთი კაკალი-ერთი ცილა"); ზმნის მნიშვნელობებიდან აღსანიშნავია "მოკალა" ("მოგროვება"), "დაკალა" ("დაწერილებით ილაპარაკა, საიდუმლო გასცა"), ფრასები ("ცრმლები ჩამოკალა") ("ცრმლები ჩამოყარა") და ა.შ.³

ტრადიციული თვალსაზრისით კაკალი სამი მორფემისაგან შედგება: კაკალ-ი. პირველი წვერი (კა) ძირია, მეორე (-ალ-) - სუფიქსი, ხოლო მესამე (-ი) - სახეობითი ბრუნვის ნიშანი. ისეთი ლექსემების არსებობა, როგორიცაა კაკა, კაკა-ი გავფიქრებინებს, რომ განსაანალიშებელი სიტყვის ნაწილი მორფემული შედგენილობა ოდნავ სხვაგვარი უნდა ყოფილიყო, კერძოდ: პირველი წვერი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო კ მარცვლის გაორმაგებული ფორმით კაკა, მეორე - სუფიქსი - ალ ან დღეს უკვე არაპოლექტული -ლ სუფიქსით (შდრ. კოჭ-ი, მაღ-ი, მაღ-ლი, თეს-ლი, კუაზ-ლი და სხვ.; ჯორბენაძე... 1988:267), ხოლო მესამე - -ი ხმოვით. პირველი ორი მორფემის შეერთების სლვარსე ორი შესაძლებლობა იარსებებდა - კაკაალ+ი ან კაკაალ+ი, შედეგი კი ერთი იქნებოდა - კაკალი. პირველ შემთხვევაში მორფემათა შეერთებისას ორი ა ხმოვნიდან ერთ-ერთი ამოვარდებოდა, ხოლო მეორეში ამგვარი აუცილებლობა საერთოდ არ იარსებებდა. ენიდან ეტიმოლოგიური კვლევებისათვის ყვეელი მორფემის განსასლდერულობა მეტად მნიშვნელოვანია

¹ ნაშრომი იტვლება შემოკლებით. მასში განხილულია მხოლოდ ქართველური და უმეტრული ლექსემების სტრუქტურული ანალიზი.
² სიანური ფორმა, ქართველილოვთა აზრით, ქართულიდან არის შესული, იუმცა, როგორც ეს მოგვიანებით იქნება ნაჩვენები, განსხვავებული შეხედულების არსებობაც არის დასაშუები.
³ აპარული მასალა მოგვაწოდა ნ. ცეცხლაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მიუახსენებთ.

ობიექტური ანალიზის ჩასატარებლად, კაკლის შემადგენელი მორფემები მკაცრად უნდა განი-
სახსროს. ამასი დიდად გეგხნარება ქართულურ ენებში დაფიქსირებული შემდეგი მასალა:

ქართული: კაკა - ყვერიის კაკალი (საბა, 1999:34);

კაკა - ჩქიქილურად ხილი (იქვე); იგივე აჭარულშიც.

მგერული: კაკაჰი - "მარცვალი (მარცვლოვანი მცენარეებისა), კაკალი (ქაჯაია, II, 99;
აგრეთვე ზეითი დასახლებული ნაწარმოები ლექსებში).

სვანური: გაკ (გზ, ქს), გაკ (ბქ) - ნიგოზი; კაკლის ხე (თოფურია, ქალღანი 2000:163)

მოყვანილ მასალაში მხოლოდ სვანური (ბქ, ქს) ფორმა აფიქსირებს პირველ ელემენტად მგლერ
ეულარედ მსკლიმ გ-ს. ხოლო ბქ-ში მას ქართულისა და მგერულის ანალოგიური ბგერათმდ-
გენილობა (კაკ) აქვს. ეს იმასე მიუთითებს, რომ საერთოქართული ფორმა აუცილებლად უნდა
ყოფილიყო მკვეთრი ყრუ გლოტალური კ. განიანი ფორმები კი მოგვიანო წარმომავლობისაა. მათ
მეორეულობასე შეტყველებს ხმოვანწმოვილებული კაკიც, რომელიც გაკის წინმსწრები ფორმა
უნდა იყოს. თანხმოვანთა გამკლებრა სვანურში ჩვეულებრივი მოვლენაა.

განსაკუთრებით საინტერესოა მგერულში ერთი და იმავე მნიშვნელობის, მაგრამ განსხვავებული
მორფემული მდგენელობის კაკა-კაკალი ("მარცვალ-მარცვალ"; ქაჯაია 2002:99) ფორმები, საიდანაც
ნათლად ჩანს კაკა ძირის გაორმაგებულად ყორმა და დეტერმინანტი ყლემწრები (-ი, -ო). ეს
საშუალებას გვაძლევს დავასკენათ, რომ სიტყვის უპირედესი სტრუქტურული ფორმლა იყო
კაკაჰლი, სადაც პირველი წვერი გაორმაგებული კა ძირია, მეორე - დღეს უკვე არაროდუქტული
სუფიქსი -ღ. ხოლო მესამე - ბრუნვის ნიშანი -ი. საგულისხმოა ისიც, რომ ქართული ენის ქიზიყურ
მეტყველებაში "ხილგულის" აღმნიშნელი კაკაკუკაც აშკარად გამოყოფს კა ძირს).

ამრიგად, "მარცვლ"-ის, "სიმრგვალის" და "ერთულის" აღმნიშნელი ქართველური კაკა ლექ-
სმა კა ძირის რედუქციაციის შედეგია. აღნიშნული ძირი დაფიქსირებულია მგერულსა და
სვანურში: კა "ნაწილი, წილი, ცალი" (ქაჯაია 2000:97). იგივე ძირია სვანურ კა-ში მნიშვნელობით
"ვიქალი ქვა; კერია (გადატ. უწოდებენ რკინის თხელ ფილასაც; იყენებენ კეცის დანიშნულებითაც;
თოფურია, ქალღანი 2000:340), რომელიც კერის სიმრგვალის მტონიმური გადატანის საფუძველზე
ჩანს აღმოცენებელი. ამ მოსახსნელს ადასტურებს სვანურშივე დაფიქსირებული კაკკჱჩამი < ბზ, კ-
კჱჩამ < ხს, ბქ. იდენტური მნიშვნელობებით "კჱჩამ; ფიქსიის ქვის კერია; შდრ. კა" (თოფურია,
ქალღანი 2000:341). იგივე რიგში დგება აფხაზურში კჱ "ცალი" < ზაზა "ერთი ცალი" (ლომონთიძე
1977:75). ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ კა ძირი ყველა ქართველურ ენაში არ დასტურდება, მისი
არსებობა მგერულში, სვანურში, აფხაზურში და გაორმაგებული ძირი ქართულში გვაძლევს
საფუძველს დამოუკიდებელი კა ძირის არსებობა ეთარაულოთ ქართულშიც და საერთოქართველ-
ურშიც. გაორმაგების მოხსნის ამოცნობაც არ არის რთული. მკერე სომის გამო "მარცვლ"-ის
მხოლოდობით რიცხვი იმდენად შეუსაბამო იქნებოდა მისი ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების
რეალურ შინაარსთან, რომ აღნიშნული ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური "დაპირისპირების
მოსახსნელად" ძირის რედუქციაცია მოხდა. გაორმაგება საერთოქართველურის დონეზე უნდა
მომხდარიყო, ენიადან დროთა განმავლობაში გაორმაგებულმა ძირმაკ კი მხოლოდობით რიცხვის
("ცალი", "მარცვალი") აღნიშნა დაიწყო, რაც დიდად შეუწყობდა ხელს უპირედესი კა ფორმის
დაიწკებას¹. აღწერილი პროცესის ნაშთი უნდა იყოს სვანური გაკაჱა = "ნიგუზის ხე, კაკლის ხე"
(დონდუა 2001:57), რომელიც აშკარად ჩანს მხოლოდობად გადაარბებული გაორმაგებით გაკ და
მცენარეთა სიმრგვალის მარცვლებული სუფიქსი -რა (თოფურია 2008:30), რაც სავსებით შეესაბამება
არა კაკლის, არამედ კაკლებს ხეს. ანალოგიური მოვლენასთან უნდა გვეკონდეს საქმე ძველქართულ
სიტყვებში ერთკაკა, ცალკაკა (აბულაძე 1973:191; 149), სადაც კაკა-ს მხოლოდობითობის გაგება სავსე-
ბით დაკარგულია და მისი შემოყვანა სიტყვის მნიშვნელობაში დამატებით ლექსებში "ერთი,
ცალი" სორციულდება. არ არის გამორიცხული, რომ მსგავს შემთხვევებს გამოეწვია გაორმაგებული
ძირის მარტე მორფემად გადასურება, რის შედეგადაც მოგვიანებით ახალი ენობრივი ერთეულები
განდა: კაკალი, კაკალური ("დამარცვლელი"), კაკალუა ("დამარცვლა"), კაკალ-კაკალო ("მარცვალ-
მარცვალ") და სხვა.

როგორც ვხედავთ, ქართველურ კაკალ-ში წარმოდგენილი ძირი (კაკა) ენობრივი და კულტურ-
ოლოგიური ურთიერთდამოკიდებულებისა და განპირობებულობის შედეგად წარმოქმნილი თხზუ-
ლი ლექსებია. ახსენის მიზანი მრავლობითობის კატეგორიის გამოხატვა იყო, ხოლო საშუალება -
ძირის რედუქციაცია - მრავლობითი რიცხვის წარმოების უძველესი ხერხი, რაც ქართველურ
კაკა-ს "ხანდაზმულობის" უტყუარ ნიშნს სიხსნ. თუ ნათქვამის საფუძველზე გასაანალიზებელ
ლექსებებს ქრონოლოგიური თვალსაზრისით დავალაგებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

¹ მგავსი რედუქციაციის შემთხვევები სხვათაგან: მგავსიად: ძაბა, ფაფო, ხახა, სახა და ა.შ.

სქემა 1

ქართულური კაკალი და მისი განვითარება

ქართ: *კა > კა-კა > კაკა-ლი > კაკალი

მეგრ: კა > კა-კა // კა-კა-ღ > კა-კა-ღ-ღ > კაკაღ

სვან: კა > კა-კა > კაკ > გაკ > გაკა-ღ > გაკა-ღ //კაკაღ

ნათელია, რომ კა ძირის რეალუატივაცია, დერივაციის წარმოქმნა და შემდეგ გაორმაგებული ძირის გადაზრების შედეგად ახალი მორფემული შედგენილობის ლექსემის წარმოქმნა სამივე ქართულურ ენაში ერთი და იმავე მექანიზმით იმართება. ეს კი მიუთითებს აღნიშნული პროცესების უფრო პარალელურ (ქართულურ || სვანური || მეგრული), ეიღერე თანმიმდევრულ (ქართული > სვანური > მეგრული) განვითარებაზე.

შუმერული kakkala-სა და ქართულური მასალის ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემების შედარება მეტად საინტერესო ფაქტებს ჰყვანს ნათელს. აღსანიშნავია, რომ შუმერული ლექსემა ქართულური სიტყვის ბოლო ეტაპზე არსებული ფორმის იდენტურია და, როგორც ეს ზევით უკვე აღინიშნა, ადრეული დინასტიური III ეპოქით, ანუ 2600-2350 ძვ.წ. თარიღდება. სხვაგვარად, კაკა-დან ნაწარმოები კაკალი 4600 წლის წინ უკვე არსებობდა. მარტივი კა-ძირის არსებობასა და მისი რედუქციონირებული ფორმის მარტივ ლექსემაზე გახსოვას სულ ცოტა 500 წელი მაინც დასტურდებოდა, რაც ქართულური სიტყვის კაკა ფორმით რედუქტურად არსებობის 5100 წელს მოიცავს, რომ არაფერი ვთქვათ ძირზე კა, რომელიც უსისოარი დროის (მე-4 ათასწლეულის) ენობრივ ლაბორინთებში იკარგება.

თუ შუმერულ kakkala-ს ქართულური კაკალ-ის სტრუქტურას შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ შუმერული წვერი ქართულურ სტრუქტურას მიჰყვება და სამი კომპონენტისაგან შედგება: გაროცეცებული ძირი kak + სუფიქსი -l + ბოლოიდური -a ხმოვანი, მაგრამ არის ერთი "მაგრამ". ეს სიტყვის შიგნით ორმაგი აბრუპტივის (k) არსებობაა, რომლის სტატუსიც უნდა გაირკვეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით დღის წესრიგში დგება კაკასიურ ენებში გაერცელებული გემინირებული თანხმოვნების არსებობის საკითხი შუმერულში. შუმერულში მსგავსი ფონემების არსებობა აღნიშნული არ არის (Langdon 1911; Edzard 2003; Thomsen 1984; Michalowski 2005) და, ბუნებრივია, შუმერული ენის თვისებებით kakkala-ში დაფიქსირებული გაროცეცებული კ ვერ აიხსნება. შესაბამისად, გასარკვევია, თუ რამდენად ძალუძს ქართულურ მასალას აღნიშნული "ორთოგრაფიული" პრობლემის ახსნა. თუ შუმერულ kakkala-ში გამოვეყოფთ ცნობილ მორფემებს – კაჲ kak, ლჲ -l და -a-ს, დავერჩნება ელემენტს ka, რომელიც ქართულური საწყისი კა ძირის ტოლია. შესაბამისად, შუმერული ლექსემის სტრუქტურა შეიძლება წარმოადგინოთ როგორც kak+ka+l+a, სადაც ორი ძირია წარმოდგენილი. პირველი kak იგივე ქართულური კაკა-ია, ხოლო მეორე ka კი საწყისი ქართულური კა მორფემა. შესაბამისად შუმერულ kakkala-ს სტრუქტურაა kak+ka+l+a, სადაც ადგილი აქვს ორი მარტივი სტრუქტურის მქონე ძირის თხზვას kak+ka და ორი იდენტური აბრუპტივის – ka-k + ka თავმოყრას. ეს ფაქტობრივად კა/ka ძირის ხელახალი "გაორმაგებაა" (ka+ka)+ka.

დავასკვნით: შუმერული kakkala-ს გაროცეცებული კ თანხმოვანი ქართულური მასალით არა თუ იხსნება, არამედ ანევენს მის მორფემულ შედგენილობას, სიტყვათწარმოქმნის ქართულურ ფორმულასა და პროცესს. სახესუბა ქართულოლოგიაში მიღებული კაკლის ძირის (კაკ) ანალოგიური ფორმა, ანუ დეტერმინანტ და ერთ თეთველად აღქმული და გამარტივებული გაორმაგებული ძირი კაკ/kak, რომელსაც დერივაციის პროცესში მონაწილეობისათვის გზა ხსნილი აქვს. აქვეა საწყისი ქართულური ძირული მორფემა ka/კა, რომელიც საკუთარი რედუქციონაციის შედეგად წარმოქმნილი kak ძირისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ძველი, დღეს უკვე არაპროაქტუალი სუფიქსი -l და ანალიზის შედეგად გამოვლენილი კინოზოთობის მაწარმოებელი სუფიქსი -a. ეს ერთადერთი "ორთოგრაფიული" განსხვავება – გაროცეცებული kk – ქართულურში ძირის რედუქციონაციური ბუნების ენობრივი მახასიათებლის შედეგია, მაშინ, როდესაც ძვ.წ. 2600 წლისათვის შუმერულ სამყაროში ეს ენობრივი ფაქტი დაფიქსირებულია.

ქართულური და შუმერული კაკალი – kakkala-ს ურთიერთობა სცილდება ენობრივი კრიტერიუმებით აღიარებულ ჩარჩოს, ვინაიდან ქართულური მასალა აზუსტებს შუმერული წყვილის სტრუქტურულ ფორმულას, ახვეწს მორფემათა სემანტიკას, აკორექტებს მნიშვნელობას და მიგვანიშნებს შუმერული kakkala-ს მიღმა დაგაბნეულ კულტუროლოგიურ ასპექტებზე. მეკადრი შუმერული ენის შესწავლაში ერთი ასეთი მაგალითის არსებობაც კი ურთავდ უკრძალავი ფაქტია, რომ არაფერი ვთქვათ მათ მნიშვნელობაზე შუმერულ-ქართულური ენობრივი ნათესაობის კვლევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე 1973: აბულაძე ი. *ძველი ქართული ენის დიქციონარი*. მეცნიერება. თბ.
2. ახუაშვილი 1991: ახუაშვილი ი. *ქართული ეპარ-სახელები*. ვანათმეცნიერება. თბ.
3. დონღუა 2001: დონღუა კ. *სვანურ-ქართულ-რუსული დიქციონარი*. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ.
4. თოფურია, ქალღანი 2002: თოფურია ვ., ქალღანი ნ. *სვანური დიქციონარი*. თბ.
5. ლომიათიძე 1977: ლომიათიძე ქ. *აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი*. I. თბ.
6. ნივარაძე 2007: ნივარაძე ბ. *ქართულ-სვანურ-რუსული დიქციონარი*. ბალსზემოური დიდილექტი. უნივერსიტეტი. თბ.
7. ორბელიანი 1991: ორბელიანი სულხან - საბა. *დიქციონარი ქართული I*. თბ.
8. ქავიაძე 2002: ქავიაძე ი. *მეგრულ-ქართული დიქციონარი*. II. ნეკერი. თბ.
9. დლონტი 1986: დლონტი ალ. *ქართველური საკუთარი სახელები*. სამკოთა საქართველო. თბ.
10. ჯორბენაძე – 1988: ჯორბენაძე ბ., კობახიძე მ., ბერძენი მ. *ქართული ენის მორფემებისა და მონადგურული ელემენტების დიქციონარი*. მეცნიერება. თბ.
11. Edzard 2003: Edzard D. O. *Sumerian Grammar*. Brill, Leiden - Boston.
12. Langdon 1911: Langdon St. A. *Sumerian Grammar and Chrestomathy with a Vocabulary of the Principal Roots in Sumerian and a List of the most Important Syllabic and Vowel Transcriptions*. Paris.
13. Michalowski 2005: Michalowski P. *Sumerian*. In *The Cambridge Encyclopedia of the World's Ancient Languages*. Edited by Roger D. Woodard. Cambridge University Press. Cambridge.
14. Thomsen 1984: Thomsen M. *The Sumerian Language. An introduction to its history and grammatical structure*. Vol. 10. Copenhagen Studies in Assyriology. Akademisk Forlag. Copenhagen.
15. <http://psd.museum.upenn.edu/epsd/ncpsd-frame.html>

Ana Meskhi (Tbilisi)

kakali – kakkala - Kartvelian and Sumerian Language Similarities

Modern Near Eastern Studies recognizes Sumerian as an isolate. Huge secondary literature is silent regarding the view which was expressed on early stages of Assyriology suggesting genetic relationship between Kartvelian and the dead languages of the Near East. Works conducted along these lines make western and Georgian scholars smile, as similar studies are regarded naïve and futile.

The hypothesis indicating Sumerian and Turanian (Ural-Altaic or Finno-Ugric) genetic contacts shared a similar fate. Rejected by specialists of Finno-Ugric linguistics over 150 years ago, the hypothesis has come back to the Assyriological agenda. The Kartvelo-Sumerian view has a stronger reason to be revived for none of the scholars who “pronounced the verdict” against the view knew any of the Kartvelian languages. Therefore, despite the fact that unlike European and American universities and museums that are full of clay tablets and special literature on the subject, research in this direction should commence and numerous websites produced by Assyriologists’ dedicated work should be made use of.

The present article discusses the Sumerian lexeme kakkala which is dated by Early Dynastic III (2600-2350 B.C.). It starts a series of articles presenting the analysis of Sumerian and Kartvelian similarities. According to ePSD, kakkala designates a “plant” or “plants”. Its phonetic identification with the Kartvelian kakali (Walnut) is not hard (cf. Svan gak. kak). The word has variants both in final -i, and -a, and is extensively present in Kartvelian onomastics (Kakala, Kakalai, Kakalei, Kakalo, Kakalashvili). The phonetic similarity is complemented and made precise by the semantics of the word. It is highly significant that kakali denotes a Walnut tree as well as a “piece, piece of grain,” (cf. Gurul-Imeretian dialectal kakali || kekalii, and Megrelian kakai).

The reduplicated structure kaka+I+i (cf. Megrelian ka “one” and Abkhazian kə “one” O. Kajaia; *za-ka “one”; K. Lomtadize) different from the accepted formula (kak+aI+i) throws light not only on the pattern of the Sumerian lexeme, but also on its morphemic combinability and the language status of the morphemes (root, affixal, grammatical (a diminutive suffix -a)). Another significant fact is that kakkala corresponds to the final stage of development of the Kartvelian lexeme (kaka-I+i), a fact, that dates the latter unit by 2600 B.C. Considering the previous stages of the development (ka>kaka), the root morpheme ka reaches down to the unimaginable 4th millennium where the dominant method is reconstruction and not the analysis of the factual material.

The identity of the Sumero-Kartvelian kakkala-kakali revealed through linguistic examination, and the chronological priority of the Kartvelian member, is further confirmed by the peculiarities Sumer's flora, latest archaeological digs in Kartli ("Grakliani Gora"), and the results received through culturological depth – surface analysis of the words under study. Sumerian, which according to modern scholarly attainments should belong to the deep category, gives this prerogative to Kartvelian, and "settles" on the surface. Another interesting feature of the study is the results obtained through applying Swadesh's mathematical index to A. Deimel's "Sumerian Dictionary" and M. Tsereteli's list of Sumero-Kartvelian similarities which suggests possible genetic relations between the two languages.

The said above allows us to state that it is high time specialists treated the view on Sumero-Kartvelian genetic relations with more seriousness. Also, works dealing with the Sumero-Kartvelian genetic theory should be collected, new data amassed, and submitted to a scrupulous and detailed analysis using modern complex linguo-culturological methodology.

სახელ ვახუშტის შესახებ

უძველეს ქართულ წერილობით ძეგლს, რომელშიც სახელი ვახუშტი იხსენიება "როსტომიანი" (XV-XVI სს.) წარმოადგენს.

"ზავის თხოვნა მოიგონა, გაეპრჭობის გული-გულსა, მისცა კაცი ოცდათასი, ომან დადგა შუა გულსა, გარსევან და ვახუშტს, ლოაქს, ზანგულ კარგსა მოწიფულსა, როინ დადგა ხუთანელთა ჭალაშიგან სადარნოსა "

[1,4422]

ეს სახელი "როსტომიანში" მხოლოდ ერთხელ გვხვდება და მას ვარიანტული ფორმები არ აქვს. ვახუშტი თურანელი ფალავნის (თურანის მეფის აფრასიობის შვილიშვილის) სახელია, რომელიც მონაწილეობას იღებს "თორმეტი შერკინების" ერთ-ერთ ბრძოლაში და მას ამარცხებს და კლავს ირანელი ფალავანი ზანგ/ზანგულ შარვანელი.

შემდგომ ეს სახელი ამავე ფორმით იკითხება "ახალი ქართლის ცხოვრების" მესამე ტექსტში:

"... და წარვიდა ყაენი [შაჰ-თამაზ] და ჩავიდა სომხითს და დახოცნა და ვახუშტი დიანსამიძე და ამონ ტყუედ წაიყვანა მარამიობის თუეს" [2,500].

იგი ასევე დახტურდება "დოკუმენტებში საქართველოს სოციალური ისტორიიდან" (1788 წ. ოქმი, ერეკლე II-ისა თეიმურაზ ჯაფახიშვილისა და ვახუშტისადმი):

"წენი ბრძანება არის ჯაფახიშვილო თეიმურაზ და ვახუშტი, მერე ხანდაკივამ, გრაკივამ, სასირეთივამ, ყარაღვივამ და ხოვლევამ ყარაულები უნდა გაიყვანონ მორიგეები და მთაში უნდა აყარაულო " [3,136].

აღსანიშნავია, რომ ეს სახელი ერქვა XVII-XVIII სს. ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, გეოგრაფსა და კარტოგრაფს. ეგულისხმობთ ვახუშტი ბატონიშვილს (ბაგრატიონს).

კინონობითი ფორმით ვახუშტი დადასტურდა სახელი "დოკუმენტებში საქართველოს სოციალური ისტორიიდან" (1693 წლის მამულის ნახედილობის წიგნი) [4,93].

ხოლო მეორე კინონობითი ფორმა ვახუშტივლა აღმოჩნდა "ისტორიულ დოკუმენტებში იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების" [5,109].

ირანული სახელების (ცნობილი მკვლევარი ფ. იუსტი სახელი ვახუშტი პართული

W ā x w a š t (W ā i x u š t) - ის ქართულ ფორმად თელის [6,344] სოპულარული წიგნის "რა გქვია შენ" ავტორი პროფ. ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ სახელი ვახუშტი ირანულია და ნიშნავს "სამოთხე", "საუკეთესო" [7,156], თუმცა მკვლევარი არც ამ სახელის ამოსავალ ირანულ ფორმას მითითებს და არც ეტიმოლოგიის წყაროს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქართულში შემოსული და დამკვიდრებული ირანული სახელების უმრავლესობა "შაჰ-ნამედან" მომდინარეობს და სახელი ვახუშტიც "შაჰ-ნამეს" უძველეს ქართულ ვერსიაში - "როსტომიანში" იხსენიება, მისი პართული წარმომავლობა დამაჯერებელი არ ჩანს მართლაც, "შაჰ-მანეს" ქართული ვერსიებში გვაქვს შემთხვევები, როცა ქართველი მთარგმნელ-გამოქვეყნებები "შაჰ-ნამეს" ზოგიერთი პერსონაჟის სახელს ან ეპითეტს საშუალო სპარსული ფორმით წარმოგვიდგენენ (მაგ. სა.შ.ს. სპანდიაც - ახ.ს.ს. ესფანდიარ, სა.შ.ს.ს. ბევრასპი - ახ.ს.ს. ბივარასფი), მაგრამ ისინი ამ ფორმით XII საუკუნის ავტორთან ლეონტი მროველთანაც არის მოცემული. სახელი ვახუშტი კი "როსტომიანზე" აღერ არც ერთ სხვა ძეგლსა და წყაროში არ გვაქვს, ამიტომ ამ სახელის შესატყვისი სპარსული ფორმა "შაჰ-ნამეშა" საძიებელი.

"როსტომიანის" შესატყვისი სპარსულ კონტექსტში (მოსკოვის გამოცემის მიხედვით) ამ პერსონაჟის სახელია ავხსთა (A w x ā š t):

رخو اندر ستمان و ارواست را

იხსოვანდომიან და ავხსთა [8,335]

ამ გამოცემაში მითითებული გამოყენებულ ხელნაწერებში მოცემული ვარიანტული ფორმებიც ახსთა (A x ā š t), ახსთა (A x ā š t) ოსაშთ (O x ā š t) და არუასთ (A r ũ ā š t). მოსკოვის შაჰიანი მახანდარანის "შაჰ-ნამეს პირისა და გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონში" მითითებული აქვს "შეფუთა წიგნის" სხვა გამოცემებში და ხელნაწერებში, ასევე, საისტორიო წყაროებში წარმოდგენილი კიდევ რამდენიმე ვარიანტული ფორმა ამ სახელისა. ესენია: ახრაშთ (A x r ā š t), ავხასთ (A w x ā š t) და ახასთ (A x ā š t) [9,79].

ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტული ფორმებიდან ქართული ვახუშტის ამოსავალ სპარსულ ფორმად შეიძლება ოთხი მათგანი (Awx"äst, Äwx"äst, Ax"äst, Ax"äst) მივიჩნიოთ, მაგრამ დაკონკრეტება ჭირს, რადგანაც გარკვეული ფონეტიკური და გრაფიკული ცვლილებების საფუძველზე თითოეული მათგანიდან შეიძლება მივველო ქართული ფორმა ამ სახელისა. არც ის არის გამორიცხვული, რომ "როსტომიანის" მთარგმნელ-გამლექსავის მიერ გამოყენებულ "შაჰ-ნამეს" ხელნაწერში ამ თურანელი ფაღვანის სახელი კიდევ ერთი განსხვავებული, ქართულ ფორმასთან უფრო ახლომდგომი ვარიანტით ყოფილიყო წარმოდგენილი.

რაც შეეხება სახელის ეტიმოლოგიას (მნიშვნელობას), იგი არც ზემოთ ხსენებულ ფ. იუსტისა და პოსეინ შაჰიდი მასანდარანის აქეთ მოცემული და არც მ. ჰესაბის, მ. რასთაგარის, მ. აბასის, მ. ფურფარსისა და კ. ნახაის ირანულ საკუთარ სახელთა ლექსიკონებში აღმონდა. ჩვენი აზრით, "შაჰ-ნამეში" თურანელ ფაღვანს პროფ. ზ. ჭუმბურიძის მიერ წარმოდგენილი მნიშვნელობის სახელი ("სამოთხე", "საუკეთესო") არ ერქმეოდა.

დასასრულს უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სახელი საქართველოში დიდი პოპულარობით არ გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელი ძველად და ჩვენს დროში ცნობილ პიროვნებებსა და მოღვაწეებს ერქვა (ვახუშტი ბატონიშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი) დღეს ქართველები ამ სახელს შეილებს იშვიათად არქმევენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. როსტომიანი. შაჰ-ნამე. ქართული ევრსიები. II. ტფ. 1934.
2. ქართლის ცხოვრება. II. ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. თბ. 1959.
3. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს). 6. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1953.
4. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს). 6. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1940.
5. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია - ოდიშის სამთავროებისა (1466-1770) წიგნი I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ. 1959.
6. F. Justi. Iranisches Namenbuch. Hildesheim. 1963.
7. ზ. ჭუმბურიძე. რა გქვია შენ. თბ. 2003.
8. شاهنامه فردوسی، جلد پنجم، دوازدهم، رخ، مسکو، 1965
9. حسین شهیدی ملزندانى (میلان)، فرهنگ شاهنامه (نام کسان و جایه)، تهران، 1377

Lili Zhorzhboliani (Tbilisi)

About the Name Wakhushti

The oldest Georgian literary work which contains the name Wakhushti is "Rostomiani" (XV-XVI cc.), the Georgian translation (version) of "Shahname". Later on the name is met in "The New Georgian Chronicle" (Akhali Kartlis Ckhovreba), in "The Documents of The Social History of Georgia" (XVII c.), in the historical papers of the Imereti Kingdom and the county of Guria-Odishi (XVIII c.).

As F. Yust, the prominent researcher of the Iranian names believes, this name is the equivalent of the Parthian name Waikhwest (Waikhust). According to Z. Chumburizze the author of the popular edition "What's your name?" the name has passed from the Iranian languages and its meaning is "heaven", "the best", nevertheless there is no mention of its origin or the etymological source in the book.

Taking in view that the great majority of Iranian names firmly settled in the Georgian language have passed from "Shahname" and the name Wakhushti is met in "Rostomiani", the oldest Georgian version of the epic, consequently the etymological source of this name must be found in "Shahname". In the Moscow edition of "Shahname" in the chapter equal to that of "Rostomiani" we meet the legendary hero from Turan named Awkhast". In the other editions and scripts of "Shahname" the name occurs as Akhast, Okhast, Akhas etc. We consider the name Wakhushti an etymological target of the name Awkhast (or any other equivalent form), which has been phonetically changed during the process of linguistic borrowing and has spread in Georgia through the epic of "Rostomiani". None of the Iranian Proper Name Dictionaries available to us represents the details of etymology of this name.

მეგრული ტექსტების ქოგნიტაბრული ბაზის სტრუქტურა, საანოტაციო პარამეტრები და მოხმარების პრინციპები¹

ზეპირსიტყვიერება ისეთი ყენომენია, რომელიც დამწერლობასაც კი უსწრებდა წინ, მაგრამ ზეპირმეტყველებაზე (სახაბრო, სპონტანურ მეტყველებაზე) დაფუძნებული ტექსტების ფიქსაცია მოხდა გაცილებით გვიან (გამყრელიძე1989-200-201). ამ მხრივ გამოინაკლისი არც მეგრული ტექსტებია, მოგვემოყება XIX საუკუნიდან. ყველასათვის ცნობილია ალ. ცაგარლის, ი. ყიფშიძის, შ. ბერიძის, მ. ხუბუას, ტ. გუდავას, კ. სამუნიას, კ. დანელია-ა. ცანავას, გ. კარტოზიას მიერ გამოცემული მეგრული ტექსტები, რომელთაგან ზოგს ქართული ევრსია ახლავს, ზოგიც მის გარეშეა. მეგრულის მიმართ მეცნიერული კვლევის ინტერესს ინიენ როგორც ქართველი სპეციალისტები, ისე უცხოელი ქართველოლოგები, რადგან საერთოქართველური კულტურის კომპლექსური კვლევა მეგრულის მონაცემების გათვალისწინებასაც მოითხოვს.

საკითხი დგას ამგვარად: ერთი, გამოქვეყნებული მეგრული ტექსტების ყვეტურად გამოყენების მექანიზმის ამუშავება; მეორე, დღევანდელი მეგრული მეტყველების ფიქსაცია, დღევანდელი ენობრივი მდგომარეობის რეალისება ტექსტების სახით და მათი შედარება საუკუნისწინანდელ გამოცემებთან.

თუკი, ერთი მხრივ, დროის სწრაყი დინება და ტექნიკური პროგრესი დაეიწეებისა და ტაქტობის საფრსეს უქმნის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, მეორე მხრივ, სწორედ მეცნიერებისა და ტექნიკის განეითარების დღევანდელი დონე იძლევა საშუალებას, კომპიუტერული ტექნოლოგიები აქტიურად ჩაერთოს ბუნებრივი ენების ლინგვისტური დამუშავების პროცესში. კორპუსის ლინგვისტიკის დამოუკთებულ დისციპლინად ჩამოყალიბება რამდენიმე ათეულ წელს ითვლის მხოლოდ, მაგრამ სწრაფად ვრცელდება და ინერება წყნშიც, რასაც მოწმობს ქართველ მეცნიერთა მოღვაწეობა ამ სფეროში².

მონაცემთა ბაზის სტრუქტურების საკითხი: მეგრული ტექსტების კომპიუტერული ბაზის სტრუქტურა და ენობრივი მასალის საანოტაციო პარამეტრების პრინციპები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასალის ყვეტურად გამოყენების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია აგრეთვე ბაზაში განთავსებული ტექსტების შერევის საკითხი: შერეევა კილოურად სრული, თემატურად და ენობრივად მრავალყრეიანი მასალა. საანალიზოდ შერჩეული გამოცემული ტექსტების მიხედვით დაიგეგმება ექსპლიციტი სამეგრელოში და იმგვარად განისაზღვრება მუშაობის მეთოდიკა, რომ საბოლოო ჯამში მომხმარებელს საშუალება ექნება მიიღოს როგორც კილოურად, ასევე ქრონოლოგიურად განსხეეებული ტექსტები.

ბაზაში წარმოდენილი ტექსტების არაენობრივი მახასიათებლები სხეადასხეეგავრი შეიძლება იყოს: *ექსტრალინგვისტური* (ცნობები ტექსტის მომყოებლის, ავტორის, მასალის ნაწერის დროისა და ადგილის, მოქმელის ასაკის შესახებ და ა. შ.); *გეოლინგვისტური* (ცნობები რაიონის, სოფლის, კილოს, კილოკაის შესახებ); *ტიპოლოგიურ-თემატური* (ტექსტის ტიპი, ეანრი, თემა და ა. შ.); არაენობრივ მახასიათებელთა ნუსხას დამატება ცნობები ყველა იმ გამოცემის შესახებ, რომელშიც ესა თუ ის ტექსტია მოცემული.

რამდენადც პროექტის ფარგლებში დამუშავებული მეგრული ტექსტების მონაცემთა ბაზა გამოიწეილია ყართო მოხსმარებისთვის, საანალიზოდ მასალა ჩაიწერება სპეციალური სიმბოლოებით გამიღვრებული საერთაშორისო ლათინური ანბანით. ანოტაციულ განხორციელება სწორხაზობრივად, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. ბაზაში განთავსებულ ტექსტებს მიენიბებათ კოდი (A, B, C, D,...) გამოცემის ავტორთა და ექსპედიციის წლების მიხედვით (მაგ., ცაგარლის ტექსტების კოდი იქნება - A, ყიფშიძისა - B..., 2007 წელს მოწყნილი ექსპედიციისა - G და ა. შ. ტექსტების ქრონოლოგიისა და ანბანის რიგის თანხედენილად). კოდის შიგნით თითოეულ ტექსტს ექნება რიგითი ნომერი (1,2,3...). ეს მონაცემები განთავსდება ტექსტის პირველ გვერდზე, ხელარცხნივ. დაემატება გამოცემის ავტორის გვარის ინიციალი (მაგ., K) და თიად ტექსტის

¹ ნ. შრომი შესრულებულია ქრთველოლოგიის, კუმინტარული და სოციალური მეცნიერებების ყონდის (რუსთაველის ფონდის) მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის - „მეგრული ტექსტების ელექტრონული კორპუსი“ - ფარგლებში.

² კორპუსის ლინგვისტიკას, როგორც კვლევის ინსტრუმენტს, ამიწურავად იყო საუბარი ნ. ლოლაბის მოხსენებაში (ლოლაძე 2008).

ნომერი (მაგ., I). ი. ყოფიშის ქრესტომათიიდან ერთ-ერთ ტექსტს ექნება ასეთი მონაცემი: (B.I.K.I.). კოდის შიგნით ტექსტისათვის მინიჭებული რიგითი ნომერი (1,2,3...) შეიძლება არ დაემთხვეს გამოცემული ტექსტის ნომერს: I, II, III... საექსპედიციო ჩანაწერების ანალიზის დროს ავტორის გეარის ინიციალის ადგილს სხვა მონაცემი დაიკავებს. ტექსტში სპეციალური ინდექსი მიენიჭება წინადადებებს: 1, 2, 3. თუკი წინადადება მოცულობით დიდია, მაშინ იყოფა ორ ნაწილად (შეიძლება სამადაც, საჭიროების შემთხვევაში). წინადადების ინდექსი არ იცვლება, ნაწილები ზუსტდება სპეციალური კოდით: a, b, c...: 1. a, 1. b.

ტექსტის საანოტაციო ერთეულებად შერჩეული პარამეტრების მიხედვით დამუშავდება მეგრული ტექსტის შემდეგი სტრუქტურები:

1. წინადადების ჩანაწერი;
2. მორფემებად დაშლილი მიმდევრობები;
3. მორფემების შესაბამისი გლოსები;
4. მტყეველების ნაწილების მიხედვით ანოტირებული ჩანაწერი;
5. ქართული თარგმანი (ანბანური ჩანაწერით);
6. ინგლისური თარგმანი.

მორფემებად დაშლილი მიმდევრობები ჩაიწერება საერთაშორისო სტანდარტით მიღებული სიმბოლოების მიხედვით. სულ რამდენიმე სიმბოლო გამოიყენება, რომლებიც აღნიშნავენ:

- < < - კონიექსი;
- > > - ინიექსი;
- = - კლიტიკას;
- - მორფემათა სასლვარს და ა.შ.

მორფემების შესაბამისი გლოსები გულისხმობს მორფემების დახასიათებას მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით და შესაბამისი ჩანაწერის გაკეთებას. გლოსა იმ გრამატიკული ინფორმაციის ჩანაწერია, რომელსაც ინახავს ესა თუ ის მორფემა.

ცნობილია, რომ ენობრივი თავისებურებების გადატანა ერთი სისტემიდან მეორეში გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ გამონაკლისი არც მეგრულია და ქართულის ენობრივი სისტემებია. მაგალითისთვის, ერთ წინადადებაში შეიძლება გააერთიანოთ მეგრულისთვის დამახასიათებელი რამდენიმე გრამატიკული მოვლენა; კერძოდ:

- რიცხვითი სახელით გადმოცემული მისაზღვრელისა და სახლერული არსებითი სახელის ანოტირება შეთანხმება: სუმი კოჩ-ყუი „სამი კაცები“;
- ერგატიული კონსტრუქციის არის გაფართოება. მეორე სერიაში მდგარი გარდაუვალი ზმნაც მოითხოვს სუბიექტს მოთხრობითში: კოჩ-ქ მორთუ „კაცმა მოვიდა“;
- პროკლიტიკების(ქო „ქე“, ვა „არ...“) და ენკლიტიკების (-თი „ცა“, -და „თუ“ -ნი „რომ...“) დართვა ზმნისა თუ სახელისთვის.

ზშირად მორფოლოგიურად ღირებული მორფემის გადმოტანა ვერ ხერხდება თვით ყველაზე ადაპტირებულ ენობრივ ევრსიანიკ კი (გუდავა 1975, დანელია-ცანავა 1991:6-11, კარტოზია 2008:2). მორფემის შესაბამისი გლოსა მომხმარებელს მაქსიმალური სინუსტრული მიაწვდის გრამატიკულ ინფორმაციას (LGR 2008. Lehmann 1982. Lehmann 2004).

მორფოლოგიური ანოტირების ამგვარი მეთოდი ყოველთვის არ იძლევა პრობლემის ცალსახად გადაწყვეტის საშუალებას. მაგალითად, მორფოლოგიური ანოტირებისას როგორ უნდა კვალიფიციირდეს ტყაშას „ტყემდე“ ფორმა, თანდებულთან თუ ლოკალურ ბრუნვად? ამგვარი პრობლემა ქართულშიც დგას და ამაზე სპეციალურად იყო მსჯელობა ქ. დათუკიშვილის მოხსენებაში (დათუკიშვილი 2008). მით უფრო რთულია მორფემებად დაყოფა მაშინ, როცა პროცესი შორს არის წასული და ცვლილება მორფემათა სასლვარზე მომხდარი. მხედველობაში გვაქვს არჩა < ართშა < ართშას „ერთხელ“ ტიპის ფორმები.

მორფემებად დაშლილ მიმდევრობებში, როგორც მოსალოდნელია, თავს იჩენს კონკრეტული ენობრივი მასალისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური სეგმენტები. მაგალითისთვის -ქ სუფიქსის დასახელება შეიძლება მეგრულ ზმნაში (ლომთათიძე 1946:30-35). ამგვარი სეგმენტის შესაბამისი გლოსა, სტანდარტის გათვალისწინებით, ჯგუფის სამუშაო პროგრამის ნაწილია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამრეღიძე 1989: გამრეღიძე თამაზ. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმოშობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
2. გუღაია 1975: წინასიტყვაობა. ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები, I, პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა წინასიტყვაობა და გამომცემელი დაურთო გუღაიამ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
3. დათუკიშვილი 2008: დათუკიშვილი ქეთევან. სახელთა მორფოლოგიური ანოტირების საკითხები ქართულ ენის კორპუსისათვის. სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივ ენათა დამუშავება. ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები“. 2008-VI. მოხსენებათა თეზისები [ონ-ლიან ვერსია]. არნოლდ ნიჭობაეას ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. განთავსებულია მის.-ს: www.ike.ge.
4. დანელია-ცანაია 1991: შესავალი. ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ). ტ. II. ზღაპრები და მცირე ზანრები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შუნიშვნები და გასაკლავები დაურთეს კორნელი დანელიამ და ასოლონ ცანაიამ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
5. თოფურია 1954: თოფურია ვარლამ. გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება. VI. თბილისი.
6. კარტოხია 2008: კარტოხია გურამ. წინასიტყვაობა. მეგრული და ლაზური ტექსტები. გამომცემლობა „ნეკერი“.
7. LGR 2008: The Leipzig Glossing Rules: Conventions for interlinear morpheme-by- morpheme glosses [ონ-ლიან ვერსია]. დაღებულია 2008 წლის თებერვალში. განთავსებულია მის.-ს: <http://www.spa.mpg.de/lingua/resources/glossing-rules.php>.
8. Lehmann 1982: Lehmann, Christian. Directions for interlinear morphemic translations. Folia Linguistica. 16.
9. Lehmann 2004: Lehmann, Christian. Interlinear morphemic glossing [ონ-ლიან ვერსია]. დაღებულია 2004 წლის 23 იანვარს განთავსებულია: www.folialinguistica.com/documents/interlinearmorphemicglossing.pdf და http://www.unierfurt.de/sprachwissenschaft/personal/lehmann/CL_Pub/IMG.PDF
10. ლოლაყე 2008: ლოლაყე ნანა. კორპუსის ლინგვისტიკა (მიზნები და ამოცანები). სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივ ენათა დამუშავება. ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები“. 2008-VI. მოხსენებათა თეზისები [ონ-ლიან ვერსია]. არნოლდ ნიჭობაეას ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. განთავსებულია მის.-ს: www.ike.ge.
11. ლომიათიყე 1946: ლომიათიყე ქეთევან. -ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზნაში. იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება. I. თბილისი.

წინადადების მორფემატად დაყოფისა და შესაბამისი ელემენტების მინიჭების ნიმუში

1. a.	sumi sum-i	Kočenk koč-en-k	komortuni ku=mo-rtu=ni
	three-NOM	man-PL-ERG	Pos.PTC=PV-come=CONJ
1. b.	venec'ouu ve=mc-c'ou-u Neg.PTC=PV-like-AOR.S.3.SG		mengers' menzer-s host-DAT

¹ ამ პრეპეტისათვის სპეციალურად შექმნილი პროგრამა მოცემულ საშუალებას მიმხმარებელს ლათინური ტრანსლიტერაციით ნაწერილი მეგრული ტექსტი, სურვილისამებრ, გადაიყვანის ქართულ ანბანურ ნიწაწერზე.

შემსკლესიანთა განმარტებები:

აბრევიატურა	გრამატიკული კატეგორიების განმარტებები	
NOM	Nominative Case	სახელობითი ბრუნვა
ERG	Ergative Case	მოთხრობითი ბრუნვა
DAT	Dative Case	მცემითი ბრუნვა
CONJ	Conjunction	კავშირი
Pos. PTC	Positiv Particle	დადებითი (დადასტურებითი) ნაწილაკი
Neg. PTC	Negativ Particle	უარყოფის ნაწილაკი
SG	Singular	მსოფლობითი რიცხვი
PL	Plural	მრავლობითი რიცხვი
PV	Preverb	ზმნისწინი
AOR	Aorist	წყვეტილის მწკრივი
S.3.	Subject 3	მე-3 სუბიექტური პირი

M. Lomia, R. Gersamia (Tbilisi)

**Structure of the Computer Database of Megrelian Texts
Annotation Parameters and Principles of Use**

The contemporary level of scientific and technological development allows for an active use of computer technologies in the linguistic treatment of natural languages.

The project entitled as *Electronic Corpus of Megrelian Texts* envisages the description and classification of the published and contemporary spoken Megrelian texts according to sub-dialects, as well as the morphological segmentation of the selected material. The principles of the structure of the computer base and annotation parameters are key to ensuring the effective use of the material.

Within the framework of the project, the base structure and annotation parameters were designed so as to ensure its availability for Georgian and foreign scholars, including those not familiar with Megrelian speech.

The software tailored for the project will provide for the global access without the need of special installation.

The texts presented in the base may have a variety of metalanguage properties, including extralinguistic, geolinguistic, thematic and typological. The material to be analysed will be written in international Latin alphabet and enriched with special symbols. Annotations will be linear and follow international standards. The following lines will be processed according to the parameters selected for annotation entries: i) a sentence; ii) morpheme-by-morpheme sequences; iii) morpheme glosses; iv) segmentation according to parts of speeches; v) Georgian translation (with alphabetic script); vi) English translation.

Glossing morphemes requires systematization of theoretical issues of Megrelian grammar according to the existing scholarly literature, as well adaptation of the international glossing standards to the material selected for analysis.

მარინე ბერიძე, ლია ბაქურაძე, დავით ნადარაია (თბილისი)

სულხან-საბა ორბელიანის „ლაქსიონი ქართლის“ ჯორჯან-ლაქსიონი

სტატიაში მოცემულია სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიონი ქართლის“ ელექტრონული ვერსიის, როგორც ტექსტური კორპუსისა და ლექსიკის პიპერტექსტული ბაზის ნაწილის შექმნის კონცეფცია.

ისტორიული ლექსიკის პიპერტექსტული ბაზის შექმნის იდეა წარმოადგენს კორპუსული ლინგვისტიკის (corpus linguistics) განვითარების და დანერგვის კიდევ ერთ ცდას ქართულ სამეცნიერო სფეროში. ამჯერად ჩვენი მიზანია ტექსტების კორპუსისა და ლექსიკონების პიპერტექსტული ტექნოლოგიებით ინტეგრაცია და კვებისთი სიტყვანის შედგენის ელექტრონული მეთოდების დამუშავება.

პიპერტექსტი - ლოგიკურ კავშირებს დაშვარებული ინფორმაციული „ბადე“ მხოლოდ ელექტრონული საშუალოს კუთვნილება როდია. „პიპერტექსტური“ (ასოციაციური) აზროვნება საერთოდ დამახასიათებელია კაცობრიობის კულტურის განვითარებისთვის. თანამედროვე ლინგვისტიკაში პიპერტექსტული სისტემების შექმნა აქტუალურია არა მხოლოდ ტექსტის ინტერპრეტაციის, არამედ სიტყვიერი მასალის ლექსიკოგრაფიული მოდელირებისთვისაც. პიპერტექსტი გამოიღონებული ლექსიკა (პიპერტექსტური გზავნილებით ტექსტებიდან ლექსიკონებში და პირიქით) ყველაზე სუბტილად წარმოადგენს ენის სხვადასხვა ჭრილის მიკრომოდელს.

პიპერტექსტი XX საუკუნის კულტურული პორტრეტის ერთ-ერთ მთავარ შტრიხად მიიჩნევა (რუდნევი 1997). ეს არის განსაკუთრებული ლოგიკური კავშირებით კონსტრუირებული ტექსტი, რომელიც გარდაიქმნება ტექსტების სისტემად, ტექსტების იერარქიად. პიპერტექსტი ერთდროულად შეადგენს ტექსტების მთლიანობასა და სიმრავლეს (ის არის ერთი და ბევრიც).

პიპერტექსტის თეორიის დამუშავებამ შესაძლო გახადა ენისა და აზროვნების უნიკალური კავშირის „კომპიუტერიული მატერიალიზება“: ენა (და შესაბამისად მეტყველება) ხაზოვანი, მკაცრად თანმიმდევრული სისტემაა, მაგრამ ის მოწოდებულია ასახოს სრულიად განსხვავებული ბუნების მქონე (ასოციაციური, არახაზოვანი) სისტემები - აზროვნება. ადამიანი საშუაროს სწორად ასოციაციურად, არახაზოვანად შეიმეგნებს და მხოლოდ შემდეგ აქცევს მას ხაზოვანად წარმოდგენილ ინფორმაციად - ენის აქტად. ეს მოდელი - ხაზოვანი ინფორმაციის არახაზოვანად წარმოდგენა დაღწეა საფუძვლად პიპერტექსტული სისტემების „მშენებლობას“. პიპერტექსტის, როგორც ინფორმაციის წარმოდგენის საშუალების „გამარჯვებას“ ხელი დიდად შეუწყო მისმა კიდევ ერთმა ნიშანმა - ინტერაქტულობამ (ვაშტინი 1992).

პიპერტექსტი, როგორც არახაზოვანი წერისა და აზროვნების კონცეფციური მოდელი, კომპიუტერის შექმნამდე მრავალი საუკუნით ადრე არსებობდა. აღნიშნულია, რომ ყველაზე ფართოდ პიპერტექსტის პრინციპი გამოყენებული იყო ბიბლიურ წიგნებსა და ლექსიკონებში - იქ სადაც გვეხდება ტექსტისა თუ ლექსიკონის სხვა ფრაგმენტებსზე გზავნილები და სადაც შესაძლებელია ინფორმაციის არა მხოლოდ ხაზოვანად, თანმიმდევრულად აღქმა, არამედ არახაზოვანად, პარალელურად კითხვა. ინტერნეტის განვითარების კულდაკვალ პიპერტექსტული ინფორმაციული მოდელი სულ უფრო მეტ ადიატემბას „პოეზებს, როგორც ცოდნის წარმოდგენისა და გადაცემის ეფექტური სტრუქტურა“.

მიიხვეწე, რომ პიპერტექსტის ყველაზე მარტივი მაგალითი არის ნებისმიერი ლექსიკონი, სადაც ყოველ სტატიაზე აქვს გზავნილი სხვა ან იმავე ლექსიკონთან. ასეთი ლექსიკონის კითხვა სხვადასხვაგვარად შეიძლება: ან ერთი სტატიიდან მეორემდე, პიპერტექსტური გზავნილების საკითხავისამებრ ივლირებობით, სტატიების თანმიმდევრობით კითხვა გზავნილების „გაგლით“, და ბოლოს, ჩაბმა დიდ პიპერტექსტურ „ნაოსნობაში“, ე.ი. ერთი გზავნილიდან მეორეში.

„ნამდვილი ლექსიკონი თავისი არსით პიპერტექსტურია, აგებულია ისე, რომ განუწყვეტლად ახდენს კითხვის მესამე გზის პროვოცირებას“ (რუდნევი 1997).

სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“ ასეთი „თეთინაბადი“ პიპერტექსტის საუკეთესო ნიმუშია. მის ელექტრონული კორპუსის სახით წარმოდგენა და ექიპის ინტეროულ ტექსტურ კორპუსში პიპერტექსტული კავშირებით ინტეგრირება გახლავთ ჩვენი შემდგომი მუშაობის მთავარი ამოცანა.

აღიარებული ჰქმნა ტექსტის კორპუსი არის ის ერთადერთი და შეუცვლელი საინფორმაციო სფერო (საინფორმაციო გარემო), რომელსაც უნდა დაეყრდნოს ახალ ტექნოლოგიებს დაეყრდნობილი, ახალი დროის (ელექტრონული) ლექსიკოგრაფია.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ლექსიკოგრაფთა მთავარ სამუშაო ინსტიტუტებს წარმოადგენდა კართოთეკები. კომპიუტერული ერის დადგომისთანავე დაიწყო ამ კართოტეკების მანქანურ მატარებლებზე გადატანა, რაზეც შესაძლებელი გახადა დაგროვილი მასალის სწრაფი დამუშავება. თუმცა, როგორც აღნიშნავენ ამ პრობლემებზე მომუშავე უცხოელი კოლეგები, და ბუნებრივია, ეს შეინარჩუნა აქტუალურია ჩვენი სინამდვილისთვისაც, ამ მასალის შერევისა და ლექსიკოგრაფიულ წარდგინებას საფუძვლად უდგეს აქველი პრინციპი, რომელიც ინდივიდუალურ ინტელექტუალურ ძიებასა და ანალიზს ეყრდნობა. დღეს ინდივიდუალურ საავტორო კართოთეკებს თანდათან ცვლის ტექსტების კორპუსები. ციტირება და ილუსტრირება კორპუსის ფარგლებში უკვე შრომაა არა ავტორის ან ავტორთა ჯგუფის თავისუფალი არჩევანი (სოფჯერ ამბობენ "თანდება" არჩევანით), არამედ მოცემული ლექსიკური ერთეულის ყველა რეალიზაციისა და ამ რეალიზაციითა კონტექსტების სრულყოფილად წარმოდგენით (სელაუგი 2003). შეიძლება ითქვას, რომ ლინგვისტური კორპუსი, საგანგებოდ ლექსიკოგრაფიული მიზნებისათვის არის შექმნილი, კორპუსული მეთოდოლოგია - ჰიპერტექსტი და კონკორდანსი შეუდარებლად აადვილებს ლექსიკოგრაფის მძიმე შრომას, ხოლო კომპიუტერული ტექნოლოგიები იძლევა სალექსიკონო სტატიაში მრავალმხრივი ინფორმაციის ჩადების საშუალებას. ლექსიკონის სიროულეს განსაზღვრავს მასში გამოყენებული მასალობრივი ბაზა, კორპუსზე დაყრდნობილი ლექსიკონის შემთხვევაში, კი - ჰიპერტექსტის რეპრეზენტატულობა. ჩვენი სამუშაო ჯგუფის სამეცნიერო ინტერესები უკვე რადენიმე წელია უკავშირდება ენის კორპუსის შექმნას, კორპუსის ლინგვისტიკისა და კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის საკითხებს. შეიქმნა და შევსებისა და დამუშავების სტადიაშია ქართულური დიალექტების კორპუსის მონაცემთა ბაზა (მეტატექსტური და მორფოლოგიური ანოტირების აპარატით, ანბანური სიტყვანისა და კონკორდანსის ფორმირების ავტომატური შესაძლებლობით. ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა უმანითარულ და ლინგვისტურ კვლევებში ბუნებრივი გზით მიდიოდა და არ ყოფილა ისეთი ხელოვნური შეფერხებები, რაც ჩვენს მეცნიერებას სოფადად და კონკრეტულად კი ლინგვისტურ მეცნიერებას ჰქონდა (უკანასკნელი ორი ათეული წლის პოლიტიკური ვითარების გამო), ჯერ იქმნებოდა ერთი ეპოქის, მხატვრული ენის, ერთი მწერლის და სხვ. კორპუსები, ამას მოსდევდა დიდი, განსაკუთრებით პრესტიჟული ნაციონალური კორპუსების (ბრტანული კორპუსი, ამერიკული კორპუსი, ჩეხური, რუსული, სომხური კორპუსები) და მხოლოდ ამ გამოცდილების გათვალისწინებით ხდებოდა დიალექტური მასალის კორპუსული დამუშავება. ჩვენ მუშაობა გვიწყებს ისეთ პირობებში და ისეთ დროს, როცა ყველა არსებული დეფიციტი და ჩამორჩენა კორპუსის ლინგვისტიკის სფეროში გახდაა უნდა გადაეახათ და ისე წარგმობათ მუშაობა, რომ ჩვენი სამეცნიერო გარემოცვა გვაგაქტიურთ კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად ამ სფეროში. ამიტომაც არის, რომ უკვე დაიწყოთ მუშაობა ახალ პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს გვიანი შუა საუკუნეების ავტორთა ტექსტების კორპუსსა და ამავე ეპოქის ლექსიკონებზე დაყრდნობილი ჰიპერტექსტული ბაზის შექმნას. ეს ბაზა უნდა აქმაყოფილებდეს „ჰიპერტექსტული სიერცის“ აგების მთავარ მოთხოვნებს - მას უნდა ახასიათებდეს: 1. არაბასოვანება; 2. ურთიერთკავშირი ჰიპერტექსტის ელემენტებს შორის მომხმარებლისგან ძებნის მარშრუტის „თავისუფალი“ არჩევანის შესაძლებლობით; 3. ყველა ელემენტის თანაბარი ხელმისაწვდომობა და 4. მსგავსი ინფორმაციის შემცველი სტრუქტურული ელემენტების კორდინაციის შესაძლებლობა (ჩუკაი 2007).

რადენიმე საუკუნის წინ შექმნილი საბას ლექსიკონი, რომელიც თაყდაპირველი რედაქციების მიხედვით უფრო თარგმნით ხასიათს ატარებდა და შემდგომი მუშაობის შემდეგ კლასიკურ განმარტებით ლექსიკონად იქცა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ეპოქის სიტყვიერი მასალის ჰიპერტექსტული ბაზის ბირთვად უნდა იქცეს.

საბამ, როგორც ლექსიკოგრაფმა, თავისი დროისთვის წარმოუდგენელ პირობებში შეძლო მოეცა ლექსიკური ერთეულების თავისებური სისტემური კლასიფიკაცია და შექმნა ლექსიკონის გამართვის ძირითადი ლექსიკოგრაფიული პრინციპები.

საბამ შეძლო სიტყვის ძირითადი ლექსიკოლოგური მახასიათებლების იმგვარად გამოყოფა, რომ დღეს შეიძლება ითქვას, რომ "ლექსიკონი ქართული" თავისი არსით არის ნიშნულ ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების კომპიუტერის გარეშე. წლების მანძილზე საბას ლექსიკონი სწორედ ამის გამოც იყო მრავალმხრივი ლინგვისტური კვლევების აუცილებელი დასაყრდენი.

ლექსიკოგრაფს ყოველი სიტყვა განხილული აქვს როგორც ერთი მთელის ცალკეული გამოხატულება, ამიტომ სიტყვათა დიდი უმრავლესობა დაჯგუფებულია ე.წ. ბუდეების მიხედვით. მეთაური სიტყვა სოფადია, მაგ. სახლი სოფადი სახელი არს ყოველთა, არამედ ყოველთა სხვადასხვა რიგთა სხვადასხვა სახელი სძეს: სახლაკი საწოლი, კასრი, კასრაკი, დარბაზი, კალატი, ტაბარი, სეფე, ლეიტონი, გომური, დელაქარი, ნოდლოლო" (საბა 1993: 77)

ბუღების თითოეული სიტყვა ცალკე ლექსიკურ ერთეულადაც არის გამოტანილი თავის განმარტებით ანბანის რიგის მიხედვით.

ერთ ბუღეში გაერთიანებული სიტყვები ზოგადად მიმართებით ქმნიან დაპირისპირებას – ზოგადი და კერძო. ამასთან ისინი ერთმანეთის მიმართ შეიძლება იყოს თანამოსახველები (ომონიმები) გამოყოფა აგრეთვე მრავალსახელების (სინონიმების), თანამოსათესავეების (პოლისემიური სიტყვების) და სახელნართაულების (პარონიმების) ჯგუფები.

აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული სიტყვა სტილური თვალსაზრისით ერთიანდება ან სამწერლო, ან სამეტყველო. ან დიალექტურ არეალში. ხშირად ეს სტილური თავისებურებანი ქმნის თანამოსახველეთა, მრავალსახველთა და თანაზონათესავეთა ჯგუფებსაც.

როგორც ვხედავთ, საბას ლექსიკონში ლექსიკური ერთეულების დაჯგუფება სისტემურია, გათვალისწინებულია სიტყვის სემანტიკური ეული, ხშირად მოცემულია მათი სტილური თუ სემანტიკური მახასიათებლები, დაცულია წყაროს დამოწმებისა და ილუსტრაციის პრინციპი. სიტყვების კლასიფიკაციისას გამოყენებულია გარკვეული ნიშნები ფრინველის, ხის, მწერის, მძრომისა თუ ოთხხუხის აღსანიშნავად, რაც ძალიან გვაგონებს დღევანდელ საინტერნეტო სივრცეში საკმაოდ გავრცელებული ე.წ. ღიმილაკების, ხატულების გამოყენების შემთხვევებს.

ჩვენი მთავარი ამოცანაა ამ პრინციპების ადეკვატური ასახვა ელექტრონულ ვერსიაში ამავე მახასიათებლების გააქტიურებით.

ლექსიკონის კომპიუტერული ვერსია აიგება ი. აბულაძის მიერ გამოცემული სულხან-საბა ორბელიანის "ლექსიკონი ქართულის" მიხედვით, ეს გამოცემა ეფუძნება საბას ცხრავე ავტორგაფულ ნუსხას, ნაწილი ამ ნუსხებისა თავად საბას ხელითაა გადაწერილი, ნაწილი მისი ძმის, ზოსიმეს ხელით, ზოგ ხელნაწერს კი ორივეს მუშაობის კვალი ანიჩია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოცემა უნიკალურია, თავისი შესაძლებლობებით. დასაფასებელია ის შრომა, რომელიც გამოცემულმა გაწიეს კომპიუტერის არარსებობის პირობებში ლექსიკონის რედაქციებისა და ნუსხების სრულყოფილად წარმოსაჩენად.

რაც შეეხება სხვა, შემდგომი დროის ხელნაწერებსა და გამოცემებს, ჩვენ უარი ვთქვით ბაზაში მათი მონაცემების ასახვას, რადგან მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე და ამ დანიშნულებისათვის სრულიად საკმარისია საბას ავტორგაფიულ ნუსხებზე დაყრდნობა.

საბას ლექსიკონის ელექტრონულ ვერსიაზე მუშაობა დაიქარა და აუცილებელი გახდა იმ გარემოებამ, რომ როგორც უკვე ვთქვით, დიალექტოლოგიური ლექსიკონები კორპუსის ფარგლებში საცილალოდ პროგრამით ხშირად პირდაპირ, ბმების სახით მიმართება საბას ლექსიკონს, ეს კი თავის მხრივ, შესაძლებლობას მოგვცემს გვიანი შუა საუკუნეების ჰიპერტექსტულ ბაზასთან ქართული დიალექტური ლექსიკაც დაეკავშიროს.

საბას ლექსიკონის ელექტრონული ვერსიის შექმნისას ჩვენთვის ამოსავალი პრინციპია კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა – სალექსიკონო სტატიის შიგნით "შედწევა" და სემანტიკური მახასიათებლებისა და სიტყვა-სტატიის სხვა კომპონენტების ისე გამოიჯნა, რომ ჰიპერტექსტული კუნა ლექსიკონსა და მასზე დაფუძნებულ კორპუსში შეიძლებოდეს თითოეული ამ მახასიათებლისა და ელემენტის მიხედვით.

ეს მახასიათებლებია:

I ლექსიკური ერთეული

- სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი;
- სიტყვის ენობრივი ეთენილება;
- სიტყვის შესატყვისი ქართულ და/ ან სხვა ენებზე;
- სიტყვის სტილური მახასიათებლები;
- რედაქციები და ნუსხები;
- წყაროს დამოწმება;
- ბღის გრაფიკული (ავტორისხული) ნიშანი.

II ლექსიკური ერთეულის განმარტება

- სრული განმარტება;
- მეორე / სხვა მნიშვნელობა;
- ილუსტრაცია;
- წყაროს დამოწმება;
- განმარტების ე. წ. ბღის სიტყვების ჩამონათვალი გააქტიურებული ბმებისთვის;
- რედაქციები და ნუსხები.

III ავტორისეული კომენტარი

განმარტებაში დადასტურებული სინონიმების სტილური მახასიათებლები;
კომენტარის წყარო;
რედაქციები და ნუსხები;

IV აღრესაცია – “ნახე”

საბასეული ” ამასთან დამიწერია”;

გამომცემლის მიერ შექმნილი მინიშნებები.

კორპუს-დექსიკონში დექსიკური ერთეულის ძებნა შესაძლებელი იქნება ყველა ამ მახასიათებლის მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე 1991: აბულაძე ილია. “სულხან-საბა ორბელიანის დექსიკონი ქართული”. ტ. I გამომცემლობა “მერანი”. თბილისი.
 2. აბულაძე 1991: აბულაძე ილია. “სულხან-საბა ორბელიანის დექსიკონი ქართული”. ტ. II გამომცემლობა “მერანი”. თბილისი.
 3. ბაკურაძე 1998: ბაკურაძე ლია. “სულხან-საბა ორბელიანის გრაიმტიკული ნააზრევი” საკანდიდატო დისერტაცია. ნიკოზაჟას სასკოლოს ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი
 4. ბერიძე... 2008: ბერიძე მარინა, ბაკურაძე ლია, ნადარაია დავით. “ყვეუიენული დიალექტი და დიალექტური ტექსტების კორპუსი”, თუისიხები. საუქდანი. ირანი.
 5. ბერიძე... 2007: ბერიძე მარინა, ბაკურაძე ლია, ნადარაია დავით. “დიალექტური ტექსტების კორპუსი სიტყვაფორმის მორფოლოგიური ადწერის სტრუქტურის შემუშავებისათვის”, “ბუნებრივ ენათა დამუშავება”. თბილისი.
 6. ეპშტეინი 1992: *Епштеин В. Л. Введение гипертекст и гипертекстовые системы*. <http://www.ru/publ/epstn.htm>.
- 8.10.06**
7. რუდნეი 1996: Руднев В. П. “Морфология реальности: Исследование по философии текста”. Москва.
 8. რუდნეი 1997: Руднев В.П. “Словарь культуры XX века”. Москва.
 9. სულეკეი 2003: Селегей В. *Электронные словари и компьютерная лексикография* <http://www.lingvo-da.ru/bnms/forum/articles>
 10. ჩეპიკი 2007: Чепик Е.Ю. “Гипертекстовые Технологии Представления Лексики.” Ученые записки Таврического национального университета им. В. И. Вернадского Серия Филология Том 20 (59). №1
 11. კუთათელაძე 1953: კუთათელაძე ლილი. “სულხან-საბა ორბელიანის დექსიკონის რედაქციები”. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

Marine Beridze, Lia Bakuradze, David Nadaraia (Tbilisi)

The Corpus Version of the Dictionary of the Georgian Language (“Lexikoni Kartuli”) by Sulkhban-Saba Orbeliani

Some of the most urgent objectives of the modern Linguistics are: language documentation, integration of the corpus of the texts and dictionaries with hyper-textual technologies, compiling cumulative word list using electronic methodology. The lexis integrated through hyper-text is the most precise tool to demonstrate micro-patterns of different sections of the language.

For present great work has been carried out from the point of view of Georgian language documentation, in Georgia as well abroad. The data base of the Georgian literary texts created at the Frankfurt University, in Germany, is of particular interest. This data is placed in the Internet and is available for consumers.

Introduction of such corpus founded on the text-bases and hyper-texts of the collections, is next necessary stage of the process of language documentation and studies.

In the process of working on the corpus of the Georgian dialectological texts it became clear that any kind of researching work, attempting to annotate a word usually requires referring to the dictionary by Saba – the richest source of the Georgian lexis studies. Saba (Sulkhban-Saba Orbeliani) managed to provide many generations of the Georgians

with systemic classification of the lexis, so rich and precise that it seems impossible to be done in those remote days. He gave us basic principles of the lexicographic work.

Even today the dictionary "Lexikoni Kartuli"(an explanatory dictionary of the Georgian Language) is an example of computer-developing the language data (though without a computer). That is why Saba's dictionary has always been the trusted support for linguistic researches of several kinds.

When creating electronic version of the dictionary we had one fundamental principle – one of the main tasks of the computer lexicography –"to penetrate" into the dictionary entry and separate semantic characteristics from other components of the word-entry in such way that it makes possible to conduct hyper textual search in the dictionary and in the corpus, which is based on it, according each of those characteristics and elements.

The output of our work will be not only the electronic version of the dictionary "Lexikoni Kartuli"which will maintain all the characteristics marked out by the author, but it will be reinforced with morphological annotation in the near future.

Digitalization of the dictionaries and their annotation with appropriate morphological, lexical, and semantic characteristics will enable us to carry out textual and lexical data research in whole, in integrity.

Inclusion of dictionaries into the language corpus will enhance the capabilities of the texts corpus as a mean of establishing the data base of cumulative dialectological lexis, dialectological stems of nouns, verbs and invariant stems, dictionaries of morphemes.

Formation of representative texts massive of different chronological layers and preparation of cumulative lexis hyper textual thesaurus on this base will become the strategic mission of the Georgian Corpus Linguistics.

ენობრივი ილენარობა თანამდროვე ხალხურათაშორის ჰომონიამიზმი

თანამედროვე სამყაროში სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს კულტურათაშორისი კომუნიკაციები, რაც, ერთის მხრივ, ახალ შესაძლებლობებს იძლევა კულტურათა შორის ურთიერთობის განვითარებისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, დამარკობლებს ქმნის მათი დანაშაულებელი განცხადებებისა და სრულყოფისათვის. იგივე პროცესებს ადგილი აქვთ ენობრივ სამყაროში, რომელიც კულტურის განუყოფელი ნაწილია. ამგვარი პროცესები მრავალ კითხვას ბადებს ენობრივი იდენტურობის საკითხთან მიმართებაში. მაგალითად, დაეფუძნოს მხოლოდ კულტურულ-ენისტორიულ ცოდნას, რომელიც ენაშია ჩადებული და ამ გზით შეინარჩუნის მისი თვითმყოფადობა, თუ დაკარგოს მისი პოზიციები კულტურათაშორის დიალოგში, არ გაუწიოს წინააღმდეგობა, შეგნებულად აღიაროს უცხო კულტურის სოციური წესი, შესაბამისად ენაც და ამით მიადწიოს ურთიერთგაგებას მოცემულ დიალოგში.

თუ ადრე კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესი სახელმწიფო პოლიტიკაზე იყო დამოკიდებული, რაც ირავდა შემთხვევაში „დამპყრობლის“ ხასიათს ატარებდა, განსაკუთრებით კი მესოლიტური ტერიტორიების მიმართ, დღეს უმეტესი ცივილიზებული ქვეყნის ახორციელებული გლობალიზაციის პოლიტიკას და მისიწრაფიან შვიდობიანი თანამეგობრობისაკენ. კულტურათაშორისი კომუნიკაციაში აქტუალური ხდება სწრაფვა თანამედროვე სამყაროს სხვადასხვა რაციონალური ურთიერთობისაკენ. მსგავსი კულტურული კონტაქტების შედეგად შეიძლება ენათა ურთიერთქმედებაც, რომლის პროცესში ენობრივი იდენტურობის წინაშე დგება შესაძლებლობა დაინახოს სხვა ენის ყველა ნაკლი და ღირსება და აუცილებლობის შემთხვევაში შეევაგოს ჩვენი ენის სიერე ამ ელემენტებში.

სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები არსებით გავლენას ახდენენ სოციუმის კულტურულ-ენობრივ პროცესზე, ირკვევენ სინამდვილეს. ადრე რომელიმე ქვეყანას შეეძლო იზოლირებული ყოფილიყო სხვა ქვეყნებიდან და ასე შეენარჩუნებინა თავისი კულტურულ-ენობრივი თვითმყოფადობა, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში, დღევანდელი სოციუმის მოთხოვნა და ასევე, კულტურათა და ენების საჯირო საკომუნიკაციო მექანიზმის ინტერნეტის გამოჩენის გამო, არსებობს სულ უფრო ნაკლები ბარიერი კულტურათა ურთიერთშეღწევისა და მახასიათებელ, ენათა ურთიერთშეღწევისა და ურთიერთქმედების წინაშე.

დორიანს ეუფლება იმის განცდა, რომ მან მოკლა სიბილი ეეინი. სიბილი ყველაფერი იყო მისთვის. წრფელი გრანობით უყვარდა, მაგრამ იმ აბეებით ღამეს მისმა ცულმა თამაშმა გული კინაღმა გაუყო. თუმც შემდეგ მის სულში რაღაც საშინელება დატრიალდა, იგრძნო რომ შეცდომა დადგა და გადაწყვიტა დაბრუნებოდა მას. მკითხველს აქვს რელევანტურობის მოლოდინი, როგორ აღიქვამს დორიანის მომხდარ ტრაგედიას.

"She explained it all to me. It was terribly pathetic. But I was not moved a bit. I thought her shallow. Suddenly something happened that made me afraid. I can't you what is was, but it was terribled I Would go back to her. I felt I had done wrong. And now She is dead. My God! My God! Harry, what shall I do? (8. ოსკარ უაილდი 1996:116)

ტექსტის მოყვანილ მონაკვეთში შორისდებულაიანი გამონათქვამის My God გამოყენებით ადრესანტი ქმნის ტექსტის მოდალიობას. აშკარა ავტორის საკომუნიკაციო ინტენცია, ამ შემთხვევაშიც შორისდებული My God გაეღვრებულა, როგორც უაილდის ოხერა.

ამდენად, რელევანტურობის თეორია ადამიანური კომუნიკაციის დახვეწილი მოდელია. იგი საშუალებას გვაძლევს ჩავევდეთ შორისდებულის, როგორც ენობრივი ნიშნის არსს. მისი გამოყენებით ადრესანტი მიუთითებს რელევანტურ ინფორმაციაზე, ადრესატს კი აქვს რელევანტურობის მოლოდინი, შორისდებულთ მანიფესტირებული რელევანტური წინაპირობა კი მას მეგზურობას უწევს შეტყობინების ინტერპრეტაციისას. შორისდებულებების მნიშვნელობა კომუნიკაციაში განსაკუთრებულია, რამდენადაც ისინი გამონათქვამს ანიჭებენ ნაციონალურ კოლორიტს, ბუნებრიობას და ემოციურობას. ენა კი შემეცნების პროცესის შუამავალია და ამიტომაც მოითხოვს გარკვეულობასა და სიცხადეს. ის გრძნობას ანიჭებს გამოშხატელობას და თავადაც იწვევს გრძნობას და ამიტომაც მოითხოვს ძალას, გარკვეულობასა და მოქნილობას, აზრის გადამცემს აქეზებს ახალი აზრებისაკენ და მათი შეწყობისაკენ, ამიტომაც ითხოვს სულის ქმედებას, რომელიც სიტყვებში ტოვებს თავის ანაბეჭდს და როგორც ვ. კუმბოლდტი აღნიშნავს, „ენა, როგორც ადამიანის ქმედება, გამსჭვალულია გრძნობებით“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არნოლდი 1981: Арнольд И. В. "Стилистика современного английского языка". Л. "Наука".
2. კუმბოლტი 1969: Гумбольт В. "Избранные сочинения по вопросам языкознания". М. "Наука"
3. როგონოვი 1978: Догонов Г.И. "Эмоция как ценность". М. "Наука"
4. მოგუტოვა 2002: Могутова Н. М. "Основные проблемы использования эмотивных языковых единиц для придания высказыванию естественности и эмоциональности. (на примере английских междометий)". Воронеж ВГУУ.
5. შახოვსკი 1990: Шаховский В. И. "Эмотивная семантика слова как коммуникативная сущность" М. "Наука".
6. გალპერინი 1977: Galperin I. R. "Stilistics" Moscow. "High School".
7. სპერბერი...1995: Sperber D., Wilson D. "RelevanceCommunication and Cognition." Oxford.
8. ოსკარ უაილდი 1996: Wilde O. "The Picture of Dorian Gray" Popular Classics.

Tamar Tvaladze (Kutaisi)

Communicative Relevancy of Interjections

The article deals with the communicative relevancy of interjections. The article emphasizes that interjections do not have concrete meanings without contexts; their meanings can be revealed only in particular concrete situations, so the modifications of the interjections depend on particular context and communication. During communication human's attentions and thoughts apply to relevant information, in other words they turn towards valuable information which can cause cognitive effects.

The article discusses special kinds of interjections which like other emotional elements are connected to main expressions. In other words, interjections can be discussed as particular means of emotional expressions, as mainly the emotions represent interjections' functional effects.

The article highlights that communicants pay their whole attention to relevancy. The speaker tries to give the listeners the most valuable information with the help of laconic language means. The addresser has relevant expectation which helps him to create cognitive atmosphere. The article emphasizes that communicative cognitive atmosphere is created with the help of facts and expectations.

The article emphasizes that the quality of relevancy is defined with the amount of created effects. In conclusion, the theory of relevancy is the ideal model of human communication. It gives opportunity to define interjections as lingual symbols. With the help of interjections addresser points at relevant information, and relevance provides interpretation of the information.

ენობრივი ზონტაქტები: სემიტურ (resp. აფრაზიურ)-ქართულარი (resp. იბერიულ-აზვასიური) პარალელუბი (იბერიულ-აზვასიური ლაქსინა აფრაზიურში)

სემიტურ ენებში ქართველური ლექსიკური ელემენტების გამოვლენის თვალსაზრისით ენობრივი მასალა გააძღვეს ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას, კერძოდ: ა) არეალური კონტაქტებით განპირობებული ნასესხობებისა და ბ) ენათა ნოსტრატული ერთობისა.

საქითხის ამგვარად დასმას თავისი ისტორიულ-ლინგვისტური საფუძველი გააჩნია, რომელსაც აღნიშნულ ენათა ისტორიული ურთიერთობების პრინციპი განსასაღვრავს.

აკად. ვ. წერეთელს ნაშრომში „სემიტური ენები და მათი შესწავლის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის“ არეალური კონტაქტებისა და ე. წ. „სტიქიური ნათესაობის“ კვალობაზე წარმოდგენილი აქვს რამდენიმე ასეთი ლექსიკური ელემენტი და აღნიშნავს: „...გარდა ამ შემთხვევებისა სპეციალურმა ძიებამ შესაძლებელია გამოავლინოს სხვა სიტყვებიც, რომლებიც ქართულიდან უნდა იყვნენ გაფრცელებული ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში.“ (წერეთელი 2001:30).

აფრაზიურში გარკვეული რაოდენობა ძირებისა უძველეს ნასესხობებს განეკუთვნება. საერთო წარმომავლობის მქონე სემიტური ძირების ვარიანტები შესაძლოა განვითარებულიყო ერთი და იგივე უცხო სიტყვის ადრეული სხვადასხვა სემიტური დიალექტების მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სესხების გზით, რასაც ასეთი ერთეულის პრაფორმის რეგულარული რეფლექსებისაგან განსხვავებული სხვადასხვა ფონეტიკური ფორმები ადასტურებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით პერსპექტიული ჩანს სემიტურ (აფრაზიურ)-ინდოევროპული და სემიტურ-კავკასიური კონტაქტების შესწავლა. ასეთი კვლევების წაბარება შესაძლებელია პრანახურდალესტრური, პრაფაზიური და საერთო პრანდილოკავკასიური რეკონსტრუქციების კვალობაზე. სხვაგვარად ვერ აიხსნება ისეთი ფორმების თანხედრა, როგორიცაა, მაგ. ს.-სემიტ. **girab*, **qVrb-at*- 'ჭურჭელი' აქად. *karp-at*, უგარ. *krp-r*, პოსტბიბლიური ებრ. *gērāb*, სირ. *gerāb-* დოქი, არაბ. *qarf*- 'ტყავი, გატყავება', არაბ. **Vgb*, არაბ. (პადრ.) *garb*, *qirb-at*, ხა. (სოკოტ.) *qarib-oh*, ხა. (შხ.) *qerb-ét*, არაბ. (იუდ.) *raqb*, გეუ. *gerāb-* 'ტყავის ტომარა'; 'ტიკი, რუშბი', სირიადლესტრურ **kku(r)p*-e-სთან - 'დოქი'.

აგრეთვე, ს.-სემიტ. **rʾy*- 'წერილყუხა საქონლის მწვემსვა' და **rVØ-* აქად. *laʾr* (მეტათვისი?) – არაბ. *raʾi-* 'ცხვარი', *ragl-at*- 'კრავი, თიკანი', სადაც გამოიყოფა სასარგებლო ცხოველთა „კლასის მანივენგელი“ ჰიპოთეტური -*l* და შეპირისპირებადია პრანდილოკავკასიურთან **raxV* (ან **lexV*)- 'ცხვარი'.

ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ ირმის აღმნიშვნელი სემიტური **ʾYy* სიტყვა. ქართველური მასალის შეპირისპირება საშუალებას იძლევა ირმის აღმნიშვნელი ტერმინის საერთოქართველურ დონეზე აღვადგინოთ:

სვან. ილუ // ღაწე 'ხს., ქს., "შველი"; "ქართ. ილუმი 'ირემი' (ტოპ.); ზან. ირემი 'ირემი', ო-ირემე (ტოპ.) = სა-ირმე

მ. ჩუხუა აღნიშნავს: "ირემი-დან დაკავშირებული ტოპონიმი ჩანს ქართული ილემი, რომელმაც ირმის აღმნიშვნელი უძველესი საკუთრივ ქართული ფორმა შემოგვინახა. "ლ" ვარიანტიანი ფუძის უძველესობას სვანური ილუ "შველი" მეტყველებს. იგი ისტორიულად გასმომავნებული *ილამ ტიპის უნდა ყოფილიყო. აუსლაუტში ე // მ მონაცვლითა ცხოველთა სახეწოდებებში ზანურის-თვისაც და ქართულისთვისაც დამახასიათებელია, შდრ. ქართ. არჩეი // არჩემი (ბ. გიგინეიშვილი) ზან. ერცქემი "არჩეი", ს.-ქართივ. *არჩეი; ქართ. ღლაეი- // ღლაამ-ნი ზან. (მეგრ.) ღლაამი "დიდი თევზი"... ასევე ქართ. *ილემი // ილემი ზან. ირემი სვან. ილუ. ღ > რ გადასვლით ზანური გამოირჩევა ქართველური ენებიდან. ამიტომაც ირემი მეგრულ-ჭანური გეგონია (შდრ. აგრეთვე გ > მ ქართ. (სპარს.) დგეი > მეგრ. დგემი...).

რაც შეეხება დენანტიკურ მიმართებას შველი ირემი, იგი საეხებით დასაშვებია, შდრ. ქართ. შველი ზან. (ჭან.) მ-სქვერი 'ირემი'.

ს.-ქართ. *ი-ლა-უ- 'ირემი; შველი' > ქართ. ილემი < *ილემი // *ილაეი ზან. ირემი < *ილემი < *ილუმი : სვან. ილუ < *ილამი.

ს.-ქართ. *ი-ლა-უ- 'ირემი; შველი' არქეტიპის შესატყვისია: ს.-ნახ. *ლუ-უ- 'შველი', შდრ.: ინგ. ლი-გ < *ლუ-უ-იგ, ჩანს. ლუ < *ლუ-უ.

წარმოდგენილი ეტიმოლოგია ირემ-სიტყვისა გამოირცხვას უსაყველდო გარაუდეს მისი ფინური *hirvi* ლექსივსებან მომხინარეობის შესახებ" (მუსხა 2006:113).

სემიტური "ირემი" ახლო დგას ს.-ქართ. *ო-ლაშ-სთან. ამ რიგისა ჩანს ს.-სემიტ. *ʕyl.

ს.-სემიტ. *ʕ(=w?) > "შველი; ირემი" - აქად. *aulu*, არამ. *šā*, ებრ. *šay*, არაბ. *ʕayl* // *ʕiyal* // *ʕy(ʕ)al* 'ირემი'; ეგვიპ. *ʕg* "ი. ებრ. *ʕgd*, არამ. (იუდე.) *ʕgl* "შველი; ნუკრი". ამ რიგისა არაბ. *wal* - *wal* / *ir*. რ. *ʔw-ʔd* და ებრ. *y-ʔ* - *ʔw-ʔd* "გარეული / მთის თხა, ჯიხვი". (შდრ. კლასიკური სპარს. *ayyal*, *uyal* "მთის მამალი თხა, ჯიხვი, ირემი" < არაბ. *ʕayl* // *ʕiyal* // *ʕy(ʕ)al*).

არაბულსა და ებრაულში დადასტურებული *ʕl* / *wl* (ოჰ, შდრ. id. არაბ. *ʕl*, არამ. (სირ.) *ʕl*, აქად. *aslu*) ძირის ფორმებში სემანტიკური მიმართებით გაცილებით უფრო ფართოა ვიდრე სხვა სემიტური ენებში: 1. *ʕayl* > "ცხვარი, ევრი", მაგ.: *ʕayar* *wšhineh* *dʕayl*... "სულავს, აბა, ევრიძე..." (დაბადება 22/13), 2. *ʕayal* // *ʕayal* 'ირემი', მაგ.: *dʕayal* *uaby* *wšyāʕOmur*... "ირემი, ქურციკი, კამფი..." (II სჯული 14/15); *kišʕayal* *ta-arog* *ʔal* *bšyʕay* *maym*... "როგორც ირემი მიიღლებს წყლის ნაკადულებსაცნე..." (ფსალმუნი 42/2); *dʕyme* *dʕydy* *liaby* *dʕY* *li-ʔofer* *hašʕayilm*... "კამხგავს მეტრევე ჩემი ნიაშირის ანუ ირმის ნუკრს" (ქებათა-ქება 2/9), 3. *ʕayal* / *ʕh* 'ქურციკი', 'ირემ-ლავი, ფური-ირემი', მაგ.: *naftaly* *dʕayal* *h* *šlu* *ʕah*... "ნუფთალი - ყვესმარდი ირემი..." (დაბადება 49/21); *dʕaylet* *šahabym* *wšyā* *ʔat* *hen* *dʕayna* *yirawika* *bekol* *-l* *h* *bšhʕabatah* *uāgeh* *tamyd* - "ნოყიერულ შეულთან და ტურფა ქურციკთან, დედატაბოს მისმა გულ-შეკრძმა ყოველ დროს, გაბრუნდი მულამ მისი სიყვარულით" (იგავნი სოლომონისა 5/19) და სხვ.

პრაფორმის ს.-სემიტ. რეფლექსებში: *ʕ(u(=w) > /y) *ʕl* ს.-ქართ. უყ / > სემიტ. *wy* პროცესი სემიტურ ნივთიერება აისხნება: აფრან. *w* > სემიტ. *w* > ირდ. სემიტ. *wy* / /y; აფრან. ' > სემიტ. ' > ირდ. სემიტ. ' / /y > "გადაწვევა" შიდა სემიტური მიმანაცემებით დასტურდება (კანტინო 1961:47; ბელოვა 1999:18-19). ამგვარი ცვლილების ეკვლიბაზე პრაფორმის სემიტური რეფლექსი მეტათეზისა და ანლაუტში CV- ('-ს პროსოდული ფუნქცია) სტრუქტურის სახით ფიქსირდება. მეტათეზას მიზეზი C₂-ისა და C₃ *wy*-ს შეთავსებლობა C₁-ის შემხვევებაში. შდრ. სემიტურში l-ს მეტათეზა, მაგ.: ს.-სემიტ. **rigl* 'ფეხი', არამ. (მანდა.) *ligr*, არაბ. *rigl*; ს.-სემიტ. *ʕrl* 'მუხუცი, ცულიანიპი', აქად. *ʕullar*, არამ. *ʕullar*, არამ. (სირ.) *ʕurl*, ებრ. *ʕʕrel* (მეტათეზა გამოწვეულია l-სა და r-ს ცული შეთავსებადობით. *ʕrl* ძირის ბგერითი შედგენილობა შესაძლოა ნახსენობაზე უნდა შეტყუებულდეს (?). (მისიული 1983:178-179). (შდრ. ბერძნ. *κίμα* > არაბ. *ʕimān*; ბერძ. *apollonia* > კობტ. *ʕrāp*; უგარ. *rāp* - *ri-īdā-ia*, *raāp* > *raāep* > *raēep*; ფინიკ. *rsa* / *urp*; არაბ. *ʕarsaf*) (ისრაელი 1999:65-69).

ს.-სემიტ. *ʕ(=w?) > რეფლექსიში *w-y* უმარცვლო ხმოვნების, პომოგენურ კონსინანტთა მ / (ტურბულენტი) მოხატვლივსა და მეტათეზა განპირობებულია ლექსივით იზოგლისის იზოსემანტიკური რიგების წარმოებით (მაისელი 1983:187). *ḫy(ʕ)al* ფორმისი ...*a*...*a* სინაქსონისში სემიტური მიმართება ასახეს და შეორულა, რასაც სემიტურ ენებში *wy* / *l* ძირი, არაბულში წარმოდგენილი არაფეგაროუანი ვოკალიზში: *ʕay(=w?)*, *ʕuyal* და უთიოპური ენის მიმანაცემები ადასტურებს. ამავე დროს გამოირცხვლი არაბულსა და სემიტურში ...*a* (< V?) ძირული ხმოვანი უყ / > სემ. *wV* / *wʕ* > პროცესის შედეგი იქნა (შდრ. არამ. *ʕuyal*). ტიპოლოგიური თვალსაზრისით ჩნის შენეული ფაქტია ძვ. ქართ. უმარცვლო /ყ და /უ ხმოვნის მიმანაცვლება (გამყრელიძე, მაკავარიანი 1965:49).

ქართველური (resp. კავკასიური) ტერმინი შეიძლება დაეკავშიროთ სემიტურ ენებში ირმის აღმნიშვნელ სახელწოდებებს იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ სავეკოა მისი აფრანსური წარმოშობა დისტრიბუციული შესწავლულობის გამო (ჩად), მაგ.: ს.-ჩად. **bozur* 'ანტილოპას სახეობა' ცენტრ-ჩად. (ნსანატი) *barza* 'ქურციკი', (მეულენე) *bārgir*; (მუსხა) *būrgur-akūr* 'ანტილოპას აღმ-ჩად. (ბიდა) *bārgā* 'ანტილოპა კუდუ'; (ბირგიტ) *bēgšōr* 'ქურციკი'. (შდრ. r-ს მეტათეზა C₂-დან C₃ პოსტიაზე) (ბელოვა 2003:44). შდრ. ს.-სემიტ. **baqar* > აქად. *bukār* 'ხარი', ებრ. *bāqār*, არამ. (სირ.) *baq*, არამ. *baqar* / *baqar-a* (h-) 'ძროხა', ს. (ეპიგრაფ.) *bqr* 'სხვილფეხა რქიანი საქონელი, ხარი და ძროხა', ს. (პარს.) *beqer-ét* 'ძროხა'. აქედან უნდა იყოს მიხედვით მეტათეზით არაბ. *qirb-ai*, ს. (სოკრ.) *qarib-oh*, ს. (შს.) *qerb-ét*, არამ. (სირ.) *raqb*, არამ. (იუდე.) *raqb* 'ტიკი, რუმბი'.

კავკასიისა და მასთან მომიჯნავე წინა აზიის არეალის ეოლოგიური გარემოს გათვალისწინებითაც ასეთი ტერმინების იბერულ-კავკასიურიდან სესხება უფრო დასაშვებია სემიტურში (resp. აფრანსურში), ვიდრე პირიქით.

წინასწორ კონტაქტებზე მეტყველებს მრავალი კულტურული ტერმინი, რომელიც საერთოა, ერთი მხრივ, აფრანსურისათვის და, მეორე მხრივ, ქართველური, ჩრდილოკავკასიური, შუმერული, ინდოევროპული და ხურიტულ-ურარტული (ხათური) ენებისათვის. ამავე დროს, A. Ю. Милитаревის ანბთი შესაძლოა გამოიყოს დამსკურ ერთეულთა ფენა, რომელიც საერთო იქნება წინა აზიისა და აფრანსურის არასემიტური ენებისათვის (მილიტარევი 1983:21).

ბისა და ენათა ოჯახების შორის კონტაქტების შესახებ, არა მარტო პრანების დონზე, არამედ მათი დაშლის შემდეგაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე ... 2003: გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თსუ გამომც. თბილისი.
2. გამყრელიძე ... 1965: გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ. სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. გამომცემლობა "მეცნიერება". თბილისი.
3. მელიქიშვილი 1963: მელიქიშვილი გ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 1. გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო". თბილისი.
4. ჩუხუა 2006: ჩუხუა შ. ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. გამომცემლობა "უნივერსალი". თბილისი.
5. წერეთელი 2001: წერეთელი გ. სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. ორიენტალისტიკა 1. თბილისი.
6. წერეთელი 1958: წერეთელი კ. თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ. თსუ გამომც. თბილისი.
7. ბელოვა 1999: Белова А. Г. Очерки ло истории арабского языка. «Восточная литература». Москва.
8. ბელოვა — 2003: Белова А. Г., Столбова О. В. К вопросу о корневых вариантах в семитских и чадских языках. Jubilee volume dedicated to the 80th anniversary of Konstantin Tsereteli. Tbilisi.
9. ბელოვა — 1981: Белова А. Г., Дяконов И. М., Милитарев А. Ю., Похромовский В. Я., Столбова О. В., Четверухин А. С. 1981. Сравнительно-исторический словарь афразийских языков. Вып. 1. «Письменные памятники и проблемы истории культуры народов востока. XV годичная сессия. Ч. IV». Москва.
10. ილიჩ-სვიტიჩი 1969: Илич-Свитыч В. М. Древнейшие индоевропейско-семитские языковые контакты. «Проблемы индоевропейского языкознания». Москва.
11. მაიზელი 1983: Майзель С. С. 1983. Пути развития корневого фонда семитских языков. «Наука». Москва.
12. მილიტარევი 1983: Милитарев А. Ю. 1983. Вступительная статья. Майзель С. С. 1983. Пути развития корневого фонда семитских языков. «Наука». Москва.
13. მილიტარევი 2000: Militarev A., Kogan L. Semitic Etimological Dictionary. Vol. I: Anatomy of Men and Animals, Münster.
14. კანტინო 1961: Cantineau J. Études de Linguistique Arabe. Paris: Klincksieck.
15. იზრეელი 1999: Izre'el Sh. Arsuif: The Semitic Name of Apollonia. APOLLONIA_ARSUF. Final Report of the Excavations. V. 1 (The Persian and Hellenistic Periods. With Appendices on the Chalcolithic and Iron Age II Remains). Emery and Claire publications in Archaeology. Tel-Aviv.

შემოკლებათა სია:

არაბ.	არაბული
არაბ. (მადრ.)	მადრამაგეთის არაბული დიალექტი
არამ.	არამეული
არამ. (იუდ.)	იუდეური არამეული
არამ. (სირ.)	სირიული
აქად.	აქადური
ბერძ.	ბერძნული
გეეზ.	გეეზი
ებრ.	ებრაული
ზან.	ზანური
ზხ.	ზემოსეანური
ინგ.	ინგუშური
კოპტ.	კოპტური
სა. (ეპიგრაფ.)	სამხრეთარაბული (ეპიგრაფიკული)
სა. (სოკოტ.)	_____ (სოკოტრი)
სა. (შხ.)	_____ (შხაური)
სა. (მარს.)	_____ (მარსუსი)
ხე.	ხეანური
ს.-ნახ.	საერთონახური
ს.-სემიტ.	საერთოსემიტური საერთოქართველური
ს.-ქართ.	საერთონადური

ს.-სემიტ.	საერთოსემიტური საერთოქართულური
ს.-ქართ.	საერთონაღური
ს.-ნაღ.	უგარიტული
უგარ.	ფინიკიური
ფინიკ.	ქართული
ქართ.	ქვემოხვანური
ქს.	ჩანური
ჩან.	

(აღნიშნული პროექტი განხორციელდა სსიპ – ქართველოლოგიის, კუმანტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტი №136-08-2-070). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს სსიპ – ქართველოლოგიის, კუმანტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) შეხედულებებს.)

Zviad Tskhvediani (Kutaisi)

Languages in Contact: Semitic (resp. Afro-Asiatic)-Kartvelian (resp. Iberian-Caucasian) Parallels (Iberian-Caucasian Lexical Units in Afro-Asiatic)

The presence of Kartvelian Lexical units in Semitic languages can be treated as: 1. Borrowings caused by areal language contacts; 2. Nostratic unity of languages.

Exploring Kartvelian lexical units in Oriental languages is significant in terms of the reconstruction of historical disposition of Kartvelian languages as well as for the restoration of archetypes and meanings of Kartvelian roots.

This kind of analysis is based on the historical-linguistic approach determined by the principle of historical contacts of the languages in question.

A certain number of roots in Afro-Asiatic languages can be identified as ancient borrowings. The different variants of Semitic roots of common origin could have been developed through being borrowed by various early Semitic dialects independently. This is confirmed by various phonetic forms which differ from the regular reflexes of the proto-forms of such unit (for example, common semitic *r'y, *rVhl Acad. *lahr* (metathesis?) – Arab. *ra'l-ā'*, *ragl-at*; it can be juxtaposed to North Caucasian *raxV (*laxV). Or, C. Semit. *'yl – Acad. *aalu*, Aram. *ēla*, Hebr. *ēl*, Arab. 'ayl < C. Kartvelian *i-lav; > Georg. *ilem-i* < *i-lev-i // *i-lav-i, Zan. *iren-i* < *ile(o)m-i, Svan. *ilw* < *ilaw. C. Nakh. *luw, Chechn. *lū* < *luw correspond to Common-Kartvelian archetypes.

“The designated project has been fulfilled by financial support of Foundation For Georgian Studies, Humanities and Social Sciences (Rustaveli Foundation) (Grant #136-08-2-070) Any idea in this publication is possessed by the author and may not represent the opinion of Foundation For Georgian Studies, Humanities and Social Sciences (Rustaveli Foundation) itself.”

გრაზაბიკაული და ნორმირებაული ქნაში

სალიტერატურო ენა ნორმირებაული, წინასწარ შემუშავებულ წესებსა და კანონებზე დამყარებული სისტემაა. ის არის სახელმწიფო ენა და იმპედროულად ქვეყნის ერთიანობის საფუძვლი. სალიტერატურო ენა საერთო-სახალხო ენა, და-იდეალია. ამიტომ უნდა იყოს იგი ზედმიწევნით ზუსტი, ბუნებრივი, ერთიანი. სალიტერატურო ენის ერთიანობასა და სიზუსტეს განაპირობებს მყარი ნორმა. ნორმის გამოშუშავება ენობრივი სისტემის კანონზომიერებათა და ენის ისტორიისა და განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით უნდა წარმოებდეს. სავალდებულო წესების დადგენა მყარ მეცნიერულ წინამძღვრებს უნდა ემყარებოდეს.

სალიტერატურო ენის ნორმებს საფუძვლად უდევს სხვადასხვა პრინციპები. ნორმირებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული გაერცელებულობა, ტრადიცია, რამდენად სწორია გრამატიკულად ამოსაყალი ფორმა, ენის სისტემის უნიუიკაცია, ენის განვითარების შინაგანი კანონი და პერსპექტივა.

ამ პრინციპთა შორის მნიშვნელოვანია ერთ-ერთი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, თუ რამდენად სწორია ენობრივი ერთეული გრამატიკულად. ეს ყოველთვის არ არის სწორად გაგებულად. სწორად ტერმინი „გრამატიკული“ „ნორმირებული“ სინონიმური გაგებით არის გამოყენებული: გამოთქმა „გრამატიკულად სწორია“ გათვალისწინებული ნორმის მიხედვით მართებულია, ზოგჯერ კი, როცა ფორმათა არჩევანზე მიღდება საქმე. უპირატესობის მინიჭება ხდება იმის მიხედვით, არის თუ არა სიტყვა გრამატიკულად სწორი. გრამატიკული საზომით მცდარისა და მართებულის გამოჩვენა ყოველთვის როდი იძლევა შედეგს. ამის მიზეზი არის ის, რომ გრამატიკულისა და ნორმირებულის მიმართების თვალსაზრისით ვითარება ყოველთვის ერთნაირ არ არის, გრამატიკულად სწორი ყოველთვის არ ნიშნავს სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით მართებულს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სალიტერატურო ენის ნორმას, კანონს.

გრამატიკულისა და ნორმირებულის მიმართების მიხედვით ქართულში გამოიყოფა ფორმები, რომლებიც:

- 1. გრამატიკულადაც სწორია და ნორმის მიხედვითაც;
- 2. გრამატიკულად სწორია, მაგრამ ნორმის მიხედვით – არასწორი; 3. გრამატიკულადაც არასწორია და ნორმის თვალსაზრისითაც. განვიხილავთ თითოეულ შემთხვევას:

ერთი მხრივ, ენობრივი ფორმა შეიძლება გრამატიკულადაც სწორი იყოს და სალიტერატურო ენის ნორმის თვალსაზრისითაც. მაგალითად: თითოეული და არა: თვითოეული/თვითეული/თითოეული; კარგად და არა: კარგათ/კარგათ/კარგა; უნებურად და არა: უნებურათ; ალბათ და არა ალბად; უნებდით და არა უნებდით; წინათ და არა წინად; ჩემ მიერ და არა ჩემს მიერ; ქრის, წუხს ის და არა: პქრის, სწუხს ის; შექმნა მან ის და არა შეპქმნა მან ის; გადასცა, მისწერა მან მას ის და არა გადაცა, მიწერა მან მას ის; გააგზავნინა მან მას ის და არა გააგზავნინა მან მას ის; აუშენებინა მას ის და არა აუშენებია მას ის; წერდნენ ისინი მას და არა წერდნენ ისინი მას; გააკეთეს მათ ის და არა გააკეთენ მათ ის... (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები).

ზოგჯერ ენაში გარკვეული დროის განმავლობაში დაშვებულია პარალელიზმი, სხვადასხვა ენობრივი ფორმა კანონზომიერია, მიღებულია ენის შინაგანი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მათგან ერთ-ერთს სალიტერატურო ენა შედარებით მოვლენებით თავისი პრინციპების მიხედვით ანიჭებს უპირატესობას. ასეთია, მაგალითად, თანამედროვე ქართულში არსებული ჩვენური ფორმები: სტირ/ტირი შენ, პგალობ/გალობ შენ, ვსთხოვ/ვთხოვ მე მას მას, მოგსტაცე/მოგტაცე მე მას ის, დაეწერა/დაეწერნა მას ის... აღნიშნულ ფორმებში პ, ს პრეფიქსები გრამატიკულადაც არის გამართლებული და ნორმის თვალსაზრისითაც. სალიტერატურო ენის ნორმებში ამ ტიპზე დაშვებულია პარალელიზმი, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში გაერცელებულია უნიშნო, გამარტივებული ენობრივი ფორმები. მაშასადამე, ნორმა ჩამორჩება ენის განვითარებას. ამგვარ უნიშნო ფორმათა დაკანონება უკვე თავისუფლად არის შესაძლებელი, არჩევანი წერიტსა თუ სეპირ მეტყველებაში უკვე გაკეთებულია.

აქვე შეიძლება გამოიყოს ისეთი შემთხვევა, როცა ზმნაში სხვადასხვა პირთა კომბინაციის გამოშუშატეული ნიშნები ერთდროულად არის წარმოდგენილი. მაგალითად, გაქმნის ის თქვენ, გვზავნისთ ის თქვენ მას... ესენი ამოსაყალი, გრამატიკულად სწორი ფორმებია. მსგავს შემთხვევებში მოსალოდნელი იყო პარალელიზმი. ერთ დროს, ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ასეც

იქნებოდა, მაგრამ შემდეგ გრამატიკაშიუ მოხდა გამარტივება და სალიტერატურო ენაზე სწორედ გამარტივებული ფორმები დააქანდა.

სხვა მხრივ, სიტყვა შეიძლება გრამატიკულად სწორი იყოს, მაგრამ ნორმის მიხედვით – არასწორი. ამის მაგალითია ორპირიანი გარდაჩვეული ზმნა გამოცა მან ის. თანამედროვე ქართულში III პირდაპირი ობიექტური პირი არ არის მარკირებული. ეს არის გრამატიკული წესი, მაგრამ სალიტერატურო ენის ნორმებით მართებულია, დაკანონებულია გამოცა მან ის; ზოგიერთი ზმნის პარადიგმაში მოსალოდნელია ფორმათა სემანტიკური გაორება, მაგალითად: ასწევს ის მას (კაცო ლოფს ასწევს) – აწევს მას ის (კაცს გულზე დარდი აწევს) ასეთ შემთხვევაში სალიტერატურო ენა მიმართავს მდიდრეულებს(ციფრებულ საშუალებათა (პირის, თემის... ნიშნების) გამოყენებას და აკანონებს გრამატიკული თვალსაზრისით გაუმართლებელ ფორმებს, როგორცაა: გასწვია მან (ლაშქარმა მდინარისაკენ გასწვია), გასტანს ის (თაობირი დიდხანს გასტანს)... მიჩნეულია, რომ ამგვარ ზმნურ ფორმებში ჰ, ს- პრეფიქსები ფუქსება შეხორცებული და ასე უნდა წარმოითქვას და დიქციონის (სალინაფ 1995:46).

ენაში მეტილად გაერცვლებულია ისეთი შემთხვევა, როცა სიტყვა გრამატიკულადაც არასწორია და ნორმის თვალსაზრისითაც. ესაა წერითსა და ზეით მეტყველებაში გამოვლენილი ე.წ. „შეცდომები“: მკვლევარის, ჩემსკენ, თქვენთაგანი, აფნიშნე მე ის, სთქვა მან ის, დასტოვა მან ის, უზ ზაფნისთ/უზ ზაფნით ის მათ მას, გაანთავისუფლა მან ის, ვმღერიფარ მე მას, ვგეფარ მე მას... უნდა იყოს: მკვლევარის, ჩემსკენ, თქვენგანი, აღნიშნე მე ის, სთქვა მან ის, დასტოვა მან ის, უზ ზაფნის ის მათ მას, გა(ნ)ათავისუფლა მან ის, ვმღერი მე მას, ვგეფარ მე მას... (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები).

ხშირად შეცდომებს მაინც გრამატიკული წესის დარღვევას უკავშირებენ და გამოყოფენ ე.წ. „ფსევდოგრამატიკულ“ შეცდომებს“, როგორცაა, მაგალითად, გავაკეთოდ, დავწეროდ, აღბად და სხვა.

ზოგჯერ გრამატიკულად არასწორი ფორმა დიალექტისშია, მაშასადამე, ნორმის თვალსაზრისით – მიუღებელი, უარსაყოფი, „არასავალდებულო“ ანუ შეცდომა, მაგრამ ენის თვალსაზრისით – „სავალდებულო“ (ჯორბენაქი 1985:20). უნდა აღინიშნოს, რომ სალიტერატურო ენის იმპერატიულობა ზღუდავს დიალექტის არსებობის არეალს. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ სალიტერატურო ენის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს დიალექტები. თუ ამ წყაროს დინება შეუფერხდება, ნაკადი იკლებს, ადელი წარმოსადგენია, სალიტერატურო ენის გაღარბებასაც ვერაფერი დაუდგება წინ. დიალექტებისა და სალიტერატურო ენის მიმართების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მნიშვნელოვანი მოსაზრებები არსებობს. მიუხედავად ამისა, პრობლემა, თუ როგორ აისახება მომავლის სალიტერატურო ენაში სხვადასხვა დიალექტთა მონაცემები, საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე უამრავი ფორმა ჩნდება. თითოეულ მათგანს თვით მისი წარმომქმნელი ენობრივი სისტემის სხვადასხვა რგოლი (ყოცხალი მეტყველება, დიალექტი...) ანიჭებს სანქციას, სალიტერატურო ენა კი განსაკუთრებული პრინციპების საფუძველზე აკანონებს მათ შორის რომელიმე. ამდენად, წერითსა და ზეით მეტყველებაში არსებულ შეცდომათა მიზეზი არის არა მხოლოდ, როგორც ე. თოფურია აღნიშნავდა, „ჩვენი დაუდევარი, უკურადლები მოპრობა ლიტერატურული ენის ნორმათა დაცეისათვის“ (თოფურია 1968:45), არამედ ენაში მიმდინარე პროცესების, ნორმირების პრინციპების უცოდინრობა, უკუღებულყოფა.

პრინციპი – რამდენად სწორია სიტყვა გრამატიკულად – ერთ-ერთ პრინციპია სალიტერატურო ენის ნორმირებისა და ამას არ უნდა შეეწიროს კანონზომიერი ენობრივი ფორმა, საბოლოოდ კი – სისტემა. სადავო ენობრივ ერთეულთა ანალიზისას დასკვნა უნდა გაკეთდეს სალიტერატურო ენის ნორმირების სხვადასხვა პრინციპთა გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თანამედროვე... 1989: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. I. გამოცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
2. თოფურია 1965: თოფურია ვარლამ. ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი. გამოცემლობა „ნაკადული“, თბ.
3. სალინაძე 1995: სალინაძე რუსუდან. ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები. ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის №5 სტამბის საგამომცემლო ცენტრი. ქუთაისი.
4. ჯორბენაძე 1985: ჯორბენაძე ბესარიონ. ქართული ენის ფაქულტატიური გრამატიკის საკითხები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

Rusudan Saghinadze (Kutaisi)

Grammatical and Normalized in Language

The literary language is a system based on normalized, beforehand elaborated rules and laws. The literary language is a public language, ideal language. That is why it must be thoroughly precise, natural, unified. The unity and precision of literary language is preconditioned by firm norm.

The norm of literary language is founded on different principles. Among those one of them is important, according to which it is decided as to how much grammatically correct the language unit is. This is not always rightly understood, and often, when it comes to the choice among the forms, the priority is only granted based on whether the word is grammatically correct or not.

According to relativity of grammatical and normalized, the forms are identified in Georgian, which:

1. Are correct both in terms of grammar and norm;
2. Sometimes the word is correct grammatically, but is incorrect in terms of norm;
3. Some words are incorrect both in terms of grammar and norm. Sometimes grammatically incorrect form is dialecticism, therefore, from the point of norm it is unacceptable, to-be-rejected, “non-obligatory”, although, as B. Jorbenadze puts it, from the point of language it is “obligatory”. It should be mentioned that the imperativeness of literary language limits the area of the existence of the dialect. There are important opinions about the relativity of literary language in scientific literature. In spite of this, the problem of how the data of different dialects are reflected in the literary language of the future requires thorough investigation.

The principle – how much grammatically correct the word is – is one of the principles of normalizing the literary language, and for this the regular language form (and the system eventually) should not be sacrificed. While analyzing the controversial units, the conclusion should be made with consideration of different principles of normalization of literary language.

**გლობალური საინფორმაციო საზოგადოება და ანონიმური
სინდონის დაპყობის პრობლემა**

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად კაცობრიობის განვითარება პოსტინდუსტრიული საზოგადოებითად საინფორმაციო საზოგადოებაში შევიდა. უკვე XX ს-ის 60-იან წლებში მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა „საინფორმაციო საზოგადოების“ კონცეფცია, როგორც პოსტინდუსტრიული საზოგადოების მოდელირების ხედავ. ინფორმაცია გადაიქცა საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად, ხოლო გლობალიზაციის პროცესში კი კიდევ უფრო გაზარდა კომუნიკაციის როლი. თანამედროვე ეტაპზე ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ განვითარება არა მხოლოდ მისი წარმოების დონის მაჩვენებლებით და გაცვლებით, არამედ მისი საინფორმაციო შესაძლებლობებითაც ფასდებოდა. შეცვლის კვალდაკავალ მკვიდრდება ახალი ღირებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ სასესიონო საინფორმაციო რესურსებს და სტრატეგიას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ნართის გათვალისწინებით (დემკინი 2003).

თანამედროვე ადამიანი უნდა ყოფილიყო არა მარტო სხვისგან მიწოდებულ ინფორმაციას, არამედ სხვადასხვა წყაროებსზე დაყრდნობით უნდა შეძლოს სასურველი ინფორმაციის მოძებნა, გამოყენება და ამ გზით ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტა, ასე უნდა ქმნიდეს და იღრმავებდეს კვალიერებულ ცოდნას, ვინაიდან ცოდნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ინდივიდის კვალიერების შემთხვევაში (დესტერო 1999-92).

თანამედროვე ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალის - მასობრივი კომუნიკაციების სასწაულებრივმა გამრავალფეროვნებამ, გლობალიზაციის ყოვლისწამლუკაობამ არაჩვეულებრივად გაზარდა თავად კომუნიკაციების როლი. პუბლიკურულ მეცნიერებათა სფეროში გლობალიზური ძერა მიხედა, ცოდნის საფუძვლად გადაიქცა ტექსტი. ტექსტის შექმნის მიზანმა ლინგვისტიკასთან ერთად შეაღწია როგორც საჯარო, ისე უზღველეს სკოლაში და „აკადემიური წერის“ ელემენტების ფორმითა და შინაარსით დამოკიდებულად ადგილი, ამასთან ქართული ენის სასკოლო კურსის პრაგმატული სწავლების პრაქტიკული ნაწილიც შეითავსა, ანუ მეტყველების ნაწილების წინადადებასა და ტექსტში თავების ილუსტრაციის ფუნქციას იკისრა (ჯავახიანი-შვილი 2008:7).

როგორც საჯარო, ისე უზღველეს სკოლაში, მთავარ პრინციპად იქცა როგორც ტექსტის გაცნობა და მისი დამოუკიდებელი ანალიზი, ისე უპარტიზოლოგიური ურთივალისმიერ ახსნა-განმარტებითი, ანალიტიკურ-არგუმენტირებული თუ სხვა კვლევითი ტექსტების შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოუმუშავება. დღეს ქართული ენისა და ლიტერატურის კურსის ფარგლებში მწვერულის კონკრეტული ნიმუშის აღქმა გააზრების ხარისხი კონკრეტულ თემაზე ესეს შექმნის მოწოდებას, ესევის, რომელმაც თანამედროვეობის თავებრდამხვევი ტემპებისა და ინფორმაციული სიჭარბის, მისი უსწრაფესი აღქმა-გათავისებვის აუცილებლობის ეპოქაში აზრების კომპაქტურად ჩამოყალიბება-გამოცემის გამო მოუკა გაერცხვლები.

გლობალიზაციისა და ინფორმაციის ეპოქაში მსხვილტანიანი რომანების ესეებით ჩანაცვლება დაიწყო, განრდა სმეცნიერო ესეებით, სწავლების ამ მეთოდოლოგიისათვის უკვე შექმნილია მრავალი სახელმძღვანელო, იქნება ახალი.

კომუნიკაციისტიკაში ახალი სიციცხლე „შთაბერა კაცობრიობის მიერ ძველთაგანვე შექმნილ დარგს, რიტორიკას. სიტყვიერი (ვერბალური) და მოქმედებით-სანახაობითი (ვიზუალური) კომუნიკაციების შემსწავლელ დისციპლინას, რომელშიც ადამიანური კომუნიკაციების ყველა ძირითადი მუქნისშია ამომწურავად აღწერული დაახლოებითი და რიტორიკული თაემის უნივერსალუბლის წყალობით დამკვიდრდა როგორც პოლიტიკის, ისე პროფესიული და ყოფითი კომუნიკაციების დონეზე. მაგრამ რიტორიკა არ არსებობს არგუმენტის გარეშე. ყოველი პუბლიკური მეცნიერების, როგორც სხვა მეცნიერების მსმენელამდე მიტანის ხერხემალი არგუმენტი გახდა, რომელიც იმუნდა რთული ასრულებით-გონითი ფუნქციონირება და იმდენად დიდია მისი რთული საერთოდ კომუნიკაციისტიკაში, რომ მას სპეციალური მეცნიერება არგუმენტალისტიკა შეისწავლის, ე.ი. ახალში ვითარებაში ხრულოად ახალი პირობები შესთავაზა სასესიონო ყენას, როგორც მისი პოლემიკურირობის, ისე საერთო სამეტყველო კულტურისა და სპეციალური ენების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საღიტრატურო ენის ძირითადი დექსიონი გამოქმენით უნდა იესებოდეს საყოველთაოდ გააქტიურებული, სხვადასხვა დარგობრივი ტერმინებით, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს გააზრებულად, საერთო სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნისათვის და მოცემული ცნების ბოდალი ქართული სიტყვის არარსებობის დროს. ჩანს, ეს წესი მაინცდამაინც მკაცრად დაცული არ ყოფილა, ამიტომ

ეხმარობთ ბიბლიოთეკის გვერდით წიგნთსაცავს, მანუსკრიპტების გვერდით ხელნაწერს, არქიტექტურის გვერდით ხუროთმოძღვრებებს, პლატფორმასთან - ბაქანს; მეტალოგი - ლითონი - მინერალთან - მაღანს; ბალთან - მუჯლისს; ცდასთან - ექსპერიმენტს; ნაკლთან - დევექტს და ა. შ.

დიდი ხასოვადობაზე, მის ნაწილზე, ახალგაზრდაობაზე, პრეცისა თუ ელექტრონიკის საშუალებების (რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი) და საერთოდ, უბედურების გავლენა, რომელიც დღია როგორც ინტერნაციონალური პოლიტიკური ლექსიკონისთვის (ელექტრონიკი, ინაუგურაცია, სიკეტი, იმპიუმეტი, ლეგითიმიზმი, კონსენსუსი, რეინტეგრირება, ექსპლუატორი, კორუფცია, და ა. შ.) ისე დარგობრივი ტერმინოლოგიის ლექსიკონით (ბარტონი, დილერი, ჯამბურგერი, სპონსორი, მარკეტი); (სლოვანი, იმიჯი, ნიუსი, მესიჯი); (სიუი, ქეისი, პრესკელიზი, სლენგი, სილაბუსი, კოლაქიუმი, პრეზენტაცია, კურსულეტი) (პროცესორი, პრინტერი, ინტერნეტი, ჩიპი, მოდემი, სიტი, მელი, ნოუთბუკი) და ა. შ. განსაკუთრებით გაფართოვდა ამ სიტყვების წიფე XXI საუკუნის მიჯნაზე.

ტერმინოლოგიის, როგორც სპეციალური ლექსიკონის მოხლეობა ცივილიზაციის წინსვლის პირდაპირპროპორციული პროცესია. მას კარს ვერ გადავუვარდებთ, ჩვენ, ტერმინოლოგიის სალიტერატურო ენის წიაღში, გრამატიკული კანონების საფუძველზე, ინტეგრირების პროცესების მართვაზე უნდა ვისრულოთ. როგორც ცნობილია, ევრო-ამერიკულ სივრცეში ინტეგრირების პროცესებში, ინგლისურის, როგორც ძირითადი საერთაშორისო სტანდარტიზაციო ენის როლის განსაკუთრებული მნიშვნელობა აუცილებელი გახადა საერთო მოხმარების ტერმინთა ნაკადის გადმოღინება და ჩვენი მშობლიური ენის საერთო ლექსიკურ ფონდთან შერწყმა. მაგალითად, ლილვი საბასთან განმარტებულია, როგორც რაივის საქსიოი ჩიორი, მაგრამ ტექნიკურ მეცნიერებაში იგი დროის სახეობად იქცა, სარტელო, როგორც ჭურჭლის სახურაო, მაგრამ, მეცნიერების მეცნიერებაში მან გულის სარტელოს შინაარსი შეიძინა; სხივი - შისი სხივი, მაგრამ -სპეციალურ ენაში გვაქვს ელექტრომაგნეტური სხივი, ბგერითი ენერჯის გაერცელების მიმართულება. სპეციალური ენების ძირითადი ინსტრუმენტი ვიქსიკონია, საერთო ეროვნული ენის ლექსიკური საგანძურს უნდა იყოს და თან მხოლოდ უცხო ენა, სიტყვათა ხშირად არასაჭირო და გაუთვალწინებელი ხსენებას თავი უნდა ავარდოთ, მისი გამოყენება, ძირითადად, მაშინ არის მიზანშეწონილი, როცა სათანადო ცნების გამოხატულები ქართული სიტყვა არ მოგვაპოვება.

უბელოვითობა სწრაფად ითიხებს და ასევე სწრაფად აერცელებს ახალ სიტყვებს, სიტყვათშეხამებებს, კლიშეებს, რომელთაც საინფორმაციო ურთიერთობის ეპოქაში გლობალური სტანდარტიზაციის ტენდენცია ახასიათებს, რომლებიც ასახავენ სასოციალუოებაში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს (ფინანსური გაჯანსახება, ალტერნატიული არჩევნები, ეკონომიკური სივრცე, ინტერესთა ბალანსი, ახალი პოლიტიკური ასრუენება, დიპლომატიის პოლიტიკა). ჩნდება შეუქველუო შესიტყვებები, (ვარდების რეკლუცია, ნარინჯისფერი მინისტრო პაბინეტი, აბრეშუმის გისი მომხრე). და ა. შ. მაგრამ, სტანდარტულ გამოთქმად არ უნდა ექცეოდნ ჩვენი ენისათვის არაბუნებრივი სტრუქტურული ერთეულები მაგ. დარტემა მიყენა, წარმოებს დამზადება და მისთ.

სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და მისი სრულყოფასთან სწავლების ამოცანებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, მაგრამ ახალმა ეთარებამ, გლობალიზაციამ, ინტენსიურმა გარე ურთიერთობებმა, სწრაფგანვითარებამ ტენიკურმა ცივილიზაციამ და დია საინფორმაციო სივრცეში სრულიად ახალი, დროს ტემპებზე ფხვანოობით, მაგრამ ენის სიწმინდის შენარჩუნების დამკვირ მუქანიშების შექმნისა და ამუშავების პრობლემა შესთავაზა საჯარო და უმაღლეს სკოლას, რომლის განჩორცილება უმაღლეს სკოლაში სხვა ფილოლოგურ და პუმიანტიარულ მეცნიერებებთან ერთად დაეკისრა აკადემიურ წარს, მეტყველების კულტურას (ორთოგრაფიას, ორთოეპიას, სინტაქსურ კონსტრუქციებს) ფუნქციონალურ სტილიტიკას, ასრის გამოხატვის ენობრივ შესაძლებლობათა ძიებას და რიტორიკას, მკვერ-მეტყველებას. სწორედ, სტილიტიკა, ასრის გამოხატვის ენობრივი შესაძლებლობები, - სინონიმი თუ სხვა გამომსახველობითი საშუალებები და სიტყვათარჩოების მოდელები უნდა გახდეს ენის განვითარებისა და გამდიდრების საშუალება, სხვადასხვა დროს ხომ ასე შექმნეს სიტყვები: წოდება, დედაპირი, მსოფლიმხვედველობა, თვალთახევა, მითარობა, მიმართულება, ღირებულება - ილია ჭუკუავაძე; ცარგვალი, შინაბურა, დიდისტიტი - კონსტანტინე გამსახურდია; ლიანდაგი, ორთქლმავალი - ნიკო ნიკოლაძე; განტოლება, ტანვარჯიში, მსაჯი - გიორგი ნიკოლაძე; შეხ-მატებელი, გაიძვერა, ბობოლა - ა.წერეთელი; ალქმა, განწოხა, განწობილება - დიმიტრი უსნაძე; მიეღინება, საშვი, შეებულება -უკოლი ბერიძე, და ა. შ. (გაფრინდაშვილი 2005:90).

ერთი ენის სტაბილუნი მყოფი ენაზე მხოლოდ სიტყვათა პირდაპირი სესხებით არ ამოწურება, ამგვარ გადელენს უფრო დრმა შედეგებმა აქვს და ის მიმღები ენის სტრუქტურულ თავისებურებებზე ტიუებს ანაბუჯდს, ენათა ურთიერთგანმსკვლევა, კალკირება, სოციალი, ენის შინაგანი შესაძლებლობების ამოქმედების წყაროა და შინაარსობივი და სტრუქტურული კალკირება განსაკუთრებულ როლს თამაშობს ახალი დარგობრივი ტერმინოლოგიის წარმოების დროს, მაგრამ, ამავე დროს,

სახიფათო ტენდენციება და კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს. „კადრებს ნორმატიული ბარიერი უნდა შექმნას მაშინ, როცა მათი დამკვიდრება მშობლიური ენის ბუნებრივ წარმოებებსა და სტრუქტურებს ემუქრება“ (არაბული 2004:238) მაგალითად, ხშირად გვეხმის ან ეკითხვობოთ: გაიყვანა, მიმალვანა, - იყოლება, იმალვანა ნაცვლებად; რა კავშირშია? პირდაპირ კავშირშია, მისანშეწონილია კი - რა კავშირი აქვს, რით არის დაკავშირებული, მას კავშირი აქვს; სიტყვაში გამოიყვანა. თავდებში დაუდგა, ტონში განაცხადა, ყურებში გეხსატავს, ნაცვლად - სიტყვით გამოიყვანა, დაუდგა თავდებად, მშვენი ტონით განაცხადა, მეუი ვერებოთ გეხსატავს. თავი უნდა შეიკავონ საომარი მდგომარეობის შექმნაზე, ნაცვლად, თავი უნდა შეიკავონ საომარი მდგომარეობის შექმნისაგან. კალკრების შედეგია -დმი თანდებულადი შეხსიკეებები, სამშობლოსადმი სიყვარული, მომადლისადმი რწმენა, მტრისადმი სიძულვილი, ხალხისადმი სამსახური, ნაცვლად თანდებულადი ნათესაობის ყოვლისა. განსაკუთრებით ყურადსაყვანი კალკრების საფუძველზე სოციური სმინისა თუ სახელსმინის მიერ წარმოქმნილი მყარი კონსტრუქციები

მოცემული დამოკიდებულებული ინფორმაციაში მოცემული (წარმოადგენილი) იყო ამ გამოსვლის მცირე ანოტაცია, გვერდს ვერ აუვლით მოცემულ (ამ) პრობლემას. ამ სურათზე მთელი სცენა მოცემული (გამოხატული). იგივე მდგომარეობა მრავალი სხვა სმინის გამოყენებისას, ატარებს - ენაცვლება კანონიერ იკუთებს. ხსრობს, იყენებს, მართავს, გამართავს, მოაწიებს, სომებს მიიღებს - სმინებს. განიცდის, განიცდა - მარცხს. წარმატებულობას, შეფერხებას, ნაცვლებობას განიცდის, მართებულად - დამირცხდნენ, წარმატებას ვერ აღწევს, ყვრხდება, აკლია ნაცვლად. ვეხვდება ტკივილი მიიყენა (ატკინა), დარტყმა მიიყენა (დაარტყა), ჭრილობა მიიყენა (დაჭრა). სხ ვა გამოიყენებო - სახესევა დანაშაულის მყარი ნიშნები, შეიძლება ეთქვით, ფაქტია, თვალსაწიწია, ხელ შეხსატება.

ენის შიდა პროცესებისა (ხშირად მისი ფაზილიარიზაციის) და დასავლური ე.წ. მასკულატურის ყურთოდ შემოქმედის შედეგია ენის ყულგარიზაციის ტენდენცია...

მაგ. პირველ მგომარს, ასე ეთქვით, „ლაითი“ შეურაცხყოფა მიიყენა და ცვეხლი ავიზიონდა; გამტკლებული და გუბერნატორები უკვე უთვალაუფლო დაიბარეს კანცელარიაში და „გაუთინეს“, თუ ვინ უნდა მოხუცეს მომავალ პარლამენტში; მან რამდენიმე ისეთ კანდიდატზე მიცა „დაბრო“, რომლებიც მას არაყურში გამოადგებიან (არაბული 2004:237); მართალია, ეს სიტყვები შესაბამის ლიტერატურაში ბრჭყალებშია ჩასმული, მაგრამ მისანშეწონილი იყო სხვა სიტყვების გამოყენება.

როგორც ცნობილია ვარკონული მეტყველებისათვის დამახასიათებელია ლექსიკის გადარბობა, ბაზირიზიუმის მოძალეობა, გარკვეული გამოთქმების აკეთება. ასე გაუყოფლისწინდლად გაიფართოვა ასპარეზი პრობლემა სიტყვამ, პრობლემა რთული, მსკლად გადასაწყვეტი საკითხია, გადატანითი იტყვიან მძლად განსახორციელებელ რამეზეც, დღეს კი ეს სიტყვა და მასთან დაკავშირებული გამოხატულებები არსებითად ყოველგვარი დაბრკოლების, სინდლის, შეფერხების გამოხსატავად გამოიყენება. სასკლადობრ: „პრობლემა მიქვს“ - ამბობენ და მასში გულისხმობენ ფინანსურ თუ საყოფაცხოვრებო გაჭირვებას: „რა პრობლემა?“ ამბობენ იმის აღსანიშნავად, რომ არ გაუჭირდებათ ამ საქმის კეთება, დაეაღებს შესრულება; უპრობლემოდ მივალე მისანს, გულისხმობს. რომ დაბრკოლებები არ შეხვედრია; წემი პრობლემა არ არის, ვითომ წეა მენადვლება, ან რა წემი საქმეთ; ამახაც კი ამბობენ, პრობლემა არა მიქვს, აქაოდა ამ საქმეს ადვილად გაეაფთვე თავსო.

სრულიად ნათელია, რომ იმგვარი ტენდენციები არა მხოლოდ აღარბობებს სალიტერატურო ენას, არამედ საფუძვლიანად არღვევს უკვე განმტკიცებულ ენობრივ სისტემებს და ქმნის სერიოზულ საფრთხეს, საერთოდ დაუკარგოს სახე საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ერთ-ერთ ულტრულ მემკვიდრეობას.

ვაჰის ინტენსიური განვითარებამ, მკვეთრმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა სხვა გლობალურ პროცესებთან ერთად, მეტ-ნაკლებად შეკვალა ენობრივი გარემო და ახალი პრობლემები დააყენა ქართული სახელმწიფო ენის წინაშე, მიღწეულია კიდევ გარდაქმნები, შეიქმნა სახელმძღვანელოები, შემუშავდა მეთოდოლოგია, მაგრამ არის ხარვეზები მისი ხანგრძლივობა და პრაქტიკული განხორციელების საქმეში. ხშირად აკადემიური წერის, კვლევითი ნაშრომის, წერის მეთოდოლოგიის ნაცვლად ისწავლება მხოლოდ ენის პრაქტიკული კურსი, სათანადო სიმაღლეზე არ დგას პრაქტიკული ნორმირებული, სამეტყველო ენის მოთხოვნაც. სამეტყველო სტილის, სამეტყველო სიტყვავა განსახლებავს, უნივერსიტეტი სასწავლო-სამეცნიერო-საგანმანათლებლო კრება და აქ სახალხო სტილს კვლად დინეშე ნორმირებული სახე უნდა ჰქონდეს, არ უნდა იყოს გამოყენებული ისეთი ლექსიკა, რომლებიც ამდაბლებენ სტილს. ეველად იქილი საშუალება, მისნის მიღწევის გასახე, ცოცხალი მაგალითია.

სწორედ დღეს, არნახული გლობალიზაციის პირობებში, იხე როგორც არასდროს, საჭიროა ენის დაცვის დონისსიბუების გატარება, უპირველესად, საჯარო და უმაღლეს სასწავლებლებში და

რომლის განხორციელების უპირველესი წყარო სხვა საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, სწორედ პიროვნებისა და საერთო ეროვნული გარემოს მომწესრიგებელი, ფართო კულტურულ-ლოგიური შინაარსის საგნების: რიტორიკის, აკადემიური წერისა და მეტყველების კულტურის, სწავლებაა (ყველა სტუდენტის, როგორც ფილოლოგიური, ისე არასპეციალური ყველა სემინარის უშუალო მომხმადებელი თითოეული სტუდენტის მიერ, პრობლემური აზროვნება და ნააზრვეის გადმოცემა, ტექსტის, თანაც მისწორებით ტექსტის (სტატია ფაკულტეტის სტუდენტების ჩართვა სწავლების პროცესში და, მონორაფია, გამოკვლევა, ესეს შექმნა, პრესენტაციების მოწყობა, სტუდენტთა ნამოღვაწარის მსმენელამდე და მკითხველამდე მიტანა. მათი, როგორც შეკვლევებრივი და პროფესიონალურად, ისე ინფორმაციულად სასოგადოებისათვის აქტიურად მომსახიბულ პიროვნებებზე და ჩამოყალიბება. სახსურეყლია, აგრეთვე სასწავლო პროცესებში საინფორმაციო და ინოვაციური ტექნოლოგიების ჩართვა.

ამდენად, გლობალიზაციის პირობებში, ინფორმაციულ საზოგადოებაში პუბლიკარულ მეცნიერებათა, კონკრეტულად, მეტყველების კულტურის აკადემიური წერისა და რიტორიკის ამოცანაა თავისუფალი შექმნილებითი მიდგომა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სათქმელის, თეზისის პირველად თუ მეორეულ წყაროებზე დაკრძნობით ლოგიკური თანმიმდევრობით, არგუმენტირებულად და ლაკონურად გადმოცემა, საერთო ენობრივი ერთარების რეალური შეფასება, ენობრივი საკითხების წინ ჩამოწევა, მათი აქტიური ჩართვა სწავლების პრაქტიკულ მიზნებსა და ამოცანებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული 2004: არაბული ა.თ. ქართული მეტყველების კულტურა. გამოცემლობა "ენიერსალი". თბ.
2. დემკინ... 2003 : Демкин Вл. П., Можаява Г. В. Гуманитарное образование в информационном (он-лайн წიგნი) (Томск: ТГУ, 2003. 5. 2005): მის: <http://www.ido.us.nsf/s?unit=222>
3. კლსტერი 1999: Лестер Туроу. *Будущее капитализма*. 1999 (ონ-ლაინ წიგნი) (Новосибирск: Сибирский арионграф, 1999. 25).
4. გაფრინდაშვილი 2005: გაფრინდაშვილი ნ., თვალთვათ დ., რიტორიკის შესავალი. გამოცემლობა "ნეკერი". თბ.
5. ჯავახიანიშვილი - 2008: ჯავახიანიშვილი თ., ჯავახიანიშვილი ივ., ვარდიანიშვილი მ. აკადემიური წერა, კვლევისა და წერის სახელმსაგნალო. გამოცემლობა "ენიერსალი". თბ.

Eter Beridze (Batumi)

Global Informative Society and Problems of Protecting the Language Purity

The sphere of humanities in the epoch of globalization and information has experienced radical changes. The language reforms, intensive external affairs, global informative space and scientific-technical revolution objectively takes away stable improvement opportunities from different languages. The problems arose against higher education where students faced difficulties of developing and improving academic writing. Academic writing must be argumentative, analytical, and critical essay that consists of research and its source. More problems formed alongside the Georgian language and its teaching system by developing society. It is true, that new studying materials were printed, and new methods were developed, but there are still troubles of planting and using it practically. Instead of academic writing, its research and methodology they teach practical course of language. Ongoing works are not successful to inculcate normative verbal language. Teaching rhetoric's, academic writing and verbal culture requires creative approach, realistic estimation of general linguistic conditions, and students that are studying different majors as future researchers and professionals as well as preparing them as active social living people. In the conditions of globalization special care is necessary at the universities to secure language purity, and to move academic writing and speech matters forward. It is also necessary to look at some goals and solutions of teaching to get the students actively participate. For this matter it is necessary in educational programs to take teaching methods of rhetoric's, academic writing, and speech to higher level and to involve informative and innovative technologies in this process.

არსებობს თუ არა ანთროპი სიტყვასა და საგანს შორის?

ანტიკურ ფილოსოფიაში დასმული ეს კითხვა ლინგვისტიკისათვის პამლეტიკისეულია. კომუნისტურ სკოლაში არსებულსა და აღსანიშნავს შორის მიმართებათა ერთიანობა კომუნიკაციისათვის გადამწყვეტია. რეფერენცია კომუნიკაციის საფუძვლიანია, ხოლო საკომუნიკაციო ფუნქცია ძირითადია ენისათვის. ამიტომ ენისა და კომუნიკაციის შესწავლა შეუძლებელია რეფერენციის მექანიზმის დაუღვრნელად. კითხვა, არსებობს თუ არა კავშირი სიტყვასა და საგანს შორის, გულისხმობს სახელის მნიშვნელობას როგორც საგანზე მითითებას.

XX საუკუნეში ლ. ვიტგენშტაინმა მნიშვნელობა განმარტა როგორც მისი გამოყენება ენაში (ვიტგენშტაინი 2003: 57). ამის აღიარებით დაიწყო ლინგვისტური აზროვნების ახალი – პრაგმატული ეტაპი. ლ. ვიდგენშტაინის მიხედვით, ყველა გამოყენებაში სიტყვა კი არ ინარჩუნებს მნიშვნელობას, არამედ იძენს მას. ამიტომ ენობრივი ნიშნის გაგება შეიძლება მხოლოდ გამოყენებაში, ენობრივ თამაშში. ლ. ვიტგენშტაინის იდეათა ზეგავლენით ჩამოყალიბდა ლინგვისტური ფილოსოფიის ოქსფორდის სკოლა, რომლის თანახმად, სიტყვას მოუპოვება კონტექსტით განპირობებული უამრავი განსხვავებული მნიშვნელობა, რომელთა გაერთიანება ერთ დეფინიციასში შეუძლებელია.

წევტს თუ არა ლ. ვიტგენშტაინის მნიშვნელობის კონცეფცია სიტყვისა და საგნის კავშირის პრობლემას?

კარგადაა ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსების ორი შეხედულება სახელდებაზე: Phusei სახელები გამოხატავენ საგნის ბუნებას და Thesei- სახელები დადგენით. ე.ი. პირობითად აღნიშნავენ საგნებს. ორივე თვალსაზრისი ყველაზე უფრო სრულად განიხილება პლატონის დიალოგში „კრატილო“. მაგრამ კრიტიკოსთა შორის არ არსებობს აზრთა ერთიანობა იმაზე, თუ რისი თქმა სურს პლატონს აღნიშნულ ნაშრომში. ზოგის აზრით, დიალოგში პლატონი ამტკიცებს სახელსა და საგანს შორის ბუნებრივი კავშირის არსებობას (პლატონი 1968: 143), სხვები მიიჩნევენ, რომ პლატონი, პირიქით, ცდილობს აჩვენოს სახელსა და საგანს შორის ბუნებრივი კავშირის შეუძლებლობა (ანტიკური 1936: 21). სოლო ი. ლოიას და ნ. კონდრაშოვის თანახმად, პლატონი იკავებს შეადარებულ პოზიციას (ლოია 1968: 14; კონდრაშოვი 1979: 12). ანტიკური ფილოსოფიის ისეთი საეკვიპოლოტი, როგორცაა ა. ლოსკი, აღიარებდა, რომ შეუძლებელია დაადგინო კავშირი „კრატილის“ ნაწილებს შორის და დააჭირო მისი მთავარი იდეა (პლატონი 1968: 594). ამიტომ მრავალი მეკლასიკარი, ფილოსოფოსი თუ ლინგვისტი, ეხება რა პლატონის ამ დიალოგს, თავს იკავებს საბოლოო შეცნებისაგან.

სახელდებაზე დაპირისპირებულ შეხედულებებს პლატონის ნაწარმოებში იცავენ ორი პერსონაჟი: კრატელო, რომელიც ამბობს, რომ სახელები ბუნებრივადა დაკავშირებული საგნებთან (პლატონი 1968: 425), და ჰერმოგენი, რომლის თქმით, სახელების მართებულობა არის ხელშეკრულება, შეთანხმება (პლატონი 1968: 416). ტეშმარტიკების დასადგენად ისინი მიმართავენ სოკრატეს. ამ უკანასკნელის თანახმად, ყოველ საგანს ადამიანისაგან დამოუკიდებლად მოუპოვება არსი. ადამიანებს შეუძლიათ ამოიცნონ საგანთა არსები და გამოხატონ ისინი სიტყვის საშუალებით. „სახელი არის საგნის გამოხატვა ასო-ნიშნებისა და მარცვლების მეშვეობით“ (პლატონი 1968: 481), მაგრამ სახელების შექმნა შეუძლიათ მხოლოდ სახელების ოსტატებს, კანონმდებლებს, „თუ სახელი კარგადაა შედგენილი, იგი უნდა შეიცავდეს საგნის შესაფერის ასო-ნიშანს“ (კონდრაშოვი 1979: 481). სახელები ერთქვეთ საგნებს მათი არსების ანუ ბუნების თანახმად. ამიტომ არ არის მართალი პროკლოზა, როცა ამბობს: „ადამიანი ყველა საგნის საზომია“ (ე.ი. ყველა საგანს ადამიანი ანიჭებს არსს-ღს). ეს ასე რომ ყოყლიყო, არსები არ იქნებოდა ყველასათვის საერთო და, თანამედროვე კერძონილოვით, შეუძლებელი გახდებოდა კომუნიკაცია. მაგრამ სახელების არასწორად გამოყენების შედეგად მათ დაკარგეს მართებულობა (კავშირი საგანთან - ლ.ს), ამის საიდუმტრაციოდ სოკრატეს მოჰყავს მრავალი სიტყვის ეტიმოლოგიური ახსნა: სიტყვას „ადამიანი“ (anthropos) იგი უკავშირებს „განსჯას“, „აზროვნებას“ - ახლის დაჭერას; „შემცვენებას“ - მოძიებ საგნებზე სულის მიყოლას; „სათრუებას“ - თავისუფალ დინებას; „სიღაირეს“-სულის უკიდურეს შეზოგილობას (პლატონი 1968: 453). სოკრატეს ეტიმოლოგიური ანალიზი საინტერესოა, მაგრამ არამეცნიერული, განსაკუთრებით თავისუფალია იგი იმ ნაწილში, სადაც ფილოსოფოსი ცდილობს დაუკავშიროს ბგერებს საგანთა თვისებებს: „ბგერა R მე შემიყვება ყოველგვარი მოძრობის გამოხატვის საშუალებად. მე მგონია, კანონმდებელი ხვდება იმას, რომ ამ ბგერას წარმოთქმისა ენა არ არება უბრაოდ და ძლიერ თრისი, ხოლო i ბგერა მან გამოიყენა ყოველგვარი თხელის, წვირილის გამოხატავად, d, i წარმოთქმისას ენა იკუმშება, ამიტომ მათი გამოყენება შეიძლება შეზოგილობის

გამოსახატავად. ბგერა a კანონმდებელმა მიაკუთვნა „უზარმაზარს (megas); e - მარადიულს (mekos), რადგან ესენი გრძელი ბგერებია; o - სიმრავლის გამოსახატავად“ (პლატონი 1968: 471).

ამრიგად, აღნიშნულია მიხედვით სოკრატე თითქმის მზარს უჭერს კრატელს, რადგან მიანიხი, რომ სახელები ბგერებით მსგავსებთან საგნებს, მაგრამ სოკრატესავე თანახმად, შინაარსობლივად განპირობებულია მხოლოდ პირველადი სახელები და მათაც არასწორად ხმაურის გამო იცვლებს ფონეტიკური სახე. გამოდის, რომ სახელების უმრავლესზე დაკავშირებულია საგნებთან პირობითად და თუ გათვითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ სიტყვათა შექმნის ხელოვნებას ფლობენ მხოლოდ სახელების კანონმდებლები ანუ მხოლოდ ერთეულები ხვდავენ და ადგენენ კავშირს ბგერებსა და საგნებს შორის, იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ სინამდვილეში სოკრატე ამართლებს პერმოკენს. ამრიგად, დიალოგში ერთმანეთს უპირისპირდება ნათქვამი და ნაგულისხმევი. რაც შეეხება სოკრატეს ეტიმოლოგიურ ძიებას, მეცნიერულ თვალსაზრისით, იგი იმდენად მიუღებელია, რომ უფრო პლატონის მაღალი ავტორიტეტის გადასარჩენად კრიტიკოსმა დაუშვეს, რომ სოკრატე ამ შემთხვევაში ერთობა, ხუმრობს, ეწევა პაროდირებას (ისტორია ... 1986: 132). დიალოგის მოთავე ღირებულებას ნეგატიურ შედეგში ხვდავენ (სოკრატემ ვერ დაადგინა კავშირი სახელებსა და საგნებს შორის) და მას არ მიიხივევს ლინგვისტურ ნაშრომად (ისტორია - 1986: 131).

23. კოპონოვი 1956: Копонов А.Н. Грамматика современного турецкого литературного языка. М.-Л.
24. ნელშო-რუსული 1968: Нелешко-русский словарь. 80000 слов. Под. редак А.А.Лепинга и Н.П.Страховой. Издание 5-ое, стереотипное. Изд-ство «Советская энциклопедия». М.
25. იავეტოვი 1990: Явезов С.И. Словарь русского языка. 23-е издание, исправленное. М. «Русский язык».
26. ფორტენასე 2000: Фортенасе М.Х.. О статусе диалектной лексики в толковом словаре литературного языка. Издание 2-ое, переработанное. Изд-ство «Батумский университет».
27. რეფორმატსკი 1967: Реформатский А.А. Введение в языковедение. Издание 4-ое, исправленное и дополненное. Изд-ство «Просвещение». М.
28. დიალექტოლოგია 1972: Русская диалектология. Под редак. проф. Н.А.Мещерского. Изд-ство «Высшая школа». М.
29. მაქს ფასმერი 1967: Макс Фасмер. Этимологический словарь русского языка. Перевод с немецкого и дополнения О.Н.Трубачева. (В 4-х томах). Т. II. Изд-ство «Прогресс». М.
30. ხაბურგაევი 1986: Хабургаев Г.А. Старославянский язык. Издание 2-ое, переработанное и дополненное. М. «Просвещение».
31. ნიქოლაძე 1952: Чикобава А.С. Введение в языкознание. Часть I. М.
32. ჰეკონია 2005: ჰეკონია ნოდარ, სიტყვათა კლასები (მეტყველების ნაწილები) რუსულ და ქართულ ენებში. ბათუმი.
33. შანსკი 1971: Шанский Н.М. и др. Краткий этимологический словарь. Издание 2-ое, исправленное и дополненное. Изд-ство «Просвещение», М.
34. შანსკი 1981: Шанский Н.М., Иванов В.В.. Современный? русский язык В трех частях. Часть I. М..

Nodar Chkonia (Batumi)

The Sources of Assimilation Origin in Different Languages

A speech sound-phoneme in languages is considered in isolation and also in unified forms. The separate or isolated description of sounds is necessary and important for linguistics in order to ascertain those features that one phoneme contrasts with the others.

Linguistics (and science in general!) should reveal and analyze not only facts on the basis of the object of interest but also reasons, background and hindering conditions of their realization. In linguistics we often discuss the facts of various issues and unfortunately, the reason and background of their origin stay apart. The question of assimilation clearly proves that fact. Almost each work focuses only on the types of assimilation and not the reasons of its origin.

The question of assimilation appears variously in different languages. The sounds in speech influence on one another. On the basis of this influence combinatorial and position sound-changing is pointed out. Combinatorial sound-changing may be considered as common and general changing but position sound-changing – as a specific issue of linguistics.

ფრაზოლოგიური ვარიანტები იმპროზაში

ფრაზოლოგიის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა, ვარიანტების წარმოქმნა ფრაზოლოგიური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. თუ განსხვავებული სტრუქტურის სინონიმურ ფრაზოლოგიზმებში სხვადასხვა მნიშვნელობის მოტივაცია და წარმოსახვის შინაგანი ფორმა, სინონიმურმა პარადიგმამ დონეზე შენარჩუნებული, ფრაზოლოგიური ვარიანტები ერთი ან ორი კომპონენტით განირსევიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ხატოვნება ერთი აქტით, დუპლეტურ ფრაზოლოგიზმებში, როგორც ამას შანსკი უწოდებდა (შანსკი 1985: 32) სხვადასხვა კომპონენტს შეაქვს განსხვავებული სტილისტიკური ნიუანსები.

ფრაზოლოგიზმთა ვარიანტულობა, ისევე როგორც სხვა ნიშნები (სინონიმურობა, ანტონიმია თუ შიდაფრაზოლოგიური ორგანიზებულობა) მათ სისტემატურობაზე მიუთითებს. ამ სისტემის ისტორიული გზის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია იმერხული იდიომატიკის შესწავლა. აქ გაათვალისწინებელია სხვა დიალექტების თუ თურქული ენის გავლენაც.

ფრაზოლოგიზმები ეროვნული თვითმყოფადობას, ხალხის ზნე-ჩვეულებასა თუ ცნობიერებას, ზოგადად ერთგულად ეფინომენს გამოხატავს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათი ერთი ნაწილი უნივერსალურია თვით არამონათესავე ქნებშიც კი. ეს საერთო მუდმივად იცვლება ენის ისტორიულ განვითარებასთან ერთად.

იმერხული განსაკუთრებით მდიდარია ფრაზოლოგიური ვარიანტებით, რაც მეტად საინტერესო ფაქტია. აქ დასაძგენია ამ მრავალფეროვნების, სტრუქტურული ნაირსახეობის წარმოქმნის საფუძველი. საკვლეფია მათი მიმართება ზოგადად ქართულ იდიომატიკასთან, უპირველესად სხვა სამხრულ კილოებთან თუ თურქულ ფრაზოლოგიურ ერთეულებთან. მეტად საყურადღებოა, თუ რა კუთხით განვითარდა აქაური იდიომატიკა, რაში გამოიხატება თურქული ენის გავლენა – მუჰაჯირი ქართველობა პირდაპირ სესხულობდა მზა ფრაზებს, თუ აქილუდა მასში საკუთარს, ეროვნულს.

ეს საკითხი არანაკლებ აქტუალურია დღეს, როცა გლობალური პროცესები წაღვეკვას უპირებენ ყოველზე ერთგულს, ახალგაზრდობა უცხოურს სცემს პატივს, მის შეტყვევებაში დღითიდღე იჭრება უცხოენოვანი კალკები, თარგმანებში უხედადა ფრაზები, გამოთქმები, რომელიც მკითხველისათვის უფრო შთაბეჭდავია, რადგან მოუღერია და ახალი.

ჩვეულებრივ უნდა არსებობდეს შეუღწევილი ენობრივი სფეროები, მაგრამ დღეს ისინი თითქმის აღარ გვაქვს, იმდენად დიდია უცხო ენის გავლენა. ამას კი შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოაყვეს. როგორც ენათა ურთიერთგავლენას დაკვირვება წარმოაჩენს, შესაძლებელია განსხვავებული ენობრივი სისტემის ზეგავლენით ჩვირე ენის სისტემა უფრო მასშტაბური და ღრმა ცვლილებები განიცადოს, ისეთი ცვლილებები, რომლებიც სამომავლოდ კარდინალურ პროცესებს განაპირობებს (არაბული 2004:19), რადგანაც გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია, ყველაზე გონივრული იქნება მოზღვაუებელი კალკები ენის შინაგან შესაძლებლობათა ასაშოქმედებლად გამოიყენოს. იმერხული მასალების შესწავლა ამის ნათლად დადასტურება იქნება.

განსახილავ მასალაში ფრაზოლოგიურ ვარიანტებს ქმნიან:

1. ქართული მყარი შეხამებანი, რომელშიც თავის მხრივ გამოიყოფა აჭარულსა თუ იმერხულ მეტყველებაში (სხვა სამხრულ კილოებშიც) გაერცვლებული დუპლეტები. აქვე შემონახულია ძველი ქართულის მყარი გამონათქვამები.
2. ქართული ფრაზოლოგიზმები და თურქულის კალკები
3. თურქული ფრაზოლოგიური ერთეულები

1. ქართულ ფრაზოლოგიურ ერთეულებში გამოიყოფა:

საკუთრე იმერხული დიალექტისათვის დამახასიათებელი მყარი გამონათქვამები თუ იდიომები წვერის პირში ჩაღვბასარა – შერცხვენა, უკანდახვევა, საკუთარი დანაშაულის აღიარება. წვერი სინდის-ნაშუის სიმბოლოდ ითვლება, ისევე როგორც უღვაში. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

უდინგლა, უდინგლა და რომ არ დაწონდა, ჩეიდგა წვერი პირში და მოცოცხა (სტ.). ბეგებმა ეყელამუფერი დეინახეს, აწონ-დაწონეს. წვერი პირში ჩეირარეს და უთქმელი წვედენ მეგერ (ინ:108).

სულის|გულის დაპაწაება (შეშინება)

შიშისხა სული დიმიპაწაება, გული დიმიპაწაება (ინ:35)

სული და გული სინონიმებია და მილიან პიროვნულ შინაარსს გამოხატავენ. თურქულში შიშის სემანტიკური ევლი გადმოიცემა შემდეგი ფრასეოლოგიზებით: ხელ-ფეხი გაყენი|წაერთა|მოუ-დუნდა|აუკანკაღდა; გული შეუთამაშდა.

სულსე|გულსე მოქმედებს გამოთქმები თურქულშიც გეაქეს (მამულია 2006: 71), რაც შეწუხებას ნიშნავს. სულით, გულით ორივე ენაში ნიშნავს მონდომებას, რისამე მთელი გულით, მთელი ძალისხმევით კეთებას.

სულისა და გულის მონაცველება ფრასეოლოგიზებში ქართული კლასიკური ძეგლებიდანაა ცნობილი.

მან მისთა მჭერეტოა წაულის გული, გონება და სული (ეტ: 33,3); გიშრისა ფერისა თვალთა გული წაულო მხედათეუ (ეისრ:66,7); გრანუელმან მოწაღლა რამინ, რომელ ვრთითა ნახეთა სული წაულო (იქვე:79).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ფრასეოლოგიურ ვარიანტთა მრავალფეროვნება აეფხისტყაო-სანში". მაგ.; მწუხარების გამომხატველი სინონიმური ფრასეოლოგიზებია: გულის დაწყულდება (გახეთქება), (დადნობა), (ატირება), (დაწვა), (განგმირვა), (დაბნელება), (დადაღვა), (შეურება), (დაჭრა), (შეძვრა), (შერხება), (ატყვება), (ღმობა), (ვაება). ასევე გულს ნარის (ლახვრის) დასობა, გულის დანით (ცეცხლით) დაჭრა.

სიყვარულის სემანტიკა გადმოიცემა შემდეგი ფრასეოლოგიზებით: გულის დაბნელება, (დაბინდება), (პოვნა), (დაბმა), (დატყვევება).

აღსანიშნავია, რომ სულიერი განცდების ამსახველ ფრასეოლოგიზებში საყრდენი კომპონენტი თითქმის ყველა ენაში ადამიანის სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი ლექსემებია: თავი, გული, თვალი, ენა და სხვ. (მამულია ე. 2006,9).

მაჭახლურში უმოქმედობა, სიზარმაცე გადმოიცემა შემდეგი ფრასეოლოგიური ვარიანტებით. მაგ. ხელებს (თითებს) იღოკაეს – ზარმაცია, უნარაა.

სულ სხვა სემანტიკისაა აქვე მოიყვებული ანდაზა: თაფლ დამკაეებელი თით გეილოკავსო (შაინი), ე.ი. რასაც დასთეს, იმას მოიმკი, თუ იშრომებ, საჭმელს გევენებაო.

უადრესად საინტერესოა უთაებოდო, უსრო ლაპარაკი გამომხატველი დუპლეტები: კატა (ჯიხრიკი) დაამტრია – დაუფიქრებელი ლაპარაკით სხვა დაღალა, თავი შეაწყინა.

მაჭახელში იტყვიან: გაფაჯა და ადღვა, კატა დაამტრია, დაცემამდე ილაპარაკაო. იმ ქალმა ლაპარაკში კატა დაამტრია, შეატყე ხომ (მაჭ.).

ინეგალში იტყვიან: ლაპარაკში ჯიხრიკი დაამტრიაო. ჯიხმაკური შ.ფუტკარაქესთან განმარტებულია, რაოროც უადვილო, დაუკვირებელი ლაპარაკი. მაგ. „მაგსოი ჯიხმაკური ლაპარაკით ბევრ ზარალყო შენა (ინ) (შდრ. საბა. ჯიხმაკური – კაცი ყოველისგნით გაუწყობელი) (შდრ. თურქული პირიდან ცერცვი (მუხუდო) გადმოჭარა; სოკო ისროლა, ყარა; ფუჭვი ააბრუნა, გული დაღვარა და ა.შ).

აქ საყურადღებოა ერთი მომენტი – ფრასეოლოგიზთა სტრუქტურულ ვარიანტებს ქმნის იმერხეული დიალექტის სხვადასხვა კილო-თქმა

2. აჭარული დიალექტისათვის დამახასიათებელი ფრასეოლოგია იმერხეულისათვის საყრდენია. მაგ სხვისი კვერი|ლუკმა (ნაცარი) (ქალიშვილი). აჭარული ქალიშვილს სხვის კვერს ან სხვის ლუკმას ეპახიან, რადგან მშობლები მას სხვისთვის ზრდიან, ასე ვთქვათ, სხვისთვის შრომობენ, რადგან გათხოვებთან და სხვაგან დაიდებენ ბინას. იმერხეულში ეს ორივე ფრასეოლოგიზი გამოიყენება. მაგ. გოგოშვილი – არაშვილი (სხვისი ლუკმა მე რაუნა კისარო ამდენი (ინ); სხვისი კვერი ქყოლია (იქვე) (ჩვენებ: 572).

ფრასეოლოგიურ ვარიანტებს აქ ქმნის მხვაესი სემანტიკის კომპონენტების მონაცველობა: კვერი, ლუკმა (ორივე საჭმელსე, საზრდოსე მიუთითებს). აჭარაში ამავე მნიშვნელობით გამოიყენება გამოთქმა სხვისი ნაცარიც. ნაცარი შეშის წეის შედეგად მიიღება, იგი ადივლად მიაქვს ქარს. საერთოდ, მას

სასუკად იყენებენ. ამ კომპონენტით ფრასულოგიური ვარიანტების გამდიდრება მეტად საინტერესო ენობრივი ფაქტია. აქვე ის უნდა აღინიშნოს, რომ იგი იმერხეულში არ შეგხვებდარა.

სულზე (გულზე) ხელის დადგმა აჭარულში დაფიქსირებულია ნიშნავს (ნიჟარაძე 1971: 323). მიუხედავად იმისა, რომ თურქულის ფრასულოგიკაში ეს ორი კომპონენტი ხშირად მონაცემებს, აღნიშნული სემანტიკა სინდისზე ხელის დადგმა იდიომათად გამოიყენება.

ღემის ვურწში (ბუხარში) გაძრულდება – სხეილი გაწვალდება, გამწარება, უკიდურესი შეწუხება. ნემსის ეურწში გაძრულია თურქულშიცაა და ქართულშიც და ნიშნავს მიზნის მისაღწევად თავდაუსოგავიანობას, მონდობას (სახოკია 1979: 464). ნემსის ეურწში გაძრულია განსხვავებული სემანტიკისაა და სათქმელს ისიც კომპრომიზებულიად დადმოგვცემს. ამავე მნიშვნელობით აჭარულში დღეს განსხვავებული ფრასულოგიური ვარიანტიც გვხვდება – **ტრუბაში გაძრულდება**, რაც რუსულის გაველინთაა შექმნილი.

ჭიპზე გარჩევა (გასკლომა) – გაბრაზება, განრისხება. მაგ. ამჟერ უბრალო რამეს რათ უნდა ჭიპზე გარჩევა (სტ.) ჭიპზე გასკლომით საქმეს უშეუღლება (იქვე).

ხელის მოჭმა (მოფშნა) შნიჟარაძის მიხედვით შეუფრხება, ხელის მოცარება, ხელის შეშლაა (ნიჟარაძე 1971: 433); თადარიგან, მუდამ პოენიერ აღამიანზე აჭარაში იტყვიან, არაფერზე ხელს არ მოიჭამს, ხელს არ დაიკენს, ხელს არ მოიფშნისო.

ღელამიწას (ზეცას) ემძიმება – შეიღიდურია, ამპარტავანია, საყველოში იწვეს, ქედამღლობს; (შდრ. თურქ. მკერდს (ებას), (იღლიებს) ბერავს).

ფრასულოგიური ვარიანტები უხვადაა წყველის ფორმულბშიც: **ღმერთმა გაგწიპოს (გაცვეითოს), (გაგაფაქოს)** – ღმერთმა მოკლას. გაწიკება აჭარულში დიალექტშია და ნიშნავს 1. გაწიკება: გაწიკებული დღისი 2. გადბტ. წყვების გაწიკებას (ნიჟარაძე 1971: 101). გაწიკება და გაყაქებაც გაქრობაზე, სიკვდილზე მიანიშნებენ.

თვალბის დაგლეხა (დაფსობა) – დაბრმავება

გეხის (ხრენის), (ზეხის) გაყვინება – ბრგვანის, სღართანის მოდენა, წაქცევა.

სიტყვაში (დაბმა), (ღამტრევა) – სიტყვაში გამოჭერა. მაგ. იმჟერ კაი მოლაპარიკე იყო, სიტყვაში არ ღებტროლა, სიტყვაში ვერ დაბამდი (ნიენებ:50).

3. აჭარულსა და იმერხეულსათვის დამახასიათებელი ფრასულოგიკაში

ღლიაში გახვედინება (გაშუენება), (ამოჩრა) – დაჯანბნა, მასხრად აგდება. მაგ. გენილმა გამახენღია ღლიაში, შეიყვრა და ... (ინ: 78) წაყურდეს, თერა ღლიაში გაახედოეფ (სტ:162). ე მაგან რა ნა მიყოს, თუ მეწადინებ ამჟერი ღლიაში და ვარბენიეფ (იქვე: 171). მაგას ვანახებ რაფერია ღლიაში გაშენა (ორთაბ.).

აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული სემანტიკა თურქულში სრულიად განსხვავებული ფრასულოგიკით გამოიყენება.

მონაცემლებზე კლასიკური ქართული აჭარულსა და იმერხეულს ფრასულოგიკაში. მაგ ჭკავაში შამოდება|გულში წამოდება(გამოკოჭება) (გამოხოყვა) (დადგობა).

სამუღამოდ დამახსოვრება, არდაიეწება ქართულში გადმოიციება გულში ჩარჩენა (ჩაჭევა) (ჩახვევა) ფრასულოგიკაში (სახოკია 1970: 223). აჭარულში გვაქვს გულში გამოკოჭვა (ე.ი. გამონასკვა, რომ არ დაეიწდეს) ღელში გამოხოყვა (ორთაბ.). ე.ი. გულში რაღაცის ბოქლომით ჩარჩენა, რომ ახსოვდეს.

იმერხულში გავრცელებულია აჭარულის ეყელა სემოდასახელებული იდიომათ და მისი შავშური ვარიანტებიც. მაგ. ბასნაყაიაში იტყვიან ჭკვაში შამიღლო (ნიენებ: 139) (შდრ. „ყარამიანის“ დამარხვა, ყარ: 572,18) ანდა ტინში წიყურაო (იქვე: 23). მაჭახელში შაინმა დადასტურა გულში დადგობა, რომელიც ძველი ქართულის კუთხილბაა. დასტურდება ვანებში დადება, გულში დადებაც.

გაჯიეტება სამსრულ კიღობში გადმოიციება ნაირგვარი ფრასულოგიკური ვარიანტით. მაგ. გირზე შეჯღობა (მაჭ.)|განჯაჯულ გირზე შეჯღობა (ნიჟარაძე 1971: 124). ცხენიდან ჩამოვდა, ვირზე შეჯღა (მაჭ.). იმერხეში გვხვდება ჯინების ცხენზე შეჯღობაც (შდრ. ქართული ეშმაკის ცხენზე შეჯღობა (სახოკია 1979: 191).

ინათზე შეჯღობაც და ვირის ინათზე შეჯღობაც ამავე სემანტიკისაა. ინათი არაბული სიტყვაა, იმ ნიშნავს სიჯიეტეს. ჟინიანობას. ვირი ჯიუტი ცხოველია და აღნიშნულ კონტექსტში მისი გამოყენება კანონზომიერია. ეს ასეა ქართულ ფრასულოგიკაში, თურქულში კი გაჯიეტება ასე გადმოიციება:

ავიდა ცხრაზე, არ ჩამოდიხ რვაზე ... აქვე გვაქვს „ფეხი მიაჭირაც“, რომელიც ქართულშიც დასტურდება. საგულისხმოა, რომ იმერხელულში ისინი არ რვალისდება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქულში გეხედება გულში ჩაიდო, რომელიც საიდუმლოს შინაგნის მნიშვნელობით გამოიყენება (მამულა 2006: 68). აღნიშნულ სემანტიკას გადმოგვცემს იდიომები თავში (გონებაში) ჩაიდო (იქვე: 30).

ამრიგად, ფრასეოლოგიისთა სტრუქტურულ ვარიანტებს აქ ქმნის აჭარულის რამდენიმე დუპლეტური იდიომი და ძველი ქართულის სიტყვათშესაბამა, ასევე იმერხელის ჭკავში შემოვდება ფრასეოლოგისში. აჭარულისა და ძველი ქართულის ფრასეოლოგიისთვისაგან განსხვავებით აქ დამახსოვრება ჭკუის, გონების პირურობატივია და არა გულისა (შდრ. გონება და გრძობა). ეს ორი კომპონენტი მონაცვლეობს სინური მრავალთავის ფრასეოლოგიურ ვარიანტებში წმიდასა მას ქალწულსა დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაეცა გულსა თვისსა (იქვე:15,35); დაიდევ გონებასა შენსა და გირუენო შენ (იქვე: 66,15).

შე მიწაში (შესში) წასვლა – წყევლა, სიყვილზე მიუთითებს. შეე მესში წვედეს გამოთქმა იმერხელულში, კერძოდ, მაჭახელში ჩაიწერა შაინმა.

შენი თვალები (სული), (თვალები) მომართვი (შენ შემოგველე). აჭარულში დასტურდება მხოლოდ ერთი მათგანი – შენი თავი მომართვი (ნიჟარაძე 1971:384). იმერხელულში აღნიშნულ კონტექსტში გეხედება თვალები და სულიც, სულის და თავის სინონიმური მონაცვლეობა ცნობილი ფაქტია. ასეთ ვარიანტებში თვალის გამოყენებაც კანონზომიერია. თვალის დადგმა (დატეხვა) მოწონებაა. აქ თვალის დატეხა თვალის დადგმას, მიჰყრობას ნიშნავს (ნიჟარაძე 1971: 203). თვალის დადგმა უნივერსალური ფრასეოლოგიისია – გვაქვს ქართულშიც და თურქულშიც და გადმოგვცემს მოწონებას, მოხიბვლას (მამულა 2006: 137).

წყევლის ფორმულებში ხშირად მონაცვლეობს ადამიანის სხეულის ნაწილები: ღმერთმა სელები (გვერდები), (ცხვირ-ბუკი) დიგიტეხოს. ყველა ეს ვარიანტი მაჭახელელთა მეტყველებაში დასტურდება. პირის (ზურგის) შექცევა/კეხის შეზღუდვა სინონიმებია. ზურგის შექცევა იგივე პირის არიდებაა. ეს ფრასეოლოგიისმები გეხედება კლასიკურ ქართულ ლიტერატურაში: ნუ დაბრკოლდებიდ გულნი თუქუნენი, ნუცა დაბრკოლდით პირსა მათსა (მუ-2 სჯ: 19,13); მათ რამღი ჰყარეს და ერთმანეთსა პირსა შექცევდნენ (ყარ: 139,9). პირი მოართდა და ზურგი შექცია, ისრ დაჯდა (იქვე:285, 12). აჭარულში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება კეხის შეზღუდვაც (ნიჟარაძე 1971: 224), რაც არაფრად მიჩნევას ნიშნავს.

გულისწილადეღის გასკდომა შეშინება, შიშია. იმერხელულში გეხედება გულის გახეთქაც და ნაღველისაც. თ. სახოკიასთან ნაღველის გასკდომა დიდი სადარდელის გაჩენას, დაღონებას ნიშნავს (სახოკია 1979: 458). აქვე ახსნილია, რომ ხანგრძლივი დარდის, ჭმუნვის თუ გაანჩხლების თუ საერთოდ, გულის მოსხლის შემდეგ, გულისცემის გახშირების გამო სიმპატოკური ნერვული სისტემა აღვსნებულა, რაც იწვევს ნაღველის სადინარის დახშობას (იქვე: 458). იგივე ფიზიოლოგიური პროცესები მოსდევს შიშსაც. „ყარამანიანიში“ ვითხელობთ: ეს სახე გამოჩნილთა დევთა ენახათ, მათ შიშითა გული გაუსკდებოდათ (ყარ: 304, 128); მისსა მხილელსა შიშითა ნაღველა გაუსკდებოდა (იქვე: 331, 30).

როგორც თ. სახოკია აღნიშნავს, „ნაღველას ხატოვანი მნიშვნელობა შემონახულია აღმოსავლურ ენებში – სპარსულში, არაბულში, თურქულსა და სხვ. შემონახულია ევროპულშიც (ფრანგულში, გერმანულში, ინგლისურში, იტალიურში) (სახოკია 1979: 458). თანამედროვე ქართულში შიშის გადმოსაცემად ნაღველას გასკდომა არ გამოიყენება, ჩვენი აზრით, იგი თურქელის გაეღენაა.

გულის მოტეხა (დაწვა), (ატირება) შებრადებაა. გული ღმეწვა, დამწარი კაცი ღმეწვა, გული იმტირდა. მაჭახელელთა მეტყველებაში შაინმა ჩაიწერა ფრასეოლოგისში გულმა მომიტედა, რაც წყენას, წუხილს ნიშნავს. გულის დაწვა ქართულშიც არის და თურქულშიც და დარდს, შეწუხებასვე გამოხატავს. იგი ფართოდ გაერთიანებულია ფრასეოლოგიისშია და გეხედება კლასიკურ ძველებშიც: შენისა წყენისაგან გული ჩემი დაგიწევას (ეისრ: 249, 12).

როგორც აღენიშნეთ, „გულის დაწვა“ უნივერსალური ფრასეოლოგისშია. თურქულში მოწყენის, წუხილის მნიშვნელობით გამოიყენება „კალთების წვა“. მეტად ხანტიერესია „ეისრამიანის“ მაგალითი: შენ კალთა გეწვის და მე – გულიო (ეისრ:154,10). როგორც უხედავთ, ქართულ მთარგმნელს სინონიმური მნიშვნელობის ფრასეოლოგიური ვარიანტი ანტიეპისთაის გამოყენება, რადგან ქართული ცნობიერებისათვის უმეფულა განცდების კალთასთან დაკავშირება, იგი გულიდან და სულთან ასოცირდება. ეს ენათა კონფლიქტის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

უთაბოლო, უაზრო ლაპარაკი, მიდებ-მიადება გადმოიცემა სტრუქტურული ვარიანტებით: წინ-უკან (წაღმა-უკუღმა) (კაჯა-კუჯაია) ლაპარაკი. წინ-უკან ლარაკი თურქულის კალკია (ileri qeri konusuz) (მაშუღლია 2006: 169). მის გვერდით იმერხულში გვხვდება წაღმა-უკუღმა ან კაჯა-კუჯაია ლაპარაკიც.

მაჯახელში შაინზა ჩაიწერა წვევლის შეტად საინტერესო ფორმულები: ღმერთმა შენს კალოზე ღვევი (ანწლი), (ჭინჭარი) დოთიროს (შდრ. ახტალა ამოგივიდეთ ოჯახში ან ბალახიც ამოსულა შენს ეზო-კარში (სახოკია 1979: 122).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამოიყენება წვევლის ფორმულა – კერის აბალახება, მაგრამ აღნიშნულ კონტექსტში ჭინჭრის ხმარება უფრო ექსპრესიულია. იგი მსუსხავი მცენარეა, იზრდება ტყეებში, ნესტიან ადგილებში, გზის პირებზე, სადაც ადამიანი არ ცხოვრობს. ძნელად მოიპოვება ადამიანი, ვისაც არ ეგვიოს ჭინჭრით დასუსხება, ამიტომ (მიუხედავად მისი სასარგებლო თვისებებისა) მას არ ანიერებენ ისეთ ადგილებში, სადაც კაცს ფეხის დადგმა უწევს. წვევლის ზემოაღნიშნულ ვარიანტშიც ეს სემანტიკა უნდა იგულისხმებოდეს: ოჯახი დაგეოსოს, ნახახლად გექცეს, იქ კაცი შეივლი აღარ დაიარბოდესო. ამნარი წვეულა საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება.

კარ-მიღამოში ნარ-კლის ამოსვლა ტიპური ქართული წვეულაა. მსგავსი ფორმულა დასტურდება ბობლიაშიც: „უკალსა და კურთისთაყსა აღმოვიცენებდეს შენ და სჭამდე თივასა ევლისასა“ (შეს:3,18).

განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს აღნიშნულ კონტექსტში ღვევის გამოყენება. ქართულში გვაქვს გამოთქმები: ღვევის ჩხირი მიუსო (იმედი გადაუწურა, ცუდად ამოიწემა), ანდა ღვევის ჩხირი მიატლდა (მისი საქმე ცუდადაა). ღვევის ნაყოფი ტბილია, მაგრამ როგორც ხე უვარგისია: ნედლს აკლია მდგრადობა, ადვილად იმტერევა და შეიძლება ადამიანი ჩამოვარდეს, თუ ხმელია, სიმზურვალეს არ გამოსცემს. აჭარულთა გადმოცემით, ღვევის სახლში შეტანა და დაწვა არ შეიძლება, იგი ცოფიანი ხეა. მას არ რგავენ სახლთან ახლოს, ანგრევენ სახლის საფუძველს.

წვევლის ფორმულებში ღვევის გამოყენება ქართულისათვის უწვეული მოვლენაა. თურქულში კი გვაქვს გამოთქმა: კერასე ღვევს დარგავს – ოჯახს დაღუპავს, Ocagina incirdi dirti (მაშუღლია 2006: 49). მოკლედ, მაჯახელურში თურქულის გაელენასთან გვაქვს საქმე. აღსანიშნავია ისიც, რომ იგივე სემანტიკა თურქულში ბუერნარი იდიომათ გადმოიცემა. მაგ. რისამე ფსკერზე ფეტვის დათესვა, რაც იმერხულს არ გამოუყენებია.

ამრიგად, მაჯახლური წვევლის თავისებური ფორმაა კერასე ანწლის ამოსვლა, ღვევის დარგვა კი თურქულის გაელენაა. აქვე უნდა განვიხილოთ ისეთი ფრასეოლოგიური ვარიანტებიც, რომლებშიც ორორი კომპონენტი მონაცვლეობს. მაგ. მის საყვირზე უკრავს – მის დაკრულზე უკრავს – მის სიმღერას მღერის (მას ემორჩილება). ამათგან ქართული მხოლოდ ერთია – მის დაკრულზე ცეკვავეს.

იმერხულის ფრასეოლოგიურ ერთეულებში სოგჯერ შეტრილია თურქული ლექსეზაც. მაგ. ჩენგე (თურქულად ენა). ჩენგის მოგრეხა (ჩაკლებტა) სიკედილია, ჩენგე – ქვედა ენა. ეს ფრასეოლოგიზმები წვევლის ფორმულებში გვხვდება და სათქმელს დისფემისტურად გადმოცევენც.

4. მონაცვლეობენ თურქული ფრასეოლოგიზმები

მაჯახლურში ენატბილითა გადმოცემულია თურქული ფრასეოლოგიური ვარიანტებით. მაგ. პირიდან თაფლი (რაც) გადმოსდის. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი რამ გამონაკლისია, მეტად იშვიათია.

შემოკლებათა განმარტებანი:

იმ – იმერხული: შ.ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993

ინ – ინეგოლი, იქვე

სტ – სტამბული, იქვე

ჩვენებ – „ჩვენებურების ქართული“

ვისრ – ვისრამიანი, აღ.გვახარიასა და მ.თოფუას რედაქციით, თბილისი, 1962

ეტ – შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1966

ყარ – ყარამანიანი, ტექსტი გამოცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს

აღ.გვახარიაშ და ს.ცაიშვილია, თბილისი, 1965

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული 2004: არაბული აეთანდღე. ქართული მეტყველების კულტურა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი.
2. მამულია 2006: მამულია ელენე. თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. გამომცემლობა „ციხარტყელა“. თბილისი.
3. მაჭახელი. შაჰინი: Macacheli net.dejimler
4. ნიქარაძე 1971: ნიქარაძე შოთა. ქართული ენის აჭარული დიალექტი. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი.
5. საბა 1962: ორბელიანი სულხან- საბა, ლექსიკონი ქართული, II. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
6. სახოკია 1979: სახოკია თედო. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი გამომცემლობა „მერანი“. თბილისი.
7. ფუტყარაძე 1993: ფუტყარაძე შუშანი. ჩვენებურების ქართული. აჭარის ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა. ბათუმი.
8. Шанский 1985: Шанский Н.М. Фразеологический словарь современного русского языка. Москва.

Nana Tsetskhadze (Batumi)

Phraseological Versions in Imerkheuli

Imerkheuli speech is especially rich with structural versions of phraseological units. The study of the problem is relevant from the view of development of Georgian phraseological system and interlingual relations.

Material examined by us points out that Imerkheuli has kept, extended and made Adjarauli phraseology diverse. The base of phraseological structural changing is the Georgian language; the influence of Turkish is insignificant.

Structural versions are formed by

1. Georgian phraseological units

Phraseological units of Imerkheuli (sulis//gulis dapatsaveba; laparikshi katis/jikhrikis damtvreva

Phraseological units typical for Adjarauli dialect (xelis mochma//mofshvna; zetsas//dedamitsas emdzimeba)

Phraseological units of Adjarauli and Imerkheuli (ghliashi gaxedva//gashpena//amochra)

Phraseological units of classical Georgian and Adjarauli (tvalis dadgma//datexva//; gulshi dadgoma//chamodeba//gamokochva)

2. Georgian phraseological units and Turkish ones (kaloze antslis//jinchris//leghvis dargva; tsin-ukan//tsagmna-ukughma//kacha-kuchaia lapariki)

3. Georgian phraseological units with Turkish lexical elements (chengis mogrekha//chakleta)

4. Turkish phraseological units

Influence of the foreign language on the dialect torn from the motherland has activated the inner potential of the language and made phraseological units various.

**ერთი ტიპის დანართის მართლწერისათვის ილიას
პუბლიცისტური წერილების მიხედვით**

დანართი სახელით გამოხატული რომელიმე წერის შემავსებელ ცნობას შეიცავს დასუსტებისა და ახსნა-განმარტების სახით. იგი შეიძლება ახლდეს ქვემდებარეს, დამატებას, შედგენილი შემოსამზღვლის სახელად ნაწილს, მიმართულებას დანართი ასახსნელ-დასასუსტებელ წვერს ანგარიშს უწევს ბრუნებას და რიცხვში.

ცნობილია, რომ ატრიბუტულ მსალღერედად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველგვარი სახელი, მათ შორის, არსებითიც. კერძოდ, სომა-წირის (გოჯი, მტკაყელი, გირვანჯა, ლიტრა ...), საწაოს (ჭიქა, ბოთლი, ხურჯინი, ტომარა, გოდორი ...), პროფესიის აღმნიშვნელი (მუშა, ექიმი, მისწავლებელი ...), წოდებითა და თანამდებობათა სახელები (პროფესორი, კაპიტანი, თავადი ...), ნაოსნაური ან თავაზიანი დამოკიდებულების აღმნიშვნელი სიტყვები, რომელთაც მიმართვის დროსაც იყენებენ (ბიძა, დეიდა, ამხანაგი, ბატონი ...) მსალღერეად გვეხვება აგრეთვე: ზღვა (ზღვა ხალხი), ქვა (ქვა გული), ლუკმა (ლუკმაპური), უღელი (უღელი ხარი) და სხვ.

მსალღერედად გამოყენებულ არსებით სახელს იშვიათად მიმატებასაც უწოდებენ. იგი წინადადების ჩვეულებრივი წევრიც შეიძლება იყოს და განკერძოებულიც.

ამჟამად ჩვენი მსჯელობის საგანია სასოვადო არსებით სახელთან (ნათესაობის, პროფესიის, წოდების, თანამდებობის, ადგილის) დანართის განკერძოების, კერძოდ, მისი მართლწერის საკითხი. ამ შრიფტ ილიას პუბლიცისტურ წერილებში არ არის ერთგვაროვანი სურათი. დანართი წინადადებისგან ძირითადად მიმით გამოიყოფა, თუმცა მას ხშირად ტირეც ენაცვლება. საკითხის მოსაძიებლად უნდა გავითვალისწინოთ დანართი წინადადების წვერია თუ განკერძოებული. განკერძოებული დანართი, როგორც წესი, მოხდევს სასღერულს. მისი გადაადგილება იწვევს ფუნქციის შეცვლას. ამიტომაც მოთხოვს ეს საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას. ეთიდან სახეობი ნიშანი გამოიყუას დანართის ფუნქციებს, იგი აუცილებელია, მაგრამ უნდა დაეცვათ ერთი პრინციპი.

საიანლიზო მასალა მოვიმოყუთ ილიას ხელნაწერებიდან, ჩვენ ეხელმძღვანელობდით მისი თსსულებით. ბურნეროვია, აქ გამოიყუასილი თავისებურებანი ყოველთვის არ შეიძლება ჩაითვალოს ილიას სტილად წინადა. სახეობი ნიშნების ხმარება რედაქტორის საქმიანობა, თუმცა ეს მხოლოდ მიიშინს არ ტირეს ეხება და თანაც, გეიყენებს ამ საკითხის მოსაძიებლობას მე-19 საუკუნეში. ჩვენი დანიტერესებაც სწორედ ამან გამოიწვია, თუ რა ისტორიული საფუძველი აქვს დღევანდელ ქართულში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული ნაირგვაროვნებას. საკითხი აქტუალურია ენის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ილიას პუბლიცისტურ წერილებში გვეხვება დანართის გამოყენების რამდენიმე ტიპური შემთხვევა, როცა დანართი ასახსნელ სიტყვას ხსნის, აზუსტებს და ჩვეულებრივ, მოხდევს მას ასეთ შემთხვევაში ყველგან უგაონაკლისოდ დაისმის მიმე. მაგ. ტფილისი, ეს ჩვენი სატახტო ქალაქი, -ჯერ კიდევ რაღაც დარდვეულსა და დანგრულს ქვეყანას წარმოადგენს (ილია 1984:702); კახიბრ პერიფი, მისი პირველი მინისტრი, და სხვა მისი მინისტრებიც, შეუქმებულ არიან, რომ ბურჟუაზიის მსარე უტირავთ და ეკონომიურ ცვლილებას უურნებინაო (იქვე:908); ბეკონმა, ინგლისის დღეაფაღმა, სიქეა, რომ პროგრესი კაცობრობისა სხეა არა არის-რა გარდა იმისა, რომ დღიამ დღეზე განსე გადადებულ იქნას სასღერადი შეუძლებელისო (იქვე:302).

დანართი წინადადებაში გადაადგილებას ნაკლებად ექვემდებარება. დანართისა და ასახსნელ სიტყვას შორის ადგილების შეცვლა ფუნქციურ ცვლილებაა (იქვე). დანართი ასახსნელ სიტყვად იქვეყნა და ასახსნელი სიტყვა - დანართად. დანართის ადგილი წინადადებაში მკაცრად განსაზღვრულია. იგი ჩვეულებრივ მუაზია, იშვიათად გვეხვება ბოლოში და უფრო იშვიათად - თავში.

დანართი ილიას პუბლიცისტურ წერილებში აზუსტებს ქვემდებარეს ან დამატებას, როცა დასასუსტებელ-ასახსნელი წვერი ნაცვალსახელითაა გადმოცემული (კერძოდ, პირის ნაცვალსახელით) და წინადადებისაგან მიმინებით გამოიყოფა. მაგ.

ჩვენ, ქართველებს, სამართლებრივად მოგვჭეკს თავი მით, რომ ეს დიდებული პოემა ...ჩვენი კაცისაგან და ჩვენს ენასედ დაწერილია (იქვე:592); ჩვენ მართო იმის ენით, რომ სომხის მამებ-

მადიდებელი გუნდი ჩვენ, ქართველებს, გეთხრის სულეოდ (იქვე: 718); უსარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნწიაც არ მოგვდის (იქვე:681); ჩვენთვის, ადამიანებისთვის, საჭიროაო, ამბობს ბრბენი სუნეკა ... (იქვე:603).

აქ დანართი შეიცავს ნაცვალსახელით გადმოცემული წვერის დასუსტებას, დახასიათებას ეროვნების, წარმოშობისა თუ სხვა სოციალური ნიშნის მიხედვით. მაგ.

ხალო ყველამ, ნამეტნავად ჩვენი ენის უტოღინარმა, არ იცის - რა გეაძლევს უტყუარს საბუთს ამ თაქმოწონებისას (იქვე:592).

ილიას პუბლიცისტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა მსასლერელი დანართი წინადადებისგან მძიმითა გამოყოფილი და ასახსნელ წვერებს ახასიათებს სოციალური მდგომარეობის, პროფესიის, თანამდებობის მიხედვით. მაგ.

აი, რა მწკავე სიტყვებს ათქმევენებს იგი ერთს ამისთანა მდაბოს, მუშა ბოჭულაძემ... (იქვე:675); ...ბოლო დროს გამოვიდა მოედანზე ერთი ახალი მექნიერი სომხებისა, ბ-ნი გაჯუზოვი - (იქვე:755); ჯერ კიდევ ბაღდაში დასხედრია, ერთი აფიცერი არტილერიისა, შუშელი სომეხი (იქვე:742); 1625 წ. ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ (იქვე:550).

როგორც საუკეთესო ლიტერატურაშია გარკვეული, განკერძოებული დანართი შეიძლება ახლდეს ნებისმიერი სახელთ გამოხატულ ქვემდებარეს, დამატებს ან შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს. იგი შეიძლება იყოს კავშირიანი და უკავშირო. ასახსნელ წვერს დანართი უკავშირდება კავშირებით, უზნისუფლით ან სხვა სიტყვებით (სახელად, გვარად, მდგომით, წარმოშობით, მაგალითად, სახელდობრ ...).

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში განკერძოებული დანართი, რომელიც ასახსნელ სიტყვას როგორც კავშირით უკავშირდება, წინადადების შიგნითაა მოქცეული და სხვა სიტყვებისგან ორივე მხრიდან მძიმით გამოიყოფა. მაგ.

მაშინ ეკ თაქამოდებულნი მოჭირნახულენი რჩებან, როგორც მუშაკნი, რომელთაც ზოგიერთი მასალა მოუშაღდებოთ ახალის შესობისათვის - (იქვე:527); აქ სენკოესკი ვილაცას გაუბრწყინებია და როგორც ქვევრი, სხვის ნაჩახილს იმეორებს (იქვე:728); ...თავისგან მოყვანილს ნაყოფისავე თელსზედ მოიყვანს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც იმე უნდა წაიღეს ცხოვრებისა გზასზე, როგორც პირველი, თუ უკეთესება უნდა (იქვე:524); გვირისთავი, როგორც პოტი, იმითაა შესანიშნავი, რომ ჩვენი პოესიას ჩაუმტა ის წვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან -(იქვე: 668); ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემულს და შემწუნარებულს -(იქვე:606); ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდ, იზრდება, ჰყვარს - (იქვე:524); ერი, როგორც კრებულნი ისტორიით შედგებულ ერთ-სულად და ერთ-ხოვრც მკვიდრთა, ყოველ პატიოსანისა და ჭკუათმყოფელ ადამიანისგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში ... (იქვე:716).

ასეთი კავშირი და მასთან დაკავშირებული წვერები ექსპრესიულობის მიზნით ზოგჯერ მეორდება. მაგ.

ცოდნა იმითაა კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის, როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც (თითონ ღმერთი (იქვე:92).

ამ ტიპის დანართი ილიას პუბლიცისტიკაში თითქმის არასდროს არაა მოქცეული თავში. ეს მართო მისი პუბლიცისტური წერილების თავისებურებად ვერ ჩათვლება, ასეა პროზაშიც:

მე იმედი მაქვს, რომ, თქვენ, როგორც განათლებულის ქვეყნიდამ მოსული კაცი, მეც მითავაჯებთ ჩანისა (იქვე:603).

დანართი, რომელიც როგორც კავშირით უკავშირდება ასახსნელ სიტყვას, წინადადების ბოლოშია მოქცეული. მაგ.

...მოხელეთა შორის, იმისთანა პატიოსანი და ხალხის გულშემატკივარი კაციც არის სხვათა შორის, როგორც თავგრივალ გურული (იქვე:808); ...ცველა მინისტრებისა, არ მოასწავენს ხოლმე ცველას სამმართველი სისტემისას, როგორც, მაგალითობრ, ინგლისში - (იქვე:907).

ასეთ შემთხვევაშიც ილიასთანაც დაცულია პუნქტუაციის წესები, როგორც კავშირის წინ დაისმის მისიმე, წინადადების ბოლოში კი თავისთავად დაისმის წერტილი ან სხვა რომელიმე ნიშანი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ილიასთან არ შეგხვდრია როგორც კავშირიანი დანართი, სასლერულს რომ უსწრებდეს წინ.

როგორც კავშირის ზოგ შემთხვევაში არქაული ფითარცა ცვლის. მაგ.

ბრინცი კობურცისა, ვითარცა კათოლიკე, ესე იგი სხვა რჯულის მქონე, არ შეიძლება ამორჩეულ იქნას, თუ სჯულს არ გამოიცივლის და მართლმადიდებლობას არ მიიღებსო (იქვე:889); იგი, ვითარცა მშვიდობიანად მშრომელი და გამრჯელო, თავისი საქმეს ადგია (იქვე:717).

გვხვდება მავიგებულკაცშირაინი დანართის შემთხვევებიც.

სოფჯურ დანართი ასახსნელ სიტყვას უკავშირდება რამდენიმე სიტყვით, მაგ.

ი.ი. რა ფაქტი მისთვის რისტერისა. როცა საერო სკოლაში პროვინციალურს ენასთან სახელმწიფო ენასაც ახწავლიან, სახელდობრ, ნემეკურს, ე.ი. იმავე ძირის ენას, მაგრამ უფრო განვითარებულს (იქვე:570).

იშვითა შემთხვევაში წინადადების ბოლოში მოქცეული დანართი სხვა წვერებისაგან ტირეთია გამოყოფილი. ტირე მისიმი ნაცვლად გვხვდება განკერძოებული წვერების მკეთრად გამოსაყოფად, რომლებთანაც ასახსნელ წვერის შემდეგ იგულისხმება მავიგებელი კაცშირები ანუ, ესე იგი, ან სიტყვა **სახელდობრ** (ბასილიაა 1973:170). მაგ.

...მისი ნაშთის ნაბტრევეებისაგან პატარა-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც სასოგადო სახელი - **„მამული“** დაეარქეთ (იქვე:544) ...ისპაიანის გვერდით, არის ერთი პატარა სახელმწიფო - **პორტუგალია** (იქვე:900).

დანართი ილიასთან ტირეთი გამოყოფა წინადადებას, როცა იგი ხაზს უსვამს ასახსნელი წვერის ბუნებას, რაიმე განსაკუთრებულ თვისებებზე მიუთითებს. მაგ.

მწერალმა, თუ სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა შედმიწვენით გამოხატოს ერთი რომელიმე ცალკედ ხასელ-წოდებული კაცი - ივანე, თუ პეტრე ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც სოფადი გამოხატვის შემადგებელია (იქვე:600); აჰარაა, რომ ამისთანა ტყუილს სენკოესკი არასიღვან არ ამოიკითხავდა, რადგან ამისთვის საბუთი - მატანე დედამწიფის სურგზე არ მოიპოვება (იქვე:723); ყოველი მსრიდამ იმისი, რომ ჩუენი მოიმენი - აჭარლები და ჭობულეთლები ძალიან ცუდს მღგო მარელობაში არიან ... (იქვე:807).

როცა დანართი შუაშია მოქცეული და ასახსნელ სიტყვას ჩვენებითი ნაცვლსახელით უკავშირდება, ილია მას წინადადებისაგან ტირეთი გამოყოფს, სოგან მშიმეა, სოგან კიდევ ირთევა გამოყენებული. მაგ.

მოგუტყეოს მეთხველმა, რომ მეცინერება და ხელოვნება - ეგ უდიდესნი საგანნი - ისე, გაკრით მოვისხსნიეთ ამ სტატიაში (იქვე:536); რასაკვირველია, რამოდენადაც ცხოვრება - ეგ დღვა ყოველი საქმისა - ძლიერია და ღონიერი, იმოდენად მოსაუდელი და ნაჭირნახულევი დიდია და უხვი (იქვე:532); როცა ლიტერატურა - ეგ ადამიანის ჭკუნისა და ზნეობის საგანე, - შეიკედლებს მაგ საძაგლობას, მასში თეთს სასოგადოების გამარწინილება ცხადია (იქვე:557); ჩუენში ტყუილების ასეთი ფალავენები არან, რომ თითონ ფალსტაფი, - ეგ სოგადი ტიპი ცრუ და მეგეხარა კაცისა, - ტაში დაუკრავს მოწონებისას (იქვე:596).

შესადარებლად ავიღოთ სხვა მაგალითები:

ჯიმშერი, ეს მთასავით კაცი, ღვესებს წერდა (სულაკაური: 307). თუ დაეაკვირდებით, ტირეს ამგვარი გამოყენება განპირობებულია პუბლიცისტური ტექსტის სპეციალური დანიშნულებით მიზანმიმართული სასოგადოებისკენ და ამიტომაც დასჭირდა ავტორის მისზე ყურადღების გამახვილება.

ილიას პუბლიცისტკაში გვხვდება შემთხვევები, როცა დანართი წინადადებაში სახეენი ნიშნის გარეშე იხმარება. დაეაკვირდეთ დანართის დეფინიციას: იგი არის „განკერძოებული სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია წინადადების წვერთან პაუზით ან კავშირით და შუთანხმებულია მასთან ბრუნვაში (ქველ: 589).

საერთო სასული **ქართველი** კერისობითად გავხადეთ (იქვე:546); სახელოვანი გერმანელი კრიტიკოსი **ლესინგი**, დღად უქებს ...გენიოსურს მანერას მსოფლიო გენიოსს **პომეროსს** (იქვე:599). ბოლო მაგალითში რამდენიმე მსასულერელია ერთდროულად და ისინი მიდრეკილ არის განკერძოებისაკენ, თუმცა ილიასთან ასეთი რამ არ ხდება. მისივე ლესინგის შემდეგ წერია; ჩუენი ასრით, პომეროსი აქ მკუთრად გამოიყოფა წინადადებისაგან და აქაც საჭიროა ტირე ან მისიმ მაინც. ამასთან, იგი ბრუნვის ნიშნაცვად დაითრთეს, რაც განკერძოების ერთ-ერთი პირობაა. მაგ.

...მშენიერი ქუთაისის სახლი, რომელაც საკუთრებად დაუმტკიცა სულის ჩამდგმელმა დამარსებულმა **ზ-ნმა ილია წინამძღვრის** (იქვე:576). ამ წინადადებაში მისიმ საჭიროა დამარსებულმა

ამბობენ, რომ ეს ხაზაფხული სადგომი იყო ქაღვშის მეფეებისა (ხეტტების სატახტო ქალაქი). ფრისილებში ჩასმული დანართი 'სუმიოპეანილი დანართებისაგან განსხვავებით' შეიცავს დამაზუსტებელ, დამაკონკრეტებელ ინფორმაციას. ქაღვში - ხეტტების სატახტო ქალაქი. ამ წყევლებს შორის ჩართულია სიტყვა მეფეები.

განკერძოებული სიტყვა-გამოთქმებიდან დანართთან უფრო მეტი სიჭრელე გვაქვს პუნქტუაციის მხრე. როგორც არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაშია დადგენილი დანართი წინადადების ძირითადი ქსოვილისაგან უნდა გამოიყოფს სასუენი ნიშნებით. მასთან გვხვდება მძიმე, ტირე, ან ფრისილები. მიუხედავად იმისა, რომ ამ პუნქტუაციურ ნიშნთან ხმარების წესების დადგენა ზირს, მაინც ვლინდება ზოგადი კანონზომიერება.

ილიას პუბლიცისტიკაში განკერძოებულ დანართთან მძიმე დაიწერება იმის მიხედვით, თუ რომელი პოზიცია უჭირავს დანართს - წინადადების თავშია იგი, შუაში თუ ბოლოში.

წინადადებისაგან მძიმით გამოიყოფა, თუ შუაშია და ახსუტებს ქვემდებარეს ან დამატებას, მთ ახასიათებს სოციალური მდგომარეობის თუ პროფესია-თანამდებობის მიხედვით, ანდა ასახსნელ წევრს კავშირებით უკავშირდება. მძიმითვე გამოიყოფა წინადადებას ბოლო ადგილას მდგარი დანართიც, თუცა აქ არაა ერთიანი წესი დაკვირვება: 'სოფჯერ ტირეა გამოყენებული. ილია ტირეთი გამოიყოფს შუაში მოქცეულ დანართსაც, რომელიც ასახსნელ სიტყვას წევნებითი ნაცვალსახელით უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში 'სოფჯერ მძიმეც გამოიყენება და ტირეც.

არც თუ იშვიათად ილიას პუბლიცისტიკაში დანართი სასუენი ნიშნის გარეშეც გვხვდება. აქვე გამოიკვეთა ერთი თავისებურება განკერძოებული დანართის ფრისილებში ჩასმის ხერხი. ეს ყველაფერი შეიძლება უკავშირდებოდეს რედაქტორისეულ მიდგომას აღნიშნული საკითხისადმი. ხაერთოდ კი მსგავსია დღევანდელ ქართულში არსებული ვითარებისა. როგორც ჩანს, ეს სიტყვულ ენაში თითქმის საუკუნუნახევრის წინაც არსებობდა და დღემდე მოუგვარებელია. ჩვენ აზრით, ყველაზე რაციონალური იქნება განკერძოებული დანართი წინადადებისაგან მძიმით გამოიყოფს. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება ტირეც გამოიყენოს, თორღ აუცილებლად უნდა მივსდით ერთ რომელიმე წესს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასილია 1973: ბასილია ნიკანდრო. პუნქტუაცია, გამოცემლობა 'განათლება'. თბილისი.
2. კვაკაძე 1966: კვაკაძე დეო. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. გამომცემლობა 'განათლება'. თბილისი.
3. ილია 1984: ჭავჭავაძე ილია. თხზულებანი. ტ. მე-6. გამომცემლობა 'მეცნიერება'. თბილისი.
4. სულაკაური 1997: სულაკაური არჩილ. მნათობი №2. თბილისი.
5. ქვალ 1953: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. მე-3.
6. ქსეს 1983: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნი მე-5. გამომცემლობა 'მეცნიერება'. თბილისი.
7. შამლაშვილი 1958: შამლაშვილი რაფელ. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. გამომცემლობა 'გოდანა'. თბილისი.
8. ცქტიშვილი 1983: ცქტიშვილი ნელი. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. გამომცემლობა 'მეცნიერება'. თბილისი

The Type of Complement in Orthography According to Iliia's Publicistic Correspondence

The attributes could be any name and mainly nouns. Especially, nouns of size and weight (inch, span, pound, liter), names of measure (a glass, a bottle, saddle bags, a sack, basket...), professional names (a doctor, a teacher, an engineer....), names of rank and position (professor, captain, general, a nobleman, lord, prince...) family names and forms of polite address (an aunt, an uncle, a friend, sir...). Attributes are also: a sea (zghva khalkhi – people of the sea size), a stone (the stone heart), a piece (lukmapuri – a piece of bread), and a yoke (a yoke of oxen) etc.

The attributive nouns are often called as noun complements. They could be usual members of the sentence as well as isolated ones.

The issue of our essay is the question of orthography of common nouns (nouns of profession, rank, position, place) as the complements. In this respect Iliia's correspondence does appear homogeneous. The complement is usually separated from tence with comma, but sometimes comma is replaced with dash. It is necessary to define the complement's place in the sentence (what is it – the member of the sentence or separated one).

The attribute is usually followed by separated complement. The replacement of the complement causes the function changing. That's why it is necessary to be careful about this case. In view of the fact, comma defines the complement's position, but it is required to follow one principle.

3. თუ ენაში ბაზისური ფერის ოთხი ტერმინია, მაშინ აქ წარმოდგენილია ბაზისური ფერის ტერმინი კატეგორიისათვის [ყითელი] ან [მწვანე]

4. თუ ენაში ბაზისური ფერის ხუთი ტერმინია, მაშინ აქ წარმოდგენილია ბაზისური ფერის ტერმინები როგორც [ყითელი], ისე [მწვანე] კატეგორიებისათვის;


5. თუ ენაში ბაზისური ფერის ექვსი ტერმინია, მაშინ აქ წარმოდგენილია ბაზისური ფერის ტერმინი კატეგორიისათვის [ლურჯი];

6. თუ ენაში ბაზისური ფერის შვიდი ტერმინია, მაშინ აქ წარმოდგენილია ბაზისური ფერის ტერმინი კატეგორიისათვის [ცაიისფერი];

7. თუ ენაში ბაზისური ფერის რვა (ან მეტი) ტერმინია, მაშინ აქ წარმოდგენილია ტერმინი (ან ტერმინები) [იისფერი], [ვარდისფერი], [ნარინჯისფერი], [ნაცრისფერი] კატეგორიებიდან ერთ-ერთისათვის (ან რამდენიმესათვის ერთდროულად).

როგორც ვხედავთ, ავტორთა მიერ დადგენილი კანონზომიერება გარკვეული შესულებების სახეს ატარებს. მაგალითად, თუ ენაში წარმოდგენილია ბაზისური ფერის სამი ტერმინი, ეს ტერმინები უნდა იყოს აუცილებლად [თეთრი], [შავი], [წითელი] კატეგორიების (და არა რომელიმე სხვა კატეგორიის) აღმნიშვნელი; ან თუ ენაში წარმოდგენილია ბაზისური ფერის ხუთი ტერმინი, ეს ტერმინები აუცილებლად უნდა იყოს [თეთრი], [შავი], [წითელი], [ყითელი], [მწვანე] კატეგორიების აღმნიშვნელი. სწორედ ამ შესულებებით აიხსნება ის ფაქტი, რომ გამოვლინდა ბაზისურ ენაში ტერმინების ლექსიკონის 22 ტიპი, რაც თეორიულად შესაძლებელი მოუძღვრის რაოდენობის (2¹¹ = 2048) სულ მცირე ნაწილს (≈1%-ს) შეადგენს.

ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელი (ბერლინისა და კეის მსხედვით) სქემატურად შემდეგ სახეს ატარებს (იხ. მომდევნო გვერდს).



აღნიშნული სქემა შეიძლება წაეციოთ სინქრონიული და დიაქრონიული თვალსაზრისითაც, რამდენადაც იგი ასახავს როგორც იმ შესულებებს, რომლებიც ფერთა კატეგორიზაციის ედება ენაში, ისე - ბაზისურ ფერთა ტერმინების ლექსიკონის ევოლუციურ გზასაც.

სინქრონიული წაითხვისას ფერთა ლექსიკური ევოლუციის ამსახველ კანონზომიერებას იმპლიციტური გამონათქვამის სახე აქვს: ისრის მომდევნო კატეგორიის კოდირება (აღნიშვნა) იმპლიციტურად გულისხმობს ისრის წინა კატეგორიის კოდირებას. ასე, მაგალითად: თუ ენაში კოდირებულია კატეგორია [ლურჯი], მაშინ ამ ენაში კოდირებულია კატეგორიები [მწვანე] და [ყითელი]; ან თუ ენაში კოდირებულია კატეგორია [ცაიისფერი], მაშინ ამ ენაში კოდირებულია კატეგორია [ლურჯი].

დიაქრონიული წაითხვისას, როდესაც სქემა ასახავს ბაზისურ ფერთა ლექსიკონის ევოლუციას, ყოველი კატეგორიის კოდირება შეიძლება განვიხილოთ როგორც ახალი დონე (საფეხური) ამ ევოლუციაში. ისრის მომდევნო კატეგორიის კოდირება ენაში ხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისრის წინა კატეგორია კოდირებულია. როგორც სქემიდან ჩანს, ბერლინისა და კეის მოდელის მიხედვით, ბაზისურ ფერთა ტერმინების სისტემისათვის ევოლუციის შვიდი დონე გამოიყოფა: I დონეზე წარმოდგენილია ბაზისური ფერის ორი ტერმინი, ყოველ მომდევნო დონეზე ჩნდება თითო-თითო ტერმინი, მხოლოდ VII დონეზე შეიძლება გაიზარდოს ერთი ან რამდენიმე ტერმინი ერთდროულად.

ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელის დაწვრილებით შეწავლამ გამოავლინა, რომ იგი რამდენადმე წინააღმდეგობრივია. ამას თვით ავტორებიც გრძნობდნენ, რამდენადაც ბაზისური ფერის კატეგორიები, რომლებიც მათ უნივერსალურად მიანიშნათ, მოიღოდ იდენტური არაა სხვა-დასხვა სისტემაში. მართლაც, კატეგორია [შავი], მაგალითად, ინგლისურსა ან ქართულში და იგივე კატეგორია რომელიმე ორ- ან სამტერმინიან სისტემაში არ შეიძლება ერთმანეთთან გაეაიგივოს.

აღმაბა ამიტომაც იყო, რომ ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელის ერთ-ერთმა ავტორმა პ.კეიმ ახალ თანადავტორთან ჩ.კამდანელთან ერთად გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც დასუსტდა ბაზისური ფერის კატეგორიების შინაარსი და, შესაბამისად, ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალურმა მოდელმაც რამდენადმე იცვალა სახე (P.Kay, Ch.K.McDaniel 1978).

პიკუსა და ჩ.პიკადანელის ანალიზის საფუძველად უდევს სიმრავლეთა თეორიის არატრადიციული მოდელი. ე. წ. არასპაჟიო (fuzzy) სიმრავლეთა თეორია. ჩვენი აზრით, ქართული ტერმინი („არასპაჟიო“, „სოფტერ ხმარობებ“ „არამკვეთრსაც“) არაადეკვატური ტერმინია და ვიხმარებთ ინგლისურ უკვე კარგად დამკვიდრებულ ტერმინს fuzzy. ავტორების თვალსაზრისით, სწორედ fuzzy სიმრავლეთა თეორიაზე დაყრდნობით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ბაზისურ ფერთა ტერმინების სემანტიკის ყველაზე ადეკვატური და ყველაზე ეკონომიური აღწერა.

რამდენიმე სიტყვა fuzzy სიმრავლეების შესახებ. Fuzzy სიმრავლეთა თეორია (Zadeh 1965) განხილავდა სიმრავლეთა ტრადიციულ (სტანდარტული) თეორიიდან მისი „სოფტერით ცნების მოდიფიკაციის“ შედეგად. მათ შორის ძირითადი განსხვავება შემდეგია: ტრადიციულ სიმრავლეთა თეორიაში სიმრავლის ელემენტი მკაცრად (ცალსახად) არის განსაზღვრული. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ელემენტისათვის შეიძლება ცალსახად ითქვას, მიეკუთვნება თუ არა იგი მოცემულ სიმრავლეს. ანუ, როცა მოცემულია სიმრავლე A, ნებისმიერი x ელემენტისათვის ადგილი აქვს: $x \in A$ (x ეკუთვნის A-ს) ან $x \notin A$ (x არ ეკუთვნის A-ს).

აღნიშნულისაგან განსხვავებით, fuzzy სიმრავლეთა თეორიაში განისაზღვრება ელემენტის მოცემულ სიმრავლეში წევრობის ხარისხი, ანუ ნებისმიერი ელემენტი რაღაც ხარისხით მიეკუთვნება კონკრეტულ სიმრავლეს. ფაქტობრივად, fuzzy სიმრავლე A განისაზღვრება f ფუნქციით A სიმრავლიდან [0, 1] ინტერვალზე: f ყუნქცია ნაიწერება შემდეგნაირად:

$$f: A \rightarrow [0, 1], \text{ ანუ } 0 \leq f(x) \leq 1.$$

ამ განსაზღვრებიდანაც ჩანს, რომ ბაზისური ფერის კატეგორიები fuzzy სიმრავლეებს წარმოადგენდა. ამის დასტურება თუნდც ის, რომ ყველა ენაში არსებობს იმ ტიპის ფრაზები, როგორცაა, მაგალითად: *კარგი წითელი, ოდნავ მოწითალო, მოყვითალო წითელი, მოლურჯო-მომწიანო, ღია ვარდისფერი, მუქი ლურჯი* და სხვა, რომლებშიც ფერი აღნიშნულია ბაზისური ფერის კატეგორიაზე მითითებით და რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას მოცემული ფერის ბაზისური ფერის კატეგორიაში წევრობის ხარისხზე. ასე მაგალითად, *კარგი წითელი* გულისხმობს, რომ ესაა ფერი, რომელსაც წითელ ფერში წევრობის მაღალი ხარისხი აქვს; *ოდნავ მოწითალო* ფერს კი პირიქით, ახასიათებს წითელ ფერში წევრობის დაბალი ხარისხი.

აღნიშნულ ფრაზათაგან „სოფტერით მითითებს“ ბაზისური ფერის კატეგორიიდან გადახრის მიმართულებას. მაგალითად, ასეთია *მოყვითალო წითელი* – აღნიშნება ფერი, რომელსაც ახასიათებს ყუთელ ფერში წევრობის გარკვეული ხარისხი, წითელ ფერში წევრობის ხარისხზე ნაკლები.

სოფტერით ფრაზა (ასეთია, მაგალითად, *მოლურჯო-მომწიანო*) აღნიშნავს ისეთ ფერს, რომელიც წევრობის დაახლოებით ურთიანი ხარისხით ახასიათდება ბაზისური ფერის ორ კატეგორიაში (მოცემულ შემთხვევაში – როგორც მწვანეში, ისე ლურჯში).

სოფტერით ფრაზა გამოსატავს ბაზისური ფერის კატეგორიის ნორმიდან გადახრის ნაჯერობაში ან სინათლის ხარისხში (სიკაშკაშეში). ასეთია, მაგალითად, *ღია ვარდისფერი, მუქი ლურჯი, ღია ვარდისფერი* აღნიშნავს ფერს, რომელიც უფრო არის თეთრი, ვიდრე წითელი. ე.ი. მას წევრობის მეტი ხარისხი აქვს თეთრში და შედარებით ნაკლები – წითელში; *მუქი ლურჯი* კი აღნიშნავს ფერს, რომელიც გარკვეული ხარისხით არის ლურჯი და, ამავე დროს, წევრობის გარკვეული ხარისხით მიეკუთვნება შავს (შესაძლოა, უფრო მეტად, ვიდრე ლურჯს).

სიმრავლეთა თეორიის თვალსაზრისით, როგორ მოიარსებოდა ყველის კატეგორიები ბჰერანისა და პ.კეის მოდელი? როგორც აღვნიშნეთ, ფერთა კატეგორიზაციის თავდაპირველი უნივერსალური მოდელი აწყდებოდა გარკვეულ სიონულეებს (წინააღმდეგობასაც კი) ბაზისურ ფერთა კატეგორიების სასლერების დადგენისას. მოდელის ავტორებმა სასლერების დასადგენად წაატარეს ექსპერიმენტი, რომელიც შემდეგნაირად მიმდინარეობდა: ცდისპირს ფერთა ნიმუშებიდან უნდა დაესახელებინა ყველა იმ ფერის ნიმუში, რომელიც შედიოდა ცალკეული ბაზისური ფერის კატეგორიაში. ამავე დროს, ბაზისური ფერის ამა თუ იმ კატეგორიაში წევრობა ცდისპირს უნდა განხვალაურა ცალსახად (არის ან არ არის წევრი) და, ამდენად, არ შეიძლებოდა, ერთი და იმავე ფერის ნიმუში ბაზისური ფერის ორ განსხვავებულ კატეგორიისათვის მიეკუთვნებინათ.

უკვე გასაკებია, რომ ბაზისური ფერის კატეგორია მოარსებოდა როგორც ფერთი ტონების გარკვეული სიმრავლე, სიმრავლეთა სტანდარტული თეორიის მიხედვით. სწორედ ამით აიხსნება ექსპერიმენტის შედეგთა არაერთგვაროვნება. მაგალითად, ცდისპირთა ნაწილი ბაზისური ფერის კატეგორიაში წითელში ასახლებდა ფერებს, რომლებიც შეიძლებოდა, წითელი ფერისთვის უფრო მიეკუთვნებინათ, ვიდრე რომელიმე სხვა ფერისათვის, ანუ, fuzzy სიმრავლეთა ტერმინოლოგიით თუ ვილდპარაკებთ, ცდისპირთა ნაწილი ასახლებდა ფერებს, რომელთაც წითელში წევრობის მეტი ხარისხი ჰქონდათ, ვიდრე ბაზისური ფერის რომელიმე სხვა კატეგორიაში (მაგალითად, არ დაასახლებდა აქ მოყვითალო-ნარინჯისფერს).

ცდისპირთა მეორე ნაწილი ბაზისური ფერის კატეგორიაში [წითელი] ასახელებდა ყველა ფერს წითელი ელფერით (ინტელისურისთვის) ამ დასახელებაში მონაწილეობას მიიღებდა *red reddish* სიტყვები და აქ ცდისპირი დიდი ალბათობით დასახელებულა ნებისმიერი შეფერვლობის ნარინჯისფერს). ეს გაურკვეველობა გამოწვეული იყო იმით, რომ ცდისპირი თვითონ განსაზღვრავდა ფერის წვერობის ხარისხს, რომელიც საკმარისი იყო, რათა ეს ფერი ამა თუ იმ კატეგორიისათვის მიეკუთვნებინათ.

ბებრლინისა და პკეის მოდელის ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობა მოიხსნა პკეისა და ნკპაიდანვილის თეორიაში ბაზისური ფერის კატეგორიების fuzzy სიმრავლეებად განხილვით. მათი თვალსაზრისით, რადგანაც არსებობს უნივერსალური ბირთვები (ანუ ფოკუსები) ბაზისური ფერის კატეგორიებისათვის, უნდა არსებობდეს უნივერსალური სასლერებიც. Fuzzy სიმრავლეთა თეორიის მიხედვით, ასეთი უნივერსალური სასლერები შეიძლება იყოს ის წერტილები ფერით სივრცეში, რომელთა მიღმა ბაზისური ფერის მიწვეულ კატეგორიაში წვერობის ხარისხი ყოველთვის ნულის ტოლია. ფერით სივრცეში ამგვარ წერტილებს წარმოადგენს ბაზისური ფერის მომუხნავე კატეგორიათა ბირთვები (ფოკუსები). ამგვარად, დადგინდა:

(1) ყოველ უნივერსალურ კატეგორიას ფერით სივრცეში შეესაბამება მკაცრად შემოსაზღვრული არე, რომლის გარეთ ეს კატეგორია აღარ ვრცელდება;

(2) ბაზისურ ფერთა უნივერსალური კატეგორიების აბსოლუტური სასლერები ბაზისური ფერის მომუხნავე კატეგორიათა ბირთვებით (ფოკუსებით) განისაზღვრება.

ცხადია, ბაზისური ფერის კატეგორია, როგორც ფერით ტონთა fuzzy სიმრავლე, განისაზღვრება აღქმით ფერით სივრცეში, სადაც ამ კატეგორიის ფოკუსურ წერტილში მოცემულ კატეგორიაში წვერობის ხარისხი მაქსიმალურია, ე.ი. 1-ის ტოლია, ხოლო აბსოლუტური სასლერის წერტილებში, ე.ი. იქ, სადაც ბაზისური ფერის მომუხნავე კატეგორიების ბირთვებია, მინიმალურია, ე.ი. ნულის ტოლია. ეს იმას ნიშნავს, რომ, როცა აღქმით ფერით სივრცეში გადაინაცვლებთ ბაზისური ფერის რომელიმე კატეგორიის ბირთვიდან სასლერისაკენ, ადგილი აქვს წვერობის ხარისხის უწყვეტ, გრადუალურ შემცირებას 1-დან 0-მდე.

ბაზისურ ფერთა კატეგორიების სიმრავლეებად განხილვას მხარს უჭერს ისიც, რომ ბაზისურ ფერთა შესაბამისი ჩერეულ ადგენებთა სიმრავლეც fuzzy სიმრავლეს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ნეიროფიზიოლოგიური თვალსაზრისით (Gregory 1977) გამოიყოფა ფერის შეგრძნების განმსაზღვრელ ჩერეულ ადგენებათა 6 ფუნდამენტური კატეგორია, რომლებიც შემდეგ ბაზისურ კატეგორიებს შეესაბამებიან: [თეთრი], [შავი], [წითელი], [ყვითელი], [მწვანე], [ლურჯი]. სწორედ ამიტომ აღნიშნული კატეგორიები განისაზღვრება როგორც პირველადი კატეგორიები.

ბაზისური ფერის ტერმინთა სისტემაში სწორად ხედავთ ტერმინებს, რომლებიც პირველადი კატეგორიების fuzzy გაერთიანებას შეესაბამებიან. მათ *შეხვედრულ* კატეგორიებს უწოდებენ. ამ ტიპის კატეგორიათა უკეთ გაუების მიხედვით გაიხსენოთ, როგორ განისაზღვრება გაერთიანების ოპერაცია სიმრავლეთა სტანდარტულ თეორიაში.

მოცემულთა ორი სიმრავლე — A და B; მათი გაერთიანება აღინიშნება $A \cup B$ -ით და განისაზღვრება შემდეგნაირად: ნებისმიერი x ელემენტი ეკუთვნის $A \cup B$ -ს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა იგი ეკუთვნის ან A-ს, ან B-ს (მოცემული განსაზღვრება ჩაიწერება ასე: $x \in A \cup B \Leftrightarrow x \in A \vee x \in B$ სადაც „ \wedge “ არავამომრიცხავია).

აღნიშნულისაგან განსხვავდება გაერთიანების განსაზღვრება fuzzy სიმრავლეთა თეორიაში.

მოცემულთა ორი fuzzy სიმრავლე — A და B (ეს იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრულია შესაბამისად f_A და f_B მოცემულ სიმრავეთა წვერობის ფუნქციები, რომლებიც ლეზლობენ მნიშვნელობას 0-დან 1-ის ჩათვლით); მათ გაერთიანებას აღინიშნაუთ $A \oplus B$ -ით და მისი წვერობის ფუნქცია განისაზღვრება შემდეგნაირად: ნებისმიერი x ელემენტის წვერობის ხარისხი $A \oplus B$ -ში ტოლია x ელემენტის A-ში ან B-ში წვერობის იმ ხარისხისა, რომელიც მეტია რიცხობრივად (ანუ $f_{A \oplus B}(x) = \text{Max}\{f_A(x), f_B(x)\}$).

შეადგინოთ კატეგორიათაგან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კატეგორია მიღებულია [მწვანე] და [ლურჯი] პირველადი კატეგორიების fuzzy გაერთიანებით და მას ამგვარად აღინიშნაუთ: [მწვანე] \oplus [ლურჯი]. ინტელისურნოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კატეგორიას GRUЕ-ს უწოდებენ (სახელწოდება მიღებულია GREEN-ისა და BLUE-ს შეერთებით). როგორც ჩანს, სწორედ ეს კატეგორია უნდა იყოს წარმოდგენილი 'სოფიერით იმ სისტემაში, რომელსაც ბებრლინი და პკეი გამოიკვლიეს და ასახელებენ. მაგალითად, ასეთია ინდიელთა რამდენიმე ენა, იგივე კატეგორია აღინიშნება იაპონურში და სწორედ ეს კატეგორია გამოიყოფა მეგრულში, ლაზურსა და სუანურში. GRUЕ კატეგორიის დაშვებით აიხსნება 'მწვანე' და 'ლურჯი' ფერების აღნიშნულ ტერმინთა ერთგვარი „აღრევა“ აღნიშნულ ენებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Berlin... 1969: Berlin B., Kay P., Basic Color Terms: Their Universality and Evolution, Berkeley and Los Angeles.
2. P.Bohannan 1963: Bohannan P., Social Anthropology, New York.
3. Gregory: 1977: R. L. Gregory R.L., Eye and Brain, London.
4. Kay ...1978: Kay P. Danniell Ch. K., The Linguistic Significance of the Meanings of Basic Color Terms; Language, 54/3.
5. Zadeh 1965: Zadeh A. L., Fuzzy Sets; Information and Control, 8.

Ether Soselia (Tbilisi)

Categorization of Colour Space and the Types of the Categories

ის ზოგადი ტენდენცია, რაც ახასიათებს ლათინური კონსონანტაჟმის განვითარებას ლათინური ენის სისტემის ველა პერიოდში, ერცველება მისი შემკვიდრე რომანული ენების ფუნქციონირებაზეც. ეს არის თანხმოვანთა ჯგუფების გამარტივების პროცესი, რაც უშუქესად გამოხატულია რედუქციით ან ასიმილაციით და რიმედიც საერთოლათინური და დიალექტური ხასიათისაა (შენგელია, 8). შუიღება ითქვას, რომ თანხმოვანთა ჯგუფების გამარტივება, მათ შორის თავიკიდური კომპლექსებისა, ხდებოდა ლათინური ენის განვითარების მთელი ისტორიულ გზაზე, დამწერლობადელი პერიოდის ჩათვლით. აქვე აღენიშნაეთ, რომ, მრავალ შემთხვევაში, თანხმოვანთა ცვლილებების ზუსტი თარიღები არ არის დაფიქსირებული; ცვლილებათა ერთი ნაწილი საერთოინდოევროპულ ბგერით სისტემაშივე მოხდა, მეორე – დამწერლობადელ პერიოდში, მესამე კი – დადასტურებულია შედარებით გვიანდელ დამწერლობით ძეგლებში (ტრონსკი, 7).

ქრონოლოგიური ფაქტორის – დროის (თარიღის) მიუხედავად, თავიკიდური კონსონანტური კომპლექსების (ცვლილებების, თავიკიდური თანხმოვანთჯგუფების გამარტივების პროცესი მიმდინარეობდა ერთგვარად: იკარგებოდა ან იცვლებოდა პირველი თანხმოვანი, მეორე კი – შენარჩუნებული, ითვლებოდა საყრდენად, რადგან იგი, როგორც წესი, არ რედუცირდებოდა:

პირველი ელემენტის სწული რედუქცია ახასიათებს შემდეგ თავიკიდურ ჯგუფებს:

dv > v	ks	kn	kt	sl	sm > m
	ps > s	gn > n	> t	> l	
	rs	dn	pt	tl	
		sn			

თავიკიდური ელემენტის ნაწილობრივი რედუქცია ახასიათებს შემდეგ თავიკიდურ თანხმოვანთჯგუფებს: mr > br; sr > pr > fr; tl > kl.

აღენიშნეთ ფონოტაქტიკური ფაქტორის სიჭარბე ფონეტიკურ ფაქტორთან შედარებით. მაგ. ორი იღენტური თანხმოვნისაგან შემდგარ, მაგრამ სხვადასხვა თანამიმდევრობიან ჯგუფებში, სრულ ან ნაწილობრივ რედუქციას ექვემდებარება თავიკიდური ჯგუფის მხოლოდ პირველი ელემენტი: rs > s, sr > fr.

იკარგება არა ბგერა (ფონემა), არამედ პოზიციური ელემენტი: s-ც და r-ც რჩება ლათინური ენის კონსონანტური სისტემის ელემენტებად, იმ დროს როდესაც კომპლექსის პირველი ელემენტი ექვემდებარება მოდიფიკაციებს ფონოტაქტიკურ დონეზე.

ლათინური თავიკიდური კონსონანტური კომპლექსები, რომელნიც სრულად ან ნაწილობრივ შენარჩუნდნენ ნეოლათინურ ენებში, წარმოდგენილი არიან ზუსტი კომბინატორული შეერთებით: როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი განსაზღვრულია და ექვემდებარება დადებით კანონსმოხერხებებს. პირველი ელემენტის სახით გვხვდება მხოლოდ: b, p, k, t, s; მეორე ელემენტის სახით – სონანტები r და l, ასევე p, t, k, m, თუ პირველი ელემენტი არის s. ლათინური ფონოლოგიური სისტემის რიგორიზმი, პირველ და მეორე (r, l) ელემენტთა ზუსტად განსაზღვრულ კრებულთა მიხედვით, ვარაუდობს შემდეგ ოპოზიციითა არსებობას:

br - bl, pr - pl, kr - kl, gr - gl; fr - fr, tr - tl, sr - sl.

ჩამოთვლილი ყველა კონსონანტური კომპლექსი არსებობდა არქაულ ლათინურში; თუმც, კლასიკურ (და ხალხურ ლათინურშიც), ისევე როგორც მის შემკვიდრე რომანულ ენებში, თავიკიდური კომპლექსები: tl, sr, sl პრაქტიკულად არ არსებობს (გამონაკლისია ერთეული შემთხვევები).

ზუსტით მითითებული ლათინური თავიკიდური ფონოტაქტიკური კომპლექსები, გადავიდნენ რა ნეოლათინურ (რომანულ) ენებში, ამჟღავნებენ სტაბილურობის სხვადასხვა ხარისხს, რაც ელენდება ენობრივ ფაქტორთა და ენობრივ მოცულობის დონეებზე; ამ ეტაპზე შევხებით მხოლოდ ენობრივ ფაქტებს. ლათინური თავიკიდური კონსონანტური კომპლექსები: br, gr, fr, tr შენარჩუნებულია ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ ენებში:

ლათ. ენა	ყრანგ. ენა	იტალ. ენა	ესპან. ენა	
[br]	bruskus	brusque	brusco	brusco “უეცარი”
	branca	branche	branca	branca “ტოტი”
	bronus	bronche	bronco	bronco “ბრონქი”
[gr]	gratus	grés	grado	grado “ნება,სურვილი”
	grossus	grós	grosso	grueso “მსხვილი”

	granum	grain	grano	grano	“მარცვლილი”
[fr]	fimbria	frange	frangia	franja	“ფორი”
	(ხალხ. ლათ. frimbria)				
	fregare	frayer	fregare	fregar	“გახახუნება”
	(ხალხ. ლათ. fricare)				
	phrygium	frise	fregio	friso	“ფრიზი” (არქიტ.)
[tr]	tradere	trahir	tradire	traicionar	“ლალატი”
	tripaliare	travailler	travagliare	trabajar	“შუშაობა”
	trifolium	trèfle	trifoglio	trèbol	“სამეურა (ბოტ.)”

ენობრივი ფაქტების ზუსტ შესაბამისობათა შემთხვევებს, ანუ ლათინური თავიკიდური კონსონანტური კომპლექსის შენარჩუნებას რომანულ ენებში (მნიშვნელოვან ქვეჯგუფთა სამივე წარმომადგენელში), ეუწოდეთ ზუსტი ფონოტაქტიკური დიაქრონიული სტატიკური კონსტანტები.

ზოგჯერ, დიაქრონიასში, ენობრივი ფაქტის მნიშვნელოვანი სტაბილურობის ფონზე, შეინიშნება მცირე ვარიაცია, როგორც დასაშვებია ერთ დიფერენციალურნიშნა ფონოლოგიურ ოპოზიციათა საზღვრებში, კერძოდ, ოპოზიცია მკლერობა-სიყრუის მიხედვით: ხ-პ, კ-გ. მაგ., ლათინურ თავიკიდურ კონსონანტურ კომპლექსებს pr, kr-ს, განსახილველ ყველა რომანულ ენაში. შესაბამება კონსონანტური ჯგუფები pr/br, kr/gr. სტაბილური ენობრივი ფაქტის სიჭარბით, ანუ ყრუ თავიკიდურ თანხმოვანიანი კომპლექსი გეხედება უფრო ხშირად. თუმც, კონსონანტურ კომპლექსთა შესაბამისობანი: ლათ. ყრუ თანხ. + r _ ნეოლათ. მკლერი თანხ. (კორელატი) + r შეიძლება ახასიათებდეს ერთ რომანულ ენას მეტად, ვიდრე მეორეს. მაგ., გადასვლა ლათ. kr > ჟ შემეტესად ახასიათებს ესპანურ ენას, ნაკლებად – ფრანგულს.

	ლათ. ენა	ფრანგ. ენა	იტალ. ენა	ესპან. ენა	
[pr]	praestus	prêt	presto	presto	“მზა”
	propaginis	provin	propaggine	provena	“გადანაწვენი (ვაზისა)”
	prosternere	prostrer	prostrare	prostrar	“დაუპლურება”
	prunus	brugnon	brugna	bruno	“ატმისა და ქლიავის ჰიბრიდი”
[kr]	credere	croire	credere	créer	“დაშვება, მიჩნევა”
	creare	créer	creare	criar	“შექმნა”
	crassus	gras	grasso	graso	“მსუქანი”
	cretam	craie	creta	greda	“ცარცი”

ენის ფაქტებს, რომელთაც დიაქრონიასში შეინარჩუნეს მნიშვნელოვანი სტაბილურობა, უმნიშვნელო ვარიაციულობით ენათა ევოლუციის ბოლო ეტაპებზე, ეუწოდეთ არაზუსტი ფონოტაქტიკური დიაქრონიული სტატიკური კონსტანტები.

არსებითია, რომ ორ ათასწლეულზე მეტი ხნის მანძილზე, თავიკიდური კომპლექსის: თანხ. + r ფონეტიკური სუბსტანცია დაექვემდებარა ცვლილებას; ფონოტაქტიკური მოდელი კი – უცვლელი დარჩა.

ამგვარად, შეიძლება განვასხვაოთ სტატიკური და დინამიკური დიაქრონიული კონსტანტები, ანუ სტაბილური ენობრივი მოვლენები, რომლებიც არსებობენ ენობრივი ფაქტთა და ენობრივი პროცესთა დონეზე. ენობრივი მოვლენათა რეპრეზენტაციის ხასიათისდა მიხედვით, დიაქრონიული კონსტანტები, სტატიკურიც და დინამიკურიც, იყოფიან ზუსტ და არაზუსტ კონსტანტებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახლედინი 2008: ახლედინი ც. დიაქრონიული ფონოტაქტიკა და რომანული კონსონანტიზმის პრობლემები, “მედა”, თბილისი.
2. ბურსიე 1952: Bourciez E. *Éléments de linguistique romane*. Hachette. Paris.
3. გურმანი 1981: Гухман М. *Историческая типология и проблемы диахронических констант*. Наука. Москва.
4. მარტინე 1955: Martinet A. *Economie des changements phonétiques*. Liv'Éditions. Berne.
5. სტეპანოვი 1979: Степанов Г. В. *К проблеме языкового варьирования*. Просвещение. Москва.
6. ტორსუევი 1977: Торсуев Г. П. *Константность и вариативность в фонетической системе*. Наука. Москва.
7. ტრონსკი 1960: Тронский И. М. *Историческая грамматика латинского языка*. Наука. Москва.
8. შენგელია 1962: Шенгелия И. Г. *Народно-разговорная латынь*. ТГУ. Тбилиси.

Importance of Stable Elements in Phonetic Evolution.

Phonetical changes of different languages had always been the object of study by researcher-comparativists. Historical study of language from the position of diachronic phonology and phonetics was preferably oriented to consistency of sound change and determining their character. Since the 70s of the last century in linguistics there appeared united from the dialectical point of view and simultaneously contradictory categories – Theory of Constancy and Variation. The main provisions of the Theory of Constancy and Variation is the idea of interaction and interprovision of these two tendencies which is revealed in synchrony, diachrony, and generally , at any stage of language development.

We tried to discuss the problem of constancy-variation with examples of defining stable language events in Roman languages; we've chosen three languages representing the main sub-groups in Roman languages as the material for analysis: initial consonant complexes of French, Spanish and Italian languages words, for the purpose of comparison with the group of consonants of appropriate words of the base language –Latin. Not with standing chronological time (date) changes of initial consonant complexes the process of simplification of initial consonant groups took place in a similar way: the first consonant was lost or changed, and the other, preservid one was considered as a base, as it as a rule was nor reduced. We have only b, p, k, g, f, t, s as the first element and sonants r and l as well as p, t, k, m in face of the other element if the first element is s.

In the cases of exact conformity of language facts i.e. preservation of initial consonant complexes in Roman languages we called exact phonotactical diachronic statical constants. Language facts, which in diachrony preserved the considerable stability, with insignificant variation, at the last stages of languages evolution was called inexact phonotactical diachronic statical constants.

მეაფორული არსებობა ჰარალდ ნორბეი და ჩართულ პოლიტიკურ დისკუსიში

(*რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ავღისტიკოსი ომის მასალაზე*)

ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო პოლიტიკური სიტუაციის განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ განაპირობა ის, რომ პოლიტიკური დისკუსიის და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, რომელთა შორისაც ცენტრალური ადგილი ომს უკავია, ხდება ინტერდისციპლინარული კვლევის საგანი. მიუკაშია, რომ ლინგვისტურ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც პოლიტიკური ასროვნება და ქვეყნის განუყოფელი პოლიტიკური მეტყველებისგან. ფაქტიურად, ნებისმიერი პოლიტიკური იდეა ან აქცია იბადება, მზადდება, რეალიზდება და კონტროლირდება ენის საშუალებით. პოლიტიკური დისკუსიის კვლევისადმი ინტერესის ზრდამ განაპირობა ენათმეცნიერებაში ახალი მიმართულების – პოლიტიკური ლინგვისტიკის წარმოშობა, რაც შეიძლება აიხსნას თავად ლინგვისტური თეორიის შინაგანი მოთხოვნებიდან, რომელიც თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის იმენდა ინტერესს ენობრივი სისტემის ფუნქციონირების რეალური სფეროებისადმი.

ჩვენი ნაშრომი იძლევა ომთან დაკავშირებული ქართული და ამერიკული პოლიტიკური დისკუსიის კვლევას და ომის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის იმ საერთო და განმასხვავებელი ნიშნების წარმოჩენას, რომლებიც ამ ქვეყნების ენო-კულტურული და ენოფსიქოლოგიური თავისებურებებით აიხსნება. საკვლევ მასალად აღებული გვაქვს 2008 წლის ავღისტიკოსი რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული ქართული და ამერიკული პოლიტიკური დისკუსიის, რომლებშიც იმდენი მწკვეთი მეტაფორული განცხადება გაკეთდა მსოფლიოს პოლიტიკოსთა მიერ, რომ იგი ამოფარდებოდა მეტაფორათა ომში გადასარდად.

ვიდრე ამ საკითხის განხილვას დაეწევიყვებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვანია, პირველ რიგში, დავაუსტოთ თავად პოლიტიკური დისკუსიის ცნება. არსებობს ამ ცნების ფართო და ვიწრო გაგება. ფართო გაგებით, პოლიტიკური დისკუსიის განიშარტება როგორც პუბლიცისტიკური სფეროს ენა. ასეთ არსებობს, მაგალითად, დე ლანდშერის ნაშრომში "The Political Rhetoric of United Europe" (დე ლანდშერი 1998: 35). ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ პოლიტიკური დისკუსიის ვიწრო, განდგობიერ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმადაც პოლიტიკური დისკუსიის განისაზღვრება როგორც პოლიტიკური სფეროში შემოფარგლული ვანრი, რომელსაც საეციოური ენობრივი თესაურსი, გარკვეული ფუნქციური დანიშნულება და კომუნიკაციური ზემოქმედება გააჩნია. ვანდგობიერ კონცეფციაში, პოლიტიკური დისკუსიის – ეს პოლიტიკოსების დისკუსია და თუ მას მოეპყვებოდა პროფესიონალურ ჩარჩოში, იგი შეიძლება ჩაითვალოს დისკუსიის ინსტიტუციონალურ ფორმად (ვან დეკი 1998:124).

მეორე მხრივ, აუცილებელია დავაუსტოთ თუ რა იგულისხმება კონკრეტული მეტაფორის ცნების ქვეშ და რითი განსხვავდება ის მხატვრული, პოეტური მეტაფორისგან. ლინგვისტური ლიტერატურის კრიტიკული განსწავლვა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მხატვრული მეტაფორა შედგება სამყაროს სუბიექტურ-პოეტური ხედვისა, რომელიც მეტყველებს სუბიექტის ასოციაციურ ხატოვან კონცეპტაზე და ესთეტიკურ-შეფასებით აზროვნებაზე დამყარებულად, რის გამოც იგი თხრობას განუყოფელად ინდივიდუალურობას და ექსპრესიულ-ემოციურობას სძენს (ორტონი 1993).

ტრადიციულ მისასრების საპირისპიროდ, რომ მეტაფორა არის მხოლოდ პოეტური აზროვნების ფორმა, ამერიკელმა მეცნიერებმა ჯ. ლაკოფმა და მ. ჯონსონმა 1980 წელს შეიმუშავეს და ლინგვისტურ ლიტერატურაში დაამკვიდრეს კონკრეტული მეტაფორის ცნება. ცნობილ ნაშრომში "Metaphors We Live By" ისინი აღნიშნავენ, რომ ენაში არსებული ცალკეული მეტაფორული გამოთქმები სწორედ ერთი დიდი, კონკრეტული მეტაფორის გამოვლინებას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება თავად არც იყოს ნახსენები ენაში, მაგრამ იგი არსებობს ერის ცნობიერებაში და გამოვლინებას პოეტების ენაში ცალკეული გამოთქმების, სიტყვების, ფრაზოლოგიზმების სახით (ლაკოფი...1980:4). ასევე, კონკრეტული მეტაფორის ნიმუშად ავტორები ასახელებენ ფრაზას: "Argument is war" ("კამათი ომება"), რომელიც ექსპლიციტურად პოეტების მთელ რიგ მეტაფორულ გამოთქმებში:

1. He attacked every weak points in my argument.
2. His criticisms were right on target.
3. I demolished his arguments.
4. He shot down all of my arguments.

საქართველოს მიმართ მსოფლიო საზოგადოებამ. "პიუსტონ ქრონიკლი" წერდა, რომ მესიჯი ვეღვან უნდა იყო: "ეს არის შეუბრალებელი, დიდი მზადგეული მეზობლის მიერ პატარა, თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნის ცივილიზაციის შესაძენი საწყისი" "ზოროტისა" და "კეთილის" მარადიული სამართლიანი ბრძოლის ზღაპრისებრი საწყისი ("THE FAIRY TALE OF THE JUST WAR") მისთვის დამახასიათებელი ბოროტი ძალის დამარცხებით და "მხსნელი გმირის" გამარჯვებით, რომელიც, სლპარისგან განსხვავებით, რეალურ ომში გამარჯვებულად ვერ ჩათვლება იმ დიდი მსხვერპლის და ზარალის გამო, რომელიც ნებისმიერ ომს ახლავს თან მუხუდავად იმისა, სამართლიანია თუ არა ეს ომი.

"This is a cold-blooded murder of a small, free independent country by a ruthless big bullying neighbor."
 ("პიუსტონ ქრონიკლი" კვირა, 24 აგვისტო, 2008)

3) ომის მეტაფორული კონცეპტუალისაციის შესაძენი საწყისი "ზოროტისა" და "კეთილის" მარადიული სამართლიანი ბრძოლის ზღაპრისებრი საწყისი ("THE FAIRY TALE OF THE JUST WAR") მისთვის დამახასიათებელი ბოროტი ძალის დამარცხებით და "მხსნელი გმირის" გამარჯვებით, რომელიც, სლპარისგან განსხვავებით, რეალურ ომში გამარჯვებულად ვერ ჩათვლება იმ დიდი მსხვერპლის და ზარალის გამო, რომელიც ნებისმიერ ომს ახლავს თან მუხუდავად იმისა, სამართლიანია თუ არა ეს ომი.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთი შეეცადა საერთაშორისო საზოგადოების თვალში წარმოეწინააღმდეგა რეგორც ოსი და აფხაზი ხალხების "მხსნელი გმირი" სამართლიანი ომის ზღაპრის სიუჟეტებიდან და ასე შეუთხზა მორალური ანგარიშსწორების ზღაპარი "შაგერელი" საქართველოს წინააღმდეგ. მაგრამ მისი ეს მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა. 16 აგვისტოს "ვაშინგტონ პოსტი" წერდა, რომ მოსკოვის მიზანი ქართული დემოკრატიის ჩაქვლა იყო: "Moscow's ultimate aim was to kill Georgian democracy". ამ ომში საქართველოს მთავრობამაც სცადა "თავდაცვისა და ხსნის" სამართლიანი ომის ზღაპრის სიუჟეტის მორგება მოცემულ სიტუაციაზე, რომელიც, სამწუხაროდ, ასევე კრახით დამთავრდა.

ემპირიული მასალის შეპირისპირებითა ანალიზმა დაადასტურა, რომ შემოხსენებული ომის მეტაფორული კონცეპტუალისაციის მოდელები უნივერსალურია და ამდენად საერთო ამერიკულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსში. თუმცა ქართულ დისკურსში გამოყენებული მეტაფორები უფრო მძაფრი გამოიხატებოდა ხასიათდება, რაც ქართული ეთნოფსიქოლოგიით აიხსნება. "პიუსტონ ქრონიკლი" აღნიშნავს, რომ სააკაშვილმა რუსებს უწოდა "21-ე საუკუნის ბარბაროსები, რომელთაც გააუტატიოებს საქართველო".

"Saakashvili referred to the Russians as '21st century barbarians' who had essentially raped Georgia."
 ("პიუსტონ ქრონიკლი", შაბათი, 16 აგვისტო, 2008, გვ 23)

ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ, რომელმა ქვეყანამაც არ უნდა მოირგოს კოგნიტური მეტაფორები ან შეეცადოს ელასტიკური ზღაპრის "მსხვერპლად" ან "მხსნელ გმირად" წარმოაჩინოს თავი, მაინც ვერცერთი ვერ ჩათვლება გამარჯვებულად, რადგან თავად ომი ამორალური და ყოველად გაუმართლებელი ქმდება. მას თან ახლავს არა მარტო ეთნოფსიქოლოგიური, პოლიტიკური და მორალური ზარალი, არამედ საზოგადოების უზარმაზარი ფსიქოლოგიური სტრესიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დე ლანდშერი 1998: De Landtsheer, Christl. "The political rhetoric of a United Europe." In: Feldman, Ofer & Christl de Landtsheer (Eds.). *Politically speaking: a worldwide examination of language used in the public sphere*. New York: Praeger Publishers, p. 35-51.
2. ლაკოფი 1991: Lakoff, George. "Metaphor and War: The Metaphor system Used to justify War in the gulf." In: *Viet Nam Generation Journal & Newsletter*, vol. 3, No. 3 (November).
3. ლაკოფი 1991: Lakoff, George. *Metaphor and War*, Again. Linguistics Department, UC Berkeley.
4. ლაკოფი 1991: Lakoff, George, & Mark Johnson. *Metaphors We Live By*. Chicago: University of Chicago Press.
5. ორტონი 1993: Ortoni, Andrew (Ed.), *Metaphor and Thought*, 2-nd edition. Cambridge: Cambridge University Press.
6. ვან დეიკი 1998: Van Dijk, Terence A. "What is political discourse analysis?" In: Blommaert, Jan and Bulcaen, Chris (Eds.), *Political Linguistics*. Amsterdam, p. 124 -142.

**Metaphorical Conceptual Parallels in American
And Georgian Political Discourses
(on the Material of Russia-Georgia War August, 2008)**

The current political situation all over the world has made political discourse with its problematic themes, among which *WAR* occupies the central place, a subject of interdisciplinary studies. We consider linguistic research of paramount importance as political thoughts and actions are inseparable from political speech. In fact, any political idea or action is born, prepared, realized and controlled by language.

The aim of our paper is to study political discourse as a weapon of war and show how military activities may be converted into the war of metaphors. From this viewpoint, it was very interesting to analyze Georgian and American political discourses related to Russia-Georgia war August, 2008. This war had a worldwide resonance and later on it turned into the war of metaphors. We try to make a comparative analysis of metaphorical conceptualization of war in Georgian and American political discourses in order to reveal those similarities and differences that are caused by the ethno-cultural and ethno-psychological characteristics of these two nations.

Our research has shown that metaphorical conceptualization of war in both languages is based on three systems of expressive means: 1) Clausewitzian metaphorical conceptualization of war according to which "War is politics pursued by other means." "Politics is business with its profit and losses." These metaphors only allow war to be justified on pragmatic, not on moral grounds; 2) George Lakoff's system of cognitive metaphors aimed to justify war morally by employing "A State Is a Person", "Strict Father", "Nurturant Parent" and "Neighborhood Bully" conceptual metaphors; 3) "The fairy tale scenario for a just war" which, being the most natural way to justify war on moral grounds, is to fit the fairy tale structure to a given situation, with a hero fighting to rescue people from the evil.

Yet, the reality has proved that however hard politicians might try to apply cognitive metaphors or a fairy tale scenario to any war in order to justify it they would never succeed against the background of the heavy casualties and the great moral, social, economic and political damages caused by the war. So any belligerent country is doomed to be defeated from the very moment of opening the fire.

The result of our study is that the models of metaphorical conceptualisation of war are universal and thus common for Georgian and American political discourses. However, these metaphors are expressed relatively in a sharper way in Georgian political discourse that can be explained by ethno-cultural and ethno-psychological characteristics of the Georgian nation.

სარეკლამო სლოგანის პარადოქსები

თანამედროვე ეპოქაში თითოეული ჩვენთაგანი მუდმივად განიცდის სარეკლამო სლოგანების მეტ-ნაკლებ ზემოქმედებას.

პოსტსაბჭოთა პერიოდში აქცენტებმა იდეოლოგიური პოლუსებიდან პრაქტიკულზე გადაინაცვლა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული საზოგადოება საკუთარ იდეოლოგიას, აზროვნების საკუთარ წყობას ქადაგებს, თანამედროვე სოციუმში წინა პლანზე აყენებს ამა თუ იმ მოვლენის პრაქტიკულ მნიშვნელობას, რაც ზოგჯერ პირივეული, ადამიანური ფაქტორის უგულვებლყოფის გზით ხდება. ჩვენ არაერთგზის შეესუდრივართ გამოთქმას "გეშმარიტება კამათში იბადება", ეიცით ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონი წინააღმდეგობათა ერთობისა და ბრძოლის პრინციპი. მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების(მის) დისკურსი როგორც კომუნიკაციური მოვლენა, რომელიც ევრბალური ტექსტების ან რომელიმე ნიშნობრივ კომპლექსთა მეშვეობით კომუნიკანტთა ურთიერთმოქმედებაში მდგომარეობს, არის ღია მოვლენა, და იგი განაპირობებს კომუნიკაციური პროცესის შესწავლას დინამიკაში, ყველა მომხდარი ან მოსალოდნელი ცვლილების გათვალისწინებით (გრაუდინა... 2001: 239).

მიგანინია, რომ მასობრივი კომუნიკაციის შესწავლა აქტუალურია, იმდენად რამდენადაც იგი გამოირჩევა მრავალფეროვნებით, ცველადობით, გამოყენებულ ნიშნობრივ სისტემათა ნაირგვარობით, სუბიექტის ობიექტური აუცილებლობით, და, შესაბამისად, პარადოქსულობის მაღალი ხარისხით. ჩვენ მუდმივად ვაწყდებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და ვაწყდებით არა მხოლოდ ჭკერტის, პასიურ დონეს, ჩვენ მუდმივად ვიმყოფებით მისი ზემოქმედების ქვეშ, რაც იწვევს აუცილებელ და ერთდროულ უკუქმედებებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ასახვას პოულობს საზოგადოებისა და ინდივიდის ყველა წინააღმდეგობა და უთანხმოება. ლ.გ.ტრუბოცინა (ტრუბოცინა 2002: 3) ადამიანზე ამ საშუალებების ზემოქმედების ტრადიციულ ხასიათსაც კი აღნიშნავს, როცა რადიოთი და ტელევიზიით გადმოცემენ საინფორმაციო სცენებს, ძალადობას, კატასტროფებს, რაიმე "ექსტრემალურს"ან "საგანგებოს". ეს საინფორმაციო ნეგატივი შეიწოვება ადამიანის მიერ და ქვეყნობრივ დონეზე სტრესს იწვევს. ცხადია, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ შიზანშეუწონელია ტრადიციის შესახებ საუბარი, მაგრამ, ამავე დროს არ შეიძლება გათვალისწინებული არ იქნას, რომ თავს უდემტად მოხვეული დარწმუნება უკურაქციას იწვევს, რომელიც ხშირად პროტესტს აღწევს. გაიხსენოთ ატრაქციის ეფექტი ნენეთში საომარი მოქმედებების, ჩრდილოეთ ოსეთში სკოლის დაპყრობის ან წყალქვეშა ნავის "კურსის" დაღუპვის, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში სახლების აფეთქების, მოსკოვში "ნორდ-ოსტის" მოვლენები, ურალის ქჩუსოვში აუზის ჩამონგრევის, აფრიკაში 11 სექტემბრის სერიული აფეთქებების, საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების აღწერისა და ტრანსლაციის დროს. მის-ის საინფორმაციო ფუნქცია მსგავს სიტუაციებში იქცევა რეციპიენტზე ზემოქმედების ემულირ-ნეგატიურ, თუნდაც მასიურ ფუნქციად.

მსგავს შემთხვევებში შეინიშნება დეტერმინაცია - აგრესიისა და ძალადობის განმეორება, რაც პარადოქსულია იმათთვის, ვისაც ის აღაშფოთებს, ვინც ვერ ურიგდება ბორტქებასა და სისასტიკეს.

გაგების, როგორც კომუნიკაციონისა და რეციპიენტის ხარისხით აზრობრივი იდეების, ბაზური ცოდნის აღწერისას, კულტურული კოდეზის ამა თუ იმ ხარისხით თანხედრას, აღნიშნავს აზრობრივი ლაკუნების, დაუთხეველობების წარმოშობის შესაძლებლობას, როდესაც გაგება არის არასრული ან ხდება კოგნიტიური დისონანსი. მეტიც, რეციპიენტის აღქმა, მისი სამყაროს სურათი იცვლება არა იმ მიმართულებით, რომლის პროგნოზირებასაც ახდენდა კომუნიკატორი. ამრიგად, შინაარსს, "რომელიც მკაფიო კონტრასტშია რეციპიენტის ფასეულობათა სისტემასთან, შეუძლია გამოიწვიოს ამ უკანასკნელში არა ასმილიაციური იდეა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტი ძლიერდება იმ ცხოვრებისეულ პოზიციათა, სამყაროს მოდელის და ფასეულობათა ორიენტირების მიუღებლობაში, რომელიც მას თავს ახევევს" (პეტრევი 2002: 20-21). მოცემული შესაბამისა შესაძლოა ხედვობდეს არა მხოლოდ კონკრეტურ, არამედ ემულირ, შეფასებით დონესზე, რამაც დაამტკიცებდა საპირისპირო შედეგი შეიძლება გამოიწვიოს.

ვაში სარეკლამო რგოლი გართმულია მახვილგონივრულად, მაგრამ მიზანია, რომ მოსახლეობის ვიწრო ნაწილმა თუ იცის, რომ "წერო" ლიტერატულ ჯილდოს ჰქვია და იგივეა შემდეგ ფრანგულ მერიანტშიც: *il n'ya que Maille qui m'aïlle*, აქ კი მღოვრევა საუბარი. ამგვარად, რაიმე ბრენდის რეკლამირებისას ხშირია საკანონმდებლო წესების დარღვევა და ყურადღება ექცევა უფრო ეფექტურობას ან ვიზუალურ მხარეს, ვიდრე ფიქსირებულ კანონებს.

ჩვენი მიზანი იყო სარეკლამო სლოგანების პარადოქსულობის კვლევა. კვლევისას მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ ერთი მხრივ, საჯარო ურთიერთობის სფეროში, როგორცაც გვევლინება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და რეკლამა, უნდა ფუნქციონირებდეს სალიტერატურო ენა, მაგრამ, მეორე მხრივ, რეკლამა უშუალოდ ნებისმიერ ხერხს, რომელიც არ უნდა ლახავდეს სხვა სუბიექტების, მათ შორის სამეტყველო საქმიანობის ინტერესებს.

რეკლამის ფორმისა და შინაარსის ერთობლიობა მისი წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. ამ ცნებათა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ასოციაციათა დონეზე ორპარტიულობა ვაწყდებით. ხშირად სარეკლამო სლოგანი განკუთვნილია ახალგაზრდა მომხმარებლისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის მომხმარებელი არა მხოლოდ ახალგაზრდა მოსახლეობა, არამედ სხვადასხვა ასაკის ადამიანები, რომლებიც იძულებული არიან ყუბი უგღონ ხშირ შემთხვევაში მათთვის გაუგებარ რეკლამას. დღეისათვის რეკლამაში პარადოქსების პრობლემა გაცილებით მკაფიოდ დგება, ამიტომ სარეკლამო სლოგანების ანალიზი, მათი ეფექტურობისა და კანონზომიერებულობის შესაბამისობა განსაზღვრავს თითოეული ინდივიდის შემდგომ ენობრივ ქმედებებს, მის ორიენტაციასა და პოზიტიურ სამეტყველო საქმიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაევი 1973: Абасев В.И. Общегуманитарные аспекты теоретического языкознания. Известия АН СССР. Вып. 6-М.
2. ბალი 2001: Балли Ш. Французская стилистика. - М.
3. ბახტინი 1986: Бахтин М.М. Эстетика словесного творчества. М.
4. ბობროვსკაია 2007: Бобровская Г.В. Душевносмысленность в рекламных текстах. Волгоградский госуниверситет.
5. გრაუდინა... 2001: Граудина Л.К. Ширяева Е.Н. Культура русской речи: Учебник для вузов. М. НОРМА_ИНФРА.
6. მატანცევი 2002: Матанцев А.Н. Эффективность рекламы.-М.
7. მემდევევა 2003: Медведева Е. В. Рекламная коммуникация. М.
8. პეტრენკო 2002: Петренко В.Ф. Психосемантика ментальности: коммуникативный аспект.Сб. Проблемы медиапсихологии. М.
9. როზენბალი 1981: Розенталь Д.Э. Стилистика газетных жанров. МГУ.
10. ტრუბიციანა 2002: Трубицина Л. В.Средства массовой информации и психологическая травма. Сб. Проблемы медиапсихологии. М.
11. ჩერკასოვა 2007: Черкасова Л.Н. Парадоксы рекламного слогана. РГУ.
12. შშივა 2007: Шмига Ю.И. Современное состояние и перспективы исследования вопроса коммуникативной эффективности рекламы.Запорожский национальный университет.
13. პეშე 1995: Pecheux M. Language, semantics and ideology. London.

Natalia Surguladze (Batumi)

Paradoxes of Advertising Slogans

Discourse of Mass media means as a type of communication is based either on interaction between verbal texts or sign complex by which communicators communicate. It is an open process and enables the researches to study the process of communication in dynamics.

In modern life we are all influenced by advertising slogans. Disagreement and conflicts between individuals in the society are well-depicted in Mass media means.

We consider that Mass media means are not properly studied because of their variety, changeability and paradoxical character.

We constantly come across these means not only on a passive level, but we are always under their influence.

A PROBLEM OF THESIS AND ANTITHESIS

Austin noted that, there are many cases where explicit performatives do not refer to the speaker, as in the following examples:

- (a) The company hereby undertakes to replace any can of Doggo-Meat that fails to please, with no questions asked
- (b) It is herewith disclosed that the value of the estate left by Marcus T. Bloomingale was 4,785,758 dollars and others where the addressee is not the *target* as in
- (c) Jonny is to come in now

However such examples were handled, they would considerably complicate the performative hypothesis. For unless the performative clause has strictly definable properties, it will be impossible to specify it uniquely in syntactic terms; and if that can't be done then the very special, indeed extra-ordinary, syntactic rules that apply just to performative clauses (notably, wholesale performative clause deletion) can't be properly restricted. One such crucial defining property might be that the performative clause is always the highest clause in any sentence. However, examples like (d) seem to be clear counter-examples to such a generalization:

(d) We regret that the company is forced by economic circumstances to hereby request you to tender your resignation at your earliest convenience

Proponents of the PH are forced by such examples either to entertain otherwise unmotivated rules of "performative clause lowering", or to claim that the illocutionary force of (d) is in fact assertoric, and only by pragmatic implication a request.

Further problems arise from the fact that many sentences seem to involve more than one illocutionary force. For example, (e) has a non-restrictive relative clause that is clearly assertoric in force despite being embedded within a question:

- (e) Does John, who could never learn elementary calculus, really intend to do a PhD in mathematics?

If every sentence has only one performative clause, it would seem to be necessary to derive (f) from an 'amalgamation' of two distinct derivations. Similar difficulties arise even with tag-questions like:

- (f) Wittgenstein was an Oxford philosopher, wasn't he?

where the tag carries a question force that modifies the assertoric force of the declarative clause. And even where we have one unitary syntactic clause in surface structure, in order to capture the intuitive illocutionary force we may have to hypothesize a conjunction of two underlying performative clauses. Thus (g) has been analyzed as having an underlying structure similar to (h) :

- (g) Why don't you become an astronaut?
- (h) I ask you why you don't become an astronaut and I suggest that you do

But clearly a better paraphrase would be:

(i) I ask you why you don't become an astronaut, and if you can think of no good reasons why not, I suggest that you do

Yet clearly (i) is not syntactically related to (g). There therefore seem to be distinct limits to the extent to which one can hope for illocutionary force to be mirrored in syntactic structure.

But perhaps the most important syntactic objections to the PH are the following. Firstly, it would require an otherwise atypical and unmotivated rule of performative deletion in the majority of cases (for all implicit performatives), and much more complex rules, again not independently motivated, to deal with cases like (d-g). Secondly, exactly the same reasoning that led to the positing of the performative clause in the first place leads to arguments that undermine it. For example, the same anaphoric arguments that were discussed above as motivation for the performative analysis, lead to the conclusion that there must in fact be a clause still higher than that, and so on and so on

conditioned. Even the facts about the adverbs that seem to modify implicit performatives, do not in fact support the PH (Boer & Lycan, 1978). For performative adverbs unfortunately turn up in syntactic locations that are not easily reconciled with the claim that they modify the highest (performative) clause (Mittwoch, 1977). Note, for example, the following possible locations for *frankly* :

- (j) It's because, frankly, I don't trust the Conservatives that I voted for Labour
- (k) I voted for Labour because I tell you frankly, I don't trust the Conservatives

There seem to be no independently required syntactic apparatus that can be held responsible for lowering these adverbs from their hypothetical location in the performative clause into the embedded clauses in which they in fact appear. In the case of (k), one might try to rescue the hypothesis by claiming that there are in fact two performative clauses and *frankly* modified the second, as in (l):

- (l) I tell you that I voted for Labour because I tell you frankly I don't trust the Conservatives

But that of course gets the semantics of the *because*-clause wrong : (l) asserts that I'm telling you something because I'm telling you something else, which is not the meaning of (k) at all. Finally, as we shall see when we come to talk of indirect speech acts, the syntactic mechanisms that are required to handle those phenomena are powerful enough to entirely replicate the effects of the PH without actually having performative clauses.

For all these reasons, and others, Antithesis cannot be considered an adequate theory of illocutionary force. It fails both on internal grounds, because it leads to semantic and syntactic incoherencies, and on external grounds because it fails to capture the basic intuitions that led to the theory of speech acts in the first place .The collapse of Antithesis would appear to leave Thesis unassailed, though not without its own problems. For of course it inherits in part the problems with the evaluation of performative adverbs, and is obliged to offer some pragmatic account of all the distributional phenomena that prompted the PH in the first place. No such account has been worked out in detail, and in general there has been surprisingly little recent thought on how the apparent pragmatic conditioning of syntactic facts should be accommodated within a general linguistic theory.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლევისონი 1978: Levinson, S. C. (1978). *Sociolinguistic Universals*. Unpublished paper. Department of Linguistics, University of Cambridge.
2. ლოუსი 1969: Lewis, D. (1969). *Convention*. Cambridge, Mass.: Harvard University Press.
3. ლიბერმანი 1973: Liberman, M. (1973). *Alternatives*. *Proceedings of the Ninth Regional Meeting of the Chicago Linguistic Society*, pp. 346-55
4. ლიჩი 1974: Leech, G. N (1974). *Semantics*. Harmondsworth: Penguin Books.
5. მიტჩელი 1975: Mitchell, T. F. (1975). *Principles of Firthian Linguistics*. London: Longman.
6. მორგანი 1977: Morgan, J. L. (1977). Observations on the pragmatics of metaphor. In Ortony (1979a:136-47).
7. მორისი 1946: Morris, C.W. (1946). *Signs. Language and Behavior*. Englewood Cliffs,NJ: Prentice Hall.

ეკატერინე თოფურია (ქუთაისი)

თეზისისა და ანტითეზისის პრობლემა

სატატია სათაურით „თეზისი და ანტითეზისი“ ეხება თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს პრაგმატიკას, კერძოდ სამეტყველო აქტთა თეორიას. ჯ. ოსტინის თეორიისა და ლოჯიკის პოზიტივიზმის კრიტიკიუმიდან გამომდინარე ნებისმიერი სამეტყველო აქტი შეიძლება განხილულ იქნას სიმართლემცდრობის პრინციპით. შესაბამისად არსებობს პირდაპირი და ირიბი სამეტყველო აქტები შესაბამისი მახასიათებელი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ოპერაციული სტრუქტურით.

აზრის ცვალებადობა თარგმანში

რას ნიშნავს აზრის ცვლებადობა ? პირველ რიგში იმას, რომ ერთ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული, ზოგჯერ საპირისპირო მნიშვნელობაც. აზრის ცვლებადობა განსხვავდება ორაზროვნებისაგან, რისი გათვალისწინებით გარეშე ინტერპრეტაცია ანუ თვით ტექსტის გაგების პროცესი შეიძლება ორაზროვანი გახდეს. სამაგყროდ, პოლისემანტურობა, ერთი და იმავე ტექსტის შიგნით მრავალი შესაძლებელი მნიშვნელობის არსებობას გულისხმობს. საკითხს აზრის შესახებ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ბევრი მეცნიერების კვლევის საგანია. ჩვენი მიზანია აზრის ცნება განვიხილოთ ტრადუქციოლოგიის პლანში, ამიტომ შევეცდებით პასუხი გავცეთ დასმულ კითხვას ტექსტის ლინგვისტიკის, სემანტიკისა და სემიოტიკის თვალსაზრისით, რომ გავიგოთ თუ როგორ ფუნქციონირებს ტექსტი, რა არის მისი მექანიზმები, სად გადის ზღვარი ტექსტის გაგებასა და კომუნიკაციას შორის, რათა განვსაზღვროთ თუ როგორ შეიძლება აისახოს აზრის ცვლებადობა თარგმნის პროცესსა და თარგმნის დეფინიციასზე, იმის გათვალისწინებით, რომ თავისი ცნებით თუ ფორმალური განსაზღვრებით, აზრი თარგმანის მამოძრავებელი ძალაა. მთლიანობაში ეს საკითხი ეყრდნობა სამ ძირითად ცნებას, რომელიც უმბერტო ეკომ თავის ნაშრომში «Les limites de l'interprétation» (ეკო 1992:73) გამოყო. ის გულისხმობს: მკითხველსა და ავტორს, ღია და დახურულ ტექსტს და განსხვავებას სამ ინტენციას შორის. ესენია: *intentio auctoris*, *intentio operis* და *intentio lectoris*.

აზრის ცვალებადობა და აზრის აგება. როგორ აგებს აზრს მოსაუბრე, ანუ რა არის *intentio auctoris* ? რისი ვადმოცემა სურს მას, რა სტარტეჯიას იყენებს მის მისაღწევად ? ამ ქმედების განხორციელება მხოლოდ მოსაუბრეზე არ არის დამოკიდებული. ის დამოკიდებულია ავტორზე კომუნიკაციისა და ენობრივი სისტემის ფუნქციონირების მეთოდზე. ამ ორ სფეროში შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორები გამოვლინდეს, რომლებიც აზრის ცვლებადობას იწვევს. ცნობილია, რომ ერთი სამეტყველო ჯგუფი არ შეიცავს აზრს, ის არ გამოიძინარეობს სიტყვების უბრალო დაჯგუფებისაგან. ის გამოიძინარეობს იმპლიციტური მნიშვნელობებისაგან, რომლებიც ჩვეულებრივ დისკურსს ახასიათებს. უმბერტო ეკომ მიიჩნია, რომ ტექსტი იმპლიციტური აზრის ქსოვილია (ეკო 1985 წწ). სხვაგვარად რომ ვთქვათ, აზრი შედგება იმპლიციტური ელემენტებისაგან. იმპლიციტური მნიშვნელობის წარმოქმნის მიზეზი სხვადასხვაგვარია. ლიტერატურულ ტექსტში საქმე შეიძლება ეხებოდეს ესიპეტიკურ მხარეს, რომელიც სიტყვის სტრუქტურას მართავს და გამოიხატავს მრავალსიტყვობას. ზოგჯერ მოსაუბრე, რომელმაც იცის, რომ მსმენელს მსგავსი ინფორმაცია გააჩნია ფიქრობს, რომ ზოგიერთი მონაცემის მითითება ზედმეტია. მეტყველების ეკონომიის პრინციპს იქამდე მიყვართ, რომ ყველაფერი რაც გამონათქვამის გაგებისათვისაა აუცილებელი, შეიძლება ნაგულისხმევი იყოს, განსაკუთრებით ექსტრალინგვისტიკური რეალობითა და მეტყველების აქტის სინტაქსით ჩანაცვლებით დროს. აზრის გასაგებად საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს გამონათქვამის ყველა ელემენტი. ინფორმაციის მიღებისას, თუკი იმპლიციტური მნიშვნელობა მოლოანად ან ნაწილობრივ არ არის გაიზარებული შესაძლებელია, რომ გაუგებრობამ იწინის თავი. არსებობს დისკურსის ისეთი ტიპები, რომლებშიც აზრი ბუნდოვანია. მაგალითად, პატარა მოყვლების ტექსტებში (ანდაზა, მაქსიმა) აზრი აღრეულია წარმოდგენილი სიტყვების მნიშვნელობებისაგან. იგივე შეიძლება ითქვას კანონებსა და იურიდიული ტიპის ტექსტებზეც, რომლებშიც კანონმდებლის სურვილი საკმაოდ ზოგადი ფორმულირებით გამოიხატება, რათა არ დაირღვეს გადაწყვეტილების საყოველთაო ბუნება. ლიტერატურული ტექსტის მუდმივობა მისი იზოტოპების კომპლექსური ბუნებიდან გამოიძინარეობს, რაც მისი მრავალჯერ წაითხვის საშუალებას იძლევა. ტექსტი შეიძლება იყოს ღია და დახურული. ეკო (ეკო 1985: 7) ახდენს ტექსტების კლასიფიკაციებს ორ დიდ კატეგორიად. ტექსტი დახურულია, თუკი ავტორის მიერ გათვალისწინებული ტექსტის წყობა მხოლოდ ერთი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ასე მაგალითად, რამე სახის ინსტრუქცია, სამსარეულოს რეცეპტი ან კონტრაქტი. ყველა მათგანი დისკურსის სახეობებია, რომლებშიც პრინციპში აზრის ცვლებადობა შესაძლებელია. სამაგიეროდ ტექსტი ღიაა, როდესაც მრავალმნიშვნელოვანია და იძლევა მრავალჯერადი წაითხვის შესაძლებლობას. დაწერილი ან უკატორი ტექსტი ავტონომიურია. ეკო საუბრობს *intentio operis*-ზე. ეს კი ტექსტის ის უნარია, რომელიც ავტორისაგან დამოკიდებულად არსებობს. ამ თვალსაზრისით თვალსაჩინო მაგალითია ლიტერატურული ტექსტი. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ტექსტი მისი სტრუქტურის დარღვევის გარეშე

ახალი ხედვის საშუალებას იძლევა. ყველაზე უკეთესად ასეთი შემოქმედება შეიძლება პოლიტიკურ ტექსტზე განხორციელდეს.

აზრის ცვალებადობა და აზრის გაგება. ტექსტი მკითხველმა უნდა გაიგოს. ეკოს (ეკო 1985: 66-7) თქმით, ტექსტი ზარბაზი მქაქანისშია, რომლის ამოქმედებას ვიღაცის დახმარება ესაჭიროება. *Intentio lectoris*, ეს მკითხველის წელია, რომელიც ტექსტის ფუნქციონირებასა და მისი მნიშვნელოვანი არის გამოყოფას ესმარება. ალბათ, ცვალებადი ერთეული, რომელიც ხელს უწყობს აზრის ცვალებადობას. ამას ორი მნიშვნელოვანი მოსესი აქვს. პირველი იქიდან გამომდინარეობს, რომ ტექსტის ინტერპრეტაციის დროს აზრის აღმსისას, მკითხველი ტექსტში საკუთარ პირველ თვისებებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ცოდნასა და იდეოლოგიას ასახავს. უმარავი ფაქტორი არსებობს, რომელიც ტექსტის ხედვას განაპირობებს და რომლის მნიშვნელოვან დაზოკედულია მკითხველის მიერ მის გაგებაზე ტექსტის თავისუფალი გამოყენების დროს მკითხველმა შეიძლება მოლიანად შეცვალოს ტექსტის თავდაპირველი აზრი. თითო სამეცნიერო ტექსტი, რომლის დანიშნულება თავიდანვე ცნობილი, არა დაიცული ასეთი ტიპის გადახრისაგან. მოხსენება მემკვიდრეობითი უჯრედების შესახებ, რომლებსაც ემბრონისაგან გამოყოფენ, განსხვავებულად იქნება აღქმული სხვადასხვა სპეციალობის მქონე ადამიანების მიერ. მეცნიერისათვის იგი სამედიცინო კვლევაში წინასწარ მოასწავლებს, მომღვარი აღწერილობა, ხოლო კბითი დადავებულისათვის კი იმდენს მიმცემია. ინტერპრეტაცია აუცილებლად სუბიექტური იქნება. როდესაც ტექსტს უფრო მიზანმიმართულად იხილავენ, პირი, რომელიც მის ინტერპრეტაციას ახდენს, ითვალისწინებს იმ ინფორმაციას, რომელიც მას გაანჩნია. ის, რაც ხსნის ერთი და იმავე ლიტერატურული ტექსტისადმი სხვადასხვა მიდგომას, არის *intentio operis* *intentio lectoris*-თან ერთად, რომელზეც უკეთესად გეჰონდა საუბარი. ამგვარად, ინფორმაციის მიღებისას, ინტერპრეტაცია სცილდება ნათქვამს. როდესაც სახელმწიფოს მეთაური ან სახელმწიფოს რომელიმე მოხელე აზრს გამოთქვამს, მისი ნათქვამი იმ წუთისვე უთითოთადამორიცხავი კომენტარების ობიექტი ხდება. თითოეული ახდენს თავისებურ შეფასებას. როგორი შინაარსის ტექსტიც არ უნდა ავიღოთ რელიგიური, ლიტერატურული, პოლიტიკური, გინდაც უბრალო დილომატიური დეჰემა, ყველა შემთხვევაში, ამგვარმა ქმედებმა შეიძლება დაწერილი ტექსტში აზრის გადაადგილება გამოიწვიოს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტის აზრი გამომდინარეობს სამი შემოხსენებული ინტენციის ურთიერთქმედებით და ინტერპრეტაციულ პროცესში აზრის ცვალებადობა მათი თანაბარი განაწილების შედეგია. ცვალებადობა მათ თავად აწონასწორებს მეტყველებისა და თქმატიკის თავისებურებიდან გამომდინარე.

აზრის ცვალებადობა და თარგმანი. დაუკავშიროთ აზრის ცვალებადობის პრობლემა პირდაპირ მთარგმნელობით საქმიანობას. გაუანაღოთ ალწერილი სიტუაციის მნიშვნელობა, განესაღდროთ მათ თავად თარგმანი ხომ არ არის აზრის ცვალებადობის მიზეზი. პირველი საკითხი ეხება მთარგმნელის იმ სუკროში შტვარს, რომელიც დაუარულია ორი ინტენციის *intentio auctoris* და *intentio operis*. რაც შეეხება *intentio lectoris*-ს, ანუ მკითხველის ტექსტში ჩართვას, ორი ფორმით როგორებიცაა სუბიექტურობა და კრიტიკული ხედვა, მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი, რადგანაც მთარგმნელს უფლება არა აქვს არც გამოანათქვამი შეცვალოს უნდა არც თავისი აზრი გამსაბატოს. მოსამსაღდებელ ფაზაში, მან განსახილველი საგნის სემატიკური შინაარსი და ბუნება უნდა შეაფასოს, რათა კრიტიკული ანაღოსის მეშვეობით სრულყოფილი ტექსტის აღქმა და ინტერპრეტაციის მეშვეობით ტექსტში ოპოუს დახმარება. ყველა შემთხვევაში, უნდა მოხდეს მთარგმნელისა და ავტორის შერწყმა, რადგანაც საქმე ეხება მიყრდნობის გარეშე ნათქვამის ინტერპრეტაციას. იგი არ უნდა დაემსგავსოს კრიტიკოსს. მთარგმნელი სანიშნუში მკითხველი უნდა გახდეს, რომელზეც გათვლილია ტექსტი. მთარგმნელის მიერ განხორციელებული კითხვის პროცესი, რომელიც გულისხმობს სოგად და ინტერპრეტაციულ მიდგომას, მიმართულია ტექსტში მოცემული ინტენციის საიდენტიფიკაციოდ და ის განსხვავდება ჩვეულებრივი კითხვისაგან, რომელიც ხან სუბიექტურია ხან კრიტიკული. ფრანსუა რასტიემ თავის ნაშრომში « *Sens et textualité* » (რასტიე 1989: 32) დაგვანახა, რომ აზრი მუდამ გაუგებარი რიფია. იგი შეიძლება სოგიერთი ელემენტის გათვალისწინებით უშეცდომოდ იქნეს გაგებელი. საქმარისია ჩვეულებრივი საუბარის დაუაყვირდეთ, რომ დაგვადგინოთ, სოგიერთი ნაკლოვანების მიუხედავად სისტემა ფუნქციონირებს ხან რომ ჩვენ სხვისი ნათქვამი გვესმის. თუკი ინფორმაცია ჩვენამდე დიდი დანაკარგების გარეშე აღწევს, ეს იმას ნიშნავს, რომ სოგიერთი ფაქტორი ამარტივებს მის გადაადგილებას. იმ საშუალებებს შორის, რომლებიც აზრის კონკრეტისაციას ახდენს, არსებობს ენის ფუნქციური სისტემა, რომელიც გამოყენებით ინდივიდუალურია, თუმცა სოციალური შეთანხმებიდან გამომდინარეობს. წარმოიქმნება მეტყველება და ამ მეტყველების სპეციფიკური სტრუქტურა. არსებობს უმარავი ენობრივი, სიტუაციური, დისკურსული ინტენციები, რომელთაც უნარი შესწევთ ხელს შეუშალონ აზრიდან გადაციდნას, რომლითაც ხდება ნათქვამისა და მოლოდინის ზღვარის განსაზღვრა. უმბერტო ეკო თავის ნაშრომში « *Les limites de l'Interpretation* » (ეკო 1992:130) წერს: « მას შემდეგ, რაც ტექსტი

შეიქმნება, შესაძლებელია მას ვათქმევინოთ უამრავი რამ, ზოგჯერ განუსაზღვრელად ბევრი, მაგრამ კრიტიკული თვალსაზრისით შეუძლებელია და გაუმართლებელი მას ვათქმევინოთ ის რასაც ის არ ამბობს. ზოგჯერ ტექსტი იმაზე მეტს ამბობს, ვიდრე ავტორს წარმოუდგენია, მაგრამ ნაკლებს, ვიდრე ბევრ თაყვანსაყვებელ მკითხველს სურს. » ინტერპრეტაცია დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ღიაა ტექსტი. ინტერპრეტაციის დროს ორიგინალის თვითმყოფლობა და კოპეზია უნდა იქნეს დაცული. რაც შეეხება მთარგმნელს, ავტორის გეგმის მიხედვით, ის ახდენს მხოლოდ იმის კონსტრუქციას, არის თუ არა ტექსტი ღია. იგი ცდილობს ამის დაცვას იმისათვის, რომ მისი თარგმანი სხვა კულტურაში გასაგები გახდეს. აზრი შეიძლება იყოს ორგანი. ერთი, რომელიც გამოიყოფა ავტორის ნათქვამიდან და რომელიც შეესაბამება *intention auctoris*-ს და *intention operis*-ს. მეორე, ფარული აზრი, რომელიც გათვლილია მკითხველზე, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ *intention lectoris*-ზე. პირველი აზრი მყარია, პირდაპირი, სიტყვასიტყვითი, რომელსაც ემატება ყველაზე ტრენდენციური ინტერპრეტაციაც კი. თარგმანში, ავტორის განზრახვა გადმოიცემა, ის აზრი, რომელიც შეიძლება ეკალიფიცირებულ იქნეს როგორც «სიტყვასიტყვითი». ამის შესახებ 1984 წელს დანიცა სელესკოვიჩი თავის სტატიაში წერდა «თარგმანი გამოყოფს იმას, რასაც თითოეული ხედება იმ სიტყვიდან, რომელიც მისკენაა მიმართული ანდა იმ ტექსტიდან, რომელიც მისთვისაა განკუთვნილი. ეს არის იმ სიტყვების ანდა ტექსტის აზრი, რომელსაც მთარგმნელი გარდაქმნის თავისი ეკლესიის საგნად, მას არც ენა, არც ავტორის გადაწყვეტილება აინტერესებს, არამედ ის, რასაც მისი ნათქვამი გადმოსცემს». (სელესკოვიჩი 1984 264) თარგმნის ინტერპრეტაციული თეორია მოითხოვს, რომ აზრის გაგებისას ენა სიტუაციასა და კონკრეტულ ცოდნას დაუკავშიროთ. მთარგმნელის მიერ აზრის გაგება უნდა მოხდეს რაციონალურად და არა სუბიექტურად. მართალია, თავიდან მთარგმნელი მკითხველად გვევლინება. იგი ტექსტს იხილავს თავისი გამოცდილების, ცოდნის, განათლების, ემოციურობის შესაბამისად. იგი ცხოვრობს ამა თუ იმ დროს და მიეკუთვნება რომელიმე სოციალურ ჯგუფს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ყველაფერმა ზუგაველენა უნდა მოახდინოს თარგმანზე, რადგანაც მთარგმნელმა სხვისი აზრები უნდა თარგმნოს. თუკი მთარგმნელის მისია აზრის აღდგენაა, ამის განხორციელება მას მხოლოდ ეკვივალენტური ფორმების მეშვეობით შეუძლია, რადგანაც ენები თავიანთი ბუნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ხელახალი ფორმულირების ნებისმიერი სტრატეგია ეფუძნება არჩევანის ცნებას. იმ შეთანხმებას, რომელიც არსებობს ორიგინალის მოთხოვნებსა და სხვა ენაზე მისი განხორციელების შესაძლებლობას შორის. სწორედ გამონათქვამით და არა აზრით ელინდება მთარგმნელის შემოქმედებითი უნარი. თუმცა, ამ თვალსაზრისით მთარგმნელი სრულიად თავისუფალი როდია, რადგანაც მან უნდა დაიცვას აზრსა და ფორმას, ცნებითსა და ემოციურს შორის არსებული მიმართებები. ისმის კითხვა: მთარგმნელობითი პროცესი თავად ხომ არ არის აზრის ცვალებადობის წარმოქმნელი? მრავალი მიზეზის გამო თარგმანი არ არის და არც შეიძლება იყოს ორიგინალის ზუსტი ასლი. თარგმანი, ნებისმიერი კითხვის პროცესის მსგავსად ინტერპრეტაციული პროცესია, რომელიც შეიძლება წარმატებით შესრულდეს თუკი მთარგმნელი იფარგლება ჩვენს მიერ ზემოთ განსაზღვრული არეალით. თვით შემოქმედებით პროცესში თარგმანი გონივრულ საქმიანობად რჩება, მაგრამ თუ წესებს არ დაიცავთ, თარგმანი აზრის ცვალებადობის მიზეზი გახდება, რამაც შეიძლება თავდაპირველი აზრი დაამახინჯოს, რაც უფრო იმ პროცესს შეაფერხებს, რომელმაც საბოლოო მიზნადვე უნდა მივიყვანოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკო 1985 Eco Umberto « Lector in fabula » Trad. M. Bouzaher. Paris :Grasset.
2. ეკო 1992 : Eco Umberto « Les limites de l'interprétation ». Trad. M. Bouzaher. Paris : Grasset.
3. რასტიე 1989 : Rastier, François. *Sens et Textualité*. Paris : Hachette.
4. სელესკოვიჩი...1984 : Selescovcich Danica. Lederer Marianne. Interpréter pour traduire. Paris: Didier Érudition.

ნანა სტამბოლიძე, ანზორ აბუსერიძე (ბათუმი)

ენა როგორც ისტორიული და სოციალური ფენომენი

ენა უმნიშვნელოვანესი ფენომენია, რომელიც პიროვნების, ადამიანთა სოციალური, ერისა და თეთი კაცობრიობის პირველად და სრულიად აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს. ენა, როგორც გახალისებთ დაკვირვებისა - ამბობს ილია ჭავჭავაძე, - ყველაზე უფრო შემოსილებული და ყველაზე ხანგრძლივი მოქმედა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგან უფრო - უფრო შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისა (ჭავჭავაძე 1987: 21) და ცივილიზაციის ეს ყველაზე ხანგრძლივი მოქმედი ყოველთვის განიცდის ცვლილებებს, თუმცა ისევ ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის ქვეყანაზედ რომელიმე ენა, რომ ჭკნებით ეველოს. ყველაისათვის ცნობილია, რომ ბევრი ათათასი წელიწადი გაივლიდა, ვიდრე ადამიანი ენას შექმნიდა სამეტყველო. ეს შემოქმედი ძალა მეტყველებისა უფროსაქლებად სწარმოებს მას შემდეგ, რაც ისტორიულ ხანაში დაიწყო ადამიანმა (იქვე: 74).

თუ როგორ იქმნებოდა პირველი სიტყვები, ამით ინტერესდებოდნენ ყველა დროის სწავლულები და მეცნიერები. ცნობილია, რომ დემოკრიტეს მეცნიერული ინტერესი ვრცელდებოდა ენის წარმოშობის პრობლემაზეც. ის და არისტოტელე თვლიდნენ, რომ ენა შეიქმნა შედეგად წარმოშობა, განსხვავებით შთაფარებასა და ეპიკურესაგან, რომელთა აზრით ენა საგანთა ბუნებრივადანა წარმოშობილი (კუკუა 1988: 168). პუმპოლდტის თანახმად, ენა არის ადამიანის სულში ბუნებრივად წარმართული პროცესი, რომლის დროს ბგერებისა და წარმოდგენების შეერთების გზით მიიღებიან სიტყვები, რომელთა დეტალური მნიშვნელობა წარმოადგენს ცნებას. ენის აღქმა უკიდურესი შესწავლისათვის აუცილებელია ადამიანის ცნობიერებასთან და აზროვნებასთან, კულტურისთან და სულიერ ცხოვრებასთან მისი მჭიდრო კავშირის გათვალისწინებასთან (გამყრელიძე 2003: 465).

გერმანული სიტყვის ისტორია იწყება ინდოგერმანიკული ენებიდან. ამ ოჯახში ერთიანდებიან ენები, რომელთა დეტალური მარაგიც მეტნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს. გერმანიკულ ენებში განსაკუთრებით დასავლეთ და სამხრეთ გერმანიკულში, აგრეთვე გოთურში არსებობდა ლათინურიდან და კელტურიდან სიტყვები, რაც იმას მოწმობს, რომ მაშინდელ პერიოდშიც არსებობდა ნახესხები სიტყვები.

იორგ მაიბაუერი გერმანული ენის ისტორიაში იმ კონტაქტურ სიტუაციებზე მიუთითებს, რომლის საშუალებითაც მოხდა გერმანულ ენაზე კელტური, ლათინური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ინგლისური და სლავური ენების ზეგავლენა (მაიბაუერი 2007: 329).

მე-7-11 სს. გერმანულ ენაში დამკვიდრდა ბევრი რელიგიური ტერმინი. ძველ ზემო გერმანულ პერიოდში საკირო იყო ამ სიტყვების კარგი ინტერპრეტაცია, რადგან მოგვიანებით გასაგები ყოფილიყო ისტორიული ენობრივი პროცესები. ეს ყველაფერი მოწმობს იმას, რომ მაშინდელ პერიოდში იყო ცდა იმისა, შექმნილიყო ხალხური ენა და შექმნილიყო აგრეთვე გერმანული დამწერლობა. ლათინური სიტყვების გადმოგერმანულება საფუძველი იყო იმისა, რომ მე-8 ს. შოიქინა გერმანულენოვანი ლიტერატურა. ეს არის ლათინური ტექსტების გლოსირება. ლათინური სიტყვების გადმოგერმანულების ნაყოფი მაგალითია ზოგიერთი გერმანული სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზი. მაგალითად, გერმანული სიტყვა *der Ahorn* ენათესავება ლათინურ *Acer*-ს. იგი წარმოიქმნა მეტაფორული გადართვის გზით (ფოთლების ფორმის შესაბამისად) ლათინურში ნიშნავს „მახვილი“, „ბასრი“ და აღეს თანამედროვე გერმანულში ფორმაშეცვლილი სახით გვევლინება. ჩვენში ინტერესს იწვევს მისი ქართული შესატყვისი „ნეკერხალი“, რომელიც ბაღებს გვებს მისი ლათინურიდან შესაძლო წარმოშობის შესახებ. ისმის კითხვა რა შესაძლო კონტაქტები შეიძლება ყოფილიყო ამ ტერიტორიაზედ არამეზოპოლურ ქვეყნებს შორის, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ქართულში ლათინური ძირის დამკვიდრება და მისი ქართული იერსახის მიცემა. ვარაუდობენ, რომ ისტორიულად ენაში ყველაზე მეტი ცვლილებები ფიქსირდება ჯვაროსნული ომების დროს ხალხთა ტომების შერევისას. ენა არაა უცვლელი სისტემა, ამიტომ ადვილი შესაძლებელია როგორც ახლა, ისე ადრეც სხვადასხვა ხალხისა და კულტურების კონტაქტებს ზეგავლენა მოეხდინა ერთმანეთის ენებზე. რასაც შეეძლო გამოეწვია სიტყვების ანალოგიური ფორმების წარმოშობის შესაძლებლობა, რაც ენაში ახალი სინტაქსური კონსტრუქციებით, სხვადასხვა კატეგორიების სიტყვის, ძირის, ფონემის, მორფემის შეყვლით გამოიხატება. ენის ისტორიულ ცვლადობას ხელს უწყობს სხვა ფაქტორებიც (მიგრაციები), რომლებიც განაპირობებენ ენების გავრცელებას მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში.

ენაში ხალხთა კონტაქტების შედეგად განვითარებული სიტყვებისა და შესაბამისად მნიშვნელობების ბევრ მაგალითს მოვიყვანო, თუ სიტყვის ეტიმოლოგიური კვლევის კვალს მივყევით. მაგალითად: გერმანული სიტყვა das Tuch (ტყუელ და საშუალო ზეოგერმანულში touch) სხვა ენის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ოთხკუთხა ნაკერი, რომელსაც გარკვეული მიზნისათვის იყენებენ. (viereckiges, gesamtes Stück Stoff, u.ä. für bestimmte Zwecke.) აღნიშნულ სიტყვას ჩვენ უნაკეშირთუვ ებრაული წარმოშობის სიტყვა-ბეთუხ(-)ს, იდიშის ენაზე Beutlich(-) sicher, ებრაულ ენაზე beutah-wohlhabend, vermögend, რაც შეესაბამება, ქონების მქონეს, მიღიარს ნიშნავს. მოტივაცია თითქოს დაკარგულია, მაგრამ ამოსავალი მნიშვნელობის მიღება შესაძლებელია, თუ დავაკვირდებით, რომ ნაკერი, ქსოვილი და მისგან განვითარებული კომპოზიტები: Taschentuch, Kopftuch (ცხვირსახოცი, თავსაფარი) და ა.შ. გარკვეულწილად ისტორიულად შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო ქონებრივ შესაძლებლობასთან. აქედან ქცევა, რომელსაც თანამედროვე გერმანულში იყენებენ „gut betucht sein“ (მდიდარი, შეძლებული). ჩვენ ებრაული წარმოშობის სიტყვისა და ძველ და საშუალო სემოგერმანულში არსებული სიტყვების კავშირმა ასოციაციურად მიგვანიშნა ქართულში არსებულ ქცევასთან „ფარნა-ატლასი შორთული“ (დბა-ატლასი შორთული), რაც ფუნქციური თვალსაზრისით გერმანული ქცევის იდენტურია, რადგანაც საკულისხმოა, რომ ნაკერი, შესაბამის და საერთოდ ქსოვილი ისტორიულად ალბათ საქართველოშიც გარკვეულწილად ქონებრივ შეძლებულობაზე და სიმდიდრეზე მიუთითებდა.

ენობრივი სისტემის ცვალებადობა დროში ნათლად ჩანს კონკრეტული ენის სხვადასხვა პერიოდის წერილობითი ძეგლების შედარებისას. ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკისათვის შესაბამის უძველეს წერილობითი ძეგლი შეიძლება ისევე გაუგებარი იყოს, როგორც რომელიმე სხვა ენის ნიმუში. საშუალო სემოგერმანული პერიოდის ტექსტის თარგმნისას სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ახსნით შევცდილია მთლიანობაში მისი შინაარსი თავისუფლად გავიგოთ, ხოლო ძველ სემოგერმანულის ტექსტების გაგება კი თითქმის შეუძლებელია. მე-14 სსს ტექსტის გაგების პრობლემაზე ლაპარაკობს იორგ მაიბაუერი (მაიბაუერი 2007: 3), როცა მას მაგალითისთვის ტოლმოლენშმიტელის ტექსტის ნაწყვეტი მოჰაყავს. რაც უფრო ძველია ტექსტი, მით უფრო მეორეობის მიხედვით გაგების შესაძლებელია. გარდა უამრავი ოროთგაფიული განსჯებისა პირველ ტექსტის შემთხვევაში მაიბაუერი ხაზს უსვამს სოფიურ სიტყვასა და სიტყვათა ფორმას, როგორიცაა geteuft gon, Kindertöffe an Götter, რომელიც თანამედროვე გერმანულში აღარ გამოიყენება. საკულისხმოა აგრეთვე, რომ სიტყვა Tauff-ტექსტში მამობითი სექსისაა (im Tauff), ხოლო თანამედროვე გერმანულში მღვდლობითი – (die Taufe). ძველი ტექსტების გაგება სხვა მხრივ იმტომ ძნელდება, რომ იქ გამოყენებული სიტყვები თუ სიტყვათა ფორმები დღევანდელი გერმანულისთვის უცნობია, ამის საპირისპიროდ კი არსებობს ბევრი სიტყვა, რომლებიც ბოლო დროს შეიქმნა და ისინი ასეთივე გაუგებარი იქნებოდა შუა სემო გერმანულზე მოლაპარაკეთათვის. მაიბაუერს მოჰყავს ორი სიტყვა: Elchtest და Hendy, რომლებიც (ყოველ შემთხვევაში ამ მნიშვნელობებით) ძველ ლექსიკონებში არ აღინიშნებან.

ხშირად ძველ ტექსტებში შეგხვდება ჩვენთვის ნაცნობი სიტყვები, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ისინი დღეს სხვა მნიშვნელობის მატარებლებია, ყიდრე ეს ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე იყო. ამის თვალსაჩინო მაგალითია სიტყვა „Arbeit“. რომელსაც ძველ სემოგერმანულში და საშუალო სემოგერმანულში სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ყიდრე თანამედროვე გერმანულში აქვს. მაიბაუერს მოჰყავს მაგალითები შუტცციხის ძველი სემოგერმანული ლექსიკონებიდან და იმორწმებს ფრიტცვაც (შუტციხიხელი 1989; ფრიტცი 1998). აღნიშნულ ლექსიკონებში „Arbeit“ ის მნიშვნელობაა „Drangsal“, „Unglück“, „Mühe“, „Mühsal“, „Last“, „Anstrengung“. Arbeit-ის მნიშვნელობაზე მიუთითებს აგრეთვე შიპანი (შიპანი 1992: 259). „Arbeit“, საშუალო სემოგერმანულში arebeit, ფიზიკური შრომა, ტანჯვა, გაჭირვება, როგორც ის გამოყენებულია ნიბელუნგებში: von helden lobebæren, von grôzer arebeit. ამ სიტყვამ დაკარგა მისი ნეგატიური მნიშვნელობა ლუთერთან, რომელიც ფიზიკურ შრომას ადამიანის ღირსებად თვლიდა და რომელსაც მუშაობა ადამიანის ზნეობრივ მოწოდებად მიანდა. ასევე ძველ მნიშვნელობასა და ახალ მნიშვნელობას შორის გამიჯვნის თვალსაჩინო მაგალითია ზმინზედა seir. ძველ სემოგერმანულში seiro, საშუალო სემოგერმანულში seir-მნიშვნელობით „schmerzlich“ (მტკივნეული). მე-13 ს-დან იგი უკვე ინტენსიურობის მამულებელია, და თანამედროვე გერმანულში დამკვიდრდა სწორედ ამ მნიშვნელობით seir-(ძალიან). საკულისხმოა, რომ ეს საერთო გერმანიული სიტყვა ძველი მნიშვნელობით შენარჩუნებულია თანამედროვე ინგლისურში „sore“ (მტკივნეული) და „sore“ (ფრიად, ძალიან).

ნებისმიერი ენის ლექსიკა მუდმივად განიცდის სიტყვის გამოყენების გადაწვეას და მასთან დაკავშირებული მნიშვნელობის ცვლილებას ადრე თუ გვიან ლექსების ჩანაცვლებას იწვევს.

ბგერითი და ხემანტიკური მსგავსების შედეგად გამოწვეული ლექსემური ჩანაცვლების მაგალითად შეიძლება დავახსოვოთ ძველი ინგლისური სიტყვა *lehren* (სწავლება), რომლის ხშირი გამოყენება მე-13 საუკუნიდან თანდათან უკან იწევს და ბოლოს საერთოდ ქრება ენიდან. ამის მნიშვნელოვანი საფუძველი შეიქმნა ძველი ინგლისური *learnian* ახალი ინგლისურ *learn* (სწავლა)-სთან არევა, რომელმაც მე-13ს. აგრეთვე *lehren* (სწავლება)-ის მნიშვნელობაც მიიღო. იგი დიალექტებში და ვულგარულ მეტყველებაში დღესაც გამოიყენება (მსგავსად გერმანულისა *ich lerne dir schwimmen*). სალიტერატურო ინგლისურში კი მნიშვნელობა *lehren* (სწავლება) *teach*-ით შეიცვალა.

აღნიშნული სიტყვა ისევ აგრძელებს მნიშვნელობის გადაწყვის ტენდენციას. გერმანელები თვლიან, რომ ინგლისური *learn* თანამედროვე გერმანულში „რალაციის გაგების“-ის კონოტაციით უფრო გამოიყენება, ვიდრე „სწავლისა“.

სოგჯერ სიტყვის მნიშვნელობის ცვლასთან ერთად იცვლება მისი გრამატიკული სტრუქტურა. ამის მაჩვენებელია გერმანული ნაცვალსახელების ანალიზი. ახალ ზემოგერმანულში გვაქვს ნაცვალსახელის ორი სხვადასხვა სახე: უკუქცევითი ნაცვალსახელი და პირის ნაცვალსახელი. პირველს ეყუენბთ, როცა ნაცვალსახელი და ის სიტყვა, რომელსაც ნაცვალსახელი ეხება, ერთსა და იმავე წინადადებაში გუგუდება. მაგალითად, *Der Politiker hat wieder einmal nur sich/ihn geholfen*. მეორეს, პირიქით, ეყუენბთ მაშინ, როცა ნაცვალსახელი და სიტყვა, რომელსაც ნაცვალსახელი ეხება, არ არიან ერთსა და იმავე წინადადებაში. *Der Politiker beteuert, dass das Geld nicht für sich / ihn bestimmt war*. საშუალო ზემოგერმანულში გექნოდა სახელდობრ უკუქცევითი ნაცვალსახელიც. მაგალითად *so si sich erkennen beide*. ეს უკუქცევითი ნაცვალსახელი სი შემდეგ მოგვევლინა თანამედროვე გერმანულში. საშუალო ზემოგერმანულში იგი მხოლოდ *Akkusativ*-ში გამოიყენებოდა (მაგალითები აღებულია გრომებიდან). *Dativ*-ის თვის ჯერ კიდევ არ არსებობდა უკუქცევითი ნაცვალსახელი. საშუალო ზემოგერმანულის ჩითხეულს პირის ნაცვალსახელები (*im / ihm, ir / ihr*) მაშინაც უნდა გამოეყენებინა, როცა ნაცვალსახელი და ის სიტყვა, რომელსაც ის ეხებოდა, ერთსა და იმავე წინადადებაში გამოიყოფნენ. მაგალითად:

1. *andern hat er geholfen und kann, im selber nicht helfen.*
2. *.....daz si ir selber hat bereit kumet, not und arebeit.*

კონტრასტში დამატებ სიტყვა *selber* იმის მისანიშნებლად, რომ პირის ნაცვალსახელი და სიტყვა, რომელსაც ის ეხება, ერთსა და იმავე წინადადებაში გამოიან. ასე წარმოიქმნა ინგლისურში ცნობილი უკუქცევითი ნაცვალსახელები: *herself, himself, itself* გერმანულში კი პირიქით, ნაცვალსახელი *sich* მცემით (*Dativ*) ბრუნეაშიც დანეთარდა.

ცვლილებები შეიშინევა ილიომრატის დრწესეც. ილიომა დაიმატებს სიტყვას, შეიცვლება სტრუქტურა და მთლიანობაში გამონათქვამი ღებულობს ახალ კონოტაციას. მაგალითად გერმანულში არსებობს ილიმატური გამონათქვამი *auf den Hund kommen* რომელსაც ქართულში აქვს შესატყვისები, „დაღალახავდება, დაბნეიდება, ხელს გადაყვება და ა.შ.“ ინტერნეტში მსოულობთ სტატიას სათაური *kommt die deutsche Sprache auf den englischen Hund?* რომელიც ეხება მსოულობიში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ანგლიციზმების ჭარბი დობით შემოჭრის ტენდენციას, რაც მსოფლიოში ამერიკის დომინანტური პოლიტიკისა გამოწვეული.

ეს კოლექტიუმი დამკვიდრებული სავალდებულო კავშირების, წესების ერთობლიობას წარმოადგენს. იგი სოციალური ყენომენია (გამყერელიუ, 2007: 27). ენის ყველაზე მნიშვნელოვანი მისანი საზოგადოებაში მისი საკომუნიკაციო მომსახურების ფუნქციოში გამოიხატება. საზოგადოება კი არ არის მომყენური, არამედ დაყოფილია მრავალმხრივად. საქმე ეხება საცხოვრებელ ადგილს, სოციალურ სტატუსს, საზოგადოების იმ გარკვეულ უენას, რომელსაც აღამიანი ეკუთვნის, პიროვნების განათლებას და პროყენისას, სარწმუნოებას და სქესს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საზოგადოების ყველა წევრი ერთნირად არ მეტყველებს და ერთნაირ სამეტყველო ნორმებს არ იყენებს საუბრისას. არც ერთი ადამიანი არ მეტყველებს ისე, როგორც მეორე და უფრო მეტიც. არც ერთი ჯგუფი ადამიანებისა არ საუბრობს ერთმანეთთან აბსოლუტური სისუსტით, როგორც მეორე. საუბრისას ზოგიერთი იყენებს ვარიანტს, მთოუმეტეს გარმანულ ენაში, რომელიც სხვადასხვა ვარიანტს მოიცავს. ვარიანტს, ანუ ენის სახეობის ქვეშ იგულისხმება უპირველეს ყოვლისა, ძირითადი ენის საერთო თვისებათა ერთობლიობა, რომელიც საზოგადოების გარკვეული ჯგუფის მიერ გამოიყენება, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, შესაბამისად განასხვავებენ, რეგიონალურ ვარიანტებს, ანუ დიალექტებს (მას სხვაგვარად რეგიონალურ სწავლებენ). გარკვეული თონიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელ ვარიანტს უწოდებენ ენოლოქტს, ხოლო სოციალური ჯგუფის მიერ გამოიყენებულ ენის ვარიანტს – სოციოლექტს. ენის ვარიანტად შეიძლება ჩათვალოს აგრეთვე პროყენისული საქმიანობის ამსახველი ტერმინები, მაგალითად, მეცნიერების, ტექნიკის და ა.შ.

ენის სალიტერატურო ვარიანტს, რომელშიც როგორც სოციო, ასევე რეგიოლექტი იგულისხმება, იყენებს სასოციალოგოების მადალი ფენა, სახელმწიფო დაწესებულებები, პარლამენტი, სასამართლო, მასმედია. იგი ასევე გაელენას ახდენს ლექსიოლოგიის, სინტაქსისა და მორფოლოგიის სფეროზე, ხეხა ენაში ბგერებს.

ცვლილებები ენაში აისახება აგრეთვე მისი განსხვავებული ვარიანტების დომინირებით.

ენაში გამოიწვევა ცვლილებებს განასაზღვრავს როგორც ბიოლოგიური და არეალური ფაქტორები, ისე სოციალური ფაქტორები. თ. გამყრელიძე ამგვარ ცვლილებათა ერთ-ერთ შესაძლებელ ფაქტორად ბავშვის ენას, ბავშვის მეტყველების თავისებურებას მიიჩნევს: „როდესაც ბავშვი თითქოს მშობლიურ ენას, მისი მეტყველების ყველა ასპექტში მუდმივად ინებს თავს ნორმულად ოდნავ შესამჩნევი გადახრები. ენობრივი კონტაქტების გაფართოებასთან ერთად ბავშვი სულ უფრო და უფრო აწყდება განსხვავებებს სხვადასხვა პირის მეტყველებაში. ეს განსხვავებები ენობრივი კოლექტივის სოციალური და რეგიონალური არაერთგვაროვნებით არის გამოწვეული. ბავშვის მეტყველებაზე გაელენას ახდენს თანატოლთა სამეტყველო ჩვევა; ყოველივე ამის გამო მომდევნო თაობის მეტყველებაც ოდნავ შორდება წინა თაობის მეტყველებას (გამყრელიძე, 2003:523).

ენაში ცვლილებები ფიქსირდება სხვადასხვა თაობის მიერ მისი გამოყენებისას, ერთ ენაზე მოსაუბრე სხვადასხვა თაობებში, მათ ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში, ახალგაზრდა თაობა გარკვეულწილად თითქოს იზნორირებას უკეთებს უფროსი თაობის ლექსიკას. ისინი იყენებენ ისეთ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა სწორად მათთვისაც გაუგებარია. უფროს თაობას უშეტყვად ესტუმრებათი (ახალგაზრდების), მაგრამ მსგავს სიტყვებსა და გამონათქვამებს თითონ არ იყენებენ საუბარში.

სტატისტური მონაცემების თანახმად სიტყვა „Entschuldigung“-ს აქტიურად იყენებენ, როგორც უფროსები, ისე ახალგაზრდები, მაშინ როცა Verzeihung ფიქსირდება როგორც პასიურად გამოყენებადი მოპოდიუმების ფორმა. საგულისხმოა, რომ გარდაპალი, ცვალებადი სიტუაციები იძლევა ენაში ცვლილებების მოხდენის შესაძლებლობას. დროთა განმავლობაში „Verzeihung“- კარგავს თავის აქტუალობას, მის ნაცვლად კი იყენებენ ანგლიციზმს-sorry, თუმცა ყოველთვის სიტუაციის შესაბამისად და შინაარსთან მორგებულად როდესაც ხდება მისი გამოყენება. პირები, sorry უოკაჯერ მცდარი კონოტაციით იხმარება, რადგან იგი აღნიშნავს არა უშუალოდ „Entschuldigung“, არამედ „bedauere“(ეწუხება).

სიტყვა „angemein“-პასიურად გამოიყენება ორივე თაობაში höchlichst კი საერთოდ გამჭარალაია სალაპარაკო ენიდან.

ახალგაზრდების ენას აშკარად გამოიკვეთილი სამეტყველო და დამწერლობითი სახე აქვს, რომელიც ემსახურება არა მარტო ახალგაზრდების ენის გამოყენას უფროსი თაობისაგან, არამედ ერთი ახალგაზრდული ჯგუფის მეორესაგან სოციალურ გამოყენასაც და თქვან გამომნიშნარე საკუთარი, ჯგუფისათვის დამახასიათებელი იდენტურობის შექმნა-ჩამოყალიბებას.ამიტომ, რომ ახალგაზრდების ენაში ხდება სხვადასხვა სუბვარიანტების იდენტიფიკაცია იმის მიხედვით, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ის. ასეთი სუბვარიანტების შესახებ აღნიშნავს პეტერ შლობინსკი, როცა ის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების, ახაკის, პროფესიული დაჯგუფების და გარკვეული გატაცების მქონე ახალგაზრდების სამეტყველო ნორმებზე დაკვირვების ნიმუშებს გეთავაზობს, სადაც გამოიკვეთილია მათ მიერ სწორად გამოყენებადი სამეტყველო ნიუანსები. მაგალითად: ბგერები: dong, ratatazong, ოში; ანგლიციზმები love, magic stickers; ილიობატიკა/სიტყვა-თქმანი: er darf die Kiste anpfeifen, Schwein oder nicht Schwein;

ინტენსიურ-პიპერბოლური გამონათქვამები: echt voll fetter drauf; აღიტირაციები: flippen floppen flappen; ჯგუფისთვის სპეციფიკური ლექსიკა: stüppern; კომუნიკაციური ნაწილაკები: ey, ok. და სხვ. (შლობინსკი 1993:43-45)

ახალგაზრდების ენის ვარიანტები ფიქსირდება ენის სისტემისა და ენის გამოყენების ყველა დონეზე:ლექსიკაში, სიტყვათწარმოების, ფრაზოლოგიაში, სინტაქსურ წყობასა თუ დისკურსში. ახალგაზრდულ სიტყვათა ველს ეკუთვნის ზმნები, ორბლები ზმნავს სემანტიკურად „გამოლაპარაკებას“ (ansprechen)-anmachen, angraben, anbaggern, andröhen, „anlabern, ankniipen. ადვილად მისახვედრია, რომ აქაც გარკვეული სიტყვათწარმოების ხერხი an +ზმნა გამოიყენება.

აქტიურია სიტყვათწარმოების მოვლეი-er(ei): Ablsterei, Abripperei, Laberei, Klugscheißerei, Prollerei, ხოლო მყარ გამონათქვამებად ჩამოყალიბდნენ სუფსართავი სახელისა და არსებითი სახელისაგან წარმოებული გარკვეული სახის სიტყვებები: fetter Sound, geile Mucke, cooler Schlitten, korrekter Preis, arrogantes Arschloch.

ბევრი გამოთქმა, რომელიც სტანდარტულ ენაში არსებითი სახელის ფორმით გამოიყენება, ახალგაზრდების ენაში უფლექსიო ხელსართავებს წარმოადგენენ; მაგალითად: du hast völlig panne argumentiert ან weil sie nicht so scheiße abgehoben rüberkommen.

მიუხედავად მრავალმხრივი მცდელობისა, როულია ახალგაზრდების ენის ზუსტი აღწერა და მისი სტანდარტული ენიდან ზუსტი გამოიყვანა. ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ახალგაზრდა არ საუბრობს ე. წ. ახალგაზრდების ენაზე და თუ საუბრობს, იგი მას ეველა კომუნიკაციურ სიტუაციაში არ იყენებს (მაგალითად მღვდელთან ან პოლიციელთან საუბრისას). მთავარი კი ის არის, რომ ახალგაზრდების ენა ძალიან სწრაფად განიცდის ცვლილებებს, რის გამოც იგი წარმოადგენს ენის ცვალებადობის ზოგადი კლასის საინტერესო ობიექტს.

ენაში ცვლილებები, როგორც ადრინდელ, სპონტანურად არ შეიძლება. ეს არის ხანგრძლივი პროცესი. ენაში სიტყვის აღიარებას, დამკვიდრებას და გამოყენებას ათასობით წლები სჭირდება. და მაინც რატომ იცვლებიან ენები? რამ გამოიწვია იგი? როდის მოხდა ენობრივი ცვლილებები და რა მიმართულებით წავიდა ის? უპირველეს ყოვლისა უნდა გათვალისწინოთ, რომ კაცობრიობის განვითარება, ჩამოყალიბება და მისი ადგილის დამკვიდრება დამოკიდებულია დროის ფაქტორზე, რომ ისინი დროსთან ერთად იცვლებიან, რომ უცვლელი არაფერი რჩება და მასთან ერთად ბუნებრივია ენაც.

ენობრივი ცვლილებების მიზეზებზე პირველად პასუხის გაცემას ამერიკელი ლინგვისტი უილიამ ლაბოვი შეუცადა (ლაბოვი 1976-1978: 277) მან პირველი ენობრივი ცვლილებები დაუკავშირა ენის ვარიაციას. იგი ამბობდა, რომ ენისათვის დამახასიათებელია ვარიაციის მომენტი, რადგანაც ერთ ენაზე მალაპარაკე ადამიანების არტიკულაცია ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ისინი ერთსა და იმავე სიტუაციაში ერთნაირად არ საუბრობენ. იყენებენ სხვადასხვა სიტყვებსა და გამონათქვამებს. ლაბოვიმ არტიკულაციის ვარიანტები დაუკავშირა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას. სადაც ეკონომიური მდგომარეობა, ასაკი და სქესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. განსაზღვრული სოციალური ფენების იდენტიფიკაციით ვარიანტები ინარჩუნებენ ე.წ. „არქსტივს“, რომელიც არ განისაზღვრება საზოგადოების მხოლოდ მაღალი ფენითა და წლოვა-ნებით.

მოგვიანებით ლაბოვის თეორია განავრცო ენათმეცნიერმა კელერმა (კელერი 1990 : 79) მისთვის (კელერისთვის) ენა არ არის ბუნებრივი ფენომენი, რომელიც შეუცნობი ძალების ზეგავლენით იცვლება. მისთვის ენა არც სოციალური ინსტიტუტია, რომელსაც მოსაუბრე თვითნებურად ცვლის. ანა იცვლება, ამბობს იგი, მოსაუბრის მიერ მისი არამოზანმიმართულად გამოყენებისას.

ენის ცვლის პროცესს მართავს შესაბამის დონეზე მოლაპარაკე ადამიანი სხვებთან წარმატებული კომუნიკაციის დროს. ამისთვის, ამბობს კელერი, საჭიროა ერთმანეთთან მიმართებაში დამპყრდეს ბალანსი. კერძოდ, მოსაუბრის გამოხატვის ფორმა მსმენელისთვის მაქსიმალურად გასაგები უნდა იყოს, რის გამოც მან უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ენობრივი ფორმები, რომელიც მკვეთრად არ უნდა ემოჯენობდეს ენაში არსებულ დღევანდელ წესებს. მეორე მხრივ, იგი უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე ენობრივ მოთხოვნებს, იყოს ორიგინალური, შეიცავდეს ენაში შემოსულ გარკვეულ სიახლეებს, რათა ნათქვამი იქცეოდეს მსმენელის ყურადღებას. კელერის აზრით, ასეთი სიახლეები ენაში შესაძლოა ყოფილიყო ენის ცვლის მიზეზი.

ამრიგად, თაობიდან მომდევნო თაობამდე ენა განიცდის ცოტაოდენ, ზოგჯერ კი უფრო დიდი დონით ცვლილებებს, რომელთაც დროთა განმავლობაში იმ დონემდე მიყვავართ, რომ მშობლიური ენა უცხო ენად გვესახება. ეს ცვლილებები ექსტრალინგვისტური ფაქტორებით და გარკვეულ-წილად შიდალინგვისტური ფაქტორებით ახსნება, რასაც ჩვენს მიერ წარმოდგენილი მაგალითები ცხადყოფს.

იმისათვის, რომ ენის ცვლის საკითხი დავადგინოთ, არაა აუცილებელი ენის განვითარების ადრეული ეტაპების ტექსტები მოვიშვილიოთ. ზოგჯერ უფროსი თაობის წარმომადგენლებთან საუბარი და ახალგაზრდების სამეტყველო ნორმებთან მათი შედარება საფუძველს გვაძლევს ოდნავი ცვლილებები მაინც დაეადგინოთ.

კონკრეტული ენის ცვლა, გარკვეული ენობრივი ცვლილებები ისევ და ისევ დამოკიდებულია გარკვეულწილად ენის მატარებელზე, თუ რამდენად ჩაკეთოდ, ხატოვნად და გასაგებად გადმოსცემს იგი სათქმელს, იყენებს თუ არა ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში შემოსულ ახალ ნიუანსებსა და ენობრივ ფორმებს, თუნდაც ანგლისციზმებს.

და ბოლოს, ენობრივი ცვლილებები არასდროს იქნება ერთფეროვანი და ერთმნიშვნელოვანი, როცა მთქმელის მეტყველება, არტიკულაცია იქცევა მსმენელის გარკვეულ ყურადღებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე 2003: გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი.
2. დოზე 1989: Dausen August. Grundbegriffe der Lexsemantik. Franz Steiner Verlag. Wiesbaden GmbH. Stuttgart.
3. დუდენი 2006: Duden. Deutsches Universalwörterbuch Mannheim-Leipzig-Wien-Zürich.
4. კელერი 2003: Keller Rudi und Kirschbaum Ilja. Bedeutungswandel. Eine Einführung. Walter de Gruyter. Berlin. New-York.
5. კელერი 1990: Keller Rudi : Sprachwandel: von der unsichtbaren Hand in der Sprache. Tübingen: Francke (=UTB 1567). (Keller Rudi (1982): Zur Theorie des sprachlichen Wandels. In: Zeitschrift für germanistische Linguistik. 10.1-27).
6. კუკავა 1988: კუკავა თამარ. ბერძნული ფილოსოფიის ისტორია. „განათლება“ თბილისი.
7. ლაბოვი 1976-1978: Labov William (1976-1978): Sprache im sozialem Kontext-Beschreibung und Erklärung — und sozialer Bedeutung von Sprachvariation I/II (hrsg. von Dittmar Norbert. Rieck Bezt-o). Kronberg (sriptor)/Ksl/MET/GRU.).
8. მაიბაუერი 2007: Meibauer Jörg. Einführung in die germanistische linguistik. J.B. Metzler. Stuttgart-Weimar.
9. რუმერი 2005: Römer Christine. Matzke Brigitte. lexikologie des Deutschen. Eine Einführung. Gunter Narr Verlag. Tübingen.
10. შიპანი 1992: Schippan Thea. 1992. "Lexikologie der deutschen Gegenwartssprache." Max Niemeyer Verlag. Tübingen.
11. შლობინსკი 1993: Schlobinski Peter, Kahl Gaby, Ludewigt Irmgard: Jugendsprache. Westdeutscher Verlag. GmbH. Opladen.
12. ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ილია. პუბლიცისტური წერილები. ტ. IV. გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.
13. ჰუმბოლტი 1946: Humbolt Wilhelm von 1820. 1946 Über das vergleichende Sprachstudien in Beziehung auf die verschiedenen Epochen der Sprachentwicklung. Aufsatz. Gelesen am 29. Juni 1820 in der Berliner Akademie. Nachdruck: Leipzig.

Nana Stambolishvili, Anzor Abuseridze (Batumi)

Language as Historical and Social Phenomenon

Research of the language is always actual. It is the truest witness of the history of the civilisation and always undergoes changes. Changeability of the language system in time is clearly seen when comparing manuscripts of different periods of the concrete language.

For this or other speaker the corresponding old manuscripts may be as unclear as the example from any other language.

There are a lot of words that have been recently coined and they also might not be understandable for middlehigh German speaker.

In Old High and Middle High German texts there are known words but nowadays they are used in different meanings than during the early period of the development of the German language.

Language is a social phenomenon. Changes in the Language are defined by historical and social factors. The changes of the concrete language depened on the bearer of the language, these changes will never be homogeneous and similar, if he uses in everyday conversation the nuances and forms of the language even anglicisms when the speech of the speaker, articulation attracts attention of the listener.

ფონაბიჯარი სიმბოლიზმის საპიტიხისათვის

სემიოტიკის ფუძემდებელი ფ. დე სოსიური ენობრივი ნიშნის ძირითად თავისებურებად თვლიდა იმას, რომ სახეობით არ არსებობდა შესაბამისობა მის ფორმასა და მნიშვნელობას შორის. "კავშირი, რომელიც აერთიანებს მსახლერელს სახლურელთან ნებისმიერად, ანუ ენობრივი ნიშნის ნებისმიერად" (სოსიური 1933:79). ეს დებულება აღიარებულია თანამედროვე ლინგვისტიკაში, ხოლო სემიოტიკაში კი აქსიომად არის მიჩნეული. მაგრამ სემიოტიკის პრობლემათა თანამედროვე ფილოსოფიურ გააზრებას მიყვავართ ნიშნის შინაარსსა და ფორმას შორის შესაბამისობის არსებობასაც. ამ მხრივ საინტერესოა ებასინის აზრი, რომელიც თვლიდა, რომ ნიშნის ნებისმიერობის პრინციპი მტკაფიოსიყურია და მისი გადაღასვის ერთ-ერთი გზა ბგერითი სიმბოლიკის თეორიაშია (ბასინი 1973:28). ენის მიმართ იგივე აზრს გამოთქვამს ა.სპირკინი: "წყნარობის ამკამად უაზრობის წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ხდება ამა თუ იმ საგნის დასახელება ამ სიტყვით და არა სხვა სიტყვით. ჩვენ აქ არ ვისყავლისწინებთ დასახელებულსა და დამსახელებულს შორის მიმართებაში აუცილებლად კავშირს. მაგრამ ამასთან სიტყვების ეტიმოლოგიური ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ საგნების დასახელებას, როგორც წესი, საეკბით მრტიეოიუული ხასიათი აქვს" (სპირკინი1957:27). მართალია, ნიშნის ფორმის შესაბამისობის შესაძლებლობას მის შინაარსთან აღიარებენ ძირითადად იმ ენობრივი ნიშნებისათვის, რომლების ფორმირების ადრეულ საფეხურზე იმყოფებიან. მაშინ როცა "ისტორიული განვითარების პროცესში, ნიშნის მიღმა განსაზღვრული მნიშვნელობის განმტკიცების ფარგლებში, ნიშანთა მსგავსების თვისებები აღსანიშნ საგნებთან დებულობდნენ სულ უფრო სქემატურ, სიმბოლურ ხასიათს" (რუხნიკიეი 1964:101). ამ აზრს შეილდება დაეთანხმით, რადგან ენებზე სპეციალური დავიერებები, რომლებიც განვითარების ადრეულ საფეხურზე არიან, გეინვენებენ, რომ მათში კავშირი ბგერასა და მნიშვნელობას შორის საქმიად გამტკეირვალეა. მაგრამ არალუიკიური იქნება, თუ ჩავთვლით, რომ ეს შესაბამისობანი ენის განვითარებასთან ერთად სრულად ქრება. რასაკვირველია, ნიშანთა რაოდენობა და მათი მნიშვნელობების სირთულე განვითარების შედეგად იზრდება, მაგრამ ენა მინც ცდილობს გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც ამარტიეებს დამახსოვრებას და გაგებას. გარდა ამისა, განვითარებად ენაში მოქმედებენ სხვადასხვა შინაგანი კანონები და ტენდენციები, რომლებიც იწვევენ შინაარსისა და ფორმის სხვადასხვა მიმართებებს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ცნობიერების თანამედვერულად აბსტრატიერების უნარის მაღალი დონე საშუალებას იძლევა შეექმნათ ნებისმიერი კავშირი შინაარსსა და ფორმას შორის, თუკი ასეთი კავშირები საჭიროა. მაგრამ მინც ნიშანთა სისტემის სფეროში, მათ შორის განვითარებულ ენაში, მოქმედებს ნიშნის ფორმის განპირობებულობის, მოტიეირების ტენდენცია შინაარსით, მხოლოდ მისი გამოელება აქ სპეციფიკურია და ნაკლებად შესამჩნეეი.

ნებისმიერ ნიშანთა სისტემაში შეილდება აღმოქანიროთ როგორც მოტიეირებული, ასევე ნებისმიერი ნიშნები და გარდა ამისა, ყოველი ცალკეული ნიშნისათვის მოტიეაციის ხარისხი შეილდება სხვადასხვა იყოს. მოტიეაციის ტენდენციის გამოვლენება ატარებს არა აბსოლუტურ, არამედ აღბათობით ხასიათს, და მისი რელიოსაციის აღბათობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო ფართოა ნიშანთა სისტემის ყუნციეონირება. ხელსაყრელ პირობებში მოტიეაციის ტენდენცია იწვევს აუცილებლად შინაარსისა და ფორმის შესაბამისობას, რაც ქმნის ნიშნის ფუნციეონებისათვის იპტიმალურ შესაძლებლობებს (ფურაველიეი 1974:111).

რაც შეეება ენობრივი ნიშანთა სისტემას, იგი მთელი რიგი მახასიათებლებით არსებითად განსხვავდება სხვა სისტემისაგან: 1) ენა - ეს არის თეთთგანვითარებადი სისტემა. ენობრივი ნიშანთა შინაარსი და ფორმა გენეტიკურად ერთდროულად იქმნება და შესაძლებლობები წინასწარი შერევისა აქ არ არის, როგორც სხვა ნიშანთა სისტემებში. ენათა ისტორია მოწმობს იმაზე, რომ განვითარების დასაწყისში ენებში განსაკუთრებით მიღებულად შეიმჩნევა ხმაბაპიეობი და ხატბაპიეობი ელემენტები, ანუ ენობრივი ნიშანთა ფონეტიკური მოტიეირების ელემენტები. აშკარაა, რომ თეთ ენობრივი ნიშნის წარმოქმნის პროცესი საჭიროებს რაღაც კატალიოსატორის ან რვეულატორის არსებობას, რომელიც გულისხმობს ურთიერთშესატყევისობის მოთხოვნას შინაარსსა და ფორმას შორის. 2) ენა - ეს არის რთული იერარქიული სისტემა, რომელშიც მოქმედებს ფუნციეონირებისა და განვითარების მრავალრიცხოვანი შინაგანი კანონი. ეს კანონები არ უნდა აფერხებდეს მოტიეაციის ტენდენციას. 3) ენის ნიშანთა ფიოსიკურ მასალას აქვს თვადპირეულად სპენითი ხასიათი, მაგრამ ცნობიერებაში განმტკიცებული წარმოდგენები "ბგერითი" რელიების

შესახებ მოიცავენ არა მარტო მსჯელობით, არამედ სმენთ ხატს, და ამიტომ ბგერის აღქმამ შეიძლება წარმოშვას ცნობიერებაში შესაბამისი მხედველობითი ხატი და პირიქით. უკვე ეს მოსაზრება გულმხმობის, რომ ნიშნის ბგერით ფორმას შეუძლია შესარულოს გამომსახველობით როლი და ამდენად შეიძლება შეფარდებოდეს შინაარსს. თავისთავად ფონეტიკური მოტივაციის ფაქტი არ იქნებოდა საინტერესო, რომ მხოლოდ სიტყვებს შეხებოდა, რომლებიც ასახელებენ ბგერას ან ბაძავენ მას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შესაბამისობა სიტყვის მნიშვნელობას და იმ ბგერით ფორმას შორის, რომელიც ეყვარება ბგერის უნარს გამოიწვიოს არაბგერითი წარმოდგენები. ეს უნარი აიხსნება ჩაჩუქილობის სტატიადი მყოფი ადამიანის ცხოვრებაში საგნებისა და მოვლენების პირველადი როლით, რომლებიც, რომელზედაც კავშირებული იყო სხვადასხვა ბგერებთან: მაგ., ჭეკე-ქუსილი, ამონთხეული ეულკანის ბგერინა, ქარისხლის ზუსუნი, გველის სისინი, მტაცებელ ნადირთა ღრიალი უძველესად ქმნიდა უარყოფით შეფასებას დაბალი, შიშინა ბგერების მიმართ, და პირიქით, მაღალი, სუყთა, მელიდორი ბგერები თან ახლდა უსაფრთხო მოვლენებს: ჩიტების გაღობას, ნაკადულად ჩუხჩუხს და ამდენად იძენდა დადებით შეფასებას. სხვადასხვა ადამიანთა ცნობიერებაში განმარტებული შეფასებები შეიძლება გადაინიღი ყოფილიყო სწვა ნებისმიერ ბგერებზე, რომ ეს მართლაც ასეა, მტიკცება თუნდაც მუსიკის არსებობით, რომლის შინაარსს წარმოადგენს „ბგერითი ფორმის ნიშნავობა“, ანუ ბგერების სიმბოლური მნიშვნელობა. ფონეტიკური მნიშვნელობის, ანუ ე.წ. ფონეტიკური სიმბოლოზის იდეა დიდი ხანია წარმოშვა მნიშვნელობასა და სიტყვის ელვარაობას შორის „ბუნებრივი“ კავშირის ძიების შედეგად. სიტყვის ამ მხარეებს შორის ზოგიერთი შესაბამისობა შესაძლებელი მოუთხოვდა ჯერ კიდევ ქლატონი. იგი ესებდა შესაბამისობას სიტყვის მნიშვნელობასა და ფორმას შორის და ფორმის აღქმისას ითვალისწინებდა მსგავსების გარკვეულ ნიშნებს საგნისაგან მიღებული შთაბეჭდილებით. ამჟამად არსებობს რამდენიმე მიმართულება ბგერითი სიმბოლიზმის თეორიაში. ექსპერიმენტულ მიმართულებას მისდევენ ამერიკელი ფსიქოლოგები და ფსიქოლინგვისტები. გერმანელი მეცნიერები კი ამუშავენ ფონეტიკური მნიშვნელობის თეორიას ენათა შედარებით-შეპირისპირებით ანალისის მონაცემების საფუძველზე ეთნოგრაფიის ფაქტების გამოყენებით, აგრძელებენ რა გერმანულ რომანტიკოსთა ტრადიციებს. უკანასკნელ დროს კი გერმანულ ენათმეცნიერებაში დაიწყო ბგერითი სიმბოლიზმის შესწავლა ფსიქოლინგვისტური პოსიციებიდან. თუ ამერიკულ მიმართულებაში ბგერითი სიმბოლიზმის ფენომენი განიხილება ვნის მატარებელთა ენობრივი რეაქციის ფარგლებში და მიიწვევა ფსიქოლოგიურ მოვლეს, რომელსაც გაჩანია სინესთეტიკური საფუძველი, გერმანულ მიმართულებაში ბგერითი ფორმის შინაარსიანობა მიიწვევა ფონეტიკურ მნიშვნელობად, ანუ სემანტიკურ მოვლენად (ერტლე 196920). გერმანული მეცნიერების თვლიან, რომ მნიშვნელობა აქეთ არა მარტო სიტყვებს და წინადადებაებს, არამედ მეტყველების ცალკეულ ბგერებსაც (კრონასერი 195223). არსებობს ორი თვალსაზრისი მეტყველების ბგერების სიმბოლიზმის წარმოშობის მიხედვით შესახებ. ერთ-ერთმა მათგანმა მიიღო სახელწოდება პირველადი ბგერითი სიმბოლიზმი და იმაში მდგომარეობს, რომ ბგერების სიმბოლიკა ითვლება პირველადი ცნებითი მნიშვნელობის მიმართ, რომ იგი წარმოშვა ბუნების ბგერების გაუგებნი. ამ თვალსაზრისის იზიარებდა ბგერითი სიმბოლიზმის იდეის მომხრეთა უმრავლესობა დაწყებული პლატონისა და თანამედროვე მეცნიერებით დამთავრებული. ბოლო დროს გაჩნდა მეორე თვალსაზრისი, ეს არის მეორადი ბგერითი სიმბოლიზმის პირობება. ამ პირობების მიმდევრები თვლიან, რომ მეორადი სიმბოლიზმი წარმოიშევა მოლაპარაკეთა სწრაფის შედეგად „აღმოჩინოს კორელაცია სიტყვის ელვარაობას, რომელიც ეთარებად ფონეტიკური კანონების შესაბამისად, და ამ სიტყვის მნიშვნელობას შორის და ამდენად ნაწილობრივ აღმოფხვრას კავშირის თვითნებობა სიტყვის ელვარაობა და მნიშვნელობას შორის“ (კაინცი 196045), სხვა სიტყვებით, თანახმად მეორე თვალსაზრისისა, ბგერების სიმბოლიკა არის ანარეკლი, რომელიც სიტყვის ცნებით მნიშვნელობას ადგენს თავის ბგერით ფორმაში. თუკი შემთხვევით აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი ბგერა გვხვდა რამდენიმე მსგავსი სემანტიკის მქონე სიტყვებში, მაშინ ამ სემანტიკის პროექცია ხდება განზოგადოებული სახით მოცემულ ბგერაში და ახლა უკვე ბგერა, ცალკე აღებულიც კი, იწვევს ქვეცნობიერ ასოციაციებს, რომლებიც დაკავშირებული ამ სიტყვების სემანტიკასთან. რასაკვირვებელია, არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ცნებითი მნიშვნელობა საყსებით და ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს ელვარაობას. საქმე ეხება მხოლოდ ბგერით კომპლექსში გარკვეული მიზნელობის ეელის არსებობას, რომელიც ადგილებს ამ კომპლექსის მიღმა ერთი მნიშვნელობის განმტიკცებას და ანელებს მის კავშირს ცნებითი მნიშვნელობის სხვა ტიპებთან. მაგ., ბგერითი კომპლექსით, რომელიც აღქმება სასამოვნოდ, სასყებით შესაბეღელია, რომ აღნიშნულ იქნას რაღაც სასამოვნო. უხეში ბგერები უფრო შეეყვება რაიმე უხეშის, მიიმებს აღნიშვნას, ვიდრე ნაზის, მსუბუქისა, თუმცა სხვა მიხედვით მოქმედებამ შეიძლება სხვა კავშირებიც გამოიწვიოს. ამგვარად, მოტივირების პრობლემა მგვიდროდაა დაკავშირებული სიმბოლიკური მნიშვნელობის პრობლემასთან ენაში.

სიმბოლოცა გააჩნია ენობრივ ფორმას ფართო გავებით. ხშირად ლაპარაკობენ ინტონაციისა და მეტყველების რიტმის შინაარსიანობის შესახებ, განსაკუთრებით პოეტურ ენაში. არ არის გამორიცხული, რომ შინაარსიანი იყოს თვით სინტაქსურ კონსტრუქციითა სტრუქტურა, ანუ შესაძლებელია მიმართებათა სიმბოლოზაცია მათ ელემენტებს შორის. როგორც ცნობილია, ხმოვანი ბგერები და სონორი თანხმოვნები სასიამოვნო ელერადობით გამოირჩევა, ამიტომაც პოეტურ ენაში ისეთ სიტყვებს ანიჭებენ უპირატესობას, სადაც მათი სიჭარბეა. ასევე ერთ-უფეშინიერი თანხმოვნებიც სასიამოვნო ასოციაციებს იწვევენ, რის გამოც სიტყვები, რომლებშიც მსგავსი თანხმოვნები გვხვდება, პოეტურ ენაში უპირატესობით სარგებლობენ, მაგ., *zart, zärtlich, Hauch, Luft, Liebe, lieblich, niedlich*. ისეთ სიტყვებს კი, სადაც მულერი და მჭახე ბგერებია, პოეტური ენა გაურბის ან შესაბამისად მაშინ იყენებს, როცა არასასიამოვნო ქმედებები: ხმაური, უხეში მოვლენები, ყურისწამლები გარე სამყარო უნდა დახატოს, მაგ., *Motor, Getöse, explodieren, Donner, bremsen, Traktor*.

გერმანულ ენაში არის მთელი რიგი სიტყვებისა, რომლებიც სასიამოვნო ელერადობით გამოირჩევა, ესენია სიუვარულისა და კარგი განწყობის გამომხატველი სიტყვები: *lieblich, friedlich, zärtlich, Minne, freundlich*, ცოცხალი ბუნების მივლენების აღწინშეწელი სიტყვები: *Wiesen, Blumen, Vögel, Wälder, Duft, Sonnenschein, Mondlicht, sanfte Winternächte*.

სინტაქსური კონსტრუქციების სტრუქტურასაც გარკვეული შინაარსი გააჩნია. ამის ნათელი მაგალითია ასინდეტონისა და პოლისინდეტონის გამოყენება პოეზიაში. ასინდეტონი ეს არის ცალკეული სიტყვების, სიტყვათა ჯგუფების ან ცალკეული წინადადებების დაკავშირება უკავშიროდ. იგი გამოიხატავს არასამანარო შინაგან მოპარობას, შინაგან სიმკაცრეს, კავშირების ნაცვლად გვაქვს პაუსები, ხმა მალაღ ტონალობაში რჩება. ასინდეტონს იყენებენ აგრეთვე სხვადასხვა ხდომილებათა ეროდროულად მიმდინარეობის პროცესის დასახატავად ან ქოსური სურათის უკეთ გადმოცემის მიზნით:

*Der Damm zerschmilzt, das Feld erbraust,
Die Fluten wühlen, die Fläche saust,
Der Damm verschwindet, die Welle braust,
Eine Meereswooge, sie schwankt und saust. (Goethe "Johanna Sebus")*

აქ გვაქვს ბგერისა და შინაარსის შესაბამისობის თვალსაჩინო მაგალითი. სინტაქსური სტრუქტურა გვეხმარება შესაბამისი ასოციაციის სტქმნაში. პოლისინდეტონი-ეს არის ჭარბი კავშირებით უმეურესად ერთი და იგივე/ სიტყვების, სიტყვათა ჯგუფების და წინადადებების დაკავშირება. იგი გამოირჩევა ემოციურობით და სტრუქტურული დინამიკით, გამოიყენება თანაბარ-რიტმული მოძრაობის გადმოსაცემად, რომელიც მიუხედავად მისი ტემპისა, თავის თავშია ჩაკეტილი. იგი ანიჭებს მეტყველებას სასიამოვნო-ამაღლებულ ტონს, გარკვეულ ქმედით სიმშვიდეს. ხშირად მას იყენებენ განმეორებადობის ან დაუსრულებელი ციკლური ქმედების აღსანიშნავად. იგი სტილისტურ ეფექტს აღწევს იმ მხრივ, რომ განმეორებადი კავშირები აღნიშნავს დისტანციას ჩამოთვლილ ცნებებს შორის:

*Und du ackerst und du säst,
Und du niestest und du nähst,
Und du hämmerst und du spinnst-
Sag' o Volk, was du gewinnst!
(Georg Herwegh "Bundeslied").*

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ თუკი მოტივაციის ტენდენცია რეალიზდება ფონეტიკური მნიშვნელობის ხასით, მაშინ შედეგში დგინდება საერთო შესაბამისობა მნიშვნელობასა და ელერადობას შორის. მაგრამ ამ შესაბამისობის ფარგლებში რჩება ნებისმიერი არჩევანის ფართო სივრცე. მაგ., ბგერითი კომპლექსი "Lilie" მოუხდება რაიმე "ნაოს" აღნიშვნას, მაგრამ არჩევანი, თუ რომელ "ნაოს" რეალიზ შეიძლება დაეტყვას ეს სახელი ნებისმიერია. ამ ვაგებით ენობრივი ნიშანი მოტივირებულიც არის და ნებისმიერიც. აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო ზედმიწევნით შესწავლას მოითხოვს, რადგან ნიშნის ნებისმიერობის პრინციპის პრიორიტეტზე უარის თქმა მოითხოვს თანამედროვე სემიოტიკისა და ლინგვისტიკის მრავალი ფუნდამენტური მისასრების გადახედვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასინი 1973: ბასინი ევგენი "ხელოვნების სემანტიკური ფილოსოფია". კრიტიკული ანალიზი მოსკოვ: პროსვეტშიენის გამომცემლობა.
2. ბასინი 1973: Басин Евгений «Семантическая философия искусства. Критический анализ. Москва: Просвещение.
3. ერტელი 1969: ერტელი ზიგფრიდი. „ ფსიქოფონეტიკა“. გიოტინგენის გამომცემლობა ერტელი 1969: Ertel Siegfried. Psychophonetik. Göttingen.
4. კაინცი 1960: კაინცი ფრანცი „ ენის ფსიქოლოგია“. შტუტგარტის გამომცემლობა კაინცი 1960: Kainz Franz „ Psychologie der Sprache“. Stuttgart.
5. კრონასერი 1952: კრონასერი ჯაინცი. „სემასიოლოგიის სახელმძღვანელო“. პაიდელბურგის გამომცემლობა.
6. კრონასერი 1952: Kronasser Heinz „Handbuch der Semasiologie“. Heidelberg.
7. ჟურავლიოვი 1974: ჟურავლიოვი ალექსანდრე "ფონეტიკური მნიშვნელობა"ლენინგრადის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. ჟურავლიოვი 1974: Журавлев Александр. «Фонетическое значение». Ленинград: ЛГУ.
9. რეზნიკოვი 1964: რეზნიკოვი ლეონიდი "სემოტიკის გნოსეოლოგიური საკითხები". ლენინგრადის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
10. რეზნიკოვი 1964: Резников Леонид « Гносеологические вопросы семиотики» Ленинград: ЛГУ.
11. სოსიური 1983: სოსიური ფერდინანდი. „ზოგადი ლინგვისტიკის კურსი“. მოსკოვის გამომცემლობა ნუკა.
12. სოსიური 1983: Соссюр Фердинанд. «Курс общей лингвистики». Москва: Наука.
13. სპირკინი 1957: სპირკინი ალექსანდრე. "ენის წარმოშობა და მისი როლი აზროვნების ფორმირებაში". მოსკოვ: პროსვეტშიენის გამომცემლობა.
14. სპირკინი 1957: Спиркин Александр «Происхождение языка и его роль в формировании мышления». Москва: Просвещение.

Marina Jashi (Tbilisi)

Issues of Phonetic Symbolism

Ferdinand de Saussure, the "father" of semiotics, considered that the main characteristic of a linguistic sign consisted in complete absence of connection between the sign and its meaning. Relations, which connect the signifier to the signified, i.e. the linguistic sign may be of any type. This concept has long been recognized in the modern linguistics and in semiotics it is considered as an axiom. But the current philosophical comprehension of problems of semiotics leads us to the existence of correspondence between the form and content of the sign. One of the ways of preventing the principle of the arbitrariness of the sign lays in the theory of sound symbolism. The idea of phonetic signification, i.e. phonetic/sound symbolism has long been originated as a result of searching the "natural" connection between sound signification and word phonation. Even Plato specified certain correspondence between these aspects of the word. Currently there exist several directions towards the sound symbolism. The experimental direction is followed by American psychologists and psycholinguists. And German scientists develop the theory of phonetic signification on the basis of comparative-contrastive analysis of data of languages through usage of ethnographic facts.

In the language there are two viewpoints on the causes of originating the sound symbolism. One of them is known under the name of primary sound symbolism, according to which sound symbols are considered to be primary with respect to the conceptual signification and which originated under the influence of nature sounds. Recently, the hypothesis of symbolism of secondary sounds has emerged as result of speakers' desire for revealing correlation between the word phonation and signification of this word, i.e. in compliance with the second viewpoint, the sound symbolism represents the reflection, which reveals the conceptual signification of the word in its sound form. The issue of motivation is closely connected with the issue of symbolic signification in language. Symbols are typical to the language form in the broad sense. That is why one often speaks of the pithiness of intonation and rhythm of speech, as well as that of syntactical structures in poetical language. If a motivation tendency is realized through phonetic signification is established, but the wide space of arbitrary choice remains within the frames of this correspondence. In this context a language sign is both motivated and arbitrary as well.

ენობრივი მოვლენები (ანდაზები და აფორიზმები)
 უნივერსალურ გამონათქვამთა სისტემაში

ანდაზა ადამიანთა განვითარებული საზოგადოების პროდუქტია. მისი წარმოშობა და ჩამოყალიბება კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში ერთ-ერთ პროგრესულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. ანაზადაში ხომ მთელი სამყაროს სიბრძნეა გაერთიანებული. მცირე ნაწილი ანდაზებისა წარმოიშვა არა პირდაპირ ხალხის აზროვნების შედეგად, არამედ უკვე არსებულ იგაე-არაკთა, ხალხური სიმღერების, ანეკდოტებისა თუ ზღაპრების რომელიმე ფრაზისაგან. ანდაზა შეიძლება დაბადებულიყო აგრეთვე უბრალო გლეხურ მეტყველებაში, ფილოსოფოსთა ერუდიტულ კამათში, ბრძენი მოხუცების საუბრებსა თუ შეყვარებული რაინდების ცეცხლოვან ფრანგებში, გაქნილი მაგანკლების ლაქლაქსა და მოფუსფუსე დიასახლისების აზროვნებაში. შემდეგ ცხოვრება არჩევდა ამ ანდაზათაგან ყველაზე კარგად გართმულს, საუკეთესოს, გონიერულსა და მეტად მარტივს. დაწინებულ კი დაუწყევლავს ეძლეოდა.

ზოგიერთის ანდაზა სხვა არაფერია, თუ არა წმინდა ხალხური „vox populi“ ანუ „ხმა ერისა“; ზოგის აზრით, ანდაზა მხოლოდ ფოლკლორისათვის წარმოადგენს რაღაც ფასეულობას. ანდაზა ენის, აზროვნებისა და ხელოვნების მოვლენაა. ისევე როგორც ნებისმიერი გამონათქვამი, ანდაზაც ჯერ ადამიანის აზროვნებაში ჩნდება, შემდეგ საარტიკულაციო აპარატის მეშვეობით გამოითქმის, ანუ ენაში მატერიალიზდება, საბოლოოდ კი ფილოლოგი ხედება, სადაც ნებისმიერი ავტორის მიერ ის შეიძლება მხატვრულ ლიტერატურაში იქნას გამოყენებული.

რუსი პარემიოლოგის პერშიაკოვის აზრით, ანდაზა და სხვა ფრანული ტექსტი, ერთი მხრივ, არის ენობრივი მოვლენა; მეორე მხრივ – რაღაც ლოგიკური ერთეული; მესამეც, მხატვრული მინიატურა. ესე იგი პერშიაკოვი ეთანხმება მოსაზრებას ანდაზის ტრიქტომიული ბუნების შესახებ. რუსი მათემატიკოსი ლევინი ასევე ამტკიცებს, რომ ანდაზა გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებია და მას ესთეტიკური ღირებულება აქვს. იგი აღნიშნავს, რომ ანდაზის ხმარებისას ერთობლივად რეალიზდება რამდენიმე სემანტიკური ფენა, რაც პირდაპირ კავშირშია „აზრსა“ და „ენასთან“. გარდა იმისა, რომ ანდაზა აზროვნებისა და ენის საფეხურების გაყვლის შემდეგ ლიტერატურაში რეალიზდება, იგი ფორმითა და შინაარსით თავად წარმოადგენს მინი-ლიტერატურულ ნაწარმოებს და სწორედ ამიტომ, ანდაზა არის ხელოვნების მოვლენა. პარემიის ტრიქტომიული ბუნება ბუნდისხმობს ამ სამივე თვისების ერთობლობას, მაგრამ აქაც ენის როლი უპირველესია.

უნივერსალურ გამონათქვამებს გააჩნიათ უკიდურესად ფართო სემანტიკა, მათ არა აქვთ რეალობასთან უშუალო კავშირი, გადადიან რა „წმინდა იდეის“ სფეროში. მათ არ გააჩნიათ ფაქტოლოგიური ინფორმაცია რეალურ სინამდვილეზე და გადმოსცემენ ზოგიერთ განყენებულ იდეას რეალური საგნებისა და მოვლენების შესახებ ტიპიზირებული გენერალიზაციის (მეტყველების მომენტში) საშუალებით, რომელიც დაფუძნებულია ერთობლივ ინდივიდუალურ და ზოგადსაკაცობრიო პრაქტიკულ და თეორიულ გამოცდილებაზე. მაგალითად: „წიგნი დევს მაგიდაზე“ და „წიგნი ცოდნის წყაროა“. ჯერ კიდევ ზეპირი ენობრივი კონტაქტების დროიდან, კაცობრიობის წინაშე გაჩნდა აზრის სხვა ენაზე გადატანის ურთულესი პრობლემა, რომელიც დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში.

უნივერსალური გამონათქვამები ახდენენ ცხოვრებისეული მოვლენების ტიპიზირებას, აძლევენ მათ არადროით და ყოველისმომცვეელ ხასიათს, არ შეიცავენ ზუსტ მარჩენებელს ამა თუ იმ მოქმედების ადგილსა და დროზე, მთელ ინფორმაციას აქვს აბსტრაქტული ხასიათი. უნივერსალურ გამონათქვამებს მიაკუთვნებენ აფორიზმს, ანდაზას, ანდაზურ თქმას, ტრუიზმს, გრეგერიას (სხარტი სიტყვა), პარადოქსს.

მეტყველებაში უნივერსალური გამონათქვამები გავრთიანებულია შინაარსით, რომელიც აიგება ლოგიკური „ზოგადი მსჯელობის“ საფუძველზე. მაგალითად: „ყველა ადამიანი მოკვდავია“. უნივერსალური გამონათქვამები ასრულებენ სპეციფურ ფუნქციას – იძლევიან აზრის ნათლად და მოკლედ გამოთქმის საშუალებას, მოვლენის, სიტუაციის, ადამიანის დამოკიდებულების სხარტ და მოკლე დახასიათებას, შესანიშნავი ლიტერატურული ფორმით საკუთარი გრძნობების გადმოცემას.

ანდაზის თქმას თავისი დრო და ადგილი აქვს, ანუ იგი იხმარება მხოლოდ სიტუაციის მიხედვით. პერშიაკოვის აზრით, თუკი აფორიზმები წარმოადგენს მხოლოდ რაიმე საგნის ნიშანს, ანდაზები – სიტუაციის ნიშნებია. ინგლისელი პარემიოლოგი ნ. ბარლი ანდაზის გამოცანასთან შედარებისას მიუთითებს, რომ გამოცანა ორიენტირებულია მხოლოდ თავის საკუთარ კონტექსტზე, მაშინ როცა, ანდაზის ატქუალიზაცია უკავშირდება კონკრეტულ სიტუაციას.

უნგრელი პარემიოლოგის ფ. ფოტიტის აზრით, ანდაზის მნიშვნელობა კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია მთქმელის მიერ მოცემული სიტუაციის გაგებაზე და ამდენად, შესწავლის ძირითადი ობიექტი უნდა იყოს წარმოდგენა ანდაზაზე და არა – თვით ანდაზა.

ამერიკელი პარემიოლოგის ჰ. ჯეისონის აზრით, ანდაზის თემა ჩვეულებრივ რაღაც კონკრეტული სიტუაციის აღწერა კი არა, არამედ, რაღაც წარმოსახვითი შემთხვევაა. ასეთი შემთხვევა „მაღლა დგას“ კონკრეტულ კონტექსტზე და ამიტომ, ბევრ მათგანს მიესადაგება. ანდაზის გამოყენებისას მთქმელი ასდენს ამ თემის ინტერპრეტაციას მოცემული სიტუაციისათვის.

ანდაზას სხვა პარემიებიც ბევრი თვისებით გავს, მაგრამ მათი ერთმანეთისაგან გარჩევა მაინც შესაძლებელია. ყველაზე რთულია ანდაზური თქმისა და ანდაზის გამოჩენა. ე.დალის აზრით, ანდაზური თქმა არის გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამი უბრალო ქართვა, გამოხატვის საშუალება, მხოლოდ ობიექტობის, განსჯის, დასკვნის გარეშე; იგი ანდაზის პირველი ნახევარია და ნათქვამს ბოლომდე არ ამოერთებს. ანდაზური თქმა ფართოდ და ხშირად გამოყენებადი გამოთქმა და შეტყულებული კონსტრუქციაა, რომელიც სახეობრივად განსაზღვრავს რომელიმე საგანს ან მოვლენას. ესაა შემოვლითი განსჯა რასმე ან ვისმე შესახებ. იგი ყოველთვის ატარებს მთქმელის მიერ თქმულის შინაარსის მიმართ დამოკიდებულებას (ანიკინი; მიტროფანოვა 1994:16).

ანდაზური თქმა ანდაზის ჩინაზისა, იგი შეიძლება მოწიფდეს და გახდეს ანდაზა. აქედან გამომდინარე, თუკი იღვევებთ, რომ ანდაზა მხატვრული აზროვნების პირველადი შედეგია, სიტყვის მასალა კი – მეორადი, და მისი არსებობა ანდაზის არსებობით არის შეპირობებული (ზანდუკელი 2002:7), მაშინ სიტყვის მასალა ანდაზური თქმა ვერ იქნება. ხოლო, თუკი ანდაზური თქმა „არის სხარტად ნათქვამი ფრაზა, გარკვეული დობო ანალოგიის შემცველიც, მაგრამ ამ გამოხატულებას აკლია ანდაზის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი – განზოგადების უნარი“ (ლევანო 2001:25) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ანდაზურ თქმას ანდაზისაგან გამოარჩევს სწორედ განზოგადების უნარის უქონლობა. მაგალითისთვის მოვიყვანოთ რუსულ ანდაზურ თქმებს: „*Насильно мил не будешь*“; „*Мать да дочь – темная сошь*“ და ა.შ.

რაც შეეხება სხვა პარემიებს, მათი განსხვავება ანდაზისაგან უფრო თვალშისაცემია. მაგალითად, აფორიზმს არ გააჩნია გადატანითი აზრი, იგი პირდაპირ გაიგება; გამოცანას კი ყოველთვის აქვს აშკარად თუ ფარულად გამოხატული შეკითხვა; მასქმისა და სენტენციას არ ახასიათებს ანდაზის უპირველესი თვისება – ალგორიულობა; ადვილი გამოსარჩევია იდიომიც, რადგან მას არა აქვს წინადადების ფორმა.

ანდაზები მრავალმხრივ შესწავლილია. მათი ლიტერატურული და ისტორიული შესწავლის გვერდის ალის შემდეგ, პარემიოლოგებმა დაიწყეს ანდაზების შინაარსობრივ-სემანტიკური, სტრუქტურული, ფუნქციური და სხვა თვალსაზრისით კვლევა. ამერიკელი პარემიოლოგის ა. დანდისის აზრით, ანდაზა ყველაზე კარგად განიზარტება სტრუქტურულ ტერმინებში, რაც აგრეთვე ფასეულია მთლიანობაში ფოლკლორის სტრუქტურული ანალიზისთვისაც. ცნობილია, რომ ანდაზათ სტრუქტურული ანალიზის მცდელობა მეცნიერებაში ადრეც იყო. XX საუკუნის შუა წლებში მ. კიმმერლე ანდაზათა „ზედაპირული სტრუქტურა“ გაანალიზებდა ცდილობდა. ნ. ხომსკის შემოტანილი ტერმინთა – „სიღრმისეული სტრუქტურა“, „ზედაპირული სტრუქტურა“ გამოყენება თავისი არსით მიესადაგება ფროიდისეულ დაპირისპირებას „ცნობიერისა და არაცნობიერისა“ და იუნგისეულ „არქეტის“. იგივე შეიძლება ითქვას ლევი-სტროსის ცდაზე, გამოეყო პარადიმატული სტრუქტურა, რომელიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა სინტაგმატურ სტრუქტურებს.

ა. დანდისის სთავაზობს პარემიოლოგებს მოქებნონ რაიმე მოვლენა ანდაზის ზოგადი საფუძელისათვის, ისევე, როგორც აარნე-ტომპსონის ზღაპრულ ტიპებს დაედო პრობის ერთი სინტაგმატური მოდელი, ხოლო სამხრეთამერიკელი ინდიელების მითებს ლევი-სტროსოს პარადიმატული მოდელი. ფინელი პარემიოლოგი მატი კუუსი ანდაზას განიხილავდა სამი თვალსაზრისით: ა) ძირითადი იღვა; ბ) აგებულება; გ) კონსტრუქციული ბირთვი. ამერიკელი აბრაჰამისი ანდაზებს წარმოადგენდა, როგორც

სელაპარაკო-სამრეტველო ჟანრს, ანუ „კონვენციონალურ ერთეულებს“. ესტონელი კრიკანის აზრით, საჭიროა ანდაზის წინადა შემანტიკური, სინტაქსურ-სემანტიკური და პრაგმატულ-სემანტიკური ანალოზი იმის მიხედვით, თუ რა განიხილება მოცემულ მომენტში: ჩინიშენელობა, კონსტრუქცია თუ გამოყენება.

პარემიოლოგიაში გაერცვლებულია მცდარი წარმოდგენა თითქოს ანდაზა არის თავისებური „ready-made, utterance“ (შსა ფრაზა, გამოთქმა) ან გაქვევებული კლიშე, რომელიც იქცა „ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ მყარ ფორმად“ (კრაჟკინი 1998:14). ანდაზამ შეიძლება საუკუნეების მანძილზე გარეგნული ფორმა შეიცვალოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ანდაზის ლექსიკა ენიდან ამოღებული იქნება. ლევინის აზრით, ანდაზურ ფონდში ამა თუ იმ ანდაზის არსებობა არ განაპირობებს მის პოპულარობას. ანტონიმურ ანდაზებსუ დაკვირვების შედეგად იგი ასკენის, რომ „ერის სულს“ უკეთ ის ანდაზა გამოხატავს, რომელიც უფრო ხშირად იხმარება.

პარემიოლოგიაში არსებობს ანდაზის არქიტექტურულ ფორმულათა გარკვეული რაოდენობა, რომელია მისადაგება შეიძლება ნებისმიერი ენის პარემიებსუ. მაგ: „არ არსებობს ერთი მეორის გარეშე“; „მონებას ორი მხარე აქვსო“; „ერთი უკაცოდ არ იქნებაო“; „მღვდელი ჭილიფშიც იცნობაო“; „რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის“ და ა.შ. ასევე, ნებისმიერი ენის პარემიულ ფონდში მრავლად მოიხვევა აგრეთვე ოპოზიციური ანდაზებიც. მაგ: „ერთი ამბობენ იმას, რაც იციან, სხვებმა იციან, რასაც ამბობენ“; „მუდო შენ გუებნები, რსალო შენ გაიცივნო“ მაგალითისათვის მოვიყვანთ იტალიურ ფრანგულ ანდაზებს: *Nè di state, nè d'inverno, Non andar senza mantello (it.) - Hiver ou été, n'importe, Prends toujours ton manteau. (fr.); I matti fanno le feste, ed i savi se le godono (it.) - Les sots font les fêtes, Les hommes sensés en ont le plaisir. (fr.);* და ა.შ.

ღამოლოს, უნივერსალურ გამოინათქვამებს გააჩნიათ უკიდურესად ფართო სემანტიკა, მათ არა აქვთ რეალობასთან უშუალო კავშირი, გადადიან რა „წმინდა იდეის“ სფეროში. მათ არ გააჩნიათ ფაქტოლოგიური ინფორმაცია რეალურ სინამდვილესუ, და გადმოსცემენ ზოგიერთ განყენებულ იდეას რეალური საგნებისა და მოვლენების შესახებ ტიპიზირებული გენერალიზაციის (მეტყველების მომენტში) საშუალებით, რომელიც დაფუძნებულია ერთობლივ ინდივიდუალურ და ზოგადსაკაცობრიო პრაქტიკულ და თეორიულ გამოცდილებასუ. ჯერ კიდევ უკიბრი ენობრივი კონტაქტების დროიდან, კაცობრობის წინაშე გაიანდა აზრის სხვა ენასუ გადატანის ურთულესი პრობლემა, რომელიც დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას როგორც თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში, ასევე კულტურათა დიალოგში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამრეკელი, მგალობლიშვილი 1996: გამრეკელი ნ. მგალობლიშვილი ე. ქართულ-რუსული ფრანგოლოგური ლექსიკონი. თბ.
2. ქაღურაშვილი, ახელდინი, წულაძე-კალაოზიშვილი 1999-2000: ქაღურაშვილი ნ. ახელდინი ც. წულაძე-კალაოზიშვილი ნ. ფრანგულ-ქართული ლექსიკონი. თბ. „ელფი“.
3. ცერცვაძე, დებიალი, ახმეტელი 1999: ცერცვაძე ნ. დებიალი კ. ახმეტელი თ. იტალიურ-ქართული ლექსიკონი. 2 ტ. თბ. „ოპიზის“.
4. გავრილოვა 1986: Гаврилова Е.Н. Универсальные высказывания и другие обобщающие суждения // Филол. науки. № 3.
5. ივანოვი 1995: Иванов Е.Е. Афоризм как единица языка // Лингвистика на исходе XX века: Тез. междунар. конф. Т. 1. М., 1995.
6. პერმიაკოვი 1978: Пермяков Г.Л. О смысловой структуре и соответствующей классификации пословичных изречений // Паремнологический сборник. М.: Наука.
7. სოლოდუნი 1994: Солодун Ю.П. К проблеме разграничения пословиц и поговорок в языках различных типов // Филол. науки. 1994. № 3. С. 57.
8. Федоренко Н.Т., Сокольская Л.И. Афоризмы. М.: Наука, 1990.
9. Итальянско-русский фразеологический словарь. М., 1982.
10. Французско-русский фразеологический словарь. М., 1983.

**The Language Phenomena (Proverbs and Aphorisms)
in System of Universal Statements**

Universal statements possess extremely wide semantics, absence of a direct connection with a reality, with transition in area of "Pure idea". They do not contain fact question the information on reality, and transfer some abstract ideas by means of the typified generalisation (and at the moment of speech) real subjects, the phenomena, based on the previous cumulative individual both universal practical and theoretical experience: "The book lays on a table" and "The book learns us to live".

Universal statements typify the vital phenomena, give timeless and comprehensive character, do not contain exact instructions on a place and time of fulfilment of any action, all information has abstract character. To universal statements carry an aphorism, a proverb, a saying, truism, paradox. We will notice, that existing classifications of sayings are imperfect, since there are intermediate phenomena.

მრავალენოვნების ლიდერების პრინციპები

თანამედროვე სამყაროში სხვა გლობალურ პროცესებთან ერთად მეტ-ნაკლებად იცვლება ენობრივი გარემო და განვიხილოთ ტენდენციები (არაბული 2005). აქედან გამოშინდება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მრავალენოვნებისა და კულტურული მრავალფეროვნების საკითხების მეცნიერულ შესწავლას. ევროპული მრავალენოვნება ისტორიულად განვითარებული ფაქტია. იგი უნდა განვიხილოთ როგორც კულტურული მემკვიდრეობა, რომელზეც უნდა იზრუნოს ყველა ევროპელმა. ინდივიდუალურ მრავალენოვნებას ე.ი. ერთი პიროვნების მიერ მრავალი ენის ცოდნას მიუყვართ საზოგადოებრივ მრავალენოვნებამდე, რაც კრებს შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესების წინაპირობა. კომპეტენციების გაფართოება დადებითად მოქმედებს საზოგადოებაზე; იგი უფრო შემოქმედებითია, გამორჩევა უკეთესი გონებრივი შესაძლებლობებით და მოქნილობით, დივერსიფიკაციის საფუძველზე ფართოვდება პიროვნების პიროვნობა.

რაც შეეხება დისკურსის თვისებას, ეს არის ტექსტის აქტივაციის პროცესი თავის კონტექსტულ-ლურ მიმართებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ-ტექსტის კონტექსტუალიზაცია ფაქტობრივად ავტორისა თუ მოსაუბრის განსარჩევი გზავნილის (ანუ პრაგმატული ინტენციის) ინტერპრეტაციაა მკითხველისა თუ მსმენელის მიერ. ამ მიმართებაში ტექსტი წარმოადგენს დისკურსით ნაკარხაზე

პროდუქტს, რომელიც თავის მხრივ განიხილება როგორც პროცესი. (პ ვერდონკი. სტილისტიკა. ოქსფორდი. 2006).

ამიტომაც არის ტექსტის დისკურსი პროცესუალური, ასოციაციური დონის ერთეული და პრაგმატიკის სფერო, ხოლო თავად ტექსტი (წერილი თუ სუბირი) ამ დისკურსის განმარტებელი მატერიალური საფუძველია, რომელიც მიმდინარეობს ვერბალურ დონეზე და მას შესწავლის შესაძრტია.

ამგვარად, გაეზიარებოთ ისევე ვერდონკის მსჯელობას და ვიტყვი, რომ ვერბალურ-ფორმალური მნიშვნელობები-ტექსტის სემანტიკურ-სინტაქსური გაფორმება სემანტიკისა და სტილისტიკის სფეროა, ხოლო კონტექსტუალური ტექსტის პრაგმატული ინტენციის დისკურსი მიეუთვნება ლინგვისტურ პრაგმატიკას. აქედან გამომდინარევა ალბათ, ისიც, რომ ტექსტის ლინგვისტისათვის ტექსტი არის წინადადებათა ასრობრივი ერთობლიობით დაკავშირებული ენობრივი ერთეული, რომელსაც გაანინია კოპეზია და კოპერენტულობა, დინამიზმი და პროცესუალობა; სადაც ყველაფერი პირდაპირ არ არის ნათქვამი, სადაც პრაგმატული ინტენცია საძიებელია და მისი მართებულად წვლიმის შემთხვევაში ხდება მხატვრული ხატის კონსტრუქცია ანუ პრაგმატული ინტენცია ესოტერიკაცია. რასაც არამხატვრული ტექსტი მოკლებულია არამხატვრულ ტექსტში "ინფორმაცია შეტუბინების დონეზე" წყდება, არაფერია საძიებელი და მასში მარადიული თემები გადაწყვეტილია ანუ "ფაქტები ქმნიან არგუმენტ"-მხატვრულ ტექსტსში კი მარადიული თემები (სიყვარული, მგობრობა, სამშობლოს სიყვარული, საყვდილ-სიყოფხლე) დღემდე მრავალნაირად არის გადმოცემული და ინტერპრტირებულიც; რაც უფრო მეტია ინტერპრტირების რაოდენობის შესაძლებლობა, მით უფრო მაღალმხატვრულია ტექსტი; მით უფრო საინტერესოა მისი დისკურსული ანალიზი, რადგან მარადიული შევითხუბს: ვინ. რა. სად, როდის. როგორ, რატომ. შეიძლება გავეცეს მეტად საინტერესო პასუხები. ნიცქეს სიტყვებო, რომ ჩვენიველით "წყენ გვაქვს სელოვნება. რათა არ დავიბრუნებოთ რეალობისკენ." რა თქვა უნდა ეს იმას არ ნაშნად. რომ მხატვრული ტექსტი მოწყვეტილია რეალურ სამყაროს. პირებით. მასში "ფაქტები ქმნიან ფონს" და რეალური სამყარო ავტორის დისკურსით გააზრებული, და ევრბალიზებული იდუფე იმის საშუალებას, რომ გაეზრდნოთ ერთმანეთისგან ტექსტი და დისკურსი. მიუხედავად იმის, ფილოსოფოს პირის სიტყვები: "The word or sign which man uses is the man himself. Every თავი is a sign, which in conjunction with the fact that the life is a train of თავი, proves the man is a sign... my თავი is the same way. of myself for man is the თავი!" (სებოკი, 1936).

ამდინაზ რაობის გახსნისათვის, მისი ნახატის წევრბათვის. კი ნახატის ევრბალურად უნდა იქნას რეალიზებული, ამიტომ პირის ეს თქვა "თავი is the თავი" იმდენი ჩინობისადაც შევცვლა პროფსორმა რუსუდან ენუქიძემ შემდეგნაირად "თავი is the თავი".

ამდინა. საუბრით ვეზრბობთ ვერდონკის იმ მსჯელებს, რომ "თითხლოერი მნიშვნელობები, რომლებიც კონსტრუქცია ტექსტის ენაში და ანალიზზე დამოკიდებულია მხოლოდ თუ მკითხველის კონტექსტისაგან. სემანტიკის სფეროა. ხოლო დისკურსი ენა, რომელიც დაიწყებულია შესაბამის კონტექსტში ტექსტის დეკოდირებისათვის-პრაგმატიკის სფეროა. პრაგმატიკის მნიშვნელობა არ არის სემანტიკური მნიშვნელობის ალტერნატივა არაფერ მათი დაცხვენა. კონსტრუქტორულია, რადგან იგი გამოიყენება სემანტიკური მნიშვნელობის კონტექსტთან ურთიერთობისათვისში.

ამგვარად, ჩვენ ვევიკობთ, რომდინამდე გავეციოთ პასუხი კოხვას, თუ რა არის ტექსტი და დისკურსი, მათი ურთიერთობის საზღვრული მიმართებები და განსხუვეტები. რაცაც თანამედროვე ლინგვისტიკა ასე გულდასმით იყვევება, იყვევს და იმედა მობეალშიც ბევრი საინტერესო ნაშრომი მიქვლნება ამ საკითხებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოცირიყე 1988: გოცირიყე დ. ყრბაული ტექსტების ტიპოლოგიკაციისა და ინტერპრტაციის პრინციპები. თსუ.
2. დევილიყე 1999: დევილიყე ნ. თხრობითი დინამიკის მიმართება კოპეზია-კოპერენტურობისთან საენათმეცნიერო ძიებანი. IX. თბილისი.
3. ენუქიძე 1990: ენუქიძე რ. ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა. თსუ.
4. ენუქიძე 2009: ენუქიძე რ. შესაძლებელია თუ არა დისკურსის ნაწილობრივი ფორმალურიზაცია მხატვრულ ტექსტში.
5. სურგია 1989: სურგია ე. ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი.

6. ფურცელაძე 1998: ფურცელაძე ვ. ტექსტი, როგორც ენობრივი მოვლენების წერილობითი განცხადება. თბილისი.
7. შენგელაია 1987: შენგელაია ნ. ტექსტის კლინიკისტიკის პრობლემები. თსუ.
8. ვერდონკი 2006: Verdonk Peter. Stylistics. Oxford.
9. ლიჩი, შორტი 1981: Leech and Short. Style in Fiction.
10. ბერჩი 1989: Birch David. "working effects with words"
11. კუკი 1994: Guy Cook. Discourse and literature: Oxford.
12. ფუკოლტი 1972: Foucault. The Archeology of knowledge.
13. რიჩარდსი 1993: Longman Dictionary of Applied linguistics. E d. by J. Richards.

Nino Dvalidze (Batumi)

Text and Discourse Cross- definitional Relations and Differences in Linguistics

This scientific research deals with the issues defining the text and discourse differently.

A great majority of linguists consider that formalization of discourse is impossible as it belongs to the system of superverbals (i.e. associative) categories. But at the verbal level there should exist linguistic units (verbal signals) that contribute to the realization of discourse.

Interrelation of text and discourse and their functional loading can be defined as follows: those formal meanings that are coded in the language of text belong to the sphere of Semantics, whereas the language of discourse that is used to decode text is the sphere of Pragmatics. Pragmatic meaning is not, we should note, an alternative to semantic meaning, but complementary to it, because it is inferred from the interplay of semantic meaning with context.

The actuality and novelty of the given research is stipulated by necessity to come to final decision what the text and discourse are for linguists; And to show the superiority of the view which is based on the famous linguist Peter Verdonk's works.

ფრაზული ზმნები ბრიტანულ და ინგლისურენოვან ქართულ გაზეთებში

ფრაზული ზმნა წარმოადგენს ინგლისური ენის ძალიან დამახასიათებელ და მნიშვნელოვან ნაწილს. იგი შედგება სმინისა და ერთი ან ორი ნაწილაკისაგან. ნაწილაკი შეიძლება იყოს ზმნიზუ- და, წინდებული ან ნებისმიერი სიტყვა, რომელიც ასრულებს ზმნიზუდის ან წინდებულის ფუნქციას. ფრაზული ზმნები განსაკუთრებით ტიპურია სასაუბრო ენისათვის და არასალიტერატურო მეტყველებაში უფრო მეტად გამოიყენება, ვიდრე ლათინური წარმოშობის შესაბამისი სინონიმები. ფრაზული ზმნის მნიშვნელობა სწავლებრივი ზმნის მნიშვნელობაზე უფრო შთაბეჭდილი და ემოციურია. ფრაზული ზმნები და მათი სახელადი დერივატივები შეადგენენ ინგლისურ ენაში შექმნილი ახალი სიტყვების მნიშვნელოვან ნაწილს.

ინგლისური ენის მატარებელი ადამიანი მეტყველებაში უპირავე ფრაზულ ზმნას იყენებს. მისი საუბარი ფრაზული ზმნებით უფრო თავისუფალი, მოსახერხებელი და დახვეწილია. რაც შეეხება უცხოელს, ის ისეთ კონტექსტშიც კი იყენებს ერთსიტყვიან ლათინურსიტებს, სადაც ფრაზული ზმნა უფრო შესაფერისია. ენის შესწავლა უცხოელისათვის და ენის მატარებლისათვის ბუნებრივია, რომ სრულიად განსხვავებული და თავისებურებით გამოირჩეული პროცესია. ენის მატარებელი ენას სწავლობს არა მარტო სახელმძღვანელოდან და სასწავლებლიდან, არამედ თვით საზოგადოებიდან. ეს ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმ გარემოებაზე, რომ ენის ისეთი რთული ერთეულები, როგორიცაა ფრაზული ზმნები უფრო ძნელი შესასწავლია უცხოელისათვის, ვიდრე ენის მატარებლისათვის. უცხოელი ყოველთვის სწავლობს სიტყვების პირდაპირ მნიშვნელობას და მისთვის რთულად აღსაქმელი და დასამახსოვრებელია ზმნებისა და ნაწილაკების კომბინაციები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში თავისი მნიშვნელობისაგან განსხვავებულ შინაარსს გვაძლევს. ეს განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ენის მატარებელი გაცილებით ინტენსურად იყენებს ფრაზულ ზმნებს, ვიდრე უცხოელი.

ენის მატარებლისათვის ფრაზული ზმნებით საუბარი გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე მათი სინონიმური ლათინური წარმოშობის სიტყვებით. ენის ეს უცნაური ერთეული იმდენად სპეცი- ფიკური, ტიპური და სისხლხორცეულია ინგლისურისათვის, რომ ფაქტობრივად ფრაზული ზმნებით საუბარი უფრო დახვეწილი, ლაკონური და მარტივი მოსასმენი და აღსაქმელია ინგლისურენოვანი საზოგადოებისთვის. რაც შეეხება უცხოელებს – პირიქით, ზმნურ-ნაწილაკიანი კომბინაციები მათთვის რთული გასაგები და შესასწავლია.

საინტერესოა, გამოიყენება თუ არა აქტიურად ინგლისური ენის ეს დამახასიათებელი და სრულყოფილი საუბრის აუცილებელი ელემენტი პრესაში. რა რაოდენობით? როგორი ტიპის ფრაზული ზმნები და რატომ? ბრიტანული გაზეთების – "The Independent", "Daily Telegraph" და ინგ- ლისურენოვანი ქართული გაზეთების: "Georgian Times", "The Messenger", "Real Estate", "Georgia Today", "Week Business News" სტეადასხვა ნომრების განხილვის შედეგად მივიღეთ ძალიან საინტერესო სურათი.

"The Independent"-ის ერთ-ერთი გამოცემის 23 სტატიაში მოლიანად აღმოჩნდა 220 ფრაზული ზმნა, რაც საშუალოდ თითოეულ სტატიაში 10-11 კონსტრუქციას უდრის, ხოლო ქართულ "Georgian Times"-ის 27 სტატიაში მხოლოდ 61 ფრაზული ზმნა შეგვხვდა, ანუ თითოეულ სტატიაში 3 ფრაზული ზმნაც კი არ გამოიღის.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანულ გაზეთებში ძირითადად გვხვდება უზუალიზებული იდიო- მატური და პირდაპირი ფრაზული ზმნები. შესაბამისად, შედარებით ნაკლებია ოკაზიონალური იდიომატური კომბინაციები. სტატიებში რამდენიმეჯერ სათაურშიც იყო გამოყენებული ფრაზული ზმნები:

- Bodies piled up on Beaches as people Searched for relatives
- Why do these disasters always dump on the poorest?
- The company has laid down strict procedures
- Something funny is going on
- The plan fell through at the last minute
- Dog licences have been done away with (ინდიფენქენი2004.27/12 2005.7/2,2005.5/3,2005.5/5)

ყველაზე მეტი ფრაზული ზმნა – 29 დაფიქსირდა ერთგვერდიან სტატიაში. სტატიის ავტორის მიერ ძირითადად გამოყენებულია ასპექტუალური ფრაზული ზმნები, აქედან თავისთავად გვაქვს საწყისი, განგრძობითი და სრული ასპექტუალური ფრაზული ზმნები. გვხვდება ასევე უზუალიზებუ-

ლი იდომატური ფრაზული ზმნებიც, როგორცაა put on, get up, look for, account from (ინდიფინდენთი 2005:203). სტატიაში რადენიმე ადგილას გამოყენებულია ერთი და იგივე ზმნისა და სხვადასხვა ნაწილაკის კომბინაციები, რაც შინაარსთა განსხვავებულობით არის განპირობებული.

ერთ-ერთ სტატიაში გვხვდება ოკაზიონალური იდომატური ფრაზული ზმნები: mix up (in) involved in something secret or illegal. (ოქსფორდის 2003: 796) ხოლო რაც შეეხება ფრაზული ზმნას pop up სტატიაში გვხვდება ლექსიკონში აღნიშნული არასადიეტარტური მნიშვნელობით – appear, especially in unlikely places, when one is unexpected (informal)(ოქსფორდის 1993:587). ერთ-ერთი ფრაზული ზმნა bang up სლენგის მნიშვნელობითაც კი გვხვდება: make somebody pregnant. ეს მიანიშნებს ფრაზული ზმნების სხვადასხვა მიმართულებით (იდიომი, სლენგი, ჟარგონი და ა. შ.) გამოყენებაზე (ოქსფორდის 2003:796)

ფრაზული ზმნების ყველაზე მცირე რაოდენობა – ორი ზმნურ ნაწილაკიანი კონსტრუქცია – retire from, arise from – შეგვხვდა ერთი ძალიან პატარა მოცულობის სტატიაში. აღსანიშნავია ასევე, რომ რაც უფრო დიდი მოცულობისაა სტატია, მით უფრო მეტი ფრაზული ზმნაა გამოყენებული, მაგრამ ერთ 20 ხაზიან პატარა სტატიაში აღმოჩნდა 14 ფრაზული ზმნა: shake up, wake up, come in, walk along, get down, fall over, get out, flush away, take out, rise up, wash away, sweep away, go for, block off, რაც ნიშნავს, რომ ყოველ მეორე წინადადებაში გამოყენებულია ფრაზული ზმნა (ინდიფინდენთი 2005:273)

რადენიმე სტატიაში გვხვდება ისეთი ფრაზული ზმნები, რომლებიც ძალიან არაფორმალური ნიშნელობისაა, მაგალითად:

rip off - cheat	take off - imitate
act like - behave in a way that's like	catch on - to become popular
crop up – happen unexpectedly	do away with – murder (ინდიფინდენთი 2005:7/4,25/4,17/5).

აღსანიშნავია, რომ სტატიებში გამოყენებულია უამრავი ზმნა, ამდენად დომინანტის გამოყოფა ძალიან რთულია, რადგანაც ყველა სიტუაციაში, სადაც შესაძლებელი და დასაშვებია, ნებისმიერ ზმნას დამატებული აქვს ნაწილაკი და შექმნილია ფრაზული ზმნები. თუმცა საინტერესოა ისიც, რომ ნაწილაკებისაგან შეიძლება გამოიყოს ყველაზე ხშირად ხმარებადი წინდებულები და ზმნისებულები შემდეგი თანმიმდევრობით: up, out, away, over, off, down.

რასაკლებად განსხვავებული სიტუაციაა ინგლისურენოვანი ქართული გამოცემების სტატიებში. როგორც უკვე ითქვამოდა, 27 სტატიაში მხოლოდ 61 ფრაზული ზმნა აღმოჩნდა, რაც საშუალოდ ერთ სტატიაში თითო ფრაზული ზმნის გამოყენებას ნიშნავს.

პატარა მოცულობის სტატიებში საერთოდ არ გვხვდება ფრაზული ზმნები, მაგალითად კეირის მიმოხილვის გვერდზე მოთავსებულ 11 პატარა სტატიაში არც ერთი ფრაზული ზმნა არ აღმოჩნდა. თითქოს ლოგიკურად რაც უფრო პატარაა სტატია, მით უფრო ცოტა ფრაზული ზმნა მასში გამოყენებული ან საერთოდ არ არის. თუმცა გასათვალისწინებელია 7 სტატიაში (აქედან 3 ერთგვერდიანია და 4 ნახევარგვერდიანი) საერთოდ არ იყო გამოყენებული უმარტივესი პირდაპირი მნიშვნელობის ფრაზული ზმნაც კი. დანარჩენ სტატიებში გვხვდება 2 ან 3 ზმნურ-ნაწილაკიანი კონსტრუქცია, ძირითადად შემდეგი კომბინაციები: go for, wait for, go down, go out, look for, come out, knock out, think about, carry out, get back, turn into, call on, step up, deal with, rule out, give up, set up, break up, sit on, come back, go through, turn down, pass away, get in, find out, run out, turn out (მესინჯერი 2005:26/4,5/5,17/5,20/7 ჯორჯია თუდეი 21-27/4,5-11/5 ჯორჯიან ბიზნის ვიქი 2005:25/9)

ფრაზული ზმნები უფრო მეტად ეკონომიკურ და თავისუფალ (ანუ კულტურას და სასოგადობრივ თემებს რაც შეეხება) სტატიებში მოიპოვება. ქართული გამოცემების ყველაზე ხშირად ხმარებადი ფრაზული ზმნებია:

look for, carry out, think about, break up, find out, set up

თუკი უცხოელი ბრიტანული სტატიებში გამოყენებულია ფრაზული ზმნები (მათი ზუსტი მნიშვნელობის არციოდინის შემთხვევაში) ხელს უშლის შინაარსის გაგებასა და აზრის გამოტანაში, ქართულ გამოცემებში ზმნურ-აღებულიური კომბინაციები არანაირ სირთულეს არ ქმნის ინგლისური ენის საშუალოდ მყოფენ ქართველთათვისაც კი, რადგანაც გამოყენებული ერთეულები მოითხოვს ენის მხოლოდ ელემენტარულ ცოდნას, რომელიც სკოლის პროგრამის საწყის ეტაპზეა გაედილი. ასეთ შემთხვევებში კონტექსტი შესაბამისად მარტივია.

საკმაოდ ხშირად გვხვდება ფრაზული ზმნა – find out, რომელიც არის უშუალებული იდიომატური ფრაზული ზმნა. ის გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით learn something by study, calculation, or inquiry (ოქსფორდის 2003:455). ეს არის ორსიტყვიანი ზმნა, რომელსაც უცხოელი საწყისი ეტაპიდანვე შეისწავლის სწორედ ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობით, ამიტომაც ქართველ ავტორს არ უჭირს მსგავსი ფრაზული ზმნების გამოყენება.

ინგლისურენოვანი ქართულის სტატიებში ძირითადად გამოყენებულია ძალიან მარტივი კომბინაციები, როგორცაა get up, go on, look for და ა. შ. მათი გამოყენება უცხოელს ფაქტობრივად არანაირ სირთულეს არ უქმნის, რადგანაც მსგავსი ფრაზული ზმნები ბავშუობიდანვე დამკვიდრებულია ენის შემსწავლელის მეხსიერებაში. კონტექსტში თითქმის არ იგრძნობა უცხო ფრაზის არსებობა, არამედ, პირიქით, იმდენად მარტივია სიტუაცია, რომ უცხოელი მითხველის თუ მწერლისათვის თითქმის შემთხვევით გამოყენებული ფრაზული ზმნა, როგორც ინგლისური ენის სპეციფიკური თავისებურების მაგალითი, ფაქტობრივად არ აღიქმება. ამდენად ხშირად გამოყენებული ფრაზული ზმნები უცხოელ მითხველს არ უქმნის არანაირ ბარიერს.

როგორც ვხედავთ, კონტრასტი აშკარა და შესამჩნევია. ინგლისური სტატია წარმოუდგენელია ფრაზული ზმნის გარეშე, თანაც არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანია. თითქმის არ მოიხიბნება სიტუაცია, სადაც შეიძლება ფრაზული ზმნის გამოყენება, თუმცა არ არის გამოყენებული.

რაც შეეხება ინგლისურენოვან ქართულ გასუთებს, შეიძლება ითქვას, ფრაზული ზმნების გამოყენება თითქმის უარყოფილია. უცხოელი გაურბის მისთვის ამ უჩვეულო და რთული კომპონენტის ხმარებას. მას ურჩევნია გამოიყენოს მისთვის გაცილებით უფრო მარტივი ერთსიტყვიანი ლაინისმები. უცხოელი ვერ წყდება და ვერ აღიქვამს ენის ამ აუცილებელი კომპონენტის მნიშვნელობას, რადგანაც მისთვის რთულია ერთი შესხვედით, თითქმის მარტივი კომბინაციების მრავალფეროვანი პოლისემანტური მნიშვნელობების შესწავლა.

ფრაზული ზმნების შესწავლისა და გამოყენების სირთულე განპირობებულია იმ ფაქტორითაც, რომ ქართულ ენაში გვაქვს მხოლოდ ერთსიტყვიანი ზმნები. ამიტომაც ინგლისური ენის ზმნისა და ნაწილაკების კომბინაციები, რომლებიც ქართულში ჩუქულებრივი, ერთსიტყვიანი ზმნით გადათარგმნება ქართულ შემსწავლელს აბნევს.

ინგლისური ენის მატარებლისათვის ფრაზული ზმნა ძალიან მარტივი აღსაქმელია, რადგან ფრაზული ზმნა წარმოადგენს ენის ძირითად მაორგანიზებელ ერთეულს. იგი ძირითადად შედგება ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ერთმარცვლიანი ზმნისა და ნაწილაკებისაგან.

ინგლისური და ქართული ინგლისურენოვანი გასუთების ანალიზისას კიდევ ერთხელ დადასტურდა ის გარემოება, რომ უცხოელი, თუმცა ინგლისური ენის პროფესიონალი მცოდნეც კი გაცილებით ნაკლებად იყენებს ფრაზულ ზმნებს, ვიდრე ინგლისური ენის მატარებელი. ამდენად, ფრაზული ზმნების დიდი მნიშვნელობისა და ემოციური დატვირთვისა ენაში, მისი გამოყენება მინც სირთულეს წარმოადგენს უცხოელისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოქსფორდის 1993: ოქსფორდის ფრაზული ზმნების ლექსიკონი, ა. დ. ქოიე და რ. მაქინი. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემლობა. Oxford Dictionary of Phrasal Verbs, Cowie A.D. and Mackin R Oxford University Press.
2. ოქსფორდის ... 2003: ოქსფორდის შემსწავლელთა ლექსიკონი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემლობა. Oxford Learner's Dictionary; Oxford University Press.
3. ინდიფენდენთი 2004: The Independent, 27 December, London, UK.
4. ინდიფენდენთი 2005: The Independent, 7 February, London, UK.
5. ინდიფენდენთი 2005: The Independent, 5 March, London, UK.
6. ინდიფენდენთი 2005: The Independent, 20 March, London, UK.
7. ინდიფენდენთი 2005: The Independent, 27 March, London, UK.
8. ინდიფენდენთი 2005: The Independent, 7 April, London, UK.
9. ინდიფენდენთი 2005: The Independent, 17 April, London, UK.
10. ინდიფენდენთი 2005: The Independent, 25 April, London, UK.
11. ინდიფენდენთი 2005: The Independent, 5 May, London, UK.
12. ინდიფენდენთი 2005: The Independent, 17 May, London, UK.
13. მესინჯერი 2005: The Messenger, April 26. Tbilisi, Georgia.
14. მესინჯერი 2005: The Messenger, May 5, Tbilisi, Georgia.
15. მესინჯერი 2005: The Messenger, June 17, Tbilisi, Georgia.
16. მესინჯერი 2005: The Messenger, July 20, Tbilisi, Georgia.
17. მესინჯერი 2005: The Messenger, 14 September, Tbilisi, Georgia.
18. ჯორჯია თუდუი 2005: Georgia Today, 21-27 April, Tbilisi, Georgia.
19. ჯორჯია თუდუი 2005: Georgia Today, 5-11 May, Tbilisi, Georgia.
20. ჯორჯიან ბიზნის ვიქ 2005 ; Georgian Business Week, 25 September, Tbilisi, Georgia.

Phrasal Verbs in British and Georgian (published in English) Newspapers

To use phrasal verbs instead of their one-word synonyms of Latin origin in conversation is much easier for native-speakers. This unusual unit of language is so specific, typical and natural to the English language that native speakers consider a communicative act much more laconic, simple and perfected only in that case if phrasal verbs are used in it. As to non-native speakers – on the contrary – verb particle combinations are quite difficult units for them to learn and understand.

It is really interesting whether this typical unit of English language that is an important element of perfected conversation is intensively used in press or not. If phrasal verbs are used in newspaper articles, what kind of phrasal verbs we meet? How many and why?

We got quite an interesting result after analyzing and comparing British newspapers: “The Independent”, “Daily Telegraph” and Georgian (published in English) ones: “Georgian Times”, “The Messenger”, “Real Estate”, “Georgia Today”, and “Week Business News”.

An English article cannot be imagined without phrasal verbs. In addition, the choice of phrasal verbs is diverse. Almost in every situation, if it is possible, phrasal verbs are used.

If phrasal verbs are used very intensively in the British articles, Georgian (published in English) newspapers factually avoid using above-mentioned combinations. Non-native speakers prefer to use one-word Latinisms, because they cannot realize the essence and importance of phrasal verbs.

ფრანგული მხარი ენობრივი მდარაზების
ბანქსტობრივად მოტივირებული ქართული შესაბამისები

განსხვავებით იმ შემთხვევებისგან, როდესაც რეციოინტ კულტურას არ გააჩნია შესაბამისი მხარი ენობრივი შედარების ექვივალენტები, ან, ეთნოკულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე, არ გააჩნია შესაბამისი პრეცედენტული მნიშვნელობა, შესაძლებელია პარალელური მხარი ენობრივი ექვივალენტების არსებობის შემთხვევაშიც კი ტექსტობრივად მოტივირებული შესატყვისის გამოყენება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თვით ტექსტმა შეიძლება განაპირობოს არა რეგულარული შესატყვისობის (მაგ: Rimer comme hallebarde et misericorde შინაარსობრივად მსგავსა ქართული გამოთქმისა „როგორც ვირი და კრიალოსანი“, შეუსაბამობის მნიშვნელობა, რომელსაც ორივე გამოთქმა შეიცავს, უმეტეს შემთხვევაში კარგად მიესადაგება ერთმანეთს და ქმნის გარკვეულ რეგულირებას), არამედ სიტუაციურად განპირობებული ექვივალენტის გამოყენება. მოქვეყნილი გამოთქმების „Rimer comme hallebarde et misericorde“-ის ეტიმოლოგია ფრანგი ბოშელის სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც თვლიდა, რომ ნებისმიერი სამ ერთნაირ ასოზე დაშორებული სიტყვა ერთიანება ერთმანეთს. აღნიშნული დებულების უარსაყოფად საკმარისი აღმოჩნდა სამ ერთნაირ ასოზე დამთავრებული სიტყვების „hallebarde“ და „misericorde“-ის შედარება. აღნიშნული შედარება გახდა საფუძველი მხარი ენობრივი შედარებისა. საინტერესოა, რომ როცა მარტენ დიუ გართან გამოყენებული შედარება „Ces mots riment comme hallebarde et misericorde“ (R. Martin du Gard, Les Thibault) (ეს სიტყვები ერთმანეთს ერთიანება, როგორც „ალებარდი“ და „მისერკორდა“), ჩვენთან გადმოვიდა, როგორც „კოჭლი სრტრიკინიოი“, რაც ჩვენი აზრით, ტექსტის შინაარსიდან და ემოციური მუხტიდან მართმდინარე, საესტეტიკო მოტივირებულია. (ნ. ქაღვიშვილის თარგმანი).

მხარი ენობრივი შედარების არამარკირებელი ერთეულები გადმოცემის თავისებურ ნაირსახეობად შეიძლება ჩავთვალოთ მისი სქოლიოში, ან კომენტარებში განმარტება. ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე გასაგებია ისეთი მხარი ენობრივი შედარებების მნიშვნელობა, როგორიცაა „Solide comme le Pont - Neuf“ (დიდებულების შეგრძნება, როგორც პონტ - ნეფი), მაგრამ მთარგმნელმა მაინც საჭიროდ ჩათვალა კომენტარებში შეეთითხინა: „პონტ - ნეფი“ არის 1578 წ. წყ. პარიზში აგებული ხიდი, რომელიც ყველა დანარჩენს აღემატებოდა თავისი სიმტკიცით.

ასევე კომენტარებშია გადატანილი ისეთი მხარი ენობრივი შედარების განმარტება, როგორცაა: „Soil comme la bourrique a Resbepierre“ (ბრებსპიერის ვირიეთი მთვრალი). მთარგმნელი ნ. ქაღვიშვილი განმარტავს, რომ აღნიშნული მეტაბოლა პარიზის ნაციონალური გეარლის ხელმძღვანელის ანროის სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც ბრებსპიერის ბრძანებების ბრმა შემსრულებლად ითვლებოდა და მუდმივად მთვრალ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ასევე კომენტარი მოითხოვა ფრანგული მხარი ენობრივი შედარების „Mentir comme un arracheur de dents“ (მატყუარა, როგორც კბილის მკურნალი). მიუხედავად იმ შიშისა, რომელიც ქართველ პაციენტებს კბილის ექიმების პუნდათ, მატყუარის სემა ქართულში არ განეთარდა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევებში ფსიქოლოგიის მიზნით ექიმები სუდებიტად ამშვიდებდნენ პაციენტებს. მთარგმნელმა (ნ. ქაღვიშვილი) გაითვალისწინა ეს ფაქტი და ტექსტს (R. Martin du Gard, Les Thibault) დაურთო კომენტარი „... ამ შედარების წარმოშობა უკავშირდება იმ დროს, როდესაც კბილის მკურნალები, რომლებიც ხალხმრავალ ადგილებში, კერძოდ ბასრბოტზე, ეწეოდნენ თვითნებ საქმანობას, დაბეჯითებით არწმუნებდნენ თვითნებ კლიენტებს, რომ უმტკივნეულოდ ამოუღებდნენ კბილს. ენობრივად, როგორც წესი, ასეთი დაპირებები თითქმის არასდროს არ სრულდებოდა, კბილის მკურნალებმა სახელი გაითქვეს, როგორც ნამდვილმა მატყუარებმა“. საეარაულოა, რომ ისეთი პერსონაჟი, როგორც ფიგაროა, რომელიც გამოირჩევა ინტრეგების დახლარებით, არა შემთხვევით იყო სწორედ დალაქები (მათ შორის საქართველოშიც) იყვნენ კბილის ამოღებაში დახლარუნებულნი.

აღნიშნული ტიპის შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს მხარი ენობრივი შედარების კომენტარებს, გვაქვს კიდევ მრავალ შემთხვევაში, რომელთაგანაც მოვიყვანოთ კიდევ რამოდენიმე მაგალითს.

ფრანგული მხარი ენობრივი შედარება „arriver comme les carabiners d' Offenbach“ (გამოჩნდნენ, როგორც ოფენბახის კარაბინერები) ბოლომდე გასაგები არ არის ქართული მკითხველთათვის, ვინაიდან კარაბინერთა სამსახურს თავისი სპეციფიკა გააჩნია და კარაბინერებს შეიძლება სხვადასხვა თვისება მიეწეროს. ამ გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად მთარგმნელმა (ნ. ქაღვიშვილი) საჭიროდ ჩათვალა კომენტარის გაკეთება იმის შესახებ, რომ ოფენბახის ოპერტა

„ყინაღვების“ პერსონაჟი კარაბინკერი არასდროს არ იმყოფებოდა იქ, სადაც საჭირონი იყვნენ. ფრანგულ და დასავლურ კულტურაში საერთოდ კარგადაა ცნობილი ციციკრონის სახელთან დაკავშირებული წერილები, რომლებშიც ასახულია მისი მიმოწერა მეგობრებთან და ახლობლებთან. ვინაიდან ციციკრონი ამ წერილებში მიმართავდა მისთვის ახლობელ ადამიანებს, მისი წერილების ტონი საკმაოდ თბილი და ახლობლურია. ფრანგული მყარი ენობრივი შედარება „*Être familier comme les épîtres de Ciceron*“ (ფამილარული (უშუალო), როგორც ციციკრონის წერილები) გამოხატავს გადაჯარბებულ უშუალობას, რომელიც თავხედობაში გადადის. „მადამ ბოვარის“ მთარგმნელმა არისტო ჭუმბაძემ თავი აარიდა აღნიშნული მყარი ენობრივი შედარების პირდაპირ გადმოტანასაც და მყარი ენობრივი შედარების ქართული ექვივალენტის მოძიებას. მან ჩათვალა, რომ უმჯობესი იქნებოდა კომენტარი თარგმანშივე მოეთავსებინა: „ის ისეთი უშუალო იყო, როგორც ციციკრონი მეგობრებისადმი მიწერილ წერილებში“. ორიგინალში არ არის ფრაზა „მეგობრებისადმი მიწერილ წერილებში“. საუარაუდოა, რომ მთარგმნელი (ა. ჭუმბაძე) გულისხმობდა ციციკრონის წერილების საერთო სათაურს „*Epîtres familières*“ (საოჯახო წერილები), კომენტარების თავისებულ ნაირსახეობად შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. „შინაარსობრივი გადანაწილების“ პრინციპი, რომლის არსიც მდგომარეობს ორიგინალის სათარგმნი ფრაგმენტის შინაარსის (რომელიც ერთი ერთეულიაა წარმოდგენილი) რამდენიმე ერთეულით გადმოცემა. კომენტარისგან განსხვავებით, რომელიც სქოლიოში ან შენიშვნებში განიარტება „შინაარსობრივი გადანაწილების“ შემთხვევაში ადგილი აქვს მის „ინაღვანაღვას“ თეთი ტექსტის სტრუქტურაში“. ასე, მაგალითად, ფრანგული მყარი ენობრივი შედარება „*Insolent comme un valet de bureau*“ (თავხედი როგორც ჯვალათის მსახური) უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ჯვალათის მსახურები თავს უფლებას აძლევენ მსჯავრდებულნი-სათვის სილა გაეწვიათ. ძალზე ხშირად ეს უკანასკნელი თავის სოციალური მდგომარეობითა და, რაც მთავარია, წარმოშობით გაცილებით მაღლა იდგნენ ჯვალათის მსახურებს, რის გამოც მათი მოქმედება ხშირ შემთხვევაში წარმოადგენდა თავხედობად აღიქმებოდა. პოსსერ მერიმეს „შარლ მერცხის მეფობის ქრონიკებში“ გვხვდება ასეთი ფრაგმენტი „..... Et puis ces Châtillons sont fiers et insolents comme des valets de bureau“ (P. Mérimée, Chronique du règne de Charles IX) (შუბაძელმა ეს შატიონის ჯვალათის მსახურებით თავხედი და გააამყებულნი არიან). მთარგმნელმა (ჭ. ხუნდაძემ) საჭიროდ ჩათვალა განმარტა ქართული მითხვევისათვის ბუნდოვანი წარმოდგენა, თუ რა არის ჯვალათის მსახური და რა საფუძველი აქვს მას სამაჟისა და თავხედობის. ამიტომ მან მიმართა „შინაარსობრივი გადანაწილების“ პრინციპს და აქტუალურად გაუყვანა ფრანგული მყარი ენობრივი შედარების პრეცედენტულ მნიშვნელობას: „ისგავსი შატიონი ისე იქცევიან, როგორც ამაჟი და თავხედი ჯვალათის მსახურნი, რომელთაც მსჯავრდებულისათვის სილის გაწინს უფლება აქვს“ (ჭ. ხუნდაძის თარგმანი).

თავისებურ კომბინირებულ კარიანაც წარმოადგენს ფრანგული მყარი ენობრივი შედარების გადმოცემის ისეთი შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს კალკისა და განმარტების შეერთებას. ასე, მაგალითად ფრანგული მყარი ენობრივი შედარება „*mentir comme un valet*“ (მსახურით მოტყუება) უკავშირდება ტიპურ სიტუაციას, როდესაც საკუთარი პატრონის ბრძანებით მსახური იძულებული იყო ცერკა მომსახურებდა. ამის გამო წარმოიშვა აღნიშნული გამოთქმა. პოსსერ მერიმეს „შარლ IX მეფობის ქრონიკაში“ (ჭ. ხუნდაძის თარგმანი) „..... Il était menteur comme valet“ (P. Mérimée, Chronique du règne de Charles IX) გადმოცემულია შემდეგნაირად: „ის ცრუობს, როგორც პატრონისგან დარღვევით მსახური“. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ფრანგული მყარი ენობრივი შედარების „*mentir comme valet*“ -ის კალკი „ცრუობს, როგორც მსახური“, რომელიც გართლებულია ინტერპრეტაციული ნაწილით, სადაც მოცემულია ფაქტობრივად განმარტება სპეციფიკური ფრანგული გამოხატულების (შესაძლოა ეს სპეციფიკურობა პოსტრეკულაციურ პერიოდს უკავშირდება, რომლის დროსაც დეკლარირებული იყო ადამიანთა თანასწორობა და შესაბამისად უაუციფიციო იყო ადამიანის მიერ ადამიანის შექსლუაჩაობა). ასევე კომბინირებული ფორმითაა გადმოცემული ფრანგული მყარი ენობრივი შედარება: „*Malheureux comme les pierres du chemin*“ (უბედური, როგორც ქუჩისკენის ქვები). რომენ როლანის „უან კრისტოფში“ ფრაზა, რომელიც შეიცავს აღნიშნულ მყარ ენობრივ შედარებას, შემდგენიარადა წარმოდგენილი:

„*Rose est malheureuse comme les pierres du chemin*“ (R. Rolland - Christophe) (როზა უბედურია, როგორც ქუჩისკენის ქვები). ქართულმა მთარგმნელმა მოახდინა ფრანგული მყარი ენობრივი შედარების კალკირება და დაუმტა მას ინტერპრეტაციული ნაწილი, რამაც მოგვცა შემდეგი წინადადება: „როზა უბედურია, როგორც ქუჩისკენის ქვები, რომელთაც მუდმივად ფეხს აბიჯებენ“ (ო. ხახაშვილს). როგორც უხედავ მთარგმნელმა საჭიროდ მიიჩნია ფრანგული მყარი ენობრივი შედარების შენარჩუნება, თუმცა იმპერატორულად საჭიროდ ჩათვალა განმარტა ქვები უბედურებისა და გაჯორების სიმბოლოდ. კომბინირებული შემთხვევების ნიმუშები კიდევ მრავლად შეიძლება მოიყვანინოთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამის საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან უკმობა მოყვანილი

მაგალითები სრულიად ნათლად ადასტურებენ აღნიშნული მთარგმნელობითი მეთოდის სპეციფიკას, ფრანგული მყარი ენობრივი შედარებების ქართულად თარგმნის პრობლემების განხილვამ შესაძლებლობა მოგვცა მიგვეღიო როგორც სოციალთეორიული დასკვნები, ასევე ინფორმაცია ფრანგულ – ქართული მყარი ენობრივი შედარებების ეკვივალენტობის შესახებ.

მყარ ენობრივი შედარებას, განსხვავებით ფრანსკოლოგიური სისტემის ერთეულებისგან, თავისი სპეციფიკა გააჩნია, რაც ეკვლინას ახდენს მთარგმნელობით სტრატეგიაზე. ეს ეხება მის შინაარსობრივი „გამჭირვალობას“. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მყარი ენობრივი შედარებების შინაარსი შედარბილ დეეს და როგორც წესი გამოიყენება მასში შემავალი ლექსემების მნიშვნელობებიდან. მეორე მხრივ, მყარ ენობრივი შედარებებს გარკვეული ფიქსირებული სტრუქტურა გააჩნიათ, რომლის დარღვევაც ფაქტორად კონსტრუქციისა და მისი მხატვრული სახის დაშლასა და დარღვევას იწვევს. შიდა შინაარსობრივი აქცენტების განაწილება მყარი ენობრივი შედარებების სტრუქტურაში გარკვეულ ფუნქციას ასრულებს, რასაც ხშირად ვერ აფიქსირებენ მთარგმნელები. უნდა ითქვას, რომ მყარი ენობრივი შედარებები მკიდრად არიან დაკავშირებულნი სამყაროს ხედვისა და ნაციონალურ – კულტურულ სპეციფიკასთან, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მთარგმნელობითი სტრატეგიის არჩევნისას. უნდა აღინიშნოს, რომ სამყაროს ხედვა შეიძლება სპეციფიკური იყოს არა მარტო სხვადასხვა კულტურისათვის, არამედ ერთი კულტურის სხვადასხვა წარმომადგენლისათვის. ეს სხვაობა შესაძლებელია ინდივიდუალური შედარებებითაც გამოიხატოს. მეორე მხრივ, სამყაროს მოვლენების უნივერსალური ხასიათი შესაძლებლობას იძლევა ევიარულით, რომ სოციოლოგიური მოვლენის დანახვისას და აღქმისას შესაძლებელია გარკვეული თანხვედრა, რომელიც სამყაროს ობიექტებისა და მოვლენების თვისებების უნივერსალურობიდან მომდინარეობს. ასე მაგალითად, არ არის რთული იმის დანახვა, რომ თოვლი თეთრი ფერისაა, ან ის, რომ სისხლი წითელია. ამ თვისებების მყარ ენობრივი შედარებებში გადატანა სავსებით ბუნებრივია, რასაც ადასტურებს არა მარტო ფრანგული და ქართული ენების, არამედ სხვა ენების მაგალითებიც: (ინგლისური „White as snow“, რუსული „Белый как чер“ და ა. შ.). როგორც წესი, ასეთი დანახვა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხდება, რაც მიუთითებს სამყაროს უნივერსალურ ხასიათზე.

მიუხედავად იმისა, რომ მყარ ენობრივი შედარებას და მეტაფორას სწორ შემთხვევაში როგორც ერთ მოვლენას განიხილავენ, სრულიად განსხვავებულია მათი თარგმნის სტრატეგია. მთავარ სირთულეს წარმოადგენს ის, რომ მყარი ენობრივი შედარებისაგან განსხვავებით მეტაფორის შედარბილ სტრუქტურაში ეკვლა კომპონენტი არ არის წარმოდგენილი. აღნიშნული ლატენტური სტრუქტურა სწორ შემთხვევაში განსაზღვრავს მეტაფორის ევრბალური ნაწილის შინაარსს, რაც მოითხოვს მოვლენის თავისებურ დანახვას. რაც შეეხება მყარ ენობრივი შედარებებს, ისინი შეიძლება შეიცავდეს ელემენტს, რომელიც თავისებურად გაშიფრებას მოითხოვენ თარგმნის პროცესში. ეს უპირატესად ეოვლისა ეხება რაციუალენტულ სახელებსა და ნაციონალურ – კულტურული სპეციფიკით განსაზღვრულ რეალიებს, რომელთა ინტერპრეტაცია მხოლოდ შიდაკულტურულ ინფორმაციაზე დაკრდნობითაა შესაძლებელი.

გარდა იმ შემთხვევების, როდესაც მყარი ენობრივი შედარებების გადმოცემა ასევე მყარი ენობრივი შედარებებით ხდება, რასაც შესაბამისი ფაქტორები განაპირობებენ, გარკვეული ადგილი უჭირავს მათი არამარკირებული ერთეულებით, ანუ თავისუფალ გადმოცემას. აღნიშნულ ჯგუფში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა იმის მიხედვით, თუ როგორია გადმოცემის სირთულეების დაკავშირებული პრობლემების მიზეზები – ეთნოკულტურული სპეციფიკით, თუ ტექსტობრივად განპირობებული – მყარი ენობრივი შედარებები, გასაგებია, საკმაო სირთულეს ქმნის თარგმანის პროცესში და როგორც წესი თავისუფალი თარგმანით ან ტექსტობრივი კომენტარით გადმოცემა, განსხვავებით იმ ფრანგული წარმოშობის მყარი ენობრივი შედარებებისა, რომლებიც ინტერნაციონალური სტატუსი მოიპოვეს და გასაგები არიან სხვა კულტურების წარმომადგენელთათვისაც, ეთნოკულტურული სპეციფიკით განპირობებულ ქვეჯგუფს უპირისპირდება მეორე ქვეჯგუფი, რომლის ერთეულები თავისუფალ ეკვივალენტურ ურთიერთობას ამყარებენ კონკრეტული ტექსტუალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც გვაქვს ფრანგული მყარი ენობრივი შედარების ფარდ მყარი ენობრივი ეკვივალენტიც პირობითად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფანჯიკიძე 1995: ფანჯიკიძე დ. თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ექვივალენტობის პრობლემა. თბ.
2. ფხაკაძე 1990: ფხაკაძე ი. თარგმანი, როგორც ერთიანი პროცესი. საკართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე . ენისა და ლიტერატურის სერია. თბილისი 2.
3. წიბახაშვილი 2000: წიბახაშვილი გ. თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თბილისი.
4. დიდი რობერი 985: Le Grand Robert de la langue française en 9 vol. Paris.
5. პატარა რობერი – 1992: Petit Robert. Dictionnaire de la langue française. Paris.
6. რეი – 1984: Rey A. Chantreau S. Dictionnaire des expressions et locutions figurées. Paris.
7. სუესი – 2001: Sués S Le locutions comparatives de la langue française, Grenoble.

Dinara Paghava (Batumi)

Textually Motivated Georgian Equivalents of French Similies

As is known, the modern science of translation is closely connected with sciences entering into anthropological paradigms (ethnopsycholinguistics, the intercultural communications, etc.), that the solution of a problem of interlanguage equivalence enables to give a new impulse among those cultures, which defines those or other language consciousnesses, particular meaning has national mentality, which demonstration represents the concept of „the Icon of the Universe“.

The last reflects national cultural specificity of outlook and is shown corresponding conceptspheres in consciousness corresponding representatives of cultures.

The urgency of work causes so – called inevitability of development of transfer of the mechanism not translated elements.

Novelty of work consists that in the first is given comparison corresponding French Georgian materials from translation and the corresponding recommendations are developed.

In difference of that case when the recipient culture has no equivalents of corresponding strong language comparison, or, proceeding from the ethnocultural specification, has no corresponding precedent meaning, use of conformity of text motivation is possible even in case of existence of parallel strong language equivalence. The text can stipulate not regular conformity, but use of situationally stipulated equivalent.

ინგლისური საზნაურო სთაურების სტილიტიკა და მისი ლინგვო-კულტუროლოგიური ასპექტის განხილვა, რომელშიც კონცენტრირებულია სათაურის აზრობრივ ასპექტსა და მის ორიგინალურ ეფექტურ ენობრივ გაფორმებაზე. აღნიშნული ეფექტი კი უშთაფრესად მიიღწევა ისეთი სტილისტური საშუალებების გამოყენებით, როგორცაა სიტყვების თამაში ანუ კალამბური, მეტაფორა, აღუსია და ეროვნული სახეების შექმნა, რომელთა აღქმაც განაპრობებულა მკითხველის სოციალ-კულტურული ფონური ცოდნით.

კვლევის მიზანია: ა) გამოვლენილ იქნეს თანმიმდევრულად ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სათაურის სტილისტური თავისებურებები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის მის ენობრივ ტიპობრიობას; ბ) მოახდინოს მათი ანალიზი ისეთი განსხვავებული სტრუქტურის ენობრივ მასალასთან შეპირისპირებით, როგორც არის ქართული ენა.

საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სათაურის შესწავლა და ანალიზი განხორციელებულია კვლევის ლინგვისტოტიკურ და ანთროპოციენტრისტულ-კომუნიკაციურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

საკვლევი მასალად აღებული გვაქვს საინფორმაციო ტექსტების სათაურები ინგლისურენოვანი გაზეთებიდან: *Telegraph, The Australian, SHM.*

სათაურები გაზეთის მკითხველზე ვაკილებით ფართო აუდიტორიას მოიცავს, ენაიდან გაზეთის მკიდელი ვაკერით მიანიც გადააყვებს სათაურებს თვალს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მისი ყიდვის შესახებ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სათაურის სეგაელენა მკითხველზე უსრობდ დიდია – მისი ძირითადი ფუნქციური დანიშნულება ხომ მკითხველის ინტერესის სტიმულირებაა მოცემული სტატიის გასაცნობად. ამით არის განპრობებული ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც კონცენტრირებულია სათაურის აზრობრივ ასპექტსა და მის ორიგინალურ ეფექტურ ენობრივ გაფორმებაზე.

1. კალამბური სათაურის უაღრესად დამახასიათებელი ელემენტია, რომელიც ნაკლებად გვეხვება სტატიის ძირითად ნაწილში. მისი გამოყენება სახალისო ეფექტს ქმნის, რადგანაც იგი ერთგვარი თამაშია სიტყვის ორმაგ მნიშვნელობაზე. მაგალითისათვის ავიღოთ კალამბური: *'When is an ambulance not an ambulance? - When it turns into a hospital!'*, რომელშიც *'turns into'* შესაძლოა ნიშნავდეს *'changes into'* ან *'turns into a corner'*.

ზოგჯერ, სათაურში მოცემული კალამბურის ადეკვატური აღქმა საკმაოდ რთულ მენტალურ აქტივობას და მკითხველის შესაბამის სოციალ-კულტურულ ფონურ ცოდნას მოითხოვს. ეს ხდება მაშინ, როდესაც სიტყვათა თამაში კულტურული ან ლიტერატურული ხასიათის ფაქტებს ეფუძნება. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ საინფორმაციო შეტყობინების სათაურს ავსტრალიური გაზეთიდან:

WINE MERCHANTS BRACE FOR THE GRAPES OF WRATH (Australian, 16/6/95)

ამ სათაურში ჩადებული მესიჯის რეცევივითა მთლიანად არის დამოკიდებული მკითხველის კულტურულ ფონურ ცოდნაზე. კერძოდ, კალამბურის ეფექტი იქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადრესატი იცნობს ჯონ სტირბერკის ცნობილ რომანს *"მრისხანების მტევნები"* ან მის ეკრანიზებულ ექსილას. ეს კი განპრობებულია იმით, სახელადი ფრასა "grapes of wrath" ორი მნიშვნელობით გეხვევა თანამედროვე ინგლისურ ენაში: ყოველდღიურ მეტყველებაში იგი ღვინის აღსანიშნავად გამოიყენება (მაგალითად, გამოსათქვამი *"SHE HAS TAKEN A LITTLE TOO MUCH OF THE GRAPES OF WRATH."* ნიშნავს *"შან ზომზე მეტი ღვინო დალია"*), მაშინ როდესაც სტირბერკი ამ ფრასას მეტაფორული მნიშვნელობით გამოიყენებს დიდი მრისხანების აღსანიშნავად. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სათაურის თარგმანი ქართულ ენაზე იქნება – *ღვინით დამოკრენი ძალებს აკრებენ უკმაყოფილების გამოსახატავად.*

2. მეტაფორული სათაურების თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს ადამიანის მიერ საჩაყროს საგნობრივ-ხლომოდებრივი აღქმა, რასაც იგი ორი სახით ახორციელებს. ტერმინი *"მეტაფორა"* ბერძნული წარმოშობისაა (ბერძ. *metaphora* – "გადატანა") და იგი გულისხმობს მნიშვნელობის გადატანას ერთი სიტყვიდან მეორეზე. ნაშრომში მეტაფორული სათაურების განხილვას ვაფუძნებთ ისეთ თეორიულ ცნებებს, როგორცაა მეტაფორისაიცა და მისი კონკრეტური ასპექტი. მეტაფორისაიცა წარმოადგენს აზროვნების სტილს, რომელიც შედგება ადამიანის უნარისა შენიშვნის და დაფიქსირის თვისობრივი მსგავსება ონტოლო-

გორავდ განსხვავებულ საგნებს ან მოვლენებს შორის და გააიგივოს ისინი ერთმანეთთან მაშინ, როდესაც ასეთი გაიგივებისა და შეპირისპირების ობიექტური საფუძველი არ არსებობს აქედან გამომდინარე, მეტაფორული სათაურში ვერბალურად არის განითქვებული სამყაროს სუბიექტურ-პოეტური ხელება, რომელიც კურნალისტის ასოციაციურ ხატოვან კოგნიციასზე და ესთეტიკურ-შეფასებით აზროვნებასა და დაჩაგრებულნი, რაც სათაურს ინდივიდუალურობას, ექსპრესიულობასა და ემოციურობას სცენა.

ემპირიული მასალის კვლევამ გვიჩვენა, რომ საგანგებო-საინფორმაციო შეტყობინების მეტაფორული სათაურის აღქმა უშუალოდ არის დაკავშირებული მასში ნომინირებული რეფერენტული ექსტრალინგვისტური მოვლენის სოციო-კულტურული კონტექსტის ცოდნასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკითხველი ვერ შესძლებს სათაურში მოცემული ინფორმაციის სწორ ინტერპრეტაციას. მაგალითად, საინტერესოა მეტაფორული სათაური, რომელშიც, ზმნის *to die* გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებით, ემოციურად და ხატოვნად არის რეალიზებული ინფორმაცია შეერთებული შტატების კონგრესში სასოფლო-სამეურნეო კანონის ჩივარდნის შესახებ: **FARMER BILL DIES IN HOUSE.**

საკმაოდ რთულ სოციო-კულტურულ ანალიზს საჭიროებს საგანგებო სათაური, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო კრახის ასახავს კონდენსირებული ფორმით იხიტი სტილისტური გამოხატულებლობითი საშუალებების გამოყენებით, როგორც არის მეტონიმია და მეტაფორა: **WALL ST. LAYS AN EGG.**

ამ სათაურში ავტორისეული მესიჯის აღქმა მოითხოვს მის ლინგვისტურ-ლოგიკურ ინტერპრეტაციას. მკითხველი უნდა ფლობდეს პრაგმატიკულ ფონურ ცოდნას იმასთან დაკავშირებით, რომ ქუჩის დასახელება *Wall Street* გამოიყენება მეტონიმურად საფონდო ბირჟის აღსანიშნავად; ხოლო სიტყვათშეხაზება *to lay an egg* ("კვერცხის დადება") მეტაფორულად გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით იმის აღსანიშნავად, რომ საფონდო ბირჟამ დიდი ხმაურის შემდეგ მიიღო სენსაციური გადაწყვეტილება.

3. **აღუსიური სათაურები.** აღუსიას ტრადიციულად განიხილავენ ლინგვისტილისტიკის კუთხიდან, როგორც სტილისტური დინის ენობრივ ერთეულს, რომელსაც თავისი კონცეპტური სტრუქტურა განაჩნია. აღუსია განიხილება როგორც ლაპარაკის ან წერის დროს განხორციელებული ირიბი რეფერენცია ისტორიული, ლიტერატურული, მითოლოგიური, ბიბლიური ან ყოველდღიური ფაქტებისა, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მიმდინარე კონტექსტური ინფორმაციის ადეკვატურად აღქმისათვის. შესაბამისად, აღუსია წარმოადგენდა სამი შრისაგან შემდგომ ენობრივ კონფიგურაციას, რომელშიც, ინფორმაციის კონტექსტური და ასოციაციური პლანების თანადროული რეალიზების შედეგად, ფაქტობრივი ინფორმაცია მდიდრდება ავტორის სუბიექტური მოდალობის, ანუ მისი ინდივიდუალური ხედვის გამოხატულებით ესთეტიკურ-კონცეპტური ინფორმაციით.

საგანგებო მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სათაურებში მეტწილად გამოიყენება აღუსიის ინტერტექსტუალური და პრაგმატიკული ტიპები. **ინტერტექსტუალური აღუსია** უშუალოდ უკავშირებს ერთმანეთს მიმდინარე ტექსტს და მასში ირიბი სახით რეფერირებულ წყარო ტექსტს, რომელიც ფონური ცოდნის სახით არის დაფიქსირებული ავტორის ცნობიერებაში, რის გამოც აღუსიის შედეგად წარმოქმნილი ესთეტიკურ-კონცეპტური ქვეტექსტის ადეკვატური ინფერენცია აუცილებლად მოითხოვს წყარო ტექსტის ცოდნას მკითხველის მხრიდანაც. **პრაგმატიკული აღუსია** კი უკვე სოციო-კულტურასთან კავშირში განიხილება, რაც განაპირობებს მის აღქმა-დაეკოდირებას მკითხველის პრაგმატიკული ფონური ცოდნის გათვალისწინებით. საილუსტრაციოდ განვიხილოთ აღუსიური ტიპის სათაური ავსტრალიური პრესიდან: **As Jacques would say: "LET THEM EAT YELLOW CAKE"**

(*Australian*, 17/6/95)

აღნიშნულ მაგალითში, სახელი ჯაკი პრაგმატიკული აღუსიაა, რომელიც გამოიყენება საფრანგეთის პრეზიდენტის ჯაკ შირაკის აღსანიშნავად, რის გამოც მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია აუცილებლად მოითხოვს მკითხველის სოციო-კულტურული სახისთვის ფონურ ცოდნას. იგივე ფონური ცოდნის საფუძველზე მკითხველი ახდენს ინფერენციას იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტის მხოლოდ სახელით მოხსენიება ფაშილარულია და მას გარკვეულწილად უკნინებს თავის ულებამოსილებას. გარდა ამისა, ბრიტანულ ეთნოკულტურაში სახელი *Jacques/Jack* უარყოფითი კონოტაციის მატარებელია, ვინაიდან სასაუბრო ენაში იგი წარმოადგენს სლენგს, რომელიც მეტონიმურად გამოიყენება დაბალი სოციალური ფენის მამაკაცის აღსანიშნავად ისეთი ტიპის გამონათქვამებში, როგორცაა, მაგალითად: "I'm all right, Jack. ამავე სათაურში ფიგურირებს მეორე აღუსია – "Let them eat yellow cake," რომელიც ინტერტექსტუალურია თავისი არსით, რადგანაც ირიბ რეფერირებას ახდენს საფრანგეთის მეფის მარი-ანტუანეტას ცინიკურ გამონათქვამზე – "Let them eat cake," რომელიც სიმბოლურ გადაიტკა სამეფო კარის ინდივიდენტული დამოკიდებულების

გამოსახატავად დატკბათა და გაჭირვებულთა მიმართ. შესაბამისად, ხსენებულ სათაურში ყურადღებულნი ვაქნებით შირაკის ურჩ მონარქად გვიხატავს, რომელიც ინდიფერენტულობას იჩენს არა მარტო ავსტრალიელი მოსახლეობის, არამედ მსოფლიო საზოგადოების მიმართ. მსგავსი ტიპის სათაურები საკმაოდ წარმატებულია, ვინაიდან ისინი ახდენენ მკითხველის ცნობიერების მანიპულირებას საფრანგეთის პრეზიდენტის უარყოფითი იმიჯის შესაქმნელად და მის სიჯიუტეზე საზგასასმელად, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ბირთვული იარაღის გამოყენების აკრძალვაზე მიღწეულ მსოფლიო კონსენსუსს მხოლოდ შირაკი აღუდგა წინ. მსგავსი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს იმ პერიოდის საგაზეთო სათაურების მიმოხილვა, რაც ნათლად წარმოაჩენს საფრანგეთის მთავრობის მიმართ ავსტრალიელების უარყოფით დამოკიდებულებას.

4. "ეროვნული სახეების" ცნება საგაზეთო სათაურში

სათაურების თავისებურებების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ეროვნული სახეებზე. ტერმინი 'ეროვნული სახეები' შემოღებულ იქნა მოსკოვის მიერ. ტერმინი ეროვნული სახეები ცოდნის იმ სისტემას აღნიშნავს, რომელიც სხვა ერებისა და ეროვნების შესახებ ცოდნას აერთიანებს.

საგაზეთო სათაურების პრესუპოზიციური ანალიზი ხშირად გვაძლევს ეროვნული სახის მახასიათებლის გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითისთვის ავიღოთ სათაური, *French arrogance explosive (Telegraph, 15/6/95)* რომელიც სხვადასხვა პრესუპოზიციების გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომელთა საფუძველზეც საფრანგეთის მთავრობის და ზოგადად ფრანგების უარყოფითი სახე იქმნება ატომური იარაღის გამოცდის განახლებასთან დაკავშირებით. კერძოდ:

- ყველა ფრანგი ამაყია, რაც ერთგვარი პრესუპოზიციია, რომელიც ავსტრალიელი მკითხველისათვის არ საჭიროებს სპეციალურ არგუმენტირებას ან განმარტებას, ვინაიდან ფრანგების ამგვარი დახასიათება სტერეოტიპულია ავსტრალიელებისათვის.

- ფრანგული სიამაყით აისხნება საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილება ბირთვული იარაღის გამოცდის ხელახლა დაწყებასთან დაკავშირებით: აღნიშნული სათაური გარკვეულ განმარტებას გვაძლევს ფრანგული ხასიათისა და გადაწყვეტილების თაობაზე.

- რომ ფრანგული სიამაყე სახიფათოა, რის გამოც შესაძლოა სათაურში გამოფრთხილებელი ტონიც იქნეს შემჩნეული.

ამდენად, სათაურების სიძლიერე და მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა კულტურული, პოლიტიკური და ზოგადი ცოდნით არის განპირობებული. მათ არამარტო ინტერესის აღძვრა და ინტრიგის ჩამოყვება, არამედ წარმატებულად გაგების შემთხვევაში მათ მკითხველის ინტელექტუალური ემპათიულობით 'დაჯილდოვებაც' შეუძლიათ. სათაურები ასევე აძლიერებენ საზოგადოების წევრობის გრძობას, როგორც საკუთარი ერის წარმომადგენლების ასევე სხვა ერებისა და ეროვნების ტიპურ წარმომადგენლების მეშვეობით. ეროვნული მახასიათებლების შედარება ხშირად ერთ-ერთ კონსტრუქციულ ფაქტორს წარმოადგენს ეროვნული ცნობიერების განვითარებასა და შენარჩუნებაში. თუ პრესა იძლევა თანამედროვე საზოგადოებაში მსგავსი პარალელების გაეღების საშუალებას, მაშინ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სათაურები - თავიანთი გაერტყვების, ეიზუალური და ლინგვისტური ზემოქმედებს წყალობით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აღნიშნული ეროვნული სახეების ყოველდღიურ ცხოვრებაში მუდმივად შენარჩუნებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ლებანიძე. ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი. 1998.
2. გ. ნებირიძე. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი 1999.
3. C. Abastado . *Messages des Media*. Paris. 1980.
4. A. Bell . *The Language of News Media*. Oxford. 1991.
5. M. Billig. *Banal Nationalism*. London.1995.
6. D. Crystal .*The English Tore of Voice*. London. 1975.
7. The phenomenon of social representations', in Farr, Robert M. and Moscovici S. (eds). *Social Representations*. Cambridge: Cambridge University Press. 1984.
8. L. Sellers. *Journalism*. New York. 1990.
9. გაზეთები: *Telegraph, The Australian, SHM*.

Stylistics and Lingvo-Culturological Aspects of English Newspaper Headlines

Presented Article is dedicated to analysis of Stylistics and Lingvo-Culturological Aspects of English Newspaper Headlines. Strength and importance of English newspaper headlines are primarily conditioned by cultural, political and general knowledge. Headlines have the ability to evoke interest and intrigue among the readers, as well as “grant” them with intellectual satisfaction. Moreover, headlines contribute to straightening a sense of community membership through the national representatives of particular nations. Hence, comparing national characteristics often serves as one of the constructive factors for development and preservation of national consciousness.

Presented Articles provides analysis of stylistic and lingvo-cultural aspects of English headlines concentrated in the notional aspect and original linguistic decoration of headline markers. The abovementioned effect is achieved through applying such stylistic devices, as pun, play of words, metaphor and national representations, perception of which are to greater extent dependent on reader’s socio-cultural knowledge.

The Articles attaches a particular importance to the fact that adequate disclosure of pun, metaphor, National Representatives requires rather complex mental activation as well as relevant socio-cultural knowledge.

Hence, a presented article serves a guideline for proper inference and decoding of particular stylistic and lingvo-cultural aspects of English Newspaper Headlines which are implicitly applied by the author. Furthermore, analysis of samples of stylistic and lingvo-culturological peculiarities of English Newspaper enables us to focus attention on national traditions characteristic for particular country which are mostly revealed through Newspaper headlines.

**ზიხუალური მბარეორობი, ან სიტყვის საროგატი
თანამდროვე ტექნიკური საორონიკული არხი**

პოსტმოდერნისტულმა ეპოქამ, რომელიც პირობად გასულ საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება და დღემდე გრძელდება, დიდი ცვლილებები მოუტანა მოწინავე კაცობრიობის აზროვნების სტოლა და მის ზოგად მსოფლმხედველობას. ამ პროცესში რამდენიმე ეტაპური მნიშვნელობის მოვლენა იყო ჩართული, რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი პერსონალური კომპიუტერების შექმნა, ინტერნეტში ჩართვა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის შესაძლებლობის გაჩენა აღმოჩნდა.

კომპიუტერული პროგრამების შექმნამ, რომელთა ძირითადი მიზანი, პირველ ყოვლისა, სწრაფი და ეფექტური კომუნიკაციის დამყარება იყო, კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩინა გრაფიკული საშუალებებით ევრბალური ტექსტის გადაცემის ინფორმაციული შესაძლებლობები.

მსჯელობის უფრო თვალნათლივ წარმართვის მიზნით, დავაზუსტოთ, თუ სახელდობრ რას ვგულისხმობთ ზემოაღნიშნული ტიპის "კომუნიკაციის" დამყარებაში.

ჩვეულებრივი ადამიანური საუბრის შემთხვევაში ინფორმაციის თანამოსაუბრეს შორის იმართება. ამ თანამოსაუბრეთაგან თითოეული პარტნიორის რეალიკაზე რეაგირებს. როდესაც კომპიუტერსა და მის მომხმარებელს შორის გაშართულ "დიალოგურ" კომუნიკაციასთან გვაქვს საქმე, ბუნებრივია, ერთ-ერთი კომუნიკანტი უსულუ საგანია, მანქანაა.

თავად დიალოგის წარმართვის პრინციპი აქაც იგივეა: მომხმარებელი ეუბნება (უბრძანებს) კომპიუტერს, რაიმე კონკრეტული ოპერაცია შესასრულოს ანდა ეკითხება, თუ რა არის საჭირო ამ ოპერაციის შესასრულებლად. პასუხად მანქანა ან "უხმოდ" ასრულებს მითითებულ ბრძანებას, ან უხსნის მომხმარებელს საკუთარი ინფორმაციების მიზეზს. შეკითხვის დასმის შემთხვევაში, იგი ან სწორად პასუხობს დასმულ კითხვას, ან აზუსტებს დასმული კითხვის შინაარსობრივ დეტალებს.

თავისთავად იმ ოპერაციათა რიცხვი, რომელთა შესრულებაც კომპიუტერს ევალება, საკმაოდ დიდია და დაახლოებით ექვს თვეში ერთხელ კიდევ უფრო იზრდება. აქედან გამომდინარე, კომპიუტერისა და მისი მომხმარებლის საურთიერთობო "ენა" მეტად მოცულობითია და, თავის მხრივ, მეტად რთული კოდი აღმოჩნდებოდა, რომ არა ტექსტის გადაცემის ის ახალი საშუალებები, რომლებსაც კომპიუტერული პროგრამების ფუნქციონირება ეყრდნობა.

კომუნიკაციური სირთულეების თავიდან აცილების მიზნით (რაც კომპიუტერთან მუშაობის მთავარი მიზანი და პრიორიტეტია), შემუშავდა სპეციფიკური სისტემა, "ენა", რომელიც პირობითად სამი ტიპის გრაფიკული ტექსტით გამოიხატება: ა) კომპიუტერული სიმბოლოებით (რომლებსაც, მეორენაირად, ზმნებისა და არსებითი სახელების "ვიზუალიზაცია" შეიძლება ეწოდოს), ბ) ევრბალური სიმბოლოებით, რომლებიც მოკლე სიტყვებით გამოხატული იგივე მეტყველების ნაწილდება და გ) ორი ზემოაღნიშნული ტიპის ტექსტთა შერწყმით (სიმბოლო + სიტყვა ან აბრევიატურა).

